240/1982/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მოამბე

XXXVI-B

«მეცნიერება»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. С. И. ДЖАНАШИА

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВЕСТНИК

ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

XXXVI—B

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ ო ა მ ბ ე

XXXVI—B

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

379.4(С 41)
069(47.922) .082
0401

„მოამბეში“ ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებზე. დიდი ადგილი უკავია სამუზეუმო კოლექციების პუბლიკაციებს. შრომები ემყარება მუზეუმის საფონდო და ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალების შესწავლას.

რედაქტორი ლ. ჭილაშვილი
Редактор Л. А. Чилашвили

Ь $\frac{10604}{М\ 607(06)-82}$ 222—82 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.460

გ. ჭყონია

ევროპის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან

(XIX ს. დასაწყისიდან 80-იან წლებამდე)

ამიერკავკასია უძველესი დროიდან იყო ჩაბმული სავაჭრო ურთიერთობაში მეზობელ ქვეყნებთან და გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ევროპასა და აზიას შორის წარმოებულ სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ჯერ კიდევ IV-VI სს. ძვ. წ. კოლხიდა საბერძნეთის მეშვეობით მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ვაჭრობაში. კოლხეთიდან საბერძნეთში გადიოდა: რკინა, საამშენებლო ხე-ტყე, სანთელი და სხვა. არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დასტურდება აგრეთვე ბერძნული იმპორტული საქონლის დიდი რაოდენობით შემოტანა ძველ კოლხეთში[1].

ძვ. წ. III-I სს. საქართველოზე გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი ინდოეთიდან მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქალაქებამდე. ამ გზის არსებობა დასტურდება როგორც ანტიკური მწერლების მონაცემებით, ასევე არქეოლოგიური მონაპოვრებით. სტრაბონის მოწმობით, ინდოეთიდან ამუ-დარიისა და კასპიის ზღვით საქონელი შემოჰქონდათ ამიერკავკასიაში, აქედან კი მტკვრისა და რიონის გავლით და შემდეგ შავი ზღვით გაჰქონდათ ანტიკურ სახელმწიფოებში[2].

ახ. წ. IV საუკუნეშიც ამიერკავკასია, კერძოდ საქართველო, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ვაჭრობაში. რომაული იტინერარიუმის მიხედვით, ქართლის ქალაქებზე გადიოდა სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც მას აკავშირებდა არტაშატს, სადაც წარმოებდა საერთაშორისო ვაჭრობა. ამ სავაჭრო გზის არსებობას ადასტურებს V-VII სს-ის სასანური და ბიზანტური ვერცხლისა და ოქროს მონეტათა განძები, რომლებიც აღმოჩენილი არიან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე[3].

---

[1] О. Лордкипанидзе, Античный мир и восточное причерноморье, Тб., 1975, с. 8—12.

[2] В. Латышев, Известия древних писателей о Скифие и Кавказе, СПБ, с. 149—150.

[3] დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში (IV-XII სს.), „ცისკარი“, 1970 წ., № 11, გვ. 131.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IX—X სს. ამიერკავკასია უამრავი საქარავნო გზებით ყოფილა დასერილი[4].

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ძირითადად ოთხი მიმართულებით კითარდებოდა. ესენია: ირანი, ოსმალეთი, ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი[5]. მაგრამ XVI—XVIII სს. საქართველოს ვაჭრები აღმოსავლეთის ქვეყნების მეშვეობით საქონელგაცვლას აწარმოებდნენ ევროპის ქვეყნებთანაც[6]. საფრანგეთის ელჩის პეისონელის ცნობით, XVIII ს. საქართველოში ვაჭრებს თურქეთის ქალაქებიდან შემოჰქონდათ ევროპული საქონელი[7]. საქართველოში შემოდიოდა ევროპული შაქარი, აბრეშუმის, ბამბისა და შალის ნაწარმი, ვენეციური კერამიკა, საქსონური ფაიფური, ინგლისური მინის ჭურჭელი, თამბაქო, ყავა და სხვა საქონელი[8].

როგორც ცნობილია, საქართველოს შეერთებით რუსეთი არა მარტო სამხედრო-სტრატეგიულ მიზანს ისახავდა, არამედ დაინტერესებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირის დამყარებითაც. მე-19 საუკუნის რუსი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ საქართველოს შეერთებით რუსეთის მესვეურთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საშუალებით აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება და აზიის ქვეყნების ბაზრების ხელში ჩაგდება[9].

რუსეთის იმპერიისათვის დასახული ეკონომიკური გეგმის განხორციელება საკმაოდ რთული გამოდგა. მე-19 საუკუნის I მესამედში რუსეთს მანუფაქტურული მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო არ შეეძლო ამიერკავკასიის და მით უმეტეს აზიის ბაზრების დაპყრობა. 1921 წელს რუსეთში ადგილობრივი მრეწველობის დაცვის მიზნით დაწესდა „მფარველობითი ტარიფი“ ევროპული საქონლის მიმართ, ამიერკავკასიაში კი შემოღებულ იქნა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი. 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონის საფუძველზე, 10 წლის ვადით, წესდებოდა შეღავათები ევროპიდან შემოტანილ საქონელზე და უბაჟო ტრანზიტი ევროპასა და აზიას შორის. კანონი ითვალისწინებდა ევროპიდან შემოტანილი ყოველგვარი საქონელი დაბეგრილიყო მხოლოდ 5%-ით. ევროპასა და აზიას შორის უბაჟო ტრანზიტი უნდა წარმოებულიყო ოდესა-ყულევი-თბილისი-ჯულფის გზით. ამ ღონისძიების გატარებით რუსეთის მესვეურნი იმედს ამყარებდნენ, რომ 10 წლის განმავლობაში ევროპული საქონლით შექმნილ ბაზარს დაეპატრონებოდნენ და ევროპულ საქონელს თავისი ნაწარმით შეცვლიდნენ.

---

[4] ეთ. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1963, გვ. 176.

[5] ე. სამსონიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 93.

[6] ვ. გაბაშვილი, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, 1, თბ., 1966, გვ. 163.

[7] ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, 1, 1948, გვ. 121.

[8] მ. იაშვილი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1974, გვ. 12, 13, 56, 136, 157.

[9] П. Бутков, Материалы для новой исторіи Кавказа, 1869, ч. I, с. 146; Н. Дубровин, Георгій XII, СПБ, 1897, с. 240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში ამიერკავკასია გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაში ჩაება აზიისა და ევროპის ქვეყნებთან. ამ დროს ამიერკავკასიის საქონელბრუნვა გაიზარდა 2,4-ჯერ, ძირითადად შემოტანილი საქონლის ხარჯზე. ამასთან ერთად განუხრელად გაიზარდა საექსპორტო საქონლის ღირებულება. შეღავათების მოქმედების პერიოდში შემოტანილი საქონლის რაოდენობა გაიზარდა 3,1-ჯერ, ხოლო გატანილის კი 7-ჯერ[10]. ამიერკავკასიელმა ვაჭრებმა აქტიურად დაიწყეს საქონლის ჩამოტანა ლაიფციგის ბაზრობიდან. 1824 წელს ექვსმა თბილისელმა ვაჭარმა ლაიფციგის ბაზრობაზე შეიძინა 600 ათას ფრანკად ღირებული ევროპული ნაწარმი. 1825 წელს თბილისის საბაჟოში შემოტანილია ევროპული საქონელი ფრანგი, ავსტრიელი და ქართველი ვაჭრების მიერ. ჩამოტანილია: მიტკალი, ჩითი, კოლენკორი, აბრეშუმის თავსაფრები, ბაფთები, მაუდი, ფაიფურისა და ბროლის ნივთები, სასმელები, საათები და სხვა.[11] 1826-1827 წლებში ლაიფციგიდან 1 ფუთი ტვირთის ჩამოტანა თბილისში 8 მანეთამდე ჯდებოდა[12]. მიუხედავად ასეთი სიძვირისა, ლაიფციგის ბაზრობაზე საქართველოდან ჩასული ვაჭრების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 1828 წელს ლაიფციგში საქართველოდან ჩავიდა 23 ვაჭარი და ჩამოიტანეს საქართველოში 4,4 მლნ მან. ასიგნაციების საქონელი[13].

ამიერკავკასიის ევროპული საქონლის მომარაგების საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა რედუტ-კალე. 1823 წელს რედუტ-კალეში შემოვიდა 27 სავაჭრო გემი. ამ წელს აქ უცხოელებმა შემოიტანეს 58717 მან. ვერცხლით ღირებულების ევროპული საქონელი. 1825 წელს კი 9349 მან. ვერც. და 15591 მან. ასიგ[14].

შეღავათიანი ვაჭრობის პერიოდში ევროპული საქონლის შემოტანამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. თბილისის საბაჟოს მონაცემების მიხედვით, შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში ევროპული საქონლის იმპორტი გაიზარდა 12,7-ჯერ მაშინ, როდესაც აზიური საქონლის იმპორტი შეღავათების არსებობის პერიოდში გაიზარდა მხოლოდ 1,8-ჯერ[15].

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში ევროპული და აზიური საქონლის იმპორტის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თბილისის საბაჟოს მონაცემების საფუძველზე[16] შედგენილი ცხრილი № 1 (იხ. ცხრ. 1).

რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზია ამიერკავკასიის შეღავათების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ფინანსთა მინისტრი კანკრინი რუსი ვაჭარ-მრეწველების ინტერესთა დამცველად გამოდიოდა. კანკრინი შეღავათიანი ტარი-

---

[11] ეთ. ორჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974, გვ. 42.

[11] სცსსა, ფ. 380, საქ. № 47.

[12] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. 1, გვ. 157.

[13] გორის პედ. ინსტ. შრ., VIII, 1962; მ. ეფრემიძე, საქართველოს ვაჭრობის როლი ამიერკავკასია—ჩრ. ირანის ევროპული საქონლით მომარაგების საქმეში შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში, გვ. 127.

[14] Акты, т. XIII, № 92.

[15] თბილისის საბაჟო შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში ამიერკავკასიაში შემოტანილი უცხოური საქონლის უმეტეს ნაწილს იღებდა 1825 წ. ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის 77%. თბილისის საბაჟოში შემოვიდა 1830 წ. 76%.

[16] ცხრილი № 1 შედგენილია სცსსა ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 3753; ფ. 380, საქ. 47, საქ. 51 მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

წლები	თბ. საბაჟოში შემოტანილი უცხოური საქონლის ღირებულება (ათას მან. ვერც.)	მ ა თ შ ო რ ი ს			
		ევროპული საქონელი		აზიური საქონელი	
		ღირებულება	%	ღირებულება	%
1822	601	75	12	526	88
1823	1108	199	18	909	82
1824	745	121	16	624	84
1325	1097	441	40	656	60
1826	759	457	60	302	40
1827	1511	391	25	1120	75
1828	1704	683	40	1021	60
1829	1452	488	34	964	66
1830	1909	949	50	960	50

ფის აღკვეთით ამიერკავკასიის ბაზრების რუსი ვაჭარ-მრეწველებისათვის დამორჩილებას ცდილობდა[17]. 1830 წელს რუსეთის ხელისუფლებამ კომერციისა და მანუფაქტურულ საბჭოებს დაავალა შეემუშავებინათ ღონისძიებები ამიერკავკასიაში ვაჭრობის მოსაწესრიგებლად. საბჭოები კანკრინის მიერ წამოყენებულ დებულებებს ეთანხმებოდნენ. ახალ სავაჭრო სისტემას ხელი უნდა შეეწყო რუსული სამრეწველო საქონლის გასაღებისთვის ამიერკავკასიასა და ირანში.

1831 წლის 3 ივლისს შეღავათიანი ტარიფი გაუქმდა და დაარსდა მფარველობითი ტარიფი, რომლის მიხედვითაც ევროპული საქონლის შემოტანა ამიერკავკასიაში ნებადართული იყო მხოლოდ შავი ზღვის ნავსადგურებიდან, ბაჟი უნდა გადახდილიყო საიმპერიო ტარიფის მიხდვით. უნდა შეწყვეტილიყო უბაჟო ტრანზიტი ევროპასა და აზიას შორის.

ამ სავაჭრო პოლიტიკის გატარებით ხელისუფლება მიზნად ისახავდა უზრუნველეყო რუსული სამრეწველო პროდუქცია ბაზრით.

შეღავათიანი ტარიფის გაუქმებით რუსეთმა მიზანს ვერ მიაღწია. ვერ გახადა ამიერკავკასია და მით უმტეს ირანი რუსული სამრეწველო საქონლის გასასაღებელ ბაზრად. რუსული მანუფაქტურული ნაწარმი ვერ უწევდა კონკურენციას ევროპულ საქონელს. როგორც ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის უფროსი აღნიშნავდა, ცუდი ხარისხის, არაგამძლე და ძვირ რუსულ მანუფაქტურულ საქონელს არ შეეძლო გაეწია მეტოქეობა გასაღებაში ლამაზი, მაღალხარისხოვანი და იაფი ევროპული საქონლისათვის[18].

1831 წ. ბრძანებულების შემდეგ ევროპული საქონლის შემოტანა კანონიერი გზით ძალიან შემცირდა. თუ ოციანი წლების ბოლოსთვის თბილისის საბაჟოში შემოტანილი ევროპული და აზიური საქონლის ხვედრითი წონა ერთმანეთს უთანაბრდება, 1837 წელს შემოტანილი ევროპული საქონელი იყო 29%, 1839 წ. — 19%, ხოლო 1841 წ.—9%[19].

1822 — 1830 წწ. თბილისის საბაჟოში შემოტანილი ევროპული საქონლის

---

[17] Акты, т. VI, г I, 243—244.

[18] სცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. № 7363, ფ. 1—3.

[19] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 3753, ფ. 380, საქ. 47, 51 მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო წლიური ღირებულება 243077 მან. უდრიდა, 1832—1840 წწ.—140853 მან.[20] ე. ი. ამკრძალავი ტარიფის დროს ევროპული საქონლის შემოტანა 3-ჯერ შემცირდა.

ევროპული საქონლის მიმართ განხორციელებული შეზღუდვების მიუხედავად, ამიერკავკასიაში მაინც საკმაო რაოდენობით შემოდიოდა ევროპული ნაწარმი. 1834 წელს ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა კანონიერი გზით 1857160 მანეთის საქონელი, ხოლო კონტრაბანდით — 1000000 მან. 1841 წელს შემოიტანეს 3207964 მან. საქონელი, კონტრაბანდით კი ირანიდან — 300000 მან. ევროპული საქონელი[21]. 1846 წ. გაზეთი „კავკაზი" წერდა, რომ კონტრაბანდით ამიერკავკასიაში შემოტანილი ინგლისური ჩითების რაოდენობა აღემატებოდა შეღავათიანი ტარიფის დროს კანონიერი გზით შემოსულ იმავე საქონელს[22]. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მეფის მოხელეები, რომლებიც მოითხოვდნენ ახალი სავაჭრო სისტემის შეცვლას ამიერკავკასიაში, შეღავათების შემოღების აუცილებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კონტრაბანდული საქონლის შემცირებას თვლიდნენ.

ხშირად საბაჟოს მოხელეებს უჭირდათ ევროპული და აზიური საქონლის გარჩევა და ვაჭრებს შეეძლოთ გაეცურებინათ ისინი. 1836 წელს ახალციხის საბაჟოდან აზიურის სახელით შემოდიოდა ევროპული ნარმა და მიტკალი[23]. 1838 წ. რედუტ-კალეს პორტში შემოვიდა ევროპული ფაიფურის სერვიზი თიხის ჭურჭლის სახელით[24]. გარდა ამისა, ირანში საკმაოდ დიდი რაოდენობით შეჰქონდათ ინგლისური ბამბის ქსოვილები, სადაც ხდებოდა მისი დაჩითვა-შეფუთვა და შემდეგ ირანული საქონლის მარკით საქართველოსა და ამიერკავკასიაში შემოტანა.

ამიერკავკასიაში ევროპული საქონელი შემოდიოდა რუსეთის გზით. რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის ტარიფში აღნიშნულია ბევრი ევროპული საქონელი. რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოდოდა ფაიფურის ნაწარმი, ფრანგული ღვინოები, დიდი რაოდენობით კოლონიალური საქონელი, ფუფუნების საგნები და სხვა[25].

ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის საკითხი რუსეთის კომერციული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პრობლემა იყო. მისი აღდგენისათვის და უარსაყოფად იბრძოდნენ ძლიერი ძალები, როგორც ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაციის, ასევე ვაჭარ-მრეწველთა სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები[26].

ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობის მომხრეებად გამოდიოდნენ შემ-

---

[20] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, № 3753.

[21] М. К. Рожкова, Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия, М., 1949, с. 170.

[22] Кавказъ, 1846, г. № 36.

[23] სცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 4430, გვ. 67.

[24] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 2289, გვ. 13.

[25] ЦГИА СССР, ф. 19, оп. 4, д. 161, с. 9; სცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. № 10893, გვ. 23; ფ. 4, ანაწ. 8, საქ. 42, გვ. 19.

[26] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. VI, თბ., 1979, გვ. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგში კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი[27], ბარონი როზენი[28], ფინანსთა სამინისტროს მოხელეები გაგემეისტერი და დიუკრუასი[29], ნეიდგარტი და სხვ. შეღავათიანი. ვაჭრობის შემოღების წინააღმდეგ იბრძოდნენ ფინანსთა მინისტრი ევრონჩენკო[30], შინაგან საქმეთა მინისტრი პეროვსკი[31], რუსეთის მსხვილი ვაჭარ-მრეწველები[32] და სხვა.

1846 წლის 14 დეკემბერს გამოვიდა დებულება, რომლის მიხედვითაც ნებადართული იყო ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ირანში ამიერკავკასიაზე გავლით. ბაჟი შემცირდა ევროპიდან შემოტანილ საფეიქრო ნაწარმზე, ფაიფურის და შუშის ჭურჭელზე, ყავაზე და სხვა[33]. 1846 წ. 14 დეკემბრის დებულება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მას თითქმის არ მოუხდენია გავლენა ევროპის იმპორტზე. 40-იან წლებში ევროპიდან რედუტ-კალეს გზით ძირითადად შემოჰქონდათ: შაქარი, ბამბის, აბრეშუმისა და შალის ნაწარმი, სასმელები და სხვა. 40-იან წლებში ამიერკავკასიაში გაცილებით დიდი რაოდენობით შემოდიოდა აზიური საქონელი, მაგ., 1848 წ. ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის 77% არის სპარსული საქონელი, 15% თურქული, ევროპული კი მხოლოდ —8%[34]. 40-იან წლებში ამიერკავკასიაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლის საშუალო წლიური ღირებულება 442464 მანეთს აღწევდა, მაშინ, როცა აზიიდან შემოტანილი საქონლის საშუალო წლიური ღირებულება 3532221 მანეთი იყო[35]. მაგრამ 30-იან წლებთან შედარებით, როდესაც ამიერკავკასიაში შემოტანილი ევროპული საქონლის საშუალო წლიური ღირებულება 204984 მანეთს უდრიდა[36], ევროპული საქონლის შემოტანა ამიერკავკასიაში მაინც 2,1-ჯერ გაიზარდა.

1850 წ. რუსეთში შემოღებულ იქნა ანტიპროტექციონისტური საიმპერიო ტარიფი, რომელიც ამიერკავკასიაში დამატებითი შეღავათებით გატარდა. უმეტეს საქონელზე იმპერიაში მოქმედ ტარიფზე ნაკლები გადასახადი იყო დაწესებული. მაგ., ბამბის ქსოვილები რუსეთის იმპერიაში იბეგრებოდა 11 მან. შავი ზღვის პორტებში კი ფასის 5%-ით, ევროპიდან შემოტანილ ქაშანურის ჭურჭელზე რუსეთის იმპერიაში 1 ფუთიდან 2-დან 4 მანეთამდე იყო ბაჟი (მხატვრული ღირებულების მიხედვით), შავი ზღვის პორტებში კი 80 კაპ-დან 3 მანეთამდე[37]. 50-იან წლებში, 40-იან წლებთან შედარებით, საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა 22,6%-ით გაიზარდა, აქედან ევროპული საქონლის შემოტანა თითქმის სამჯერ [32]. საერთოდ ამ პერიოდში ამიერკავკასიის იმპორტი იზრდებოდა უმთავრესად ევროპული საქონლის ხარჯზე.

---

[27] სცსსა, ფ. 4, ანაწ. 3, საქ. 167, ფ. 98—99.

[28] ე. ორჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ. 1974, გვ. 56—57.

[29] М. К. Рожкова, Экономическая политика..., с. 283—284.

[30] იქვე, 289.

[31] იქვე, გვ. 99—102.

[32] სცსსა, ფ. 4, ანაწ. 3, საქ. 167, ფ. 155—159.

[33] იქვე.

[34] «Кавказъ», 1849 г. № 12.

[35] ეთ. ორჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974, გვ. 87.

[36] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1 საქ. 3753.

[37] ПСЗРИ, т. XXV, № 24533.

[38] ეთ. ორჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვრები საქართველო-ამიერკავკასიის ეკონომიკაში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება 40-50-იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან ფულად-სასაქონლო ურთიერთობა იჭრება მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ძლიერდება კავშირი ბაზართან, ფართოვდება სასაქონლო პროდუქციის წარმოება. 50-იანი წლებიდან იწყება ამიერკავკასიული ნედლეულის ამოძრავება-გატანა საზღვარგარეთ. 40-იან წლებში ამიერკავკასიის ექსპორტის საშუალო წლიური ღირებულება 800000 მანეთს უდრიდა, 50-იან წლებში 1834538 მანეთს მიაღწია. ამიერკავკასიის ექსპორტი 40-იან წლებთან შედარებით 258,5%-ით გაიზარდა[39]. ამიერკავკასიის ექსპორტის ზრდა ძირითადად ადგილობრივი ნედლეულის ხარჯზე ხდებოდა, რასაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო ევროპასთან ვაჭრობის განვითარებამ, რომელმაც თავის მხრივ აამოძრავა ადგილობრივი ნედლეული.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. საგლეხო რეფორმის გატარებამ, რომელმაც მნიშვნელოვნად მოსპო წინააღმდეგობები საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას, ამ პერიოდიდან მოყოლებული ძლიერდება კავშირი ბაზართან, ფართოვდება სასაქონლო პროდუქციის წარმოება. საქართველო სულ უფრო აქტიურად ებმება მსოფლიო საქონელბრუნვაში ქვეყნის ბატონყმური ეკონომიკა ადგილს უთმობს კაპიტალიზმის განვითარებას. 1870-იანი წლებიდან ფოთი-თბილისის (1872 წ., ხოლო შემდეგ თბილისი-ბაქოს (1883 წ.) და ბათუმ-თბილისის (1883). სარკინიგზო ხაზის გაყვანამ საქართველო-ამიერკავკასია სულ უფრო აქტიურად დაუახლოვა რუსეთისა და მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებს. განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველო-ამიერკავკასიის სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან.

60-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის რაოდენობა განუხრელად გაიზარდა.

ამიერკავკასიის იმპორტის ზრდა 60-იან წლებში ძირითადად ევროპული საქონლის ხარჯზე ხდებოდა. ევროპული საქონლის ღირებულება წლითიწლობით იზრდებოდა და მისი ხვედრითი წონა განუხრელად იმატებდა. თუ კი 1851 წ. ევროპული საქონელი ამიერკავკასიის მთელი იმპორტის 16,16% შეადგენდა, 1868 წელს — 62.4%, ხოლო 1869 წელს 64,2% მიაღწია[40].

ევროპიდან ამიერკავკასია-საქართველოში შემოჰქონდათ ბამბის ნაწარმი, შაქარი, სასმელები, შალის, აბრეშუმის ნაწარმი, ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, მოდური ევროპული საქონელი და სხვა. ევროპული საქონლის შესაძენად ადგილობრივი ვაჭრები მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ. უცხოელ ვაჭრებს შემოჰქონდათ მზა საქონელი და გაჰქონდათ ამიერკავკასიიდან ნედლეული. 1868 წელს ფოთის საკარანტინო-საბაჟოს გავლით სავაჭრო ოპერაციები აწარმოვა, როგორც ადგილობრივმა, ასევე ფრანგმა, პრუსიელმა, ავსტრიელმა, იტალიელმა, ინგლისელმა და სხვა ქვეყნის ვაჭრებმა. ევროპელების მიერ ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორაში 1869 წ. შემოტანილ იქნა 295676 მანეთის სა-

---

39 ეთ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974, გვ. 100.

40 Кавк. календарь на 1867, 1868, 1869, 1870 гг.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონელი[41]. ამავე წელს ნიკოლაევის საკარანტინო-საბაჟო საგუშაგოდან უცხოელებმა ევროპიდან შემოიტანეს 86192 მან. საქონელი, გაიტანეს 36669 მან. ადგილობრივი ნედლეული[42]. 1873 წ. თბილისის სასაწყობო საბაჟოში ამიერკავკასიელ ვაჭრებთან ერთად სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ ფრანგი, პრუსიელი, ავსტრიელი, ბერძენი, საქსონელი, შვეიცარიელი და სხვ. ქვეყნის ვაჭრები[43]. ევროპელებმა თბილისში გახსნეს მაღაზიები. 60-იან წლებში თბილისში გიუტიხის მაღაზიაში წარმოებდა ვაჭრობა ევროპული ძვირფასი სასმელებით, ინგლისური ტექსტილური და მოდური ნაწარმით[44]. გერმან განზენის მაღაზიაში იყიდებოდა ფრანგული, ინგლისური, ბელგიური და შვეიცარიული ნაწარმი[45]. თბილისში ოტტო ვალიმ გახსნა ინგლისური სოფლის მეურნეობის იარაღების საწყობი[46]. შვედურ მაღაზიაში იყიდებოდა სხვადასხვა სახით მანუფაქტურული, საგალანტერიო და კოსმეტიკური საქონელი[47] და სხვა.

თუ რამდენად უფრო ფართო ხასიათი მიიღო ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობამ აზიასთან შედარებით ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თბილისის სასაწყობო და ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქის მონაცემებით[48] შედგენილი ცხრილები (№ 2 და № 3).

ცხრილი 2

წლები	თბილისის სასაწყობო საბაჟოში შემოტანილი საქონელი (ათას მან. ვერცხ.)				
	სულ	მ ა თ შ ო რ ი ს			
		ევროპული	%	აზიური	%
1863	1439	1296	90	143	10
1864	2939	2654	90	285	10
1865	2176	1984	91	192	9
1867	2344	2054	88	290	12
1868	2926	2773	94	173	6
1869	2455	2428	99	28	1
1870	2085	2046	98	40	2
1871	2296	2273	99	23	1
1872	3410	3401	99	9	1
1873	2820	2810	99	10	1

თბილისის საბაჟოს უფროსი ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის მმართველისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნავს, რომ ევროპული საქონლის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოტანა განპირობებულია იმით, რომ პროვინციელი ვაჭრები, რომლებსაც წინათ საქონელი შემოჰქონდათ სპარსეთიდან, ახლა ევროპულ საქონელს იძენენ თბილისში, ამასთან დასძენს, რომ ამ პერიოდში

[41] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 10880, ფ. 84.

[42] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 10880, ფ. 115.

[43] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 11687, ფ. 68—72.

[44] Кавказъ, 1869, წ. № 9.

[45] Кавказъ, 1864 წ. № 43.

[46] Кавказъ, 1865 წ. № 60.

[47] Кавказъ, 1863 წ. № 17.

[48] ცხრილი № 1 და № 2 შედგენილია სცსსა, ფ. 380, საქ. 161, 188, 153, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 16721, 10893, 10719, 11154, 11393, 11687, 10555, 10559, ფ. 10, ან. 1 № 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3

წლები	ქუთაისის საკარანტინო-საბაჟო ოლქში შემოტანილი საქონელი (ათას მან. ვერც.)[49]				
	სულ	მათ შორის			
		ევროპული	%	აზიური	%
1867	2089	1624	78	465	22
1868	3526	2562	73	964	27
1869	4960	4145	84	815	16
1870	6077	5373	88	704	12
1871	3145	2449	78	696	22
1872	3437	2540	74	897	26
1873	2187	1487	68	2187	32

შემოტანილი ევროპული საქონელი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, რომელიც ევროპული ნაწარმის მიმართ იყო ამიერკავკასიაში[50].

ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება-გაღრმავება გამომდინარეობდა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკიდან. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სისტემაში საქართველო-ამიერკავკასიას რუსეთის ფაბრიკებისათვის ნედლეულით მომმარაგებლის როლი უნდა შეესრულებინა, ამავე დროს უნდა გამხდარიყო მანუფაქტურული ნაწარმის გამსაღებელი ბაზარი. ამ აზრს გამოთქვამდა რუსეთის იმპერიის ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. ნიკოლოზ I-ის მიერ შემუშავებული აზრის მიხედვით, თუ ამიერკავკასიის მართვა გონივრული კოლონიური სისტემის მიხედვით იქნებოდა წარმართული; ამიერკავკასია გახდებოდა მეფის რუსეთისათვის მდიდარი კოლონია, რომელიც მიაწოდებდა აბრეშუმის ნედლეულს, ბამბას, ბრინჯს, ენდროს, ინდიკოს, გემთსაშენებელ ხე-ტყეს და სხვა. ამავე დროს გახდებოდა რუსული ფაბრიკული ნაწარმის მომხმარებელი[51], მაგრამ რუსეთი დასახული ეკონომიკური პოლიტიკით სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევდა. საქართველოს მოსახლეობა ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე იცნობდა თურქეთ-ირანის გზით შემოსულ ევროპულ საქონელს, 1871 წელს თბილისელი ვაჭარი ვ. ხანდიმოვი სწერდა ვინმე „სტეფან პეტროვიჩს“, რომელიც ევროპული საქონლის შესაძენად იყო წასული მოსკოვში, „მიუხედავად იმისა, რომ საქონელი მაკლია, მე აქ რუსის საქონელს არ ვყიდულობ, იმიტომ რომ მოლოდინი მაქვს შენგნითა“. ე. ი. რუსული საქონლის შეძენა უკიდურეს შემთხვევაში ხდებოდა. ევროპულ საქონელს იმდროინდელ თბილისში ისეთი დიდი გასავალი ჰქონია, რომ „სტეფან პეტროვიჩის“ მიერ სხვადასხვა სახის ევროპული საქონ-

---

[49] ცხრილი 3 შედგენილია სცსსა, ფ. 10, ანაწ 1, საქ. 3701, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 10571, 10893, 1154, 11393, 11687, ფ. 380, ანაწ 1, საქ. 11247 მიხედვით.

[50] სცსსა, ფ. 380, საქ. 199, გვ. 11.

[51] ЦГИА СССР, ф. 560, оп. 22, д. 186, с. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გამოგზავნის მიუხედავად მათი დუქანი უცბად ცარიელდებოდა და ვ. ხანდიმოვი სულ საქონლის ნაკლებობაზე ჩიოდა[52].

საქართველოში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ევროპულ საფაბრიკო-საქარხნო საქონელზე, ისეთი სახის საქონელი კი როგორც სურსათ-სანოვაგე, ნედლეული და ნახევარფაბრიკატი იყო, უმეტესად აზიის ქვეყნებიდან შემოდიოდა საქართველოში. თუ რა დიდი რაოდენობით შემოდიოდა ევროპის ქვეყნების სამრეწველო საქონელი საქართველოში, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თბილისის სასაწყობო საბაჟოსა და ქუთაისის საბაჟო საკარანტინო ოლქის მონაცემების მიხედვით[53] შედგენილი ცხრილები № 4 და № 5.

ცხრილი 4

თბილისის სასაწყობო საბაჟოში შემოტანილი ევროპული საქონელი (ათას მან. ვერც.)

წლები	სულ	მათ შორის					
		უბაჟო	სურსათ-სანოვაგე	ნედლეული და ნახევარ-ფაბრიკ.	სააფთიაქო	საფაბრიკო საქარხნო	
						სულ	%
1867	2054	35	734	52	3	1230	58
1868	2767	50	624	47	6	2040	74
1869	2418	42	522	60	9	1785	73
1870	2046	21	423	61	13	1528	75
1871	2273	10	383	84	—	1796	79
1872	3401	35	728	14	—	2524	74
1873	2810	37	569	—	189	2015	72

ცხრილი 5[54]

ქუთაისის საბაჟო საკარანტინო ოლქში შემოტანილი ევროპული საქონელი (ათას მან. ვერც.)

1867	1623	48	189	62	3	1321	82
1868	1955	50	243	47	3	1612	82
1869	2044	90	306	76	—	1572	77
1870	2220	36	297	104	—	1803	81
1871	1883	33	283	109	—	1458	78
1872	2540	31	251	871	—	1387	55
1873	1487	99	185	84	—	1119	75

თუ ევროპა 60-70-იან წლებში საქართველო-ამიერკავკასიას ამარაგებდა ძირითადად საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმით, აზიიდან შემოტანილ საქონელში ძირითადი იყო სურსათ-სანოვაგე და ნედლეული. აზიიდან ამიერკავკასიაში ძირითადად შემოჰქონდათ თამბაქო (1868 წელს ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქში შემოსულ აზიურ საქონელში 53% იყო შემოტანილი თამბაქო), ბოსტნეული, ხილი, პურეული, ბამბის ნაწარმი მეტად მცირე რაოდენობით შემოდიოდა (1868 წელს ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქში შემოტანილ საქონელში მხოლოდ 3% იყო) და სხვა[55]. თბილისის სასაწყობო საბაჟოში 1873 წელს

---

[52] შ. ლომსაძე, თბილისელი ვაჭრის ათი წერილი, საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 98—99.

[54] ცხრილები № 4 და № 5 შედგენილია ფ. 378, ანაწ. 1 № 10893, № 10571, № 11687, № 11393, ფ. 380, № 199, № 188, ფ. 378, ანაწ. 1; № 10721, № 10719, № 10721, № 11154 მიხედვით.

[55] ცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 10893, გვ. 337—340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიიდან შემოიტანეს ნედლი ტყავი, მატყლი, შალის, ბამბისა და აბრეშუმის ნაწარმი მეტად უმნიშვნელო რაოდენობით — 1056 მან. ღირებულების. მაშინ როდესაც იმავე საბაჟოში 1873 წელს შემოიტანეს 156303 მანეთის იმავე სახის ევროპული ნაწარმი. ე. ი. ევროპიდან შემოიტანეს 148-ჯერ მეტი ტექსტილური ნაწარმი, ვიდრე აზიიდან[56]. ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქიდან, რომელიც შედგებოდა ანაპის, ნოვოროსიის, ველიამინოვის, გუდავის, სოხუმ-კალეს, ოჩამჩირის, რედუტ-კალეს, ფოთის, ნიკოლაევის, ოზურგეთის, ახალციხის, ხოზაფირინის, ალექსანდროპოლის, ყულფის, იგდირისს და გელენჯიკის საბაჟოებისაგან, აზიიდან საქართველოში შემოტანილი საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმი იყო 1867 წ. — 9%, 1868 წ. — 7%, 1878 წ. 8%, ხოლო 1873 წელს — 6%[57], ეს მაშინ, როდესაც ამავე საკარანტინო-საბაჟო ოლქიდან ამიერკავკასიაში შემოვიდა 1867 წელს — 81,5%, 1868 წ. — 82,5%, 1878 წ. — 80,5%, 1878 წ. — 76% დასავლეთ-ევროპული საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმი[58]. აზიიდან საქართველო-ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის შემცირება სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის გაძლიერების გამო საჭირო იყო ბაზარი ადგილობრივი ნედლეულისათვის, ხოლო მომხმარებლობის დონის ამაღლებასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ სამრეწველო საქონელზე.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო ის გარემოება, რომ საქართველო-ამიერკავკასია მსოფლიო საქონელბრუნვაში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ნედლეულითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. განსაკუთრებით გაძლიერდა ევროპაში ადგილობრივი ნედლეულის გატანა. დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებამ გამოიწვია სავაჭრო კაპიტალის ფართო მიმოქცევა, რომელიც სასაქონლო ხასიათს აძლევდა საქართველოს ნედლეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავება ხელს უწყობდა საქართველოში ადგილობრივი სიმდიდრის ამოძრავებას, მაგრამ ამავე დროს გზას უხშობდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას იაფი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის შემოტანით. როგორც ცნობილია ამიერკავკასიისა და აზიის ბაზრებზე რუსული მანუფაქტურული ნაწარმიც კი ვერ უწევდა კონკურენციას დასავლეთ ევროპულ ნაწარმს პროდუქციის დაბალი ხარისხისა და სიძვირის გამო.

ამიერკავკასიიდან 60-70-იან წლებში ევროპაში ძირითადად გადიოდა ნედლი აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, დაუმუშავებელი ტყავი, ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვა. 1862 წელს დასავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 1 მილიონი ფუთი სიმინდი. 1860-64 წლებში დასავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთ საშუალოდ წლიურად 53532 ფუთი 244995 მან. ღირებულების სიმინდი გაჰქონდათ[59]. 1964 წელს ქუთაისის საკარანტინო-

---

[56] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 11687.

[57] სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. № 11687, 10893, 11393.

[58] იქვე.

[59] ДИГ, т. I, ч. 2, с. 494.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაჟო ოლქიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 95721 ფუთი მატყლი 672494 მანეთად ღირებული[60].

ქუთაისის საბაჟო საკარანტინო ოლქიდან 1867 წელს გატანილ იქნა 2296555 მანეთის საქონელი[61]. 1868 წელს ევროპაში გაიტანეს 551429 მანეთის მატყლი, 216516 მან. სიმინდი, 109954 მანეთის დაუმუშავებელი ტყავი, 28375 მან. კაკლის, ბზისა და მუხის ხეები და სხვა[62]. მხოლოდ ფოთის ნავსადგურიდან 1870 წელს გაიტანეს 58586 ფუთი მატყლი 413307 მან., 1871 წელს 111948 ფუთი 977268 მანეთის, 1872 წელს კი 114762 ფუთი 807742 მანეთის [63]. მარტო თბილისის გუბერნიის მკვიდრ გავრილ მირზოევს ჰყავდა 12566 თუშური, 11000— მირინოსის, 1500 თათრული ცხვარი, რომელიც ყოველწლიურად საზღვარგარეთ 2500 ფუთამდე მატყლს ასაღებდა[64].

1869 წელს ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორიდან 1869 წელს ევროპაში გატანილ იქნა 37218 მანეთის მატყლი, 1200 მანეთის სიმინდი, 33050 მანეთის ნედლი აბრეშუმი, 250 მანეთის ირმის რქები და სხვა. 1874 წელს გუდავის საკარანტინო-საბაჟო საგუშაგოდან საზღვარგარეთ გაიტანეს 71106 მან. სიმინდი. 5130 მანეთის დაუმუშავებელი ტყავი და სხვ[65].

1875 წ. გაზეთი „დროება“ წერდა: „რამდენი ფრანცუზია ეხლა ჩვენში, რომელთაც თუ კასრის ბოჩკის ხეები, თუ კაკლის კუნძები, თუ ისე შენი და სხვა გვარი ტყე, თუ საქონლის ტყავი, თუ ღორის ჯაგარი, სიმინდი გააქვსთ“[66].

ამიერკავკასიიდან ევროპაში ძირითადად გადიოდა ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხოლო აზიაში — საფაბრიკო-საქარხნო საქონელი, ბამბისა და შალის ნაწარმი, ფაიფურის, მინისა და ქაშანურის ჭურჭელი და სხვა[67].

აღნიშნულ პერიოდში საზღვარგარეთ ძალიან მცირე რაოდენობით გადიოდა საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმი და დიდი რაოდენობით ნედლეული. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქიდან საზღვარგარეთ გატანილი საქონლის ცხრილი № 6, რომელიც შედგენილია 1868-1873 წლების მონაცემების მიხედვით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილ საქონელში აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი ნედლეული იყო, ხოლო შემოტანილ ევროპულ საქონელში ძირითადი ადგილი საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმს უჭირავს, დავინახავთ, რომ ამ პერიოდში საქართველო-ამიერკავკასია, ევროპისათვის ნედლეულის მიმწოდებელი და საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმის გამსაღებელი ქვეყანა იყო. რაც შეეხება მანუფაქტურულ ნაწარმს, როგორც დავინახეთ, მისი ხვედრითი წონა ამიერკავკასიის ექსპორტში მეტად უმნიშვნელო იყო და ისიც აზიის ქვეყნებში გადიოდა.

---

60 სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 10571.

61 სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 10893, გვ. 34.

62 სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 1154, ფ. 146.

63 სცსსა,ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 415, გვ. 19.

64 სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 1089, ფ. 45.

65 სცსსა, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 1165, ფ. 406—407.

66 „დროება“, 1875, წ. № 3.

67 Сборникъ статистических сведеній о Кавказе, Тб., 1869, г. т. I, с. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის ექსპორტი სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა.

ცხრილი 6

ქუთაისის საკარანტინო-საბაჟო ოლქიდან საზღვარგარეთ გატანილი საქონელი[68]

წლები	სულ	მათ შორის							
		სურსათ-სანოვაგე	%	ნედლეული და ნახევარფაბ-რიკანტ.	%	საფაბრიკო-საქარხნო	%	სხვადასხვა საქონელი	%
1868	3946688	365899	9,3	3423857	87,0	72717	1,8	84215	1,9
1869	3327394	481238	14,5	2669447	80,5	40094	1,2	136615	3,8
1870	2853556	349303	12,3	2454043	86,0	50210	1,7	—	0
1871	3991153	351024	8,8	3502160	87,8	32266	0,8	105703	2,6
1872	490472	624827	12,7	4096921	83,4	48070	1,2	134254	2,7
1873	4409064	678515	15,5	3473958	79,0	88277	1,7	168314	3,8

17.460

1868-1873 წლებში ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქში შემოტანილი და გატანილი საქონლის ღირებულება თითქმის ერთმანეთის ტოლი იყო, ხოლო ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორიდან 1873 წელს შემოვიდა 1141338 მანეთის საქონელი, გაიტანეს 3640166 მან. ე. ი. ექსპორტი 3,2-ჯერ მეტი იყო იმპორტზე. 1874 წელს შემოიტანეს 763304 მან. საქონელი, გაიტანეს 4636233 მან. საქონელი. ამ წელს ექსპორტი 6-ჯერ მეტი იყო იმპორტზე, 1875 წ. შემოიტანეს 675769 მანეთის საქონელი, გაიტანეს 469485 მან. ამ წელს უკვე ექსპორტმა იმპორტს 7-ჯერ გადააჭარბა[69].

ქუთაისის საბაჟო-საკარანტინო ოლქში შემოიტანეს 1876 წელს 1962811 მანეთის უცხოური საქონელი, გაიტანეს 7154483 მანეთის ექსპორტი, 3,6-ჯერ მეტი იმპორტზე[70]. როგორც დავინახეთ, სულ უფრო აქტიური ხდებოდა ამიერკავკასიიდან საქონლის გატანა, რომელიც ძირითადად ადგილობრივი ნედლეულის ხარჯზე ხდებოდა. ეს გარემოება კი მიუთითებდა იმაზე, რომ ქვეყნის შიგნით ფულად-სასაქონლო მეურნეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. სულ უფრო დიდი რაოდენობით იწარმოებოდა სასაქონლო პროდუქცია, რომლის რეალიზაცია ხდებოდა როგორც ადგილობრივსა და რუსეთის ბაზარზე, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მე-19 საუკუნის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება-გაღრმავება განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებებით; ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გაძლიერებითა და ამასთან ერთად მომხმარებლობის დონის ამაღლებით.

ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავება გამოწვეული იყო მეფის

[68] ცხრილი № 6 შედგენილია სცსსა, 378, ანაწ. 1, № 11247, 11393, 10893.

[69] Кавказскій Календарь, 1879 г. с. 422.

[70] Кавказскій Календарь, 1877 г.

ს. მარქსის სახ. სან. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის კოლონიური პოლიტიკით. მეფის რუსეთის ეკონომიკურ სისტემაში საქართველო-ამიერკავკასია უნდა ყოფილიყო ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიმწოდებელი რეგიონი, რუსეთის მანუფაქტურული ნაწარმის გამსაღებელი ბაზარი. მაგრამ, ერთი მხრივ იმის გამო, რომ საქართველოში ვაცილებით დიდი იყო მოთხოვნილება მაღალხარისხოვან, იაფ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა დასავლეთ ევროპული ქვეყნების ნაწარმზე, ვიდრე რუსულ მანუფაქტურულ ნაწარმზე, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპა, სულ უფრო დიდი რაოდენობით საჭიროებდა იმ ნედლეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით იწარმოებოდა, საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ნედლეულის მიმწოდებელ და მისი სამრეწველო ნაწარმის გამსაღებელ ქვეყნად იქცა.

საქართველო სულ უფრო აქტიურად ჩაება მსოფლიო საქონელბრუნვაში. დასავლეთ ევროპიდან შემოდიოდა დიდი რაოდენობით სამრეწველო საქონელი და გადიოდა ადგილობრივი ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

მე-19 საუკუნეში, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში, როდესაც საქართველოს არ ჰქონდა საშუალება ყოველმხრივ განვითარებინა ქვეყნის ეკონომიკა, დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას, მიუხედავად იმისა, რომ ის გზას უხშობდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, მაინც დადებითი მნიშვნელობა ენიჭება. ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება-გაღრმავებამ გამოიწვია საქართველოში ადგილობრივი სიმდიდრეების ამოძრავება, სასაქონლო ხასიათი მისცა ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, მაღალხარისხოვანი პროდუქციის შემოტანით აამაღლა მისი მომხმარებლობითი დონე, აქტიურად ჩაება საქართველო მსოფლიო საქონელბრუნვაში.

Г. Т. ЧКОНИЯ

ИЗ ИСТОРИИ ТОРГОВЫХ СНОШЕНИЙ ГРУЗИИ С ЕВРОПЕЙСКИМИ СТРАНАМИ

(с начала XIX в. до 80-ых годов)

На протяжении XIX века, особенно со второй ее половины, развиваются торговые сношения между Грузией и Западной Европой, что было вызвано усилением товарно-денежных отношений и повышением потребительского уровня.

Колониальная политика царской России предполагала, что Грузия должна быть поставщиком сырья и полуфабрикатов, а также сбыточным рынком товаров русской мануфактурной промышленности.

Ввиду того, что еще до присоединения к России Грузия была знакома с Европейским товаром, завозимым в Закавказье через Азиатские страны, потребность на качественный и дешевый европейский товар была больше, нежели потребность на товары производства русской мануфактуры.

Наряду с этим, в Европе возрастала потребность закупки того сырья, которое производилось в Грузии. Таким образом, Грузия стала страной, поставляющей сырье и закупающей готовый товар европейского производства.

При колониальной политике царской России, когда Грузия не имела возможности всесторонне развить экономику своей страны, усиление торговых отношений с Западной Европой — хотя эти отношения притупляли местную промышленность, — имело положительное значение для Грузии XIX века.

Развитие и углубление торговых сношений между Грузией и Западной Европой, активизировали местные богатства и дали товарность продуктам сельского хозяйства.

Грузия, постепенно, более активно принимала участие на всемирном рынке товарооборота.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. მუშკუდიანი

ქ. თბილისის ავეჯის მრეწველობა

(XIX ს. ბოლო — XX ს. დასაწყისი)

XIX ს. II ნახევრიდან თბილისი, რომელიც სწრაფად იზრდებოდა, ახალი შენობებით დამშვენდა. ქალაქის მშენებლობა განსაკუთრებით 1821 წლიდან მოქმედი შეღავათიანი ტრანზიტის შეწყვეტის შემდგომ წლებში დაჩქარდა, რადგან უმოქმედოდ დარჩენილმა კაპიტალმა ახალმშენებლობის საქმეში დიდი გამოყენება ჰპოვა.

1850—1860-ანი წლების თბილისი ევროპული და აზიური უბნების კონტრასტულობით მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ქალაქის არქიტექტურის თავისებურებასა და სილამაზეზე იმდროინდელ ლიტერატურასა თუ პრესაში საკმაოდ ბევრი იწერებოდა. აქაური სახლები თავისებურ, განუმეორებელ იერს იღებდნენ თბილისური „წვრილსვეტებიანი ფერადი აივნებით", რომელიც შენობათა უმრავლესობის სამკაულს წარმოადგენდა. ჩუქურთმიანი აივნების კეთება, ცხადია, ამ საქმეში დაოსტატებულ ხელოსანთა დიდ რაოდენობას მოითხოვდა.

ქალაქის ახალმშენებლობათა გაცხოველების შედეგად, ევროპული ტიპის შენობების გამრავლებამ, პირველ რიგში ევროპული სტილის ავეჯზე მოთხოვნილების ზრდა გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა ევროპული ავეჯის უფრო ფართოდ გავრცელება.

ქალაქის მზარდ მოსახლეობას ადგილობრივ ხელოსანთა ნაწარმი აღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების მოწვევით, ასევე ყოველგვარი მოწვევის გარეშე თბილისს 40-50-ანი წლებიდან სხვადასხვა დარგის ხელოსანთა დიდ ნაკადთან ერთად მეავეჯე უცხოელი ხელოსნებიც მოაწყდნენ. მათ შორის იყვნენ როგორც რუსი, ისე გერმანელი, პოლონელი, ფრანგი, ებრაელი და სხვა ეროვნების ხელოსნები. თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ ცალკე ემუშავათ, მაგრამ ადგილობრივ ხელოსანთა გავლენით მათი დიდი ნაწილი ამქრებში გაერთიანდა. ადგილობრივი და ჩამოსული ხელოსნების რიცხვის შესადარებელი ერთ-ერთი უწყების მიხედვით 1865 წ. ქ. თბილისში მუშაობდა ევროპული ავეჯის დამამზადებელ ხელოსანთა ამქარში გაერთიანებული ადგილობრივი 8 ქარგალი, 6 შეგირდი და ჩამოსული 11 ხელოსანი. ესენი იყვნენ: ნაუმენკო, ზეტცერი, ფრიდმანი, არტემიევი, ილინი, ივანოვი, რუბცოვი, ავდეევი, ბოლოტოვი, ბლოკაშევსკი და ტრუსოვი. ამქარგარეშე მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ სამი ხელოსანი მუშაობდა: რაისი, გირტი და პუარე[1]. რაისმა 1861 წ. თბილისში ორთქლის ძრავით მომუშავე ავეჯის ფაბრიკა გახსნა, სადაც წლიურად 15 ათასი მან. პროდუქცია მზადდებოდა[2].

ხელოსნების მომრავლებამდე თბილისის გარნიზონის რუს ჯარისკაცებს ხშირად თავისი ნახელავი ბაზარზე გამოჰქონდათ. მათ შორის ავეჯის დამამზადებლებიც იყვნენ. თბილისის ბაზარზე ხშირად ნახავდით რუსი ჯარისკაცების მიერ ნედლი ხისაგან დამზადებულ უხვად ლაქწასმულ სხვადასხვა ავეჯს: უბრალო სკამებს, მაგიდებს. აქვე იყიდებოდა კაკლის ხის მრგვალი მაგიდები. კარადები, დივანი და სხვა. სიიაფის გამო ღარიბი მოსახლეობა ამგვარ ნახელავს ეტანებოდა. ჯარისკაც-ხელოსანთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა მათ წინააღმდეგ ჩივილიც კი დაიწყეს. მართლაც მ. ვორონცოვმა 700-დე ჯარისკაცი-ხელოსანი უკან გააწვევინა.

40-ანი წლების ბოლოს თბილისში ავეჯის სამი მაღაზია იყო[3]. პრივილეგირებული ფენები ავეჯს ევროპიდან ხშირად გემებითაც იღებდნენ. მაგ., 1848 წ. რედუტ-კალეში გემ „კარლოთი“ სხვა საქონელთან ერთად 13 ცალი ავეჯიც ჩამოუტანიათ, რომელიც თბილისში გადაიგზავნა. კერძოდ, რა სახის ავეჯი იყო, ამის შესახებ წყაროში არაფერია ნათქვამი[4].

თბილისის ხელოსნურ-ამქრულ წარმოებას დროთა მსვლელობაში შემოტანილი ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმი სულ უფრო მეტ კონკურენციას უწევდა, რის შედეგადაც სახელოსნოთა ნაწილი იხურებოდა, ნაწილი კი ფარიოვდებოდა და კაპიტალისტურ საწარმოდ იქცეოდა. ამის მაგალითია ფრიდრიხ ზეტცერის საწარმო, რომელმაც ხელოსნურიდან ფაბრიკულ წარმოებამდე გარდაქმნის გზა გაიარა.

XIX ს. 80-ანი წლებიდან თბილისის სამრეწველო საწარმოებში საგრძნობლად გაიზარდა ორთქლის ძრავის გამოყენება. მათი დიდი ნაწილი ევროპიდან, კერძოდ: შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ავსტრიიდან იყო შემოტანილი. 80-ანი წლების შუა ხანებიდან კი ორთქლის ქვაბებისა და მანქანების შემოტანა როსტოვიდან, ოდესიდან და ბაქოდან დაიწყეს, რამაც მისი მეტი რაოდენობით დანერგვა და გავრცელება უფრო გააადვილა. ამასთან დაკავშირებით გამრავლდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი. გაიხსნა როგორც სახერხი, ასევე ფანერის საწარმონი. ამან ავეჯის მრეწველობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ავეჯი ძირითადად ქ. თბილისში მზადდებოდა, საიდანაც იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში გადიოდა.

1846 წ. თბილისში გერმანელმა კოლონისტმა ფრ. ზეტცერმა გახსნა ავეჯის სახელოსნო, რომელიც სამუშაოების გაფართოების შედეგად მალე მანუფაქტურად იქცა. 1866 წ. ორთქლის ძრავის დანერგვის შემდეგ იგი ფაბრიკად გარდაიქმნა. აქ ჯერ 8 ცხ. ძალის და შემდგომ 12 ცხ. ძ. ორთქლის ძრავა მოქმედებდა. 1870 წ. წლიური წარმოების თანხა 30 ათას მან. შეადგენდა[5]. საარქივო ცნობის მიხედვით, "...რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ფაბრიკანტების მიერ

---

1 სსცია, ფონდი 7, 2229, ფურც. 818.

2 სსცია ფ. 17, საქ. 8962, ფურც. 9; «Кавказский календарь», 1864, с. 58.

3 Газ. «Кавказ», 1854, № 25; К. К. 1849, с. 735.

4 Газ. «Кавказ», 1850, № 26.

5 სსცია, ფ. 5, საქ. 4815, ფურ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული ნიმუშებისა და ნახატების მიხედვით“ აქ საუკეთესო ხარისხის ავეჯი მედროვე ავეჯი მზადდებოდა[6]. 1886 წ. მოსკოვის სრულიად რუსეთის სამრეწველო გამოფენაზე ზეტცერის ფაბრიკის ავეჯმა ჯილდო მიიღო[7].

ზეტცერის საწარმო წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა. იგი მთელ ამიერკავკასიაში ავეჯის პირველ ფაბრიკად ითვლებოდა. 1886 წ. ფაბრიკაში 40 კაცი მუშაობდა და წარმოების წლიური თანხა 40 ათას მან. შეადგენდა[8]. 1890 წ. მუშათა რაოდენობა 50-დე გაიზარდა, წარმოების წლიური თანხა — 271 ათას მანეთამდე[9]. ავეჯის გარდა ფაბრიკა პარკეტსა და სხვადასხვა სადურგლო ნაკეთობებს ამზადებდა. საჭირო ხე-ტყის მასალას: მუხას, კაკალს, ფიჭვს, ურთხმელს ადგილზე იძენდა. მზა პროდუქციას თბილისსა და მის ფარგლებს გარეთ ასაღებდა[10]. ავეჯზე შეკვეთებს ფაბრიკა ა/კ-ის სხვადასხვა ქალაქებიდანაც იღებდა.

1877-1878 წწ., როცა საქართველოში მუშათა პირველი გაფიცვები დაიწყო, აღნიშნული ფაბრიკის მუშებმა ორგანიზებულად ჩაატარეს მძლავრი საგაფიცვო ბრძოლები, რაც მათი გამარჯვებით დამთავრდა. მის სწორად წარმართვაში მუშა-ხელოსანთა კავშირმა დიდი როლი შეასრულა[11].

მიუხედავად იმისა, რომ ზეტცერის საწარმო მაღალხარისხოვან ავეჯს ამზადებდა, მის პროდუქციას ვარშავიდან და ოდესიდან შემოტანილი შედარებით იაფი ავეჯი მაინც მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა. მდგომარეობა განსაკუთრებით 80-ანი წლების ბოლოდან გამწვავდა, როცა სარკინიგზო მოძრაობა წინა წლებთან შედარებით უფრო მოწესრიგდა და გაიაფებული ტარიფით სხვადასხვა კონვენციები დაიდო. თბილისის ბაზარზე შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის იმპორტული ავეჯი, რომელთა შორის განსაკუთრებით გრეხილი ავეჯი ჭარბობდა.

90-ანი წლების დასაწყისში ზეტცერის ფაბრიკის წარმადობა მკვეთრად დაეცა. 1892 წ. წლიური წარმოების თანხა 27 ათას მან. უდრიდა[12]. 1893 წ. წარმოების თანხა 15 ათას მანეთამდე და მუშების რაოდენობა 30-დე შეეცირდა[13]. ამავე წელს ეს საწარმო დაიხურა, თუ ზეტცერის გარდაცვალების გამო სხვის განმგებლობაში გადავიდა, საარქივო მასალებიდან აღარ ჩანს.

70-80-იან წლებში თბილისში ავეჯის მცირე სიდიდის საწარმოები ჰქონდათ გერმანელ რენცსა და ფრანგ არშინარს[14].

ინჟინერ-ტექნოლოგი სტ. გულიშამბაროვი, რომელიც თბილისის სამრეწველო საწარმოთა შესახებ ყველაზე სანდო ცნობებს გვაწვდის, აღნიშნავდა: „ზეტცერისა და რენცის გარდა სხვადასხვა სახის ავეჯს დურგლების დიდი რაოდენობა ამზადებს, მაგრამ ისინი ხელოსნებს უფრო მიეკუთვნებიან, ვიდრე ფაბრიკანტებს“[15]. აქედან ჩანს, რომ მას შედარებით დიდი სახელოსნოების მეპატრონენი ჰყავს მხედველობაში.

---

[6] სსცია, ფ. 17, საქ. 486, ფურ. 118.

[7] სსცია, ფ. 241, ანაწერი 3, საქ. 248, ფურ. 15.

[8] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა XIX ს. II ნახევარში, თბ., 1961, გვ. 33.

[9] სსცია, ფ. 17, საქ. 3160, უწყისი № 2.

[10] სსცია, ფ. 17, საქ. 486, ფურ. 118.

[11] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 691.

[12] სსცია, ფ. 17, საქ. 8772, გვ. 119.

[13] იქვე, საქ. 3574, გვ. 6.

[14] С. Г у л и ш а м б а р о в, Обзор фабрик и заводов Тифл. губ. 1888, с. 161.

[15] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ სადურგლოების უმრავლესობა სხვადასხვა სადურგლო ნაკეთობებთან ერთად ავეჯსაც ამზადებდა. საერთოდ, მეავეჯე ხელოსნები დურგლების ამქარში ერთიანდებოდნენ და მათ სახელოსნოსაც მეტწილად სადურგლოს უწოდებდნენ. ზოგჯერ ავეჯის სახელოსნოებს ცალკე აჯგუფებდნენ, რაც ამ სახელოსნოთა მხოლოდ ავეჯის კეთების საქმეში დასპეციალებაზე მიუთითებს. ავეჯის სახელოსნოები, სადურგლოთა შორის, როგორც დაქირავებული შრომის სიდიდით, ისე წარმოებული პროდუქციის ოდენობით, შედარებით უფრო მსხვილ საწარმოებს შეადგენდნენ.

1884 წ. დურგალთა ამქარი ყველაზე რიცხვმრავალი იყო (509 ხელოსანი-ოსტატი, ქარგალი და შეგირდი), მას მოსდევდნენ ქვის მთლელები (490), მეპურენი (455), ხუროები (450) და ა. შ[16].

რევოლუციამდელი თბილისის მრეწველობაში ფაბრიკა-ქარხნების გვერდით ხელოსნური წარმოება მნიშვნელოვან როლს ინარჩუნებდა. მართალია, მისი ხვედრითი წონა თანდათან მცირდებოდა, მაგრამ რადგანაც ადგილობრივი და შემოტანილი ფაბრიკული საქონელი მოსახლეობის ძხარდ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ თბილისურ ხელოსნურ ნაწარმზე გარკვეული მოთხოვნილება ყოველთვის რჩებოდა.

ხელოსნურ წარმოებაზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ლენინგრადის ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული 1893 წლის საქმე: «Сведения о ремесленных заведениях по Тифлисской губернии»[17]. იგი თითოეული სახელოსნოს შესახებ ანკეტურ მონაცემებს შეიცავს, რომელშიც შედის: სახელოსნოს გახსნის წელი, ქარგლებისა და შეგირდების რაოდენობა, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შეგირდის შენახვის ან მუშის დაქირავების ხარჯები.

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც თბილისს ეხება, სხვადასხვა დარგის 200-დე სახელოსნოა აღრიცხული, რომელთაგან თითქმის ნახევარს სადურგლოები შეადგენენ. ანკეტური მონაცემებიდან ჩანს, რომ ბევრი მათგანი 40-50 წლებიდან და ზოგი უფრო ადრიდანაც მუშაობდა, მაგრამ სახელოსნოთა მეტი წილი 70-80-ანი წლებიდანაა გახსნილი. სახელოსნოთა მთლიანი რაოდენობა 93-მდე აღწევდა. ისინი თითოეულ სადურგლოში მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით დავაჯგუფეთ, საიდანაც ჩანს, რომ 75 მცირე სიდიდის სახელოსნოში, თითოეულ მათგანში 1-3 კაცი მუშაობდა, 8 სახელოსნოში—4 კაცი, 8 სახელოსნოში —5-7 კაცი. ყველაზე რიცხვმრავალი ორი სახელოსნოა. მათგან ერთში 10 კაცი მუშაობდა, მეორეში — 13. ბოლო ორი სახელოსნო თავისი სიდიდით მანუფაქტურულ საწარმოს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე ხელოსნურს. თბილისის სახელოსნოებში მომუშავეთა ეროვნული შემადგენლობა მეტისმეტად ჭრელი იყო.

სადურგლო სახელოსნოთა გარდა აღრიცხულია პატარა, 1-2 მუშიანი სახელოსნოები: ავეჯის გადამკვრელებისა 15, ხეზე ჩუქურთმის მჭრელი ოსტატებისა 6 და ზანდუკების დამამზადებელი 5 სახელოსნო. სახელოსნოთა უმრავლესობაში შეგირდს უკვე ხელფასი ეძლეოდა და დაქირავებულ მუშას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე შეგირდს.

ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემების მიხედვით აღნიშნულ დარგში 260-დე მომუშავე იყო დასაქმებული. 1894 წ. თბილისის გუბერნატორის ან-

---

[16] К. К. на 1886 год, с. 185.

[17] ЦГИА СССР, ф. 1290, оп. 5, д. 118, 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიშის მიხედვით მათი რაოდენობა 275-მდე აღწევს[18]. ამ ორ საარქივო წყაროს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. 1893 წ. გუბერნატორის ანგარიშის უწყისის მიხედვით, ავეჯის საწარმოები სადურგლოთაგან ცალკეა გამოყოფილი და აღრიცხული. მისი მიხედვით, თბილისში ითვლებოდა 66 სადურგლო — 86 490 მან. წლიური წარმოების თანხით; 11 ავეჯის სახელოსნო — 16 ათასი მან. წარმოების თანხით[19]. როგორც ვხედავთ, ავეჯის საწარმოები უფრო ფართო მასშტაბისა იყო, ვიდრე სადურგლო სახელოსნოები.

ანკეტური მონაცემების მიხედვით, სამუშაო დრო დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდეა ნაჩვენები. სინამდვილეში სამუშაო დღე განუსაზღვრელი იყო და სახელოსნოს მიერ აღებული სამუშაოების სიდიდეზე იყო დამოკიდებული. დურგლის დღიური ხელფასი სხვა დარგის ხელოსნის ხელფასთან შედარებით უფრო მაღალი იყო და დღიურად 2 მან. 50 კაპ-დან 3 მან. — მდე აღწევდა. ზეინკალი — 3 მან., კალატოზი და მჭედელი — 2 მან., ხურო —1 მან. 80 კაპ. იღებდა. სხვა დანარჩენ ხელოსანთა დღიური გამომუშავება კიდეკ უფრო ნაკლები იყო[20].

ზემოთ მოტანილი სხვადასხვა მონაცემების ერთმანეთთან შეჯერება XIX ს. 90-ანი წლების თბილისის ხელოსნური წარმოების მდგომარეობის გათვალისწინების საშუალებას იძლევა. მისი მიხედვით ჩანს, რომ სახელოსნოთა შორის დიფერენციაციის გაღრმავების შედეგად, მათში კაპიტალისტური ურთიერთობა თანდათან მეტად იჭრება და სახელოსნოთა ნაწილი დაქირავებული შრომის გადიდების ხარჯზე უფრო დიდ საწარმოდ, მანუფაქტურად იქცევა.

900-ანი წლების დასაწყისში თბილისში რამდენიმე მსხვილი სადურგლო-საავეჯო საწარმო მუშაობდა: ზავადსკის — 16 მუშა და 12 ათასი მან. წლიური წარმოების თანხა; რენცისა — 11 მუშა და 24 ათასი მან. წლ. წარმ. თანხა; გალუმოვისა — 32 მუშა და 18 ათასი მან. წლ. წარმ. თანხა[21]. ეს უკანასკნელი 1905 წ. რუსეთის სამრეწველო საწარმოთა სამისამართო წიგნში შესულია, როგორც ფაბრიკა. ამ დროს რენცის მანუფაქტურული საავეჯო მუშების გაცილებით ნაკლები რაოდენობით წლიურად წარმოების მეტი თანხით გამოირჩევა, რაც მისი კარგი ტექნიკური აღჭურვილობით უნდა აიხსნას. მას გააჩნდა ჩარხები, დაზგები და სხვადასხვა იარაღები. აქ მზადდებოდა კარადები, კამოდები, მაგიდები, სკამები და კარ-ფანჯარა[22].

1911 წ. მონაცემებით თბილისში აღრიცხულია სამი მანუფაქტურული 20-25 მუშიანი სადურგლო-საავეჯო საწარმო[23]. არასრულყოფილი აღრიცხვის გამო აქ არ არის შესული კ. ფრანკის 16 მუშიანი სადურგლო, სადაც ავეჯიც მზადდებოდა.

კარლ ფრანკის მანუფაქტურული საწარმოს მიერ დამზადებული ავეჯი — სასადილო ოთახის მოწყობილობა, თბილისში, ერთ-ერთ ოჯახში არის შემორჩენილი. იგი შემდეგი საგნებისაგან შესდგება: ჭურჭლის კარადა-ბუფეტი, ასევეთვე დანიშნულების დაბალი კარადა, სასადილო მაგიდა და 6 სკამი. სასადილო

---

[18] სსცია, ფ. 17, საქ. 9082, ფურ. 43.
[19] იქვე, საქ. 3574, ფურ. 6.
[20] იქვე, საქ. 3846, ფურ. 364.
[21] იქვე, საქ. 69, ფურ. 17.
[22] სსცია, ფ. 204, საქ. 592, ფურ. 155.
[23] Харьковский филиал ЦГИАУ ССР, д. 256, с. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახის გარნიტურს თან ახლავს ბიურო, რომლის უჯრას ქვემოთა მხრიდან ფრანკის სახელოსნოს ეტიკეტი აქვს შერჩენილი. მისი მიხედვით ირკვევა, რომ ფრანკს, რომელიც ხეზე ჩუქურთმის მჭრელი ოსტატია, თავისი საწარმო თბილისში 1875 წლიდან გაუხსნია. აქ მზადდებოდა: მოდური ავეჯი, სადარბაზოებისათვის მოჩუქურთმებული კარები, კარ-ფანჯრის ჩარჩო, კანკელი და სახატე. ეტიკეტიდანვე ჩანს, რომ აქაურ ნაწარმს 1889 წლის გამოფენაზე დიდი ვერცხლის მედალი მიუღია, 1901 წ.—კი ოქროს მედალი. საარქივო წყაროს ცნობით, საწარმო 1914 წ. დაიხურა[24]. ამის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ავეჯი 1902-1914 წწ. არის დამზადებული. იგი მძიმე, დამჯდარი ფორმისაა, ფსევდოსტილს განეკუთვნება და აშკარად ეტყობა ეკლექტიზმის ნიშნები. კარადის თავების ლითონის დაბოლოებების ფორმა გოთურ ავეჯს მოგვაგონებს.

კარადის კარების ზედაპირი და სკამების საზურგეს წინა მხარე მხატვრული მცენარეული ჩუქურთმებით უხვადაა შემკული. უჯრებს მხატვრულად გაფორმებული რკინის სახელურები აქვს, რაც ძველებური სახელურების ღარიბულ იმიტაციას წარმოადგენს. ავეჯის ფეხების ფორმაში ბაროკოს ელემენტებიც ჩანს.

ავეჯი მთლიანად, განსაკუთრებით მისი ქვედა ნაწილი, მძიმე არქიტექტურული ფორმებით ხასიათდება და როგორც აღვნიშნეთ, იგი ძველი სტილის ავეჯის შერეულ და გაცილებთი მდარე, გაღარიბებულ მიბაძვას წარმოადგენს. ეტყობა, რომ კ. ფრანკი იყო მხატვარი-ეკლექტიკი, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა ნივთის გარეგნული მხარე და არა მისი კონსტრუქცია. ამიტომაც მან შეძლო ეს ამოცანა ფსევდოსტილის, კერძოდ, გოთური სტილის მოშველიებით გადაეწყვიტა, თუმცა ავეჯის ცალკეულ ელემენტებში ბაროკოს სტილიც ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელოსნო 1914 წლამდე მუშაობდა, ჩანს, ავეჯის ახალი ფორმების ძიების საქმეში იგი ახალ მიმდინარეობებს არ იზიარებდა და ძველი სტილის სხვადასხვა ავეჯის ცალკეული ელემენტების გამეორებებს ამჯობინებდა.

XIX ს. II ნახევრიდან, კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით იწყება საქონლის მასიური წარმოება. ტექნიკისა და ეკონომიკის განვითარებას სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობებში ძირეული ცვლილებები შეაქვს. ახალ მოთხოვნებს ახალი ფორმების წარმოქმნა შეეძლო, მაგრამ რადგანაც დამოუკიდებელი მხატვრული ფორმების წარმოქმნა ძნელდებოდა, ამიტომ ძველი ფორმების განახლებით იფარგლებოდნენ. რამდენადაც ფეოდალური სტილის ფორმები კაპიტალიზმის მოთხოვნებთან წინააღმდეგობაშია, აძდენად შედეგი მხოლოდ დისჰარმონიული, მახინჯი გადაწყვეტილებები შეიძლებოდა ყოფილიყო.

მანქანური წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით, პროგრესული მხატვრები ცდილობდნენ მხატვრული ფორმების გამარტივებას. მიუხედავად ამისა, XIX ს. ბოლოს ეკლექტიზმს ფართო გასაქანი მიეცა. იქმნება ფსევდო სტილები: ნეოგოთური, ნეობაროკო, ნეოროკოკო და ა. შ. კერძოდ, გერმანიაში და მის გარეთ გავრცელდა ე. წ. „ძველგერმანული“ სტილი. ბინები მძიმე არქიტექტურული ფორმისა და ჩუქურთმებით უხვად შემკული მასიური მუხის კარადებით იყო გადატვირთული. ეს მოუხერხებელი ავეჯი ისე გავრცელდა, რომ XX ს. დასაწყისში მას დაცინვით „ბაღლინჯოს რენესანსს“ უწოდებდნენ.

[24] ХФ ЦГИАУ ССР, д. 387, с. 10.

ფაბრიკული ავეჯის გაჩენამ კიდევ უფრო გააძლიერა ქაოსი და ავეჯის ბერ-რისხი მკვეთრად დაეცა. XIX ს. სტილი რომანტიკული, ეკლექტიკური, ისტორიზებული იყო. რამდენადაც მანქანას ავეჯის ორნამენტირებული ფორმების დამზადება არ შეეძლო, ამიტომ მის შესამკობად ისევ წინა ეპოქების ფორმებსა და დეკორს უბრუნდებიან. ისტორიული სტილის განახლება, ანტიკვარული საგნებისადმი ინტერესი გამოხატავდა ფეოდალური სიძველისადმი ლტოლვას, ბურჟუაზიის მისწრაფებას, თავის საცხოვრებელში შეეტანა არისტოკრატიული რესპექტაბელობის სული.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ავეჯის დამზადების საქმეში ახალი გზების ძიება დაიწყო და მართლაც გამოჩნდნენ მხატვარი-ნოვატორები, მაგრამ, ამავე დროს მრავალნი, საზოგადოების პრივილეგირებული ფენების გემოვნების დასაკმაყოფილებლად, კვლავ ფეოდალური ეპოქის ხელოვნების ფორმებს უბრუნდებოდნენ. ახლის ძიება და ხელოვნების განახლებისათვის ბრძოლა პირველმა მსოფლიო ომმა შეწყვიტა.

XIX ს. 80-ანი წლებიდან დაწყებული თბილისში დიდი მოწონებით სარგებლობდა გრეხილი ავეჯი, რომელიც თავისი სიმსუბუქით, მოხერხებულობითა და სიიაფით მოსახელობის ფართო ფენებისთვის პრაქტიკულად უფრო გამოსადეგი და ამასთან ეკონომიურად ხელმისაწვდომი იყო. გრეხილი ავეჯი წარმატებით დეევნიდა მუხის და სხვა მძიმე, ძველი სტილის ავეჯს და მის ადგილს იკავებდა.

გრეხილი ავეჯის დასამზადებლად წიფლის ხე გამოიყენებოდა. საქართველოში მისი მარაგი საკმაოდ დიდი იყო, რაც ხელს უწყობდა მრეწველობის ამ დარგის განვითარებას. მართლაც, XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საქართველოში ავეჯის სამრეწველო საწარმოს გახსნის მრავალი მსურველი გამოჩნდა, რასაც სახაზინო უწყებაში შესული უამრავი თხოვნები მოწმობს. გრეხილი ავეჯის საწარმოს გახსნის ნებართვის თაობაზე მისულ მთხოვნელებს უარით ისტუმრებდნენ, რადგანაც მეტროპოლია პერიფერიაში სამრეწველო საწარმოთა გახსნით სრულიადაც არ იყო დაინტერესებული. ცარიზმი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას აბრკოლებდა, მიუხედავად ამისა, ადგილზე ნედლეულის სიუხვემ და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ განაპირობა, მრავალრიცხოვან სახელოსნოთა გარდა, თბილისსა და ქუთაისში ავეჯის ფაბრიკების გახსნა. ასეთი იყო: თბილისში—სტარიკოვსკის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა და ქუთაისში — „საქართველოს ფაბრიკა“[25].

---

[25] გრეხილი ავეჯი პირველად გერმანელმა მ. ტონეტმ 1830 წ. დაამზადა. მასალად იგი წიფლის ხეს იყენებდა. ხეს რომ ელასტიურობა მიეღო, ორთქლით ამუშავებდა. ეს ოპერაცია მის მიერ შემუშავებულ ტექნოლოგიაში გადამწყვეტი იყო. 1841 წ. მან თავისი ვამოგონება დააპატენტა. 1848 წ. მეტერნიხმა იგი ვენაში მიიწვია. ტონეტის ფაბრიკის ავეჯის გამოფენა ევროპის ყველა მსხვილ სამრეწველო გამოფენებზე ეწყობოდა. 1855 წ. პარიზში გრეხილი სკამები გამოფენილია, როგორც მასიური სამრეწველო წარმოების საქონელი. ტონეტის იაფმა, მსუბუქმა ავეჯმა, პირველ რიგში სკამებმა სწრაფად დაიპყრო ევროპის ბაზარი. დიდი მოწონებით სარგებლობდა აგრეთვე გრეხილი საქანაო საკარძელი, რომლის გამოშვება 1860 წელს დაიწყო. ეს ავეჯი საქართველოში ფართოდ გავრცელდა.

XX ს. 20-იან წლებში ტონეტის ავეჯმა უკვე თავისი დრო მოჭამა და ახალ მოთხოვნებს, უფრო მოხერხებულ და ლამაზ ავეჯზე, ავეჯის სხვა ფორმები პასუხობდა. ტონეტის ფირმამ შერყეული მდგომარეობის გამოსასწორებლად ავეჯის უფრო სრულყოფილ ფორმებზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსი ძალიან ფართოდ მოეწყო, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც არ მისცა. ევროპის არქიტექტორებმა შეძლეს რამდენიმე ახალი მოდელის დამუშავება, რომელთაც მეტი მოწონება ხვდათ წილად. Д. Кесс, Стили мебели, Будапешт, 1979. с. 218.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900-1914 წწ. თბილისის სამრეწველო საწარმოთა შესახებ ცნობები დაცულია საფაბრიკო ინსპექციის საარქივო მასალებში.

1914 წ. საომარი მდგომარეობის შედეგად შემცირებულ და დახურულ საწარმოთა სიაში სტარიკოვსკის ფაბრიკაც არის მოხვედრილი. მუშათა რიცხვი აქ 18-დან 3-მდე შემცირებულა რადგან გრეხილ ავეჯზე მოთხოვნილება მაინც რჩებოდა, ფაბრიკა საბოლოოდ არ დაიხურა. დეკემბერში მუშათა რაოდენობა 10-მდე გაიზარდა. 1916 წ. ფაბრიკაში 8 ცხ. ძ. ორთქლის ძრავა მოქმედებდა, წლიური ბრუნვა 4 ათას მან.-მდე აღწევდა[26]. როგორც ვხედავთ, იგი ძალზე შემცირებული დარჩა. ზოგიერთი საწარმო, რომელიც ომიანობის გამო თავის ნაწარმს ვეღარ ასაღებდა, გრეხილი ავეჯის დამზადებაზე გადავიდა. ასეთი იყო მაგალითად: ეგანოვისა და კომპ. ფანერის ფაბრიკა, რომელმაც 1915 წლიდან ვენური სკამების დამზადება დაიწყო[27]. მისი წლიური ბრუნვა 10 ათას მან. შეადგენდა[28]. შეიქმნა დამხმარე სახელოსნოები. მაგ., შურის სახელოსნო, რომელიც სკამებისათვის საჭირო დაპრესილ ფანერს ავეჯის საწარმოებს აწვდიდა.

ომის გამო საწარმოთა მდგომარეობა გაუარესდა. ამის საერთო მიზეზები იყო: მუშა-მოსამსახურეთა ჯარში გაწვევა, ნაწარმზე მოთხოვნილების შემცირება, გასაღების სიძნელეები, სარკინიგზო დაბრკოლებების შედეგად ნედლეულის მიღების გაძნელება, კრედიტის შემცირება და ფინანსური დაბრკოლებანი.

კ. ფრანკის ავეჯის საწარმოში მუშათა რიცხვი 16-დან 9-მდე შემცირდა. 1914 წ. 10 ათასი მან. პროდუქცია დამზადდა[29]. 1915 წ. მარტში ეს საწარმო დაიხურა, რადგან პატრონი ავად გახდა, მისი ორი ვაჟიშვილი ჯარში გაიწვიეს[30]. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კესნერის სადურგლო, სადაც 16-დან 5 მუშა დარჩა და წარმოება 70%-ით შემცირდა[31]. გაუხისა და მარტიროსოვის საავეჯო საწარმოში ერთში — 20 და მეორეში — 21 მუშა დარჩა.

1914 წ. სადურგლო-საავეჯო საწარმოთა რაოდენობა 50-70%-ით შემცირდა[32].

1915 წ. თბილისში შედარებით წარმატებით მუშაობდა კონსტადოვის ავეჯის საწარმო, რომელიც ელექტრომოტორით მუშაობდა და მისი წლიური ბრუნვა 25 ათას მან. შეადგენდა[33]. მოსტოვის სადურგლოს, სადაც 6 ცხ. ძ. ძრავი მუშაობდა, კარგი ტექნიკური აღჭურვილობა ჰქონდა. აქ 16 დაზგაზე მუშაობდნენ და მხატვრულად გაფორმებული ავეჯი და პარკეტი მზადდებოდა. 1921 წლიდან, ნაციონალიზაციის შემდეგ, იგი სასკოლო ავეჯის დამზადებაზე გადავიდა[34].

1914 წ. თბილისის ხის დამმუშავებელ 30 საწარმოში 500-მდე მუშა იყო დასაქმებული[35]. აქედან სადურგლო-საავეჯო წარმოებაში 150-200-მდე მომუშავე იქნებოდა.

---

[26] სსცია, ფ. 275, საქ. 243, ფურ. 14.
[27] სსცია, ფ. 275, საქ. 232, ფურ. 30.
[28] იქვე. საქ. 250, ფურ. 64.
[29] ХФ ЦГИАУ, ф. 2090, оп. I, д. 387, л. 4.
[30] სსცია, ფ. 275, საქ. 102, ფურც. 2.
[31] იქვე.
[32] სსცია, ფ. 275, საქ. 233, ფურ. 83.
[33] სსცია, ფ. 275, საქ. 249, ფურ. 15.
[34] Лесная промышленность Грузии, Тб., 1921, с. 129.
[35] სსცია, ფ. 275, საქ. 233, ფურ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ავეჯის წარმოება მრავალი დაბრკოლების გამო (ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, საომარი მოქმედება, რევოლუციური მდგომარეობა) სუსტად, შეფერხებებით და არათანაბრად ვითარდებოდა. მისი ჩასახვა-განვითარება საქალაქო ცხოვრების ზრდამ და ბუნებრივი ხედლეულის სიუხვემ განაპირობა.

XIX ს. 80-ანი წლებიდან შემოტანილი ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმი კონკურენციას უწევდა და საფუძველს აცლიდა ხელოსნურ წარმოებას. წვრილ სახელოსნოთა ნაწილი ისპობოდა. ზოგიერთი მათგანი დაქირავებული შრომის ზრდის ხარჯზე უფრო აფართოვებდა მოქმედებას და კაპიტალისტურ საწარმოდ იქცეოდა. წარმოიშვა მანუფაქტურული საწარმოები. მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც ჩაისახა და გაჩნდა ავეჯის ფაბრიკული წარმოება.

ადგილობრივ პროდუქციას რუსეთიდან და ევროპიდან შემოტანილი ავეჯი მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა და მის შემდგომ წინსვლას ზღუდავდა.

ქალაქის მოსახლეობა ხელოსნურად დამზადებული მძიმე, ძველმოდური ავეჯიდან თანდათან ფაბრიკული, მსუბუქი, შედარებით იაფფასიანი ავეჯის მოხმარებაზე გადადიოდა.

К. Д. МУШКУДИАНИ

МЕБЕЛЬНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ В ТБИЛИСИ

(конец XIX — начало XX вв.)

Резюме

Развитие мебельной промышленности в Тбилиси было обусловлено быстрым ростом города и обилием местного сырья. Однако из-за ряда препятствий (колониальная политика царизма, военные действия, революционная ситуация) мебельное производство развивалось слабо и неравномерно. Некоторые из многочисленных мастерских расширялись за счет увеличения наемного труда и превращались в мелкие капиталистические предприятия. Образовывались мануфактуры, зарождалось и развивалось фабричное производство.

Мебель, завозимая из России и Европы, успешно конкурировала с продукцией местной промышленности и ограничивала ее рост.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДЖАПАРИДЗЕ О. М.

ИЗ ИСТОРИИ АРХЕОЛОГИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИИ

Кавказ как в древности, так и в недалеком прошлом считался исключительно интересным краем — «горой языков», «муравейником народов», «своеобразным этнографическим музеем», «страной крупных противоположностей»[1], глубоким захолустием «лежащим вдали от культурных центров»[2]. Кавказским племенем приписывалась ведущая роль в развитии древнейшей металлургии меди и бронзы. Мнение о высокой ступени обработки металла сложилось, главным образом, на основании сведений, сохранившихся в библии, а так же у античных авторов. Упомянутые в этих источниках племена-металлурги, по историческим традициям, считались предками грузин (тубал-тибарены, месхи-мосхи, халибы). Исходя, в сущности, из литературных данных к середине прошлого столетия довольно прочно утвердилось представление о высоком уровне металлургии у древнегрузинских племен и считалось, что земля халибов и тубал находилась в Грузии[3]. Так, известный исследователь истории Древнего Востока Ф. Ленорман писал, что халибы в древности были известны своей металлургией[4] и кавказские иберийцы совместно с жителями Месопотамии первыми знакомятся с бронзой;[5] Э. Тэйлор признавал Грузию, совместно с другими областями, родиной бронзы[6]. Приблизительно такого же мнения придерживалось большинство историков и археологов. В свое время акад. К. Бер справедливо отметил — «это предположение повторялось так часто, что некоторые историки считают его доказанным»[7]. В свя-

1 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, с. 1.

2 Миллер В. Ф., Терская область (археологические экскурсии), МАК, I, Москва, 1888, с. 111.

3 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известия ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935, стр. 10.

4 Ленорман Ф., Руководство к древней истории Востока, т. I, Киев, 1879, с. 527.

5 Lenormant Fr., Les premiers civilisations Etudes d'histoire et d'anthropologie, V, I, Paris, 1874, p. 128.

6 Тэйлор Э., Введение к изучению человека и цивилизации, Изд. 4-е, Ленинград, с. 210.

7 Бер К., Откуда добывалось олово входящее в состав древнейшей бронзы, Древности. Труды Московского арх. общества, т. VII, вып. 3, Москва, 1878, с. 235.

зи с подъемом археологии в Европе, в специальной литературе был поставлен вопрос о ведущей роли Кавказа в развитии европейской бронзовой культуры[8]. Все эти взгляды, как было отмечено, основывались, главным образом, на данных литературных источников; археологические материалы Кавказа к этому времени еще были почти неизвестны.

Археологическое изучение Кавказа, по существу, началось с 70-х годов XIX столетия. Открытие Самтаврского могильника и Казбекского клада в Грузии, Редкина Лагеря в Армении, Кобанского могильника в Северной Осетии и т. д. привлекли всеобщее внимание как русских, так и зарубежных исследователей. В связи с решением созыва V археологического съезда в Тифлисе в 1881 г. подготовительный комитет развернул большую и плодотворную работу по выявлению и исследованию памятников старины. Съезд сыграл исключительно важную роль в деле дальнейшего историко-археологического изучения Кавказа. Появляются первые труды, описывающие древности Кавказа, а также обобщающие монографии по отдельным памятникам. Среди других важных проблем был поднят вопрос и о древнейшей металлургии меди и бронзы. Для решения этой проблемы кроме древних литературных традиций в распоряжении ученых имеются уже накопившийся в значительной степени археологический материал; однако, именно к этому времени складывается противоположный взгляд о роли древнейшей металлургии Кавказа. Выдвинутое рядом видных ученых положение о внезапном появлении на рубеже II—I тыс. до н. э. металлической индустрии на Кавказе извне, в виду их большого авторитета, нашло почти всеобщее признание[9]. Это представление, господствующее, к сожалению, в течение долгих лет, в свое время несколько затормозило изучение древнейшей истории Кавказа. Это особо сказалось в деле исследования памятников первобытного времени Закавказья. На Северном Кавказе в конце XIX века были открыты выдающиеся памятники раннего периода бронзовой культуры, которые сразу же привлекли внимание специалистов. Надо отдать должное некоторым исследователям, которые сопоставляя эти находки с памятниками Передней Азии по существу правильно определили их хронологические рамки[10]. В Закавказье памятники старше эпохи поздней бронзы все еще оставались без внимания, хотя отдельные находки бо-

---

[8] Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, с. 10.

[9] Virchov R., Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin. 1883, стр. 22, 26, 126, 142; Chantre E., Recherches anthropologigues dans le Caucase, V. I, Paris—Ljon. 1885, p. 81—87.

[10] Городцов В. А., Бытовая археология, Москва, 1910, с. 259; Фармаковский Б. В., Архаический период в России, МАР, № 34, СПб, 1914, с. 50.

Ростовцев М. Н., Эллинство и иранство на юге России, Петроград, 1918, с. 23.

лее ранних периодов, правда не столь значительных как на Северном Кавказе, к этому времени уже имелись в фондах Кавказского музея.

Начало систематического исследования археологических памятников Грузии связано с именем австрийского ученого Ф. Байерна, который в 1871 г. приступил к раскопкам самтаврского могильника у г. Мцхета. Проработав более десяти лет на этом могильнике, а также исследуя и другие памятники, им был собран, а затем и опубликован значительный фактический материал[11]. Это были первые публикации археологических материалов Грузии, которые в свое время и привлекли всеобщее внимание специалистов. Материалы же старше эпохи поздней бронзы оставались пока неизвестными.

Впервые памятники более раннего этапа бронзовой культуры Грузии были открыты акад. Е. С. Такаишвили, который в 1910 г. доследовал курганный могильник в Сачхере. В заметке об этом памятнике он справедливо подметил, что его скорее всего следует отнести к докобанскому времени, к эпохе меди[12]. Тем не менее, это вполне правильное соображение осталось без должного внимания, из-за все еще господствующего в археологии взгляда о якобы позднем характере металлургической индустрии Кавказа. В 1920 г. в Кикети, близ Тбилиси, Е. Г. Пчелиной было вскрыто одно погребение, содержавшее девять глиняных сосудов; по словам исследовательницы, они значительно выделялись от обычной, хорошо известной керамической продукции Закавказья. В виду своеобразного характера материала, Е. Г. Пчелина воздержалась от дальнейшего изучения и датировки этого памятника[13]. В 1930 г. в Тбилиси, в районе Дидубе во время земляных работ, случайно была найдена керамика архаического облика совместно с предметами более позднего времени. Обследовав этот памятник проф. Г. К. Ниорадзе предварительно датировал его неолитом, а затем отнес его к энеолитической эпохе. Не получили должного осмысления нульские коллективные погребения, раскопанные в 1931 г. Е. Г. Пчелиной и А. П. Смирновым, содержащие материал явно докобанского времени[14].

В эти годы в Западной Грузии были открыты памятники более ранних эпох, однако должного внимания специалистов они не прив-

---

[11] Bayern S. F., Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, Berlin, 1885, s. 27.

[12] Такаишвили Е. С., О Сачхерском кургане Шорапанского уезда, Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. III, Тбилиси, 1913, с. 167.

[13] Пчелина Е. Г., Археологические разведки в р-не Триалетского хребта близ г. Тифлиса, Вестник Гос. музея Грузии, т. V, Тбилиси, 1928, с. 156.

[14] Пчелина Е. Г., и Смирнов А. П., Дневник археологических раскопок, произведенных близ сел. Нули Авневского сельсовета в Юго-Осетии на правом берегу р. Проне, Изв. Юго-Осетинского Института Краеведения, вып. I, Цхинвали, 1933, с. 295.

лекли. В колхидской низменности были обследованы жилые холмы, нижние слои которых содержали материалы явно предшествующие колхидской культуре поздней бронзы. Ранние материалы были добыты из абхазских дольменов[15], очамчирского поселения[16] и т. д.

К середине 30-х годов на Южном Кавказе первобытные памятники, хронологически предшествующие эпохе поздней бронзы, были открыты также и в других областях. В это время было обнаружено известное Шенгавитское поселение около Еревана[17], а также раскопана крепость Муханат-Тапа, нижние слои которой содержали материалы эпохи ранней бронзы[18]. В Азербайджане памятники этого периода были исследованы в Ханларском районе и в Нагорном Карабахе. Следует отметить, что отдельные находки с территории Армении и Азербайджана стали поступать в Кавказский музей значительно раньше. Еще в конце 70-х годов прошлого столетия материалы III тыс. до н. э. были обнаружены А. С. Уваровым в Армавир-Блуре; Е. Лалаяном было обследовано раннее поселение Шреш-Блур и произведены первые раскопки на Нахичеванском Кюль-Тепе. В Нагорном Карабахе были вскрыты погребения раннего периода бронзовой культуры. Однако, большинство из этих коллекций в фондах музея оставались без должного внимания[19].

Таким образом, в первые годы установления Советской Власти, существенных изменении в изучении бронзового века Грузии и Закавказья в целом не наступило. Несмотря на значительное расширение в эти годы сети музеев в Закавказье, куда стали поступать новые материалы из разных мест, а также открытие и обследование интересных памятников, в изучении бронзовой культуры ощутимых сдвигов не наблюдается и по существу, все еще господствующим являлось представление о внезапном появлении металлической индустрии не ранее эпохи поздней бронзы. Так, в середине 20-х годов появляется книга, написанная главным образом, по материалам Сухумского музея, где поставлен вопрос о не местном происхождении и сравнительно позднем появлении культуры бронзы в Абхазии[20].

---

15 Иващенко М. М., Исследование архаических памятников Материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935, с. 14.

16 Соловьев Л. Н., Археологические раскопки близ г. Очамчири в Абхазии, СА, IV, М.—Л., 1937, с. 323.

17 Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Ленинград, 1949, с. 32.

18 Мартиросян А. А., Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, с. 20.

19 Уваров А. С., Исследование местности, на которой предполагались развалины Армавира, V Археологический съезд в Тифлисе. Труды предварительного комитета, 1879 г. с. 439.

Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, Вестник Гос. музея Грузии, т. XIII, Тбилиси, 1949, с. 96.

20 Стражев В. И., Бронзовая культура в Абхазии, Изв. Абхазского научного общества, вып. IV, Сухуми, 1926, с. 113.

Такое положение в Грузии длилось фактически до начала археологических раскопок в Южной Грузии, в Триалети, которые ознаменовались крупными открытиями по-новому осветившие ряд кардинальных вопросов древней истории Закавказья и Кавказа в целом. С 1936 по 1940 гг. в высокогорной части Триалети под руководством акад. Б. А. Куфтина были проведены систематические археологические работы крупного, для того времени, масштаба; им были исследованы памятники разновременных эпох начиная с каменного века, вплоть до раннего средневековья, которые положили начало принципиально новому этапу в изучении далекого прошлого Грузии[21]. Но наиболее выдающимся открытием экспедиции явилось обнаружение памятников эпохи бронзы, корни которой, по мнению Б. А. Куфтина, уходили в местный энеолит. На основании добытого материала он выделил все стадии развития бронзовой культуры. Кроме могильников периода поздней бронзы, Б. А. Куфтиным были открыты значительные курганные захоронения, содержащие сильно отличающиеся от известных погребальных памятников инвентарь. Одну большую группу курганов, с богатым погребальным инвентарем, Б. А. Куфтин отнес к эпохе средней бронзы, к первой половине II тысячелетия до н. э., главным образом, на основании сопоставления с материалами из Передней Азии. Вторую группу курганов с сравнительно скромным инвентарем, он датировал эпохой ранней бронзы, концом III тыс. до н. э.[22] Глиняная посуда этих курганов, по его мнению, находит много общего с предшествующей энеолитической керамикой[23]. Б. А. Куфтиным, на основании интерпретации накопленных в результате раскопок в Триалети материалов, впервые была создана научно обоснованная периодизация, значительно изменившая существующие до того представления о древнейших этапах исторического прошлого Грузии. Значительно раздвинув хронологические рамки в глубь, он воссоздал яркую картину развития культуры тех этапов, которые предшествовали эпохе поздней бронзы. Предложенная Б. А. Куфтиным хронологическое построение в дальнейшем сыграло решающую роль в изучении бронзового века Грузии и всего Закавказья, которое не претерпело существенных изменений до настоящего времени.

На основании триалетских находок и сопоставлении их с хранившимися в фондах музеев материалами, Б. А. Куфтин впервые выделил на Южном Кавказе раннеметаллическую культуру, которая сохраняла поразительную однородность на обширной территории своего распространения. Он сначала же отнес ее к энеолитической эпохе и выделил ряд «руководящих» признаков, характеризующие эту куль-

---

21 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, с. 119.

22 Там же, с. 78.

23 Куфтин Б. А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, вып. VIII, М.-Л., 1940, с. 20.

туру[24]. В дальнейшем Б. А. Куфтин развил исследования этой проблемы и дал первую обобщающую работу о культуре эпохи раннего металла, которую исходя из охватывающей ею основной территории, назвал «куро-араксским энеолитом»[25]. В этой работе им собраны и изучены известные к тому времени памятники и установлены самобытные черты этой ранней культуры, главным образом, керамического комплекса. Крайняя бедность некерамического материала дало основание Б. А. Куфтину отнести эту культуру к эпохе энеолита[26]. Он неоднократно подчеркивал поразительную однородность, самобытность куро-араксского энеолита, который резко отличался от всех синхронных памятников девневосточного мира[27]. К началу бронзового века Б. А. Куфтин отнес старшую группу курганов Триалети. Керамика этих курганов все еще сохраняла характерные черты предшествующей энеолитической посуды и исходя из этого считал, что культура ранней бронзы своими корнями уходит в местный энеолит[28]. Из старых музейных коллекций Б. А. Куфтин выделил материалы из Сачхере, которые, в свое время, акад. Е. С. Такаишвили отнес к медному веку. В дальнейшем Б. А. Куфтиным неоднократно предпринимались раскопки курганных могильников в Сачхере, которые наряду с архаичной керамикой, содержали в значительном количестве также и металлический инвентарь[29]. Именно сравнительное обилие металла не позволило ему в свое время дать правильную хронологическую оценку сачхерским памятникам. Главное внимание он сосредоточил на изучение металлических предметов. Сачхерскую керамику Б. А. Куфтин сопоставил с глиняной посудой ранних триалетских курганов, хотя неоднократно указывал на сохранившие энеолитические традиции, однако в целом считал ее более поздней и относил к переходной поре от древней к средней бронзе[30].

Особого внимания заслуживает блестящая работа Б. А. Куфтина специально посвященная изучению бронзового века, в которой, исходя из археологических данных, ставится вопрос, где именно следует искать древнейшие корни грузинской культуры. Систематизировав и изучив все известные к тому времени археологические материалы, им воссоздана картина развития бронзовой культуры на территории

---

24 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, с. 114.

25 Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, с. 73.

26 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, с. 106.

27 Куфтин Б. А., Урартский «колумбарий»..... с. 126.

28 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, Вестник Музея Грузии, т. XII—В, Тбилиси, 1943, с. 308.

29 Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетия и Имеретию, Тбилиси, 1949, с. 64.

30 Там же, с. 15.

Грузии и сделано принципиально правильное заключение, что «прекрасная родина грузинского народа должна рассматриваться и как прародина его культуры»[31]. Рассмотрев и исследовав все имеющиеся археологические факты на различных стадиях бронзовой культуры, им был поднят вопрос о возможности ее связи с древнейшей историей грузинского народа[32]. Б. А. Куфтин выделяет руководящие формы металлических вещей, дает глубокий анализ всех ведущих предметов и исходя из этого указывает на существующие в эпоху бронзы довольно близкие связи с переднеазиатским миром[33].

Нельзя особо не отметить большой вклад Б. А. Куфтина в дело изучения памятников эпохи бронзы Западной Грузии. Им была установлена хронологическая последовательность жилых холмов колхидской низменности, нижние слои которых предшествовали колхидской культуре эпохи поздней бронзы[34]. Он же впервые дал научно-обоснованную датировку дольменов, отметив их ранее появление на Черноморском побережье Абхазии[35]. К эпохе ранней бронзы было отнесено им интересное поселение раскопанное у Очамчирского порта[36]. Таким образом, заслуга акад. Б. А. Куфтина в изучении бронзовой культуры Южного Кавказа и Грузии в частности, исключительно большая. Им с самого же начала была воссоздана в основном правильная картина культурно-исторического развития и сделан вполне обоснованный вывод, что древнейшие корни истории грузинского народа следует искать в далеком прошлом, в культуре эпохи бронзы. Дальнейшие исследования, давшие огромный фактический материал, еще более уточнили и утвердили выдвинутые им положения о ранних стадиях истории Грузии.

В первые послевоенные годы появляются работы акад. Б. Б. Пиотровского, специально посвященные изучению бронзовой культуры Закавказья. Исследуя известные к тому времени материалы, им были сделаны интересные выводы о бронзовом веке Южного Кавказа[37]. Особого внимания заслуживает его интересное исследование о начальном этапе освоения металла, где рассмотрен огромный материал из ранних памятников Армении и сопредельных ей областей Закавказья и впервые подняты вопросы о хозяйственной деятельности населения этого периода[38]. В дальнейшем Б. Б. Пиотровский этим во-

---

31 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях ..... с. 333.

32 Там же, с. 332.

33 Там же, с. 294.

34 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, с. 113.

35 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, с. 265.

36 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, II, с. 152.

37 Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Ленинград, 1949, с. 32.

38 Пиотровский Б. Б., Поселение медного века в Армении, СА, XI, М., 1949, с. 171.

просам посвящает интересные работы, особенно роли скотоводства и сделаны важные заключения о значении этой отрасли хозяйства на заре эпохи металла[39]. Культура медного века, по его мнению, своими корнями уходит в местный неолит; Б. Б. Пиотровский подчеркивает сходство памятников Закавказья эпохи раннего металла с переднеазиатскими материалами, но в то же время, указывает на самостоятельный путь развития[40].

50-е годы ознаменовались бурным подъемом археологического изучения Закавказья. Сильно возрос интерес к исследованию памятников более ранних этапов эпохи бронзы. Значительное расширение полевых работ, выявление и изучение новых памятников, накопление большого фактического материала, дало возможность по-новому подойти к решению важнейших вопросов истории бронзового века. Следует отметить, что в это время, особое внимание уделяется изучению куро-араксской культуры[41]. В Грузии, а также в других областях Кавказа, были открыты целый ряд новых памятников этой культуры, среди которых надо выделить многослойные поселения, давшие богатейшие материалы[42]. Научная интерпретация новейших данных представила возможность по-иному подойти и оценить спорные вопросы, уточнить хронологические нормы, воссоздать картину социал-экономической жизни общества, ее культурно-историческое развитие на ранних стадиях бронзового века. В это время довольно высокого уровня достигает металлургическое производство, что послужило поводом усомнится в «энеолитической сущности» куро-араксской культуры. Был выдвинут вопрос о принадлежности ее к эпохе ранней бронзы[43]. К энеолитической стадии позднее была отнесена открытая в начале 60-х годов культура раннеземледельческих племен. Таким образом, подверглась сомнению господствующее представление о самом характере куро-араксской культуры. Однако, это положение настоящего времени все еще остается спорным. Некоторые ученые продолжают придерживаться мнения, что куро-араксская культура прошла две стадии своего развития: на ранней ступени становления

---

39 Пиотровский Б. Б., Развитие скотоводства в древнейшем Закавказье. СА, XXIII, Москва, 1955, с. 5.

40 Пиотровский Б. Б., Поселение медного века в Армении, с. 183.

41 Джапаридзе О. М., К истории грузинских племен на ранней стадии медно-бронзовой культуры, Тбилиси, 1962, с. 5.

42 Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, Ленинград, 1970, с. 13; Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, Москва, 1975, с. 30.

43 Иессен А. А., Кавказ и древний Восток в IV—III тыс. до н. э. КСИА, вып. 93, Москва, 1963, с. 3; Иессен А. А., Из истории прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, № 125, Москва, 1965, с. 17; Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Историческое значение Южного Кавказа III тыс .до н. э., СА, 3, Москва, 1963, с. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

она все еще не утрачивает энеолитического характера; раннебронзовая стадия наступает в эпоху наивысшего ее расцвета, в III тыс. до н. э.[44] Две стадии в развитии куро-араксской культуры посуществу находим и в периодизации, предложенной в свое время Б. А. Куфтиным. Как отмечалось, он всю эту культуру относил к энеолиту, а памятники сачхерского типа к эпохе ранней бронзы. В дальнейшем, главным образом, в результате изучения куро-араксских поселении в Шида-Картли, стало очевидным, что сачхерские памятники следует отнести к куро-араксской культуре, к раннебронзовому ее этапу. Две стадии в развитии куро-араксской культуры, в настоящее время, представляются более вероятными. На ранней стадии, во второй половине IV тыс. до н. э., в ней все еще сохраняются традиции идущие от предшествующей культуры. С начала III тыс. до н. э. наблюдаются значительные перемены и наступает новый, раннебронзовый этап куро-араксской культуры[45].

Старшую группу курганов, которую Б. А. Куфтин совместно с сачхерскими памятниками включил в эпоху ранней бронзы, более правильным представляется, по новейшим данным, отнести к периоду средней бронзы и тем самым, отодвинуть в глубь и начать среднюю ступень бронзовой культуры со второй половины III тыс. до н. э., вслед за раннебронзовым периодом куро-араксской культуры[46].

За последнее время куро-араксской культуре посвящена обширная литература как у нас, так и за рубежом[47]. Опубликованы обстоятельные работы по отдельным памятникам, а также труды обобщающего характера, где затрагиваются вопросы происхождения, распространения, этногенеза и т. д. Выяснилось, что куро-араксская культура занимала значительную часть Кавказа, охватывала обширные пространства на юге — в Восточной Анатолии, в Северо-Западном Иране, ее элементы представлены в Сирии и Палестине. Ни одна культура Кавказа ни до этого, ни после, не достигала столь широкого распространения, какого добилась куро-араксская культура в эпоху своего наивысшего расцвета. Племена-носители этой культуры в III тыс. до н. э. внесли значительный вклад в древнейшее прошлое

---

44 Джапаридзе О. М., Культура раннеземледельческих племен на территории Грузии, VII Международный конгресс антропологических и этнографических наук, Москва, 1964, с. 6; Киквидзе Я. А., Поселение эпохи ранней бронзы Хизанаант-гора, Тбилиси, 1972, с. 90; Исмаилов Г. С., Из истории древней культуры Западного Азербайджана, Автореферат, Тбилиси, 1963; Есаян С. А., Каталог археологических предметов Музея истории Еревана, т. II, Ереван, 1967, с. 63.

45 Джапаридзе О. М., К этнической истории грузинских племен по данным археологии, Тбилиси, 1976, с. 88.

46 Джапаридзе О. М., Эпоха средней бронзы в Грузии, Очерки истории Грузии, Тбилиси, 1970, с. 202.

47 Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, с. 13; Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, с. 37.

Кавказа и сыграли определенную роль так же и в истории Передней Азии[48]. Интерес к этой культуре возрос в связи с индоевропейской проблемой; в литературе неоднократно ставился вопрос о принадлежности ее к племенам индоевропейского происхождения, о прародине этих племен в ареале куро-араксской культуры. Высказано соображение о связи ее с древнекавказскими племенами и т. д. Поэтому, этническая интерпретация археологических данных приобретает, в настоящее время, исключительно важное значение.

Значительные результатыза последние годы получены при исследовании новых памятников триалетской культуры эпохи средней бронзы[49]. Накопление большого фактического материала дало возможность по-новому оценить важные вопросы, уточнить периодизацию курганной культуры Триалети,. внести некоторые изменения в хронологическую последовательность курганов[50]. Выдвинутые в свое время Б. А. Куфтиным положения о преемственности, о генетической связи триалетской и куро-араксской культур в результате новейших открытий нашли дальнейшее подтверждение. Исследования последних лет значительно изменили старые хронологические нормы. Более приемлемым представляется, в настоящее время, раннюю группу курганов Триалети и синхронные им памятники включить в эпоху средней бронзы и, следовательно, ранний ее этап отнести ко второй половине III тыс. до н. э; расцвет триалетской культуры приходит на всю первую половину II тыс. до н. э.. Результатом исследований новых памятников явилось более полное представление о хозяйственной деятельности, о материальной и духовной жизни триалетского общества. Однако более глубокому освещению всех этих важных вопросов препятствует однородный характер исследуемого материала, представленного, главным образом, из погребальных памятников. Поселения этого времени все еще изучены крайне слабо.

Достижением последних лет несомненно следует считать открытие т. н. «беденской культуры», появившейся на заре средней бронзы. Однако, все еще неясным остается вопрос ее связи с триалетской культурой. Проблема происхождения, внезапное появление этой значительной культуры на ранней стадии триалетской культуры, пока остается загадкой[51].

---

48 Джапаридзе О. М., К этнической истории грузинских племен, с. 62.

49 Джапаридзе О. М., Археологические раскопки в Триалети, К истории грузинских племен во II тыс. до н. э., Тбилиси, 1969, с.

50 Гогадзе Э. М., Периодизация и генезис курганной культуры Триалети, Тбилиси, 1972, с. 95.

51 Отчет Квемокартлийской археологической экспедиции (1965—1971 гг.), Тб., 1975, с. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გერიაშვილი

დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან

ბოღაზქოის ლურსმულ არქივში შემორჩენილ მრავალრიცხოვან ტექსტებს შორის დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს დაკრძალვის რიტუალი, რომლის სრული გამოქვეყნება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა 50-იანი წლების ბოლომდე. მხოლოდ 1958 წელს შეძლო დასავლეთგერმანელმა ხეთოლოგმა ჰ. ოტენმა გამოეცა დაკრძალვის რიტუალის ყველა ხეთური ტექსტი ტრანსლიტერაციითა და გერმანული თარგმანით[1]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰ. ოტენს საუბარი აქვს აგრეთვე სხვა ნაშრომებშიც, რომლებშიც ავტორი გადმოსცემს ხეთური დაკრძალვის რიტუალის მხოლოდ შინაარსს[2].

ჩვენთვის საინტერესო რიტუალი აღწერილი და საკმაოდ დაწვრილებით აქვს შედარებული ბერძნულ, კერძოდ, ჰომეროსისდროინდელ დაკრძალვის რიტუალთან ო. გერნის, რომლის პოპულარული ნაშრომი „ხეთები" ყველა ხეთოლოგის მაგიდის წიგნად იქცა[3]. დაკრძალვის წესები ხეთებთან მოკლედ აქვს აღწერილი აგრეთვე არაერთ მკვლევარს, რომლებიც ძირითადად რიტუალის შინაარსს გადმოსცემენ[4].

დაკრძალვის ხეთური რიტუალი მრავალმხრივაა საინტერესო. მასში დაცულია არაერთი საყურადღებო მომენტი, რომლებსაც შეიძლება სათანადო პარალელები მოეძებნოს ძველი სამყაროს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ძველ ქართველ ტომთა განსახლების ტერიტორიაზეც. ამდენად, დაკრძალვის ხეთური რიტუალის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისაც, რის გამოც გადავწყვიტეთ ვრცლად მიმოგვეხილა აღნიშნული საკითხის ამსახველი ხეთური ტექსტების შინაარსი ჰ. ოტენის ზემოაღნიშნული ფუნდამენტური ნაშრომის მიხედვით. მხოლოდ ამის შემდეგ შევჩერდებით ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ მომენტზე.

დ ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს რ ი ტ უ ა ლ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი. ამ ტექსტების დაწვრილებითი შინაარსის გადმოცემისას თავს იჩენს სიძნელეები. ეს, უპირველეს

---

[1] H. O t t e n, Hethitische Totenrituale, Berlin, 1958. ნაშრომს ერთვის კომენტარები (ძირითადად ფილოლოგიური ხასიათისა) და ლექსიკონი, აქვს შესავალი, სადაც მოცემულია დაკრძალვის რიტუალის ცალკეული ტექსტის გამოცემის მოკლე ისტო ია.

[2] Kulturgeschichte herausgegeben von H. Schmökel zveiten Abschnit, Das Hethitereich von H. Otten, Kult und Religion, გვ. 438—441; Die Hethitische Grabfunde von Osmankayasivon K. Bittel. W. Herre, H. Otten, M. Röhrs, J. Schaueble, Berlin, 1958, გვ. 81—84.

[3] O. K. G u r n e y, The Ilttites. London, 1966, გვ. 164—170.

[4] E. und H. K l e n g e l, Die Hethiter, München, 1970, გვ. 155—164.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი ფირფიტა ძალზედ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და შინაარსის დადგენა საკმაოდ გაძნელებულია. ამასთანავე, მიუხედავად დაკრძალვის რიტუალის ამსახველი ტექსტების სისრულისა, რიგ შემთხვევაში ჩვენთვის გაუგებარია მათი აზრი. ესენია ძირითადი ფორმულები შელოცვისა და რიტუალის ჩატარების დროს წარმოთქმული ზოგიერთი მაგიური სიტყვა. ეს გასაგებიცაა. ამგვარ სიტყვებს თუ შელოცვებს ღვთაებრივი ძალა უნდა ჰქონოდა და საჭიროება არ მოითხოვდა ისინი გასაგები ყოფილიყო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. აღნიშნულთან ერთად, თავს იჩენს ფილოლოგიური ხასიათის სიძნელეებიც: გვხვდება ხეთური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები ჯერ კიდევ დაუდგენელია, ცალკეული გამოთქმა, რომელთა ზუსტი თარგმანი გაძნელებულია და სხვ. მიუხედავად აღნიშნულისა, ხერხდება წარმოვადგინოთ რიტუალის [დაწვრილებითი] შინაარსი.

დაკრძალვის რიტუალი, რომელიც 13 ან 14 დღეს უნდა გაგრძელებულიყო სრულდებოდა ხეთების მეფის ან დედოფლის გარდაცვალების შემთხვევაში.

ტექსტიც ასე იწყება: „როდესაც ხათუსაში დიდი უბედურება დატრიალდება — მეფე ან დედოფალი ღმერთი გახდება“, მაშინ ყველა, დიდი თუ პატარა, გლოვას დაიწყებს (გამოთქმა „ღმერთი გახდა“ ნიშნავს „გარდაცვალებას“. იხ. ქვემოთაც).

სიკვდილის შემდეგ მიცვალებულს გუთნის ხარს (დაკოდილს) დაუკლავენ და მის სულს შესწირავენ. რიტუალის შესრულებისას წარმოითქმება ლოცვა: „რათაც შენ იქმენ, იმათვე იქმნეს (ხარიც) და შენი სული მას დაუტოვე“[5].

10. „ . . . . . GIM — an K [i—iš] ta—at
11. ka—a—ša—ya—ar *QA—TAM—MA* ki—[š] a—ru
12. nu—ya—aš—ša—an ZI—KA ki—i—da—ni GUD—i [ka] t — ta tar—na

შემდეგ სრულდება მსხვერპლშესხურება ღვინით, რომლის დროსაც ღვინის ჯამს ამტვრევენ; დაბოლოს, ღამით, გარდაცვლილს უკლავენ თხას და მიცვალებულს ზემოთ მას აქეთ-იქით აქნევენ რაღაც შელოცვის თანხლებით (სამწუხაროდ, ეს სიტყვები შელოცვისა შემორჩენილი არაა). ამით მთავრდება რიტუალის პირველი დღე.

მიცვალებულის გადაყვანა კრემაციის ადგილამდე ხდება (როგორც ჩანს, საბრძოლო) ეტლით, შუალედური სადგომის — კარვის — გავლით. ამის შემდეგ „მიმართავენ“ მიცვალებულს, აძლევენ რა მას ხელის „განსაბან“ წყალს, საჭმელსა და სასმელს (სამჯერ). აქ ჩნდება პირველად ღვთაება „სასიკეთო (კეთილი) დღე“, რომელიც სხვა რიტუალში და საერთოდ სხვა ხეთურ ტექსტში არ გვხვდება[6]. გარდა ამისა, ერთად არიან დასახელებული მზის ღვთაება ცისა, მზის ღვთაება მიწისა, შემდეგ კი — დიდი დედა და მამა. მეორე დღეს პურით შეწირვა ლუდთან ერთად სამჯერ სრულდება.

გამთენიისას, როდესაც კრემაცია დამთავრებულია, ცეცხლს ლუდითა და ღვინით აქრობენ (აქედან იწყება რიტუალის მესამე დღე). რომელიღაც ქალები აგროვებენ მიცვალებულის ძვლებს და მათ ვერცხლის მილაკებით აწყობენ

---

[5] KUB XXX16. XXXIVI.

[6] H. Otten. დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეთით სავსე ვერცხლისავე თასში. შემდეგ ძვლებს იღებენ, შალის ქსოვილში ახვევენ და სხვადასხვანაირ სკამებზე აწყობენ (მამაკაცისას — სავარძელზე, ხოლო ქალისას — უზურგო სკამზე).

იმ სკამის წინ, რომელზედაც ძვლებია დალაგებული, დგამენ მაგიდას, მასზე აწყვია პური და სხვა სანოვაგე, რასაც საჭმელად აძლევენ მათ, ვინც იყო მოსული ძვლების შესაგროვებლად. ტრაპეზობა სრულდება მიცვალებულის გვერდით.

შემდეგ მიცვალებულის სულს რაღაც სასმელს აძლევენ სამჯერ დასალევად და ისიც „სვამს". ამის შემდეგ, კოცონის ადგილზე (იმ ადგილზე, სადაც მიცვალებულის კრემაცია მოხდა) აკეთებენ ადამიანის ხატებს ხილისაგან (თუ ქალია — ხორბლისაგან) და დგამენ იქვე, ხოლო ლუდით სამსხვერპლო შესხურებას ასრულებენ. უხუცესი ქალები იღებენ სასწორს, რომლის ერთ მხარეზე აწყობენ ვერცხლს, ოქროს, ძვირფას ქვებს, ხოლო მეორეზე — თიხის დუღაბს (ხსნარს). ყოველივე ეს სასახლიდან უნდა მიეღოთ.

„პაექრობა" (კითხვა-პასუხი) ორ უხუცეს ქალს შორის იწყება კითხვით, „ვინ მიიტანს ახლა სასახლეში ოქროსა და ვერცხლს, სხვა შესაწირს"? პასუხი: „ხათის ხალხი მიიტანს uruḫi-ს ხალხი მიიტანს"[7].

31. „LÚ^{meš} ^{uru} ḫa—ti—va—ra—an LÚ^{meš} u—ru—uḫ—ḫi—[e] š ú—e—da—an—zi

დაზიანებულ ტექსტში ფრაგმენტულად იკითხება რიტუალის მომდევნო ნაწილები. ორ ხარსა და 18 ცხვარს სწირავენ სასახლიდან მიწის მზის ღვთაებასა და მიცვალებულის სულს. შემდეგ, როგორც ჩანს, ლაპარაკია კოცონის ადგილიდან „ქვის სახლში" (მავზოლეუმში) მიცვალებულის ძვლების გადატანის შესახებ. ამ „სახლის" შიგნითა სასვენებელში დგას საწოლი, სადაც დასვენებულია ძვლები, მის წინ კი ზეთის ლამპარი დგას. აქაც მსხვერპლშეწირვა სრულდება ცხვრითა და ხარით.

„ქვის სახლის" მოსასვენებელ ოთახში მიცვალებულთან (ხეთურ ტექსტში ნახსენები „მიცვალებული", ფაქტიურად კრემაციის შემდეგ დარჩენილი ძვლებია) შეაქვთ პური, თაფლი და ხორცი სატრაპეზოდ. თხრიან მიწას სითხის ჩასასხმელად.

ამასთანაა დაკავშირებული დიდი საკულტო ზეიმი, რომელსაც იხდიან მერიქიფე და მესუფრე, ხოლო „სასახლის ძენი"[8] მათი დამხმარენი არიან. კვლავ სწირავენ სასმელებს, ამჯერად მუსიკისა და aḫâ შეძახილის თანხლებით. ამ სამსხვერპლო სმას „ესწრებიან": ამინდის ღვთაება, ციფლანდას ამინდის ღვთაება, მფარველი ღვთაება, „კეთილი (სასიკეთო) დღე" და მზის ღვთაება მიწისა. მიცვალებული თავის სასვენებელ ოთახშია და მას შესაწირ სასმელ-საჭმელს მოოქრული ლანგრით მიუტანენ. მიცვალებულის სული სამჯერ „სვამს". ყოველივე ესეც მუსიკისა და aḫâ შეძახილით სრულდება.

მეოთხე დღეს მეფეს ეახლებიან დიდი მოხელეები თავიანთი ცოლებით და დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები. შემორჩენილი ნაწილები

---

[7] KUB XXX15+XXX IX 19.

[8] DUMU. E. G. AL — „სასახლის მსახურნი", რომელნიც მერიქიფეს, ამ რიტუალის ძირითად შემსრულებელს, ეხმარებიან (მ. ბ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტისა, შესაძლოა, მიუთითებენ, რომ ხდება ახალი მმართველის ინთრონიზაცია[9].

მომდევნო ტექსტები მეშვიდე დღის ცერემონიალებით გრძელდება (რა ხდებოდა რიტუალის მეხუთე და მეექვსე დღეს — უცნობია). ამ დღეს „ადგილის ხატებას“ (ALAM asan) განწმენდილ წყალს მისცემენ, საუკეთესო ზეთს შიგ ჩაასხამენ, ერთ ხარსა და რვა ცხვარს შესწირავენ ხატებას, თითო ხარს კი — არინას მზის ღვთაებას, ამინდის ღვთაებას, ციფლანდას ამინდის ღვთაებას, მფარველ ღვთაებას, მიწის მზის ღვთაებას, მიცვალებულის სულს და „კეთილ (სასიკეთო) დღესა“, ხოლო შიგნეულს მიცვალებულს მისცემენ „საჭმელად“. ტრაპეზობის დამთავრების შემდეგ მოტირალი ქალები (SAL^{mes} taptara) ხატებას გამოიტანენ გარეთ; „ხეთა სახლში“ E² ḫešta—) მარილს (?) დაწვავენ, შემდეგ კი ცალ-ცალკე დაწვავენ შესანიშნავ სამოსელსა და საუკეთესო ზეთიან თიხის ჭურჭელს. ამის შემდეგ სრულდება მსხვერპლშეწირვა ხარითა და რვა ცხვრით. თითო თასს ღვინისა და ლუდისას დაამსხვრევენ. ცხელ პურს, კვერსა და ყველს დაამტვრევენ და ნამტვრევებს მზის ღვთაების წინ დააწყობენ, ხოლო ერთ-ერთი მსახური ქალი ამ ნამტვრევებს იმ ადგილას მიიტანს, სადაც ცხენისა და ხარის თავები იყო დამწვარი.

„სასიკეთო დღეს“ კი ადგილი დაიგვება და დიდი ნადიმი გამოცხადდება. ღვთაებანი ცალ-ცალკე სვამენ. ამ დროს მუსიკოსები უკრავენ და ხატის ხალხი (LU^{mes}ALAM) რაღაც რიტუალს ასრულებს. ღვთაებების „სმის“ შუალედში მერიქიფე პურებს ამტვრევს და იმ ღვთაებების წინ აწყობს, ვინც უნდა დალიოს შემდგომ. მიცვალებულის სული და ღვთაება „სასიკეთო დღე“ სამჯერ სვამენ, ეს რიტუალი რამდენიმეჯერ სრულდება (სავარაუდოა, სამჯერ).

მერვე, მეცხრე, მეათე დღეს რიტუალის შემსრულებელნი (ამ შემთხვევაში უნდა იყვნენ მერიქიფენი) განწმენდილი წყლით მიცვალებულს შეავედრებენ, რომ მათ სამსხვერპლო საქონელი წყალში დაკლეს. უხუცესი ქალები სამსხვერპლო პურსა და სამართლის სასწორს აიღებენ და მზის ღვთაებას შეევედრებიან, რათა საქონელი არავინ არ დაინაწილოს. ამის შემდგომ ხატს ეტლზე დაასვენებენ. მუსიკოსები მზის ღვთაებისათვის დაუკრავენ, ხოლო მერიქიფენი მას საღვთო სასმელით „გაუმასპინძლდებიან“. ამ რიტუალის დასრულებისთანავე, სხვა რიტუალი სრულდება ჩიტებით; ბოლოს კი, როდესაც ღვინით სავსე თასს ამსხვრევენ, უხუცესი ქალები ნამტვრევებს იქ წაიღებენ, სადაც ცხენისა და ხარის თავები იყო დაყრილი.

კვლავ იღებენ უხუცესი ქალები საღვთო სამართლის სასწორს, კვლავ უნდა შეევედრონ ისინი მზის ღვთაებას, რომ ეს „მინდვრები“ (ეტყობა, ადგილი, სადაც ხარისა და ცხენის თავებია დამწვარი) არავინ გამოიყენოს სახნავად. იქ მხოლოდ მეფის ნახირმა და ჯორებმა უნდა იბალახონ. შემდგომ უხუცესმა ქალებმა სამსხვერპლო პური უნდა აიღონ რაღაც სხვა რიტუალის შესასრულებლად.

მერიქიფენი დასალევს აძლევენ ხატებას. ამ დროს მზის ღვთაებაც „სვამს“, მუსიკოსნი კი უკრავენ და ხატის ხალხი aḫa-ს იძახის, მხოლოდ kida-ს ხალხია ჩუმად. ხატს ეტლიდან ჩამოასვენებენ და კარავში დაასვენებენ ოქროს

---

[9] H. Otten, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტზე (თუ კი მიცვალებული ქალია, მას სკამზე დაასვენებენ). ნადიმი ცხადდება და მოტირალ (მოზარე) ქალებს სამსხვერპლო პურს ურიგებენ. სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მერიქიფენი ღვთაებებს სასმელს აწვდიან და ისინიც სათითაოდ „სვამენ". ამ დროს მუსიკოსნი, ხატის კაცები და kida-ს კაცები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. უხუცესი ქალები მზის ღვთაებას მეფის სიმდიდრის დაუნაწილებლობას სთხოვენ. მოტირალი ქალები კი გოდებენ. დაღამებისას ხატს კვლავ შენობაში შეიტანენ („კარის შენობა"). თუ მიცვალებული მამაკაცია, მაშინ მას ხილის ფარდულში შეიტანენ და იქ გამოხატავენ, ხოლო თუ ქალია მაშინ ხორბლის ბეღელში — და იქ გამოსახავენ.

მეთერთმეტე დღის მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომელთა მიხედვით აზრიანი გაბმული ტექსტის აღდგენა შეუძლებელია.

მეთორმეტე დღეს ადრიანად, ვიდრე ხატი შენობაშია, ერთ მსუქან ხარსა და შვიდ ცხვარს შესწირავენ. თითო ცხვარს სხვადასხვა ღვთაებებს სწირავენ, ხოლო ორ ცხვარსა და ხარს — მიცვალებულის სულს, შიგნეულობას კი მიცვალებულს მისცემენ „საჭმელად". მსხვერპლშეწირვის შემდეგ ხატს გამოასვენებენ და საბრძოლო ეტლზე დაასვენებენ. ამ დროს მოტირალი ქალები გოდებენ.

ამის შემდეგ რაღაც რიტუალი სრულდება ვაზის ძირით (სიტყვასიტყვით „ვაზის დედით"). ამ ძირს შალის ქსოვილს შემოახვევენ, რაღაცეებით მორთავენ, ზევით აღმართავენ, ხოლო მოტირალი ქალი მას კარავში შეიტანს და მსახურნი მიცვალებულის წინ „მოხრიან". კვლავ სრულდება მსხვერპლშეწირვა, მზარეულები რთავენ ვაზს; ზამთარში ჩამოსხმულ „ხაფუსთია-სასმელს" (ḫapuštiia) ასხამენ და ინახავენ. „სასახლის ძენი" ნამცხვრითა და ყველით შეასრულებენ რიტუალს. უხუცესი ქალები კვლავ შეავედრებენ მზის ღვთაებას მეფის ქონების დაუნაწევრობას.

გამოსახულებას კარავში ოქროს ხატზე მოათავსებენ (თუ ის ქალისაა, მას ხის სკამზე დაასვენებენ). ცხადდება დიდი ნადიმობა. ღვთაებანი რაღაც სასმელს „სვამენ". მუსიკოსნი და ხატის ხალხი თავის მოვალეობას ასრულებენ. მერიქიფე „დიდ დედასა და მამას" (ე. ი. ღვთაებებს) პურებს მიართმევს. ბოლოს, მიცვალებულის სული „სვამს" სამჯერ. როდესაც კი სმას დაამთავრებს, ვერცხლისა და ოქროს სკამებს მერიქიფენი „ქვის სახლში" მიიტანენ. რომელ ტაბლაზეც ოქრო-ვერცხლი ეწყო, იმას დაცხრილავენ და კერაზე დადებენ.

მიცვალებულს ძვირფას ტანისამოსსა და შესანიშნავ ზეთს მიართმევენ, რის შემდეგაც მათ კარზე აწყობენ; ამავე დროს, ზეთს დაღვრიან (კერაზე). რაც კი ტაბლაზე ეწყო (თითო თასი ღვინისა და ლუდისა) ამსხვრევენ.

შემდეგ ვიღაც კაცი ვერცხლის ცულს იღებს და ვაზს ჭრის. მერიქიფე ჭურჭელს მიწაზე დაანარცხებს და იწყებს სიმღერას, ხოლო მოტირალი ქალები გოდებას მოჰყვებიან. შალის ქსოვილში შეფუთულ ვაზს იგივე ქალები კერაზე დადებენ და ცეცხლს „შემოახვევენ". ვაზის მომჭრელი ცულს თავისთვის იღებს.

შემდეგ ხატი კარვიდან გამოაქვთ და ეტლზე ასვენებენ, ამასთან გოდებას მოჰყვებიან. მზარეულები პურს არიგებენ საჭმელად. ამით მთავრდება მეთორმეტე დღე.

მეცამეტე დღეს სრულდება კულტმსახურება „ლახანცანა ჩიტებით" (lahhanzana^{museu}). სულ 30 ლახანცანა ჩიტია საჭირო. ისინი გაკეთებულია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხისგან, შალისაგან და ცომისაგან. ამათგან ხის ჩიტები ვერცხლითაა დაფარული, ხოლო ხუთ მათგანს მოოქრული თავი აქვს. ამავე დროს, ცოცხლად ხუთ ან ექვს ლახანცანა ჩიტს დაიჭერენ. თუკი ვერ დაიჭერენ, მაშინ მათ „ხური ჩიტებით" შეცვლიან.

ორ სკივრს პურითა და ყველით აავსებენ, მანამდე კი სხვადასხვა ხილს ურევენ ერთმანეთში. ცოცხალ ლახანცანა ჩიტებს ვერცხლით მოპირკეთებულ ჩიტებს მიაბამენ. შალისაგან „ლაფინა მცენარეს" აკეთებენ და ჩიტებით რიტუალს ასრულებენ შელოცვით, რომლის მხოლოდ საწყისი სიტყვებია შემორჩენილი („თქვენ ლახანცანა ჩიტები"). მოტირალი ქალები გოდებენ.

შემდეგ ხატს წვავენ და ლახანცანა ჩიტებით რაღაც რიტუალს ასრულებენ; ვერცხლი და ოქრო „ქვის სახლში" მიაქვთ. ეს კიდევ ერთხელ მეორდება. ხატის ნამწვავებს გარეთ ყრიან და გვიან ნადიმობის დრო ცხადდება. მერიქიფენი მოტირალ ქალებს პურსა და სასმელს აძლევენ. მუსიკოსნი და ხატის ხალხი თავის მოვალეობას ამჯერად ტრაპეზის შემდგომ ასრულებენ. მოტირალი ქალები „ალანთარუ ხის" კიდობნებით ასრულებენ რაღაც რიტუალს.

ამის შემდეგ ღვთაებათა ტრაპეზობა იწყება.

შემდეგ კი კერის შუაში და აქეთ-იქით პურს, ყველსა და ხილს აწყობენ. ხატს „ქურაქიზე" (G̀S kuraki) აღმართავენ, ოქროს ტახტს შუა ადგილას დაასვენებენ. მიცვალებულის სულს ხარსა და ცხვარს დაუკლავენ, შიგნეულობას კი მიცვალებულს მისცემენ „საჭმელად". კერიდან ზეთს ღვრიან ვაზის ტოტის გასაპოხად, რათა სულს შესწირონ. შემდგომ კი სულის სამსხვერპლო სასმელს სვამს, მუსიკოსებისა და ხატის ხალხის თანხლებით. ამავე დროს, მერიქიფე თხელ პურებს მიცვალებულის სულის „მეომართა პურთან" (NINDA. ERIN meš) აწყობს. ყოველივე ეს სამჯერ სრულდება, რის ბოლოსაც მოტირალი ქალები გოდებას მოჰყვებიან. ახლა ვაზის ძირით ზეთს ღვრიან კერიდან. მიცვალებულის სული სამჯერ „სვამს" სასმელს. რიტუალი სამჯერ სრულდება.

შემდეგ ცალ-ცალკე სვამენ ღვთაება „სასიკეთო დღე", მზის ღვთაება მიწის, „დიდი დედა და მამა" — ყოველივე ეს იმავე რიტუალთან ერთად სრულდება ღამით.

გამთენიისას, როდესაც კერიდან ზეთს გადმოღვრიან (რიტუალის მონაწილენი), აღნიშნული რიტუალის ნაწილი დასრულდება, ხოლო რიტუალი გრძელდება იმით, რომ როდესაც მიცვალებული „სვამს", ამ დროს ორი მერიქიფე, რომელნიც კერასთან დგანან, კერაზე მსხვერპლშეწირვას ასრულებენ ღვინით. ამის შემდეგ ხატისა და მიცვალებულის მუხლებზე პურს აწყობენ და მას მიმართავენ: „ახლა შენს მუხლებზე „მეომართა პური" დავაწყეთ, ნუღარ განგვირისხდები. დაე, იდღეგრძელონ შენმა შვილებმა და შვილიშვილებმა! შენს ტაძარს მუდამ ექნება პატივისცემა; მსხვერპლი ყოველთვის შეიწირება". მიცვალებულს წინ პურსა და ხილს უდგამენ. როდესაც ყოველივე ეს მორჩება, თოკს ზეთით გაპოხავენ და კერაზე შეაგდებენ, სადაც მას ფქვილში ამოსვრიან. ამ დროს მოტირალი ქალები მოთქვამენ: „როდესაც მინდორს წახვალ, თოკი არ გასწიო".

ამას მოსდევს რიტუალური ტრაპეზობა სულისა და მსხვერპლშეწირვა სასმელებით, მუსიკოსნი მღერიან, მოტირალი ქალები გოდებენ. დასასრულ, გარეთ გაშლილი კარავი შეაქვთ „კარის შენობაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ (?) მეთოთხმეტე დღეს გარდაცვალებულის სამგლოვიაროდ ღვთაება ინანას ინსტრუმენტით დაუკრავენ, ხოლო მესუფრე, ხაბაზი და მზარეული შეიმოსებიან ეზოში (?) და სულს სასმელ-საჭმელს მიართმევენ. ამით მთავრდება დაკრძალვის რიტუალის ძირითადი ტექსტი.

გარდა იმ ტექსტებისა, რომელნიც უშუალოდ მეფისა და დედოფლის დაკრძალვის რიტუალს განეკუთვნებიან, არის ფრაგმენტებიც, რომელნიც იმავე რიტუალს ასახავენ. ასეთია, მაგალითად, მეფისწულთა დაკრძალვის რიტუალის ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათაც, ვინც უკვე ასაკოვანი იყო, იგივე პატივი მიეგებოდათ, რაც მეფე-დედოფალს, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბისა. არის აგრეთვე ცალკეული ფრაგმენტები, რომლებიც ეხება სხვადასხვა პირების დაკრძალვის რიტუალს. მაგრამ აქ მათ შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ (ზოგიერთი მათგანი ქვემოთაა ნახსენები).

ზემოთ განხილულ ხეთურ რიტუალთან დაკავშირებით უნდა შევჩერდეთ დაკრძალვის რიტუალზე, რომელიც ჰომეროსის „ილიადაშია“ აღწერილი. წარმოვადგენთ მხოლოდ პატროკლესა და ჰექტორის დაკრძალვის სურათებს ხეთურთან მიმართებაში.

დაკრძალვის რიტუალი ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით. პატროკლეს გვამის კრემაციისათვის „სისხამ დილით აგამემნონმა ბევრი მებრძოლი და ჯორები ხე-ტყის საზიდად გაუშვა“[10]. შესანიშნავადაა აღწერილი პატროკლეს გადმოსვენება კრემაციის ადგილამდე: „ურიცხვი ხე-ტყე რომ დაყარეს, იქვე ჩამოსხდნენ. ხოლო ფეხმარდმა აქილევსმა უბრძანა მაშინ ბრძოლისმოყვარე მირმიდონელთ, ყველას სასწრაფოდ აესხა რვალი, შეეკაზმა ეტლი და ცხენი. ისინიც მალე აღიჭურვნენ აბჯარ-ბექთარით. ეტლზე ავიდნენ მებრძოლნი და მეეტლეები. მიჰყვა ცხენოსნებს ქვეითი სპა აურაცხელი, მიასვენებდნენ მეგობრები პატროკლეს ცხედარს, მთლად დაეფარათ მოკლულთათვის მიძღვნილი თმებით... როცა მიადგნენ გმირის მიერ დანიშნულ ადგილს დაბლა დაუშვეს სარეცელი. ცეცხლი დააგზნეს“[11]. გვამთან ამის შემდეგ მხოლოდ მესაფლავენი დარჩნენ. ცეცხლზე ცხედარი დაასვენეს. „მრავალი ცხვარი და მოზვერი ფეხათრეული კოცონთან დაკლეს, ამოიღეს ოთხში და ცხიმით გვამი დაფარა აქილევსმა დიდსულოვანმა თხემით ფეხამდე, გარს ხორცები შემოულაგა. გვერდით მოუწყო თაფლით, ზეთით სავსე ქილები, ზედ სარეცელთან. ოთხი ცხენი ქედმორკალული დასცა კოცონზე აქილევსმა მწარედ მკვნესარმა. ცხრა ძაღლი ჰყავდა ნასუფრალით ნასათუთევი, ორი დააკლა თავმოჭრილი დასცა ნაკაფზე. მოკლა თორმეტი რჩეული ტყვე ბასრი სპილენძით და ზედ დაურთო“[12]. „აქილევსი მთელ ღამეს თასით ორფსკერიანით ოქროს ქვევრში ღვინოს ხაპავდა, ცეცხლს გარშემო ასხურებდა და რწყავდა მიწას, თან მოუხმობდა პატროკლეს სულს ბედკრულ მეგობრის“[13]. გამთენიისას ნაღვერდალი ღვინით ჩააქრეს, „ცრემლების ფრქვევით მოაგროვეს ძვირფას მეგობრის თეთრი ძვლები და ოქროს თასში ქონით მოფინეს. თასი კარავში შეიტანეს, დაადგეს ტილო, კოცონის ახლოს მონიშნეს შემდეგ საფლავი და ზედ

---

10 ჰომეროსი, ილიადა, თბ., 1975, ქება 23, სტრიქონი 110—115.

11 იქვე, სტრიქონი 130—135.

12 იქვე, სტრიქონი 168—176.

13 იქვე, სტრიქონი 218—221.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწრაფოდ მიაყარეს ფხვიერი მიწა. როცა ყორღანი აღმართეს, მიმოიფანტნენ"[14]. ამის შემდგომ გაიმართა ასპარეზობა.

თითქმის ასეთივე პროცესია გაიმართა ჰექტორის დასაფლავებისას, მხოლოდ აღნიშნულია, რომ ოქროს ლარნაკი, სადაც ძვლები ჩააწყვეს, ღრმა სამარეში ჩაუშვეს, ზემოდან ლოდები დააწყვეს და ამის შემდგომ ააგეს ყორღანი. დასაფლავების ბოლოს ქელეხი აქ არ გაიმართა „დიდ სასახლეში"[15]. პატროკლეს დასაფლავებისაგან განსხვავებით გაიმართა ასპარეზობა.

ხეთურ და ჰომეროსის მიერ აღწერილ ბერძნულ რიტუალებს აქვთ როგორც მსგავსი ისე განსხვავებული მხარეები, აი ისინიც,

მსგავსნი: 1 გვამი იწვება; 2. კოცონი ქრება ღვინით და ლუდით (ხეთურ რიტუალში ორივეა); 3. ძვლები ეწყობა ზეთში ან იპოხება ქონით; 4. ძვლებს აწყობენ ქვის სათავსოში (რაც არ ხდება პატროკლეს დაკრძალვისას); 5. მართავენ ქელეხს.

განსხვავებანი: 1. ჰომეროსის პოემის გმირები ძვლებს პოხავენ ქონით და აწყობენ ოქროს ურნაში, რაც არაა ნახსენები ხეთურ რიტუალში; 2. ხეთურ რიტუალში ძვლები თავსდება ხატზე ან სკამზე; 3. ხეთური „ქვის სახლი" უკვე მზა შენობაა, მაშინ როცა ილიადის გმირები სახელდახელოდ აღმართავენ საფლავზე ბორცვს (გორას, ყორღანს); 4. ხეთური ცერემონიალებისათვის მაგიური მოქმედებანია დამახასიათებელი, ხოლო ბერძნულისათვის — ათლეტური თამაშობანი[16].

ო. გერნის მიერ წარმოდგენილი მსგავსება-განსხვავებანი აშკარად ამ რიტუალების გარეგნულ სახეს ეხება. რაც შეეხება განსხვავებათა მესამე და მეოთხე მუხლებს, ეს მუხლები სადავოდ გვეჩვენება.

„ქვის სახლისა" და ბორცვების დანიშნულების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მეოთხე მუხლთან დაკავშირებით კი საერთოდ უზუსტობაა დაშვებული. ჯერ ერთი, მაგიური მოქმედებანი სრულდება ხეთური რიტუალის პროცესში და არა მისი დასრულების შემდეგ, როგორც ბერძნულში — ასპარეზობა; და საერთოდ, ეს ორი მოქმედება არსებითად განსხვავებულია და მათი შედარება საერთოდ გაუგებარია. და მეორე — „ილიადაშიც" გვაქვს მითითება, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია შევამჩნიოთ მაგიურ მოქმედებათა კვალი დაკრძალვის რიტუალის პროცესში (შდრ. აქილევსის მიერ პატროკლეს სულის მოხმობა, რაც მაგიურობის მანიშნებელია).

ხ ე თ უ რ მ ი თ ო ლ ო გ ი ა შ ი, ისევე როგორც უმეტეს ცივილიზებულ ხალხთა მითოლოგიაში, არის მითი სიცოცხლის მოძრაობის, სიკვდილ-სიცოცხლის ბრუნვისა. შუამდინარული მითოლოგიის მიხედვით, სიცოცხლე ბრუნვადია, იგი უნდა შთაინთქას, რათა კვლავ იშვას. თიამათი (ოკეანის წყალი), რომელმაც შვა შვილები თავისი — ახალი თაობის ღმერთები, მათგან „შეწუხებული" კვლავ უპირებს მათ შთანთქმას და, ალბათ, შთანთქავს კიდევ[17], ოღონდ ამის აშკარად თქმა მითში შეუძლებელია. განვითარებული საზოგადოებისათვის უკვე მკრეხელობა იქნებოდა მშობლის მიერ ასეთი აქტის განხორციელება თა-

---

[14] ჰ ო მ ე რ ო ს ი, ილიადა, თბ., 1975, ქება 23, სტრიქონი 251—277.

[15] ი ქ ვ ე, ქება 24, სტრიქონი 778—802.

[16] O. R. Gurney, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

[17] ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 65 და შემდგომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი შვილის მიმართ. მაგრამ, რადგანაც მითის დარღვევა შეუძლებელი იყო, ამ ამბის გადმოცემა სხვადასხვა ხერხითა და გზის მინიშნებებით ხორციელდება. იმის დამადასტურებლად, რომ შემდგომ ხანებში შობილის მშობელთან დაბრუნება შერბილებულია, გამოდგება შუმერული მითი „უთუ ამა-ბი-შეგია“: „უთუ (მზის ღვთაება), დედასთან დაბრუნებული“ სინონიმია დაღამებული უმზეო სივრცისა, ხოლო მისი გაშლილი თხრობითი ფორმაა „უთუ თავაღმართული მიდის თავის დედისაკენ“[18]. თავის საწყისს უბრუნდება მანათობელი, ასევე უნდა ყოფილიყო ყველა კერძო შემთხვევაშიც[19].

ასევეა ხეთურშიც. ძველ ხეთურ მითში „თელეფინუსა და ოკეანის ქალიშვილის შესახებ“ ჩვენ ვკითხულობთ: „ოდესღაც ძველ დროს დიდი ოკეანე წაეჩხუბა ცას, მიწას და ადამიანთა მოდგმას, და მან თავისთან სიღრმეში წაიყვანა მზის ღვთაება“ (ოკეანის პირმშო). მხოლოდ თელეფინუს დახმარებით შეძლეს მზის განთავისუფლება ღმერთებმა[20]. როგორც ვხედავთ, ახალი თაობის ღმერთების მოწინააღმდეგე აქაც ოკეანე გამოდის, ისევე როგორც შუამდინარულ მითოლოგიაში (ასევეა ამირანის ეპოსის მიხედვით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ).

მზის ერთ-ერთ ჰიმნში, რომელიც ხეთების შუა სამეფოს ხანას განეკუთვნება, ვკითხულობთ: „ჩემო ბატონო, ცის მზის ღვთაებავ, ადამიანთა მწყემსო! ზღვიდან ამოდიხარ მაღლა ო! მზის ღვთაებავ“[21]. ამგვარად, თუ ძველ ხეთურ მითში აშკარად ვხდავთ, რომ ოკეანე, მზის ღვთაების მშობელი, ძალით შთანთქავს, ძალით წაიყვანს თავის წიაღში მზის ღვთაებას, შუახეთურ სამეფოს დროინდელ მითში ეს მომენტი უკვე შერბილებულია, მზის ღვთაება უკვე თვითონ მოდის ოკეანესთან, რათა რჩევები მიიღოს[22].

საყურადღებოა, რომ გარდაცვალების დღეს ხეთურში „დედის დღე“ ჰქვია, რაც თავის დროზე აღნიშნა ჰ. ოტენმა[23]. დაკრძალვის რიტუალის ტექსტის ფრაგმენტებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ ერთ ტექსტს, სადაც უშუალოდ დაკრძალვის წინა რიტუალი სრულდება: „ფათილი“ ქურუმი სახლის სხვენზე დგება და კითხვით მიმართავს მიწის ღვთაებებს, თუ საით მიდის მიცვალებული. „წმინდა ადგილებში წავა ის“, — ასეთია პასუხი; წმინდა ადგილები კი მითში ღვთაებათა, წმინდანთა სამყოფელია. კითხვა-პასუხი გრძელდება. მეშვიდე კითხვის ტექსტში პასუხი შემდეგია: „მისი დედა დაიჭერს მას და წაიყვანს!“. მაშასადამე, მიცვალებული მშობელს უბრუნდება, მიდის იქ, საიდანაც იშვა — ქვესკნელში, შავეთში[24].

---

18 ზ. კიკნაძე, შუამდინარეული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 18—19.

19 ამის შესახებ იხილე იქვე გვ. 19.

20 Вяч. Всев. Иванов. Луна упавшая с неба, Москва, 1977, გვ. 54.

21 იქვე, გვ. 105.

22 იქვე, გვ. 154.

23 H. Otten, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

24 აქ შეიძლება გავიხსენოთ ამირანის ეპოსის ერთ-ერთი ეპიზოდი: ამირანს შავი გველეშაპი (შავი და არა სხვა ფერის) გადაყლაპავს და მას შავი ზღვისკენ ქვესკნელში წაიყვანს. როდესაც ამირანი ძმათა კარნახით დანით ფერდს გამოუჭრის გველეშაპს, მისი გამოსვლის ადგილას იგი ჩელტს ჩადგამს. ეს იმიტომ, რომ გველეშაპი მზეს ყლაპავდა ხოლმე და მანათობელს გამოსვლა რომ არ გასჭირვებოდა, სწორედ ამიტომაც იყო საჭირო ჩელტის ჩადგმა. აქ ჩვენთვის ერთი მომენტია საყურადღებო: ეპოსში ამირანის ახლად გამოსვლა გველეშაპის წიაღიდან წმინდა ეპიურ სახეს ატარებს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დაკრძალვის რიტუალის დასაწყისიდან ჩანს, ხეთების მეფედედოფლის გარდაცვალების აღმნიშვნელი გამოთქმაა „ღმერთი გახდა“ და არა „მოკვდა“. ახალ ხეთურ ეპოქაშიც ცოცხლობს ის შეხედულება, მართალია, უკვე ძალზე სახეცვლილი, რომლის მიხედვითაც წარსულის მეფენი კვლავ მოვლენ და დახედავენ თავიანთ სამწყსოს[25]. ეს სახეცვლა კანონზომიერია. მსგავსი გამოთქმა დადასტურებულია რომში. ერთ-ერთი იმპერატორი სიკვდილის წინ ამბობს: „ვგრძნობ, ღმერთი ვხდები“. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ ხანაში ყველა მეთაური „დიდი ოჯახისა“ „ღმერთი ხდებოდა“ (იმ ხანაში, როდესაც წინაპართა კულტი იყო ძირითადი), ე. ი. იწყებდა ახალ ცხოვრებას. ხეთებთან ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ მეფეს უგებენ „ქვის სახლს“ (მავზოლეუმს), რაც თ ა ვ ი ს ი დ ა ნ ი შ ნ ულ ებ ი თ ი გ ი ვ ე ტ ა ძ ა რ ი ა, ტაძარი კი ხეთების წარმოდგენით ღვთაებების მიწიერი სამყოფელია. მათივე წარმოდგენით მიცვალებული კი არ ამთავრებს ცხოვრებას, არამედ ახლად იშვება, მაგრამ ამჯერად სხვა რანგში. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა ჰერაკლეს მითი: ვიდრე იგი ღვთაებათა შორის მოხვდებოდა, მისი სიკვდილი იყო საჭირო, მისი პირდაპირი ამაღლება ვერ მოხერხდა (აქ შემთხვევით თხრობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რადგანაც მითი მკაცრად საკრალიზებულია და მას თავისი მტკიცე თხრობა ახასიათებს).

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ იბადება კითხვა: მიცვალებული თუ მართლა „ღმერთი ხდება“, იძენს ის მხოლოდ მისთვის, მისი კულტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, თუ უკავშირდება რომელიმე სხვა ღვთაების კულტს?

როგორც ზემოთ დავინახეთ, მიცვალებულს ასვენებენ ეტლზე, რომელიც მზის ღვთაების აუცილებელი ატრიბუტია. მიცვალებულის დასვენება (საბრძოლო) ეტლზე შემთხვევითი არაა. იგი მხოლოდ მამაკაცის — „მეფის“ — მიმართ სრულდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიცვალებული უბრუნდება თავის „დედას“ გარკვეული გზით. ამ გზას კი მზე გაივლის. აქ უნდა გავიხსენოთ რიტუალის ერთი საყურადღებო მომენტი, სახელდობრ, როდესაც მოასვენებენ მიცვალებულს, ეტლზეა თესლი სხვადასხვა მცენარისა. თესლს ქურუმები ეტლის კვალზე აბნევენ ლოცვით (მიცვალებულის მიმართ), რათა თესლი აღმოცენდეს. ეს კვალი უდავოდ მზის გზაა, რომელზედაც მნათობი გაივლიდა. იქ ხომ სიცოცხლე აღმოცენებას დაიწყებდა?

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, სავარაუდებელია, რომ ადრეულ ეპოქაში წინაპართა კულტი უკავშირდებოდა სოლარულ ღვთაებათა კულტს, ამ კერძო შემთხვევაში, მზის ღვთაების კულტს. თუ რატომ იყო ეს კულტები ერთმანეთთან დაკავშირებული, ამაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება და ამჯერად ამისგან თავს შევიკავებთ. წინაპართა კულტი რომ დაკავშირებული იყო სოლარულ ღვთაებათა კულტთან, ამის დანახვა შესაძლებელია ძველი საქართველოს ტერიტორიაზეც, გორასამარხების კულტურების მიხედვით.

გორასამარხები, რომ მანათობელთა კულტს უკავშირდება, ამის შესახებ

რამ გალექსილ ვარიანტში კარგადაა შემონახული, რომ ეს გამოსვლა ამირანის ახლად შობა, დაბადებაა: „ამირანი დაიბადა გოჭსა გავდა ხუხულასა, წვერ-ულვაში გასცვენოდა ჩაეყარა ტომარასა“.

აქ კარგადაა ნაჩვენები დაბადების მომენტი, რომლის გასაძლიერებლად ლექსში იმასაც კი აქვს ხაზი გასმული, რომ ახლად დაბადებულს წვერულვაში არა აქვს.

[25] В. В. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება გამოთქმული აქვს შ. დედაბრიშვილს[26], თუმცა ის თვლის, რომ დამარხვის ასეთი წესის შემოღება ჯერჯერობით[27] დაუდგენელია.

ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ სამარხებში მართლაც კრემაციასთან გვაქვს საქმე, მაშინ ყორღანი შეიძლება ხეთურ „ქვის სახლს შეესაბამებოდეს[28]. მასში დაასვენებდნენ მეფის ან დედოფლის ძვლებს. (ბ. კუფტინი ვარაუდობდა, რომ ყორღანი და „ქვის სახლი" შეიძლება ერთგვარი დანიშნულების ყოფილიყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას არა აქვს აღნიშნული „ქვის სახლის" ფუნქცია, რაც ამ შემთხვევაში უმთავრესია და შეიძლება გადამწყვეტიც).

მართალია, ჯერჯერობით ძნელია იმის მტკიცება, რომ „ქვის სახლი" და „ხის სახლი" (როგორც მიწაყრილის შიდა შენობას უწოდებს გ. გობეჯიშვილი)[29]. იდენტური ან მსგავსი დანიშნულების ობიექტებია. მაგრამ, არსებობს იმის საფუძველი, რომ ვივარაუდოთ მათი მსგავსება. „ქვის სახლი" რომ ტაძარია, ეს უკვე აღვნიშნეთ. ტაძრის სამშენებლო რიტუალში კი ვკითხულობთ, რომ ყოველი ტაძრის მშენებლობისას მის საძირკველში სხვადასხვა ნივთებთან ერთად ჩადებდნენ პატარა ზომის ოქროს ლომსაც (1 სიკლი წონისა)[30].

გორასამარხების ქვაყრილის წრეების კავშირი სოლარულ ღვთაებებთან[31], ეტლზე ან სარეცელზე მიცვალებულის დასვენების წესი, კრემაცია (თუ ბ. კუფტინისა[32] და გ. გობეჯიშვილის[33] ვარაუდები კრემაციის შესახებ სწორია) მიცვალებულისათვის მთლიანი ხარის ან ტყავის ჩატანება (როგორც ხეთური დაკრძალვის რიტუალის ტექსტიდან ჩანს, ხარი მიცვალებულისათვის პირველად იმიტომ იკვლება, რომ მისი სული ხარში გადავიდეს) გვავარაუდებინებს, რომ „ქ ვ ი ს ს ა ხ ლ ი" და გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი თ ა ვ ი ს ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ებ ი თ მ ს გ ა ვ ს ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო.

ხეთურ სამყაროში „ქვის სახლებში" მეფეთა დაკრძალვის წესი დაკავშირებული იყო წინაპართა კულტთან, რისი ამ რეგიონში არსებობა უეჭველია. ასევე, გორა-სამარხების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო ს ფ უ ნ ქ ც ი ა უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო. მხოლოდ შემდგომ ხანაში, როცა რწმენა ტრანსფორმაციას განიცდის და წინა პლანზე იწევს უკვე სხვა რელიგია, კარგავენ ყორღანები თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას და მხოლოდ სამარხიღა რჩება. ამდენად, ყორღანები მიმანიშნებელია, რომ წინაპართა კულტი საკმაოდ მძლავრობდა და ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას სხვა რელიგიურ წარმოდგენებთან ერთად (როგორც წინა აზიაში, კერძოდ ხეთურ სამყაროში, ასევე ეგეოსურშიც). თავის მხრივ ამ წარმოდგენებს უნდა განესაზღვრათ დაკრძალვის ასეთი წესის შემოღება.

რაც შეეხება კრემაციის ფაქტს, მის შესახებ ბევრი მოსაზრებაა გამოთქმული. ჩვენ მათზე აქ არ შევჩერდებით. გავიხსენოთ მხოლოდ ჰერაკლეს მი-

---

26 Ш. Ш. Дедабришвили, Курганы алазанской долины, თბ., 1979, გვ. 69.

27 იქვე. გვ. 59.

28 Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, თბ., 1941, გვ. 83.

29 გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორა სამარხების კულტურა, თბ., 1981, გვ. 119.

30 KBO IV 1.

31 Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

32 Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 81.

33 გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 121.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თები. ვიდრე ის ღვთაებათა შორის მოხვდებოდა, როგორც ვნახეთ, მისი სიკვდილი იყო საჭირო. მაგრამ სწორედ კოცონიდან, რომელიც მისმა შვილმა დაუნთო, მოიტაცეს ისინი ღმერთებმა. როგორც აღვნიშნეთ, მითი საკრალიზებულია და შემთხვევითი ამბებისაგან უმეტესად დაზღვეული, მით უმეტეს ადრეულ ეპოქაში. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრემაცია იყო გზა ღვთაებათა შორის მოხვედრისა.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, დაკრძალვის რიტუალის ტექსტებში ყურადღებას იქცევს მიცვალებულის სულის და გვამის ურთიერთმიმართების საკითხი, ხორბლისა და ხილის ბეღლების დაკავშირება შესაბამისად მდედრულ და მამრულ ბუნებასთან, და ა. შ. ეს საკითხები შეუსწავლელია და მათი დამუშავება მომავლის საქმეა[34].

М. Т. БЕРИАШВИЛИ

ХЕТТСКИЙ ПОГРЕБАЛЬНЫЙ РИТУАЛ

Резюме

Хеттский погребальный ритуал представляет интерес во многих аспектах. В нем содержится немало интересных вопросов, которые находят соответствующие параллели во многих регионах древнего мира, в том числе на территории расселения древнегрузинских народов. Изучение хеттского погребального ритуала имеет значение и для грузинской археологии, поэтому мы решили обширно обозреть соответствующие хеттские тексты по фундаментальному труду Х. Оттена.

В представленной работе хеттский погребальный ритуал сравнен с греческим временем Гомера (по Илиаде). Здесь же идет речь о некоторых вопросах мифологии хеттов и народов Двуречья, сделаны сравнения с грузинским археологическим материалом, на основании чего даются выводы: в хеттском обществе погребение царей в «каменных домах» было связано с культом предков, существование чего в этом регионе бесспорно. Одна из главных функций курган была функция святилища. Только последующую эпоху, когда вера претерпевает трансформацию и на передний план выдвигается другая религия, курганы теряют эту функцию и остаются только гробницами. «Каменный дом» и курган по своему назначению должны были быть сходны, а кремация была дорогой в сонм богов.

---

[34] ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დადასტურებულია ფაქტი, რომელიც პარალელს პოულობს ხეთურ დაკრძალვის რიტუალთან. ქართლის სოფლებში XX საუკუნის დასაწყისშიაც შემორჩენილი იყო შემდეგი წესი: მიცვალებულს გულზე და მუხლებზე უწყობდნენ ახალ გამომცხვარ პურს, შემდეგ აიღებდნენ ამ პურს და დაურიგებდნენ ჭირისუფლებს. ამავე დროს მიცვალებულის თავთან შვიდი დღის განმავლობაში, ვიდრე დასვენებული იყო თავის სახლში, ენთო ზეთის ჭრაქი. საყურადღებოა კიდევ ის წესი, როდესაც სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ მიცვალებულს, რომელი სახლის წინაც გაატარებდნენ იმ ოჯახის წევრი გამოიტანდა ნაცარს, დაყრიდა ძირს და წყალს ასხამდა. ეს სხვა არაფერია თუ არა საკრემაციო კოცონის ჩაქრობის შემორჩენილი იმიტაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. თუშაბრამიშვილი

მუსტირეული ხანის სადგომი-სახელოსნო „სილნარი“

(სოფ. სკინდორი, ჭიათურის რაიონი)

(ტაბ. I-II)

პალეოლითური ძეგლი „სილნარი“ მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. სკინდორის ტერიტორიაზე. მის აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, ღურღუმელას ხეობაში მარგანეცის დამლექი ნაგებობის მშენებლობისათვის განკუთვნილ ქვიშის კარიერის მახლობლად. აღნიშნული ადგილი წარმოადგენს თხემს, რომელიც ერთი მხრით მიქცეულია ღურღუმელას ხეობისაკენ, ხოლო მეორეთი — სოფ. სკინდორისაკენ. სილნარის პალეოლითურ ძეგლს მივაკვლიეთ 1957 წ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური დაზვერვების დროს, ხოლო 1958 წ. შევაგროვეთ დამატებითი მასალები. კაჟის ინვენტარი მოკრეფილია მიწის ზედაპირზე, რომელიც ადრე წარმოადგენდა სახნავ ფართობს. ქვის მასალის გავრცელების ტერიტორიაზე გაკეთებულმა საძიებო თხრილმა შედეგი არ მოგვცა, კულტურული ფენა არ ჩანს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ყვირილის ხეობის სხვა ღია ტიპის ძეგლებზე, ქვის ინვენტარს აქაც არ განუცდია შორს მანძილზე გადაადგილება, იგი მიწის ზედაპირზე მოხვედრილა ნიადაგის ლოკალური გადარეცხვის შედეგად. ამაზე მეტყველებს, როგორც მასალის დაცულობა, ისე ის ფაქტი, რომ პალეოლითური ძეგლის მახლობლად უფრო მაღალი ბორცვები არ არის.

„სილნარის“ პალეოლითურ ძეგლზე 1957-1958 წლებში სულ მოპოვებულია ქვის 128 ნივთი, რომელთაგან 12 ც. ნუკლეუსია, დანარჩენი ანატკეცლამელები და მათზე ნაკეთები სხვადასხვა სახის იარაღები. კაჟი თურონ-სენონის იარუსისაა და მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ნუკლეუსების, ანატკეც-ლამელების და სხვადასხვა იარაღების მთელი ზედაპირი დაფარულია მოყავისფრო, მოვარდისფრო ან მოთეთრო მძლავრი პატინით ისე, რომ იგი სრულიად ფარავს კაჟის ბუნებრივ ფერს. მხოლოდ ახალი ჩამოტეხის ადგილებზე შეიმჩნევა მათი ბუნებრივი ფერი.

როგორც აღვნიშნეთ, პალეოლითურ ძეგლ „სილნარზე“ სულ მოპოვებულია 12 ნუკლეუსი, აქედან 11 ც. ერთფუძიანია და ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებიან, ხოლო ერთი —— გაურკვეველი მოყვანილობისაა. ყვირილის ხეობის ღია ტიპის სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, სადაც ნუკლეუსები ნაკეთებია, როგორც კაჟის კაჭარზე, ისე ფილისებურ ნატეხებზე, „სილნარზე“ მოპოვებული ყველა ნუკლეუსი კაჟის კაჭრისაგანაა დამზადებული. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ, იგი ახლოს დგას პალეოლითურ ძეგლზე „ჩურგული“ (ჭიათურის რაიონი, სოფ. ჭილოვანი) მოპოვებულ ნუკლეუსებთან.

განვიხილოთ პალეოლითური ძეგლის „სილნარი“ ზოგიერთი ნუკლეუსი.

ნუკლეუსი მუქი მოთაფლისფრო კაჟისა, ერთფუძიანი, ნაკეთები კაჭარზე (ტაბ: 1, სურ. 1). დარტყმის მოედანი ამოზნექილია და მიღებულია რამდენიმე ფირფიტის ამტვრევის მეშვეობით.მოედნის ამოზნექილი ნაწილი შესწორებულია ფაქიზი რეტუშით და ზურგის მხარისკენაა დაქანებული. ნუკლეუსის ზურგი მთლიანადაა დაფარული კაჭრის კანით. სამუშაო ზედაპირიდან ატკეცილია სამი ფირფიტა, რომელთა ნეგატივები ურთიერთჰკვეთენ. სულ ზედა, მესამე, ნეგატივის მოყვანილობიდან ირკვევა, რომ ნუკლეუსიდან უკანასკნელად აუმტვრევიათ უსწორო სამკუთხა მოყვანილობის საკმაოდ თხელი ფირფიტა, რომლის დარტყმის მოედანი ამოზნექილ-რეტუშირებული უნდა ყოფილიყო. ნუკლეუსის ზედაპირი დაფარულია მოყავისუფრო-მოვარდისფრო მძლავრი პატინით. მისი ზომებია: სიგრძე — 8,2; სიგანე — 6,3; სისქე — 4,2 სმ.

მეორე ნუკლეუსი დამზადებულია მუქი მოთაფლისფრო კაჟის შუაზე გაპობილ კაჭარზე (ტაბ. I. სურ. 2). ნუკლეუსის ფუძე სამუშაო ზედაპირისადმი ქმნის მახვილ კუთხეს და მიღებულია ორი სხვადასხვა ზომის ფირფიტების ამტვრევის გზით. სამუშაო ზედაპირიდან ამტვრეულია არა ნაკლებ სამი ანატკეცი. უკანასკნელად მიღებული ანატკეცის ნეგატივი დარტყმის მოედანთან საკმაოდ ღრმაა და უკავია ნუკლეუსის სამუშაო ზედაპირის ნახევარი. როგორც ჩანს, აღნიშნული ნუკლეუსი განკუთვნილი ყოფილა ერთი ძირითადი ფირფიტის მისაღებად. სამუშაოს ზედაპირი და ფუძე დაფარულია მოყვითალო-მოყავისფრო მძლავრი პატინით. მისი ზომებია: 5,6×4,2×1,9 სმ.

ერთი ძირითადი ფირფიტის მისაღებად ყოფილა განკუთვნილი აგრეთვე მოყავისფრო კაჟის ოვალური მოყვანილობის კაჭარზე დამზადებული ნუკლეუსი (ტაბ. I. სურ. 3). კაჭრის გრძივი მხრის ერთი ბოლოს წამტვრევის შემდეგ იგი შუაზე გაუპიათ, ერთი ნახევრის მარცხენა კიდიდან ჩამოუმტვრევიათ საკმაოდ მასიური, მოგრძო ანატკეცი, რომლის ერთი კიდე მნიშვნელოვნად სქელი უნდა ყოფილიყო მეორეზე (თანაც კაჭრის კანით დაფარული) და მიუღიათ ერთი ძირითადი ფირფიტის ასატკეცად განკუთვნილი ნუკლეუსი. სამუშაო ზედაპირიდან მართლაც ამტვრეულია სწორკუთხა მოყვანილობის მასიური ანატკეცი, რომლის ფერდების გამყოფი წიბო ძლიერ მაღალი უნდა ყოფილიყო. ნუკლეუსის ზედაპირი დაფარულია მუქი მოყავისფრო მძლავრი პატინით, ხოლო ზურგი — კაჭრის კანით. მისი ზომებია: 6,5×6,1×3,7 სმ. ერთი ძირითადი ფირფიტის მისაღებად განკუთვნილი მსგავსი ტექნიკით დამზადებული ნუკლეუსები ცნობილია ჭიათურის რ-ნის სოფ. ჭილოვანის ტერიტორიაზე გამოვლენილ პალეოლითური ძეგლიდან „ჩურგული“[1].

ა ნ ა ტ კ ე ც ე ბ ი და ლ ა მ ე ლ ე ბ ი. „სილნარზე“ მოპოვებულ მასალათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ანატკეცები — 114 ერთეული, ლამელა კი მხოლოდ სამია. ყველა მათგანი სხვადასხვა ფერის კაჟისაა. ანატკეცების დიდ ნაწილს ზურგზე შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. ანატკეცები და ლა-

---

[1] დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მუსტიერული ხანის ძეგლები სოფ. ჭილოვანიდან (დასავლეთ საქართველო, ჭიათურის რ-ნი) ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ, XXVII—B, თბ., 1967, გვ. 11—12, ტაბ. II, სურ. 1,6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელები ტიპოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: 1. ანატკეცები და ლამელები ლევალუას ტიპის (15 ც.) და 2. არალევალუას ტიპის (— 101 ც.).[2].

მიუხედავად იმისა, რომ „სილნარზე" მოპოვებული ნუკლეუსები ერთფუძიანებია, რომელთაგან თითქოს შეიძლება მივიღოთ ლევალუას ტიპის ანატკეცლამელები, მაინც, როგორც ვხედავთ, ლევალუას ტიპის ფირფიტები კოლექციაში მცირეა, მისი ინდექსი (indice Levallois) მხოლოდ 7,4 უდრის; ეს კი იმას ნიშნავს, რომ სილნარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ძეგლთან, სადაც ქვის გაპობაში გაბატონებულია არალევალუაზური ტექნიკა.

„სილნარის" არალევალუაზური ტიპის ანატკეცებს აქვთ საერთო ნიშნები: უსწორო მოყვანილობა, მასიურობა, შესაბამისი ბურცულის რელიეფურობა, მძლავრი პატინა, დაახლოებით ერთნაირი დაცულობა და სხვ., მაგრამ მათ შორის განსხვავებაც შეინიშნება, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატება ზურგის მოყვანილობაში, დარტყმის მოედნისა და ქვედა სიბრტყეს შორის შექმნილი კუთხის არაერთნაირ სიდიდეში და დარტყმის მოედნის შესწორების ხასიათში. ეს უკანასკნელი (დარტყმის მოედნების კლასიფიკაციის ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები) კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

ნამზადები	გლუვი (შეუსწორებელი)	დარტყმის მოედანი					
		ორფერდა	სწორად დამუშავებული	ამოზნექილი ფაცეტირებული	დაზიანებული და გაურკვეველი	წაფლეთილი მეორადად დამუშავებით	ჯამი
ანატკეცები	53	2	16	—	28	—	100
სამკუთხა ანატკეცები	1	—	—	—	—	—	1
ლამელები	1	—	—	—	—	—	—
	55	2	16	—	28	—	101

განვიხილოთ ზოგიერთი არალევალუას ტიპის ანატკეც-ლამელა დარტყმის მოედნის ხასიათის მიხედვით. ტაბ. 1, სურ. 4 გამოსახული ანატკეცი მიღებული ჩანს მოთაფლისფრო-მოყავისფრო კაჟის ერთფუძიანი ნუკლეუსიდან. ზურგზე ეტყობა წინამორბედი სამი ფირფიტის ატკეცის კვალი სწორი მოყვანილობის ნეგატივების სახით. ანატკეცს ბოლოში და ნაწილობრივ მარჯვენა გვერდის კიდეზე (მცირე ფართობზე) შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ზედაპირზე ემჩნევა ნიჟარისებრი ანამტვრევის კვალი, ხოლო დარტყმის წერტილზე ძუძუსებრი წამონაზარდი. ანატკეცის ზომებია: სიგრძე — 8,1, სიგანე — 4,3, სისქე — 2,2 სმ. დაფარულია მოყვითალო-მოვარდისფრო მძლავრი პატინით.

ანატკეცი მონაცრისფრო კაჟისა (ტაბ. 1, სურ. 5) მიღებული უნდა იყოს ერთფუძიანი ნუველეუსიდან. ზურგის მხარეზე ეტყობა წინამორბედი ერთი ძირითადი ფირფიტის ატკეცის კვალი ღრმა ნეგატივის სახით. ანატკეცს მარჯვენა

[2] ანატკეცებისა და ლამელების რიცხვში შედის მათზე ნაკეთები იარაღებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზე, ბოლოში შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. დარტყმის მოედანი გლუვია, მკვეთრადაა დაქანებული ქვედა სიბრტყისკენ და ქმნის ბლაგვ კუთხეს (100° მეტს). შესაბამისი ბურცული ძლიერ რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარზე მეტი. დარტყმის მოედანი და ანატკეცის გრძივი ღერძი ერთმანეთს არ ემთხვევა. დაფარულია მოყვითალო მძლავრი პატინით. მარცხენა გვერდი ახალი დაზიანებული აქვს. მისი ზომებია: 5,1×3,6×1,5 სმ.

ლამელა მოყავისფრო კაჟისა, ორფერდა, სწორი მოყვანილობის (ტაბ. I, სურ. 6). როგორც ჩანს, მიღებული უნდა იყოს დისკოიდალური ნუკლეუსიდან. ფერდების გამყოფი წიბო მაღალია (განსაკუთრებით დარტყმის მოედანთან). დარტყმის მოედანი გლუვია და ქვედა სიბრტყესთან ქმნის საკმაოდ სწორ კუთხეს. შესაბამისი ბურცული რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. დაფარულია მოყვითალო მძლავრი პატინით. გვერდები ახალი დაზიანებული აქვს. სიგრძე — 5,6, სიგანე — 2,9, სისქე 1,0 სმ.

ორფერდა დარტყმის მოედნიანი ანატკეცები კოლექციაში სულ ორი ცალია, ერთი მათგანი (ტაბ. I, სურ. 7) გაურკვეველი ფერის კაჟისაა (დაფარულია მოყვითალო მძლავრი პატინით). ზურგზე ეტყობა წინამორბედი ერთი ფირფიტის ატკეცის კვალი არაღრმა ნეგატივის სახით. ბრტყელი ზურგის ორივე კიდეზე შემჩენილი აქვს კაჭრის კანი. ორფერდა დარტყმის მოედანი მიღებულია ურთიერთშემხვედრი ორი ფირფიტის ამტვრევის გზით. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის თითქმის მთელი ზედაპირი. სიგრძე — 3,1, სიგანე — 4,3, სისქე — 0,7 სმ.

შესწორებული (ფაცეტირებული) დარტყმის მოედნიანი ნამზადები კოლექციაში სულ 16 ცალია, ერთი მათგანი მონაცრისფრო-მოყავისფრო კაჟისა, მიღებული ჩანს ერთფუძიანი ნუკლეუსიდან. ანატკეცის ზურგი სამფერდაა. წინამორბედი ფირფიტების ატკეცის შედეგად მიღებული ნეგატივები საკმაოდ სწორია, თუმცა ღრმაა, ხოლო წიბოები მაღალი. ბოლოში შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. დარტყმის მოედანი საკმაოდ ფაქიზადაა შესწორებული ნუკლეუსზე და ქვედა სიბრტყესთან ქმნის სწორ კუთხეს. დარტყმის მოედანი და ანატკეცის გრძივი ღერძი ერთ ხაზზეა განლაგებული. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ზედაპირზე ეტყობა ნიყარისებრი წარმონაქმნი მიღებული ძლიერი დარტყმის შედეგად. გვერდები ახალი დაზიანებული აქვს. მთელი ზედაპირი დაფარულია მოყვითალო ღრმა პატინით. ანატკეცის ზომებია: 6,7×4,0×1,3 სმ.

ანატკეცი მონაცრისფრო-მოთაფლისფრო კაჟისა, ორფერდა (ტაბ I, სურ. 9). დარტყმის მოედანი გრძივი ღერძისაგან ოდნავ გვერდზეა, შესწორებულია ნუკლეუსზე და ქვედა სიბრტყესთან ქმნის 90°-ზე მეტ კუთხეს. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარი. დაფარულია მონაცრისფრო პატინით. ახასიათებს მკრთალი ლუსტრაჟი. მისი ზომებია: 3,6×2,5×1,1 სმ.

კოლექციაში წარმოდგენილია არალევალუას ტიპის 28 ც. ანატკეცი, მსგავსი ზემოთ აღწერილისა, მაგრამ დარტყმის მოედანი დაზიანებული ან გაურკვეველი აქვთ და ამიტომ მათ ცალკე დახასიათებას აღარ ვიძლევით.

არალევალუას ტიპის ანატკეცებს შორის გვხვდება 17 ცალი, რომელთაც ერთ-ერთი კიდე მთელ სიგრძეზე დაფარული აქვთ კაჭრის კანით და ბუნებრივ ზურგიან დანებს წარმოადგენენ. „სილარის“ კოლექციაში წარმოდგენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი ანატკეცებიდან 8 ცალს დარტყმის მოედანი გლუვი აქვს, 3 ც. — შესწორებული ნუკლეუსზე, 6 ცალს კი — დაზიანებული.

განვიხილოთ ერთი მათგანი. ტაბ. I, სურ. 10 გამოსახული ანატკეცი ძოყავისფრო-მონაცრისფრო კაჟისაა, დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის ოდნავ დახრილ კუთხეს. შესაბამისი ბურცული ოდნავ აქვს წამოზრდილი, მაგრამ ზედაპირზე ეტყობა ძლიერი დარტყმის შედეგად მიღებული ნიჟარისებრი წარმონაქმნი. ანატკეცის მარცხენა კიდე სქელია და დაფარულია კაჭრის კანით. ზურგზე ეტყობა წინამორბედი ორი ფირფიტის ატკეცის კვალი. მარჯვენა კიდე თხელია და ეტყობა გამოყენების ნიშნები. ანატკეცის მთელი ზედაპირი დაფარულია მოვარდისფრო მძლავრი პატინით. მისი ზომებია. სიგრძე — 9,3, სიგანე — 4,7, სისქე — 2,5 სმ.

ლევალუას ტიპის ანატკეცები და ლამელები სულ 15 ც. კოლექციაში. მათი ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში № 2.

ცხრილი 2

ნამზადები	დარტყმის მოედანი						სულ
	გლუვი, შესწორებული	ორფერდა	სწორად ფაცეტირებული	ამოზნექილად ფაცეტირებული	დაზიანებული და გაურკვეველი	ნაფთილი ფერადი ქვებისაგან	
ანატკეცები	3	—	6	2	—	—	11
სამკუთხა ანატკეცები	—	—	—	1	1	—	2
ლამელები					1	1	2
	3	—	6	3	2	1	15

ლევალუას ტიპის ანატკეც-ლამელები არც დაცულობით და არც პატინის ხასიათით არ განსხვავდებიან ზემოთ აღწერილთაგან. ესენიც მიღებულია იმავე ქანისგან ნაკეთები ერთფუძიანი ან ორფუძიანი ნუკლეუსებისაგან. ლევალუაზური ნამზადები გამოირჩევიან მხოლოდ სწორი, პროპორციული მოყვანილობით (ტაბ. I. სურ. 8), დარტყმის მოედნისა და შესაბამისი ბურცულის სიმცირით, აგრეთვე ფერდების გამყოფი წიბოების ნაკლები რელიეფურობით. ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ლევალუაზურ ნამზადებს შორის (ისევე როგორც არალევალუაზურში) შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, როგორც ფაცეტირებული (სწორად და ამოზნექილად რეტუშირებული), ისე საერთოდ, შესწორებული დარტყმის მოედნიანი (ორფერდა, სწორად და ამოზნექილად რეტუშირებული) ანატკეც-ლამელების რაოდენობა.

ფაცეტირებული დარტყმის მოედნების ინდექსი (Indise de Facettage strict) უდრის — 23,1, ხოლო შესწორების საერთო ინდექსი (Indise de Facettage Laige)— 32,1.

ფრანსუა ბორდის მიხედვით, ქვის ინდუსტრია, რომლის ნამზადების ფაცეტირების ინდექსი (IFstrict) 45%-ზე, ხოლო შესწორების საერთო ინდექსი (IF-Large) 30%-ზე ნაკლებია, მიეკუთვნება არაფაცეტირებულს; თუ ერთ-ერთი ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დექსი ნორმაზე მეტია, ინდუსტრია ფაცეტირებულია[3]. სილნარის მასალების შესწორების საერთო ინდექსი (IF Large) ნორმაზე ოდნავ მეტია (32,1), ამიტომ იგი ფაცეტირებულ ინდუსტრიას მიეკუთვნება.

განვიხილოთ ლევალუას ტიპის ზოგიერთი ნამზადი. ანატკეცი მუქი მოყავისფრო კაჟისა, ორფერდა, დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან (ტაბ. II სურ. 1). შესაბამისი ბურცული უმნიშვნელოდ აქვს წამოზრდილი და უკავია ქვედა სიბრტყის მეოთხედი. ქვედა სიბრტყეზე, დარტყმის მოედნის მახლობლად, მარჯვენა გვერდი რეტუშირებულია. მკრთალი რეტუშითაა დაფარული აგრეთვე მარცხენა გვერდის ბოლო ზურგის მხრიდან. დაფარულია მოთეთრო მძლავრი პატინით. ანატკეცის ზომებია: 6,1×3,5×1,0 სმ.

ანატკეცი მოყავისფრო კაჟისა, უწესო წრიული მოყვანილობის (ტაბ. II, სურ. 2), როგორც ჩანს, მიღებულია ლევალუაზური ნუკლეუსიდან. ზურგის ზედაპირზე კარგად ეტყობა ორი წინამორბედი ანატკეცის ამტვრევის კვალი არაღრმა ნეგატივების სახით. დარტყმის მოედანი ფართო აქვს, ოდნავაა დახრილი ქვედა სიბრტყისკენ და სწორადაა შესწორებული ნუკლეუსზე. შესაბამისი ბურცული ძლიერაა წამოზრდილი და უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარზე მეტი. ძლიერი დარტყმის შედეგად შესაბამისი ბურცულის ზედაპირიდან ამტვრეულია თხელი ფირფიტა და წარმოქმნილია ნიჟარისებური ზედაპირი. ანატკეცს კიდეები ახალი დაზიანებული აქვს. მისი ზომებია: 4,0×3,7×1,1 სმ. დაფარულია მოვარდისფრო მძლავრი პატინით.

მეორე ანატკეციც ამავე ტიპისაა, მკრთალრეტუშიანია და მიღებული ჩანს ერთფუძიანი ნუკლეუსიდან (ტაბ. II, სურ. 3). ზურგზე ეტყობა წინამორბედი სამი ფირფიტის ატკეცის კვალი არაღრმა ნეგატივების სახით. დარტყმის მოედანი სწორადაა შესწორებული ნუკლეუსზე და ქვედა სიბრტყესთან ქმნის სწორ კუთხეს. შესაბამისი ბურცული საკმაოდ რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ზედაპირზე ეტყობა ძლიერი დარტყმის შედეგად მიღებული ნიჟარისებური წარმონაქმნი. ანატკეცი დაფარულია ერთიანი, მძლავრი მოყვითალო-მოვარდისფრო პატინით. მისი ზომებია: 3,0×2,0×0,6 სმ.

ამოზნექილფაცეტირებული დარტყმისმოედნიანი ანატკეცები კოლექციაში სულ სამი ცალია. ერთი მათგანი (ტაბ. II, სურ. 4) მოყავისფრო კაჟისაა და ამტვრეული უნდა იყოს ლევალუაზური ნუკლეუსიდან. ზურგზე ეტყობა წინამორბედი რამდენიმე ფირფიტის ატკეცის კვალი არაღრმა ნეგატივების სახით. დარტყმის მოედანი ამოზნექილია და საკმაოდ გულმოდგინედაა შესწორებული ნუკლეუსზე. შესაბამისი ბურცული უმნიშვნელოდაა წამოზრდილი და უკავია ქვედა სიბრტყის მეოთხედი. ანატკეცის გვერდებს ეტყობათ გამოყენების კვალი. დაფარულია მოყავისფრო-მოვარდისფრო პატინით. მისი ზომებია: 3,9×2,3×0,7 სმ.

ლევალუას ტიპის სამკუთხა ანატკეცი კოლექციაში ერთი ცალია და ატიპიურია. იგი მოყავისფრო კაჟისაა და ამტვრეული უნდა იყოს ერთფუძიანი ნუკ-

---

[3] F. Bordes, Essai de clasification des industries. «mousteriennes», Bulletin de a sosiété préhistorique Française, t. L. № 7—8, Paris, 1953, s. 458. ვსარგებლობთ ვ. ლუბლინის შრომიდან : К вопросу о методике изучения нижнепалеолитических каменнных орудий МИА, СССР, № 31, 1965, с. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეუსიდან. ზურგზე ეტყობა 4 თუ 5 წინამორბედი ფირფიტის ამტვრევის კვალი. შესაბამისი ბურცული საკმაოდ რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარი. დარტყმის მოედანი და გვერდები ახალი დაზიანებული აქვს. დაზიანებული ადგილების გარდა დაფარულია მოყვითალო-მოვარდისფრო მძლავრი პატინით. ანატკეცების ზომებია: სიგრძე — 5,5, სიგანე — 3,8, სისქე — 1,2 სმ (ტაბ. II, სურ. 5).

„სილნარის" პალეოლითურ ძეგლზე მოპოვებულ მასალებს შორის იარაღები საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი— 21 ც. (ამ რიცხვში შედის რეტუშირებული ანატკეცებიც), რაც აქ მოპოვებული კაჟის ნაწარმის 16,8% შეადგენს. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი უკავიათ სხვადასხვა ტიპის სახოკებს (14 ც.), ორი წვეტანაა, ოთხი — რეტუშირებული ანატკეცი, ხოლო ერთი— სასაჭრისე ჩამონატეხიანი ანატკეცი.

მარტივი, ამოზნექილ სამუშაოპირიანი სახოკები სულ 7 ცალია. ერთი მათგანი (ტაბ. II სურ. 6) ჩამოყალიბებულია მოთაფლისფრო კაჟის ერთფუძიან ნუკლეუსზე. ნუკლეუსი იმავე ტიპისაა, როგორიც ტაბ. 1, სურ. 3 ვამოსახული, ე. ი. ჯერ გაუპიათ შუაზე კაჭარი, შემდეგ მისი მარჯვენა კიდიდან ჩამოუმტვრევიათ საკმაოდ ფართო და მასიური ანატკეცი, რომლის ერთი კიდე დაფარული უნდა ყოფილიყო კაჭრის კანით, და მიუღიათ ერთი ძირითადი ფირფიტის ასამტვრევად განკუთვნილი ნუკლეუსი. მართლაც, მისგან ამტვრეულია სწორი მოყვანილობის საკმაოდ სქელი (ნეგატივი ღრმაა) ორფერდა ლამელა. შემდეგ იგი გადაუკეთებიათ სახოკად. სამუშაო პირის გასაფორმებლად გამოყენებულია ნუკლეუსის მარცხენა, სწორზედაპირიანი გვერდი, რომლის კიდე მორკალულია ჯერ მსხვილფაცეტოვანი, შემდეგ კი ფაქიზი რეტუშით და მიღებულია ამოზნექილ სამუშაოპირიანი ბრწყინვალე სახოკი. სამუშაო პირის გაფორმებისას გამოყენებული რეტუშით ნუკლეუსის ზურგი, რომელიც მთლიანად დაფარული ყოფილა კაჭრის კანით, სანახევროდ შესწორებული და გათლილია. სახოკის მთელი ზედაპირი, გარდა დაზიანებული ადგილისა, დაფარულია ერთიანი, მოყვითალო-მოვარდისფრო მძლავრი პატინით, რომელიც სრულიად ფარავს კაჟის ბუნებრივ ფერს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნუკლეუსი ადრევე გადაუკეთებიათ სახოკად. სახოკის ზომებია: სიგრძე — 6,1, სიგანე — 5,1, სისქე — 2,1 სმ.

სახოკი მარტივი, ამოზნექილი, ნაკეთები მოყავისფრო კაჟის არალევალუას ტიპის ანატკეცზე (ტაბ. II, სურ. 7), დარტყმის მოედანი წამტვრეული აქვს. ზურგზე ეტყობა რამდენიმე წინამორბედი ფირფიტის ამტვრევის კვალი უსისტემოდ განლაგებული ნეგატივების სახით. ამოზნექილი სამუშაო პირი ნაკეთებია ანატკეცის მარცხენა გვერდზე და ჩამოყალიბებულია მახვილფაცეტოვანი, საფეხურებიანი რეტუშით, რომელიც ნაწილობრივ ანატკეცის ზურგზეც გადადის. ანატკეცის ორივე ზედაპირი დაფარულია მოყვითალო მძლავრი პატინით, ხოლო სამუშაო პირი და დარტყმის მოედნის წამტვრევის ადგილი უფრო ღია ფერის პატინით. აღნიშნული ფაქტი შესაძლებელია მიუთითებდეს იმ გარემოებაზე, რომ იარაღის დასამზადებლად გამოყენებული იყო რამდენადმე უფრო ძველი ანატკეცი. მისი ზომებია: 5,2×4,3×1,5 სმ.

სახოკი, მარტივი ამოზნექილი, ნაკეთები მონაცრისფრო-მოთაფლისფრო კაჟის არალევალუას ტიპის მასიურ ანატკეცზე. ზურგის ზედაპირზე ეტყობა ორი ფირფიტის ატკეცის კვალი საკმაოდ ღრმა ნეგატივების სახით. დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის ოდნავ დახრილ ბლაგვ კუთხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარტყმის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარზე მეტი. მის ზედაპირზე, დარტყმის წერტილის მახლობლად, კარგად ეტყობა ნიჟარისებური წარმონაქმნი. სახოკის სამუშაო პირი გაფორმებულია ანატკეცის მარცხენა გვერდზე. რეტუში საკმაოდ ღრმად გადადის ანატკეცის ზურგზე (ტაბ. II, სურ. 8). ანატკეცს ბოლო მოტეხილი აქვს, ნაწილობრივ დაზიანებულია სახოკის სამუშაო პირიც. დაფარულია მოთეთრო-მოვარდისფრო პატინით. სიგრძე — 5,1, სიგანე — 4,2, სისქე — 1,9 სმ.

ამოღარული სახოკები სულ 5 ცალია, ერთი მათგანი (ტაბ. II, სურ. 11) ნაკეთებია კაჟის მასიურ, არალევალუას ტიპის ანატკეცზე. დარტყმის მოედანი მკვეთრადაა დაქანებული ქვედა სიბრტყისკენ და ქმნის ბლაგვ კუთხეს, შესაბამისი ბურცული ძლიერ რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის თითქმის მთელი ზედაპირი. დარტყმის წერტილზე კარგად შეიმჩნევა ძუძუსებრი წამონაზარდი. ზურგის მხარზე ეტყობა წინამორბედი რამდენიმე ფირფიტის ამტვრევის კვალი არაღრმა ნეგატივების სახით. სახოკის სამუშაო პირი გაფორმებულია ანატკეცის მარცხენა გვერდზე პერპენდიკულარული, თანამიმდევრული რეტუშით. სამუშაო პირი ფართო (2,2 სმ) და ღრმაა (0,5 სმ), ანატკეცის ორივე ზედაპირი (სამუშაო პირის ჩათვლით) დაფარულია მოყვითალო ერთიანი მძლავრი პატინით, რომელიც სრულიად ფარავს კაჟის ბუნებრივ ფერს. იარაღის ზომებია: 5,0×4.6×1,9 სმ.

მეორე სახოკი ნაკეთებია არა ლევალუას ტიპის ორფერდა ანატკეცზე, რომლის დარტყმის მოედანი ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი და ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებრი წარმონაქმნი. ამოღარული სამუშაო პირი გაფორმებულია ანატკეცის მარცხენა გვერდზე, მუცლის მხრიდან (ცაბ. II, სურ. 9). სამუშაო პირი საკმაოდ ფართოა (2,0 სმ) და ღრმა (0,3 სმ), მთლიანადაა დაფარული მოყვითალო, ერთიანი მძლავრი პატინით. სახოკის ზომებია: 5,3×3,1×1,2 სმ.

ლამელა კაჟისა, ლევალუას ტიპის, ორფერდა, ირგვლივ რეტუმირებული, დარტყმის მოედანი წათლილი აქვს მეორადი დამუშავებით (ტაბ. II, სურ. 10).

სახოკი მოყავისფრო კაჟისა, მარტივი, ამოზნექილი, ნაკეთები ლევალუას ტიპის სამფერდა ანატკეცზე (ტაბ. II, სურ. 12). დარტყმის მოედანი ოდნავ ამოზნექილი აქვს და შესწორებულია ნუკლეუსზე. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მეოთხედი, ზედაპირზე ეტყობა ძლიერი დარტყმის შედეგად მიღებული ნიჟარისებური წარმონაქმნი. ანატკეცის მარცხენა გვერდი სწორია და დაუმუშავებული, მარჯვენა გვერდი კი მორკალურია და შესწორებული თანამიმდევრული არაღრმა რეტუშით ისე, რომ არ ცვლის ანატკეცის თავდაპირველ მოყვანილობას. იარაღის მარცხენა გვერდი და წვერი დაზიანებულია. დაფარულია მოვარდისფრო მძლავრი პატინით. იარაღის ზომებია: 5,8×3,1×0,7 სმ. სახოკი კონვეგენტური (ტაბ. II, სურ. 13), ნაკეთები მოყავისფრო კაჟის ლევალუას ტიპის ორფერდა, სქელ ანატკეცზე. ანატკეცის ფერდების გამყოფი ქედი ძლიერ მაღალია, რის გამოც, ანატკეცის შუა ნაწილის განივკვეთი ტოლფერდა სამკუთხედს უახლოვდება, დარტყმის მოედანი ანატკეცის გრძივი ღერძის ოდნავ გვერდზეა, გლუვია და ქვედა სიბრტყესთან ქმნის სწორ კუთხეს. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ზედაპირზე ეტყობა ძლიერი დარტყმის შედეგად მიღებული ნიჟარისებური წარმოქმნი. სახოკის ორივე გვერდი დამუშავებულია ფართოფაცეტებიანი რეტუშით, რომელიც ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღის ზურგზეც გადადის (ქედამდე). იარაღს ეტყობა გამოყენების კვალი. დაფარულია მოყვითალო-მოვარდისფრო ერთიანი მძლავრი პატინით, რომელიც სრულიად ფარავს კაჟის ბუნებრივ ფერს. მისი ზომებია: სიგრძე — 6,3, სიგანე — 3,1, სისქე (უდიდესი) — 1,6.

ასეთია „სილნარის" პალეოლითური ძეგლის ქვის ინვენტარი.

რაც შეეხება „სილნარის" მასალების ასაკს, იგი, ჩვენი აზრით, მუსტიეს ეპოქის ადრეულ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. ამაზე მიუთითებს ერთფუძიანი უხეში ნუკლეუსების სიჭარბე, ანატკეცების უჩვეულო ნოყვანილობა, მასიურობა, დარტყმის მოედნისა და შესაბამისი ბურცულის სიდიდე, ანატკეცების ზურგის ნეგატივების სიღრმე-რელიეფურობა, მძლავრი პატინა და სხვ. სილნარის მასალები ქრონოლოგიურად ახლოს დგას ჭიათურის რაიონის სოფ. ჭილოვანის ტერიტორიაზე, ადგილ ჩურგულზე გამოვლენილ კოლექციასთან.

„სილნარის" მუსტიეური ხანის ქვის ინვენტარი დაცულია საქ. მეცნ. აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ძველი ქვის ხანის ფონდში.

Д. М. ТУШАБРАМИШВИЛИ

МУСТЬЕРСКАЯ СТОЯНКА-МАСТЕРСКАЯ СИЛНАРИ

(селение Скиндори, Чиатурский район, Груз. ССР)
(*Табл. I — II*)

Резюме

Палеолитический памятник «Силнари» расположен на восточной окраине сел. Скиндори (Чиатурский р-н), около песчанного карьера, на гребне возвышенного места, который с одной стороны обращен к ущелью Гургумела, а с другой — к селению Скиндори.

Памятник обнаружен квирильской археологической экспедицией в 1957 году, добавочно материал был собран в 1958 году. Кремневый инвентарь был собран на ограниченной поверхности пахотной земли. Шурф заложенный для выявления культурного слоя результатов не дал. Надо полагать, что кремневый материал на дневную поверхность попал в результате локального размыва грунта.

На палеолитическом памятнике Силнари в 1957—1958 годах всего было найдено 128 предметов, из них 12 нуклеусов, остальные отщепы, пластины и орудия разного вида. Отщепы и пластины типологически разделяются на две большие группы:

1) Леваллуазские (15 штук) и
2) Нелеваллуазские (101 штука).

Индекс леваллуа составляет 7,4. Следовательно в технике расщепления камня на палеолитском памятнике «Силнари» преобладают нелеваллуизские приемы, а по подправке ударных площадок па-

мятник относится к фассетированной индустрии (индекс общей подправки 31,1). Среди орудий (Всего 21) ведущее место занимают скребла.

По грубому облику нуклеусов, массивности и неправильных очертаний отщепов, по примитивной технике обработки орудий кремневый инвентарь из Силнори относится к ранней ступени мустьерской эпохи.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ღლონტი

წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელეგის სამაროვანზე

(ტაბ. III-V)

ქვაცხელას სამაროვნის № 2 სამარხს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ნამოსახლარის სამაროვნებზე გათხრილ სამარხთა შორის. ის გამოირჩევა ყველა დანარჩენი სამარხისაგან აღნაგობით, დაკრძალვის წესით და ინვენტარით. გარდა ამისა, მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალ სამაროვანზე არ მოიპოვება სხვა სამარხი, რომლის დათარიღება ამგვარი სიზუსტით იყოს შესაძლებელი, რადგანაც, ერთი მხრივ, მასზე გადადის ნასოფლარის C_1 ფენა (№ 8 შენობა), რომელიც თარიღდება ძვ. წ. 2800 წ., მეორე მხრივ—კი მის ქვეშ არის უფრო ადრეული სამარხი.

ქვაცხელას № 2 სამარხში არის როგორც რიგითი, ისე განსაკუთრებული ხასიათის ნივთები, რომლებიც მნიშვნელოვანია საზოგადოების სოციალური და კულტურული დონის დასადგენად; მისი ინვენტარის შედარება ქვედა იარუსის სამარხებსა და C_1 ფენის ანალოგიურ მასალასთან, საშუალებას იძლევა გაირკვეს — ხდება თუ არა რაიმე ცვლილება დროის იმ მონაკვეთში, რომელშიც ისინი ექცევიან. ცხადია, თავისთავად გამოსარკვევია, თუ რამდენად ხანგრძლივია ეს მონაკვეთი. ამიტომ, პირველ ყოვლისა, გავიხსენოთ ამ სამარხის აღმოჩენის ვითარება და სტრატიგრაფიული მდგომარეობა. № 2 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 სმ დაშორებით აღმოჩნდა კიდევ ერთი № 4 სამარხის ფრაგმენტი. ის უშუალოდ იყო მოქცეული C_1 ფენის № 8 შენობის ქვეშ. ამ შენობის ოთახის და დერეფნის გამყოფი კედელი მთელ სიგრძეზე ჭრიდა სამარხს, რომელიც ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ — სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. № 8 შენობას თითქმის მთლად გაუნადგურებია სამარხი, მისგან გადარჩენილი იყო ჩონჩხის წელსზევითა ნაწილი, ხოლო ინვენტარიდან — ქვის პატარა ბრტყელი მძივი. სამარხის ორმო ღრმა არ უნდა ყოფილიყო, რადგან მას შერჩენილი ჰქონდა ქვაყრილის ნაწილი, ხოლო ძირი მოდიოდა 46 სმ სიღრმეზე. № 2 და № 4 სამარხების მდებარეობა და აღმოჩენის ვითარება აშკარად მოწმობს, რომ ისინი სამაროვნის ერთ დონეს ეკუთვნიან. უშუალოდ № 4 სამარხის ქვეშ აღმოჩნდა № 5 სამარხი. ორიენტაციით და დაახლოებითი ზომით — 1,25×0,80×0,43-ის არ განსხვავდებოდა ზედა სამარხისაგან. გრუნტში ჩაჭრილ ორმოში მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ ესვენა ერთი ჩონჩხი. მის წინ იდგა ორი ჭურჭელი და ძვლის მოზრდილი კვირისტავი; ყელისა და გულმკერდის არეში აღმოჩნდა ვოლუტებიანი სპილენძის საკინძი, სპილენძის ბიკონუსური მძივი, ვერცხლის ხვიები და სარდიონის, მთის ბროლის და მინისებური პასტის მძივები. ამრიგად, თუმცა უშუალოდ № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარხის ქვეშ არ არის რაიმე სამარხის ნაშთი, მისი მდებარეობა სამაროვნის პირველი იარუსის თავზე ეჭვს არ იწვევს.

თუ ლითონის ნივთების ფორმები ადრეულ ხანაში არ განიცდის სწრაფ ცვალებადობას, სამაგიეროდ კერამიკა ამ მხრივ უფრო ცვალებადია. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ზემოხსენებული სამარხის თიხის ორი ჭურჭელი და ქვაცხელას ნამოსახლარის C_1 ფენის ამავე ტიპის ჭურჭლები, რათა ნათელი გახდეს რა დიდი ცვლილება განუცდია სამყურა ქილასა და ცალყურა ჯამის ფორმებს. ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებას საკმაო დრო დასჭირდებოდა. რაკი სამაროვნის პირველ იარუსზე უშუალოდ დევს მეორე იარუსი, ხოლო ეს უკანასკნელი განადგურებულია ნასახლარის C_1 ფენის შენობისაგან, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ეს სამაროვნები მიეკუთვნებიან შესაბამისად ნასახლარის C_2 და C_3 ფენებს და ქრონოლოგიურად ექცევიან მეოთხე ათასწლეულის ბოლო საუკუნეში.

მივუბრუნდეთ უშუალოდ № 2 სამარხს —ის მდებარეობდა Bd 03, 04, 93, 94 კვ-ში, 15 სმ სიღრმეზე. ზემოდან მას ეფარა NS ხაზზე მიმართული რიყის ქვის უწესრიგო გროვა, რომელსაც დაახლოებით კვადრატული (1,9×2,30) მოყვანილობა ჰქონდა. ქვაყრილის S და N ნაპირის გაყოლებაზე, მთელ სიგრძეზე ვიწრო ზოლად ამოცლილი იყო ქვების რამდენიმე ფენა. SO კუთხით სამარხის ქვაყრილი ებჯინებოდა C_1 ფენის № 8 შენობის ოთახის და დერეფნის გადაბმის კუთხეს. ეს შენობა გადადიოდა სამარხზე და ქვაყრილში ამოღებული გრძივი ზოლი მის დერეფნის ჩრდილო-დასავლეთის კედლის ნაკვალევს წარმოადგენდა. ქვაყრილის ქვეშ, უშუალოდ გრუნტში ჩაჭრილი იყო ოთხკუთხა მოყვანილობის ორმო (1,9×2,3×0,9) აგრეთვე ამოვსებული რიყის ქვით. ორმოს კედლებზე წესიერ რიგებად მოწყობილი იყო საგანგებოდ შერჩეული ბრტყელი რიყის ქვები. ორმოში აღმოჩნდა ორი ჩონჩხი, დასვენებული გვერდზე, პირისპირ, ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ, მარცხენა გვერდზე, ე. ი. აღმოსავლეთით მდებარე ჩონჩხი მეორესთან შედარებით მსხვილი იყო და ალბათ მამაკაცს ეკუთვნოდა. თავის ქალებსა და კედელს შორის იდგა თიხის სამი ჭურჭელი. მარჯვენა გვერდზე მდებარე ჩონჩხის თავის ქალაზე წამოცმული იყო თხელფურცლოვანი სპილენძის გახსნილი დიადემა. დიადემაზე გამოხატული სახეების მიხედვით ჩანს, რომ ის თავდაღმა ყოფილა დახურული[1]. ამავე ჩონჩხის მარცხენა მკლავზე აღმოჩნდა სპილენძის ორხვია, ზურგწიბოიანი სამაჯური; ყელის და გულმკერდის არეში მიმობნეული იყო მძივები: სპილენძის, ბიკონუსური — 12 ცალი; სპილენძის, სამნაწილედი — 4 ცალი; სარდიონისა და პასტის — 70 ცალი; სარდიონის სამკუთხა საკიდი — 1 ცალი, ზურგს უკან, ხერხემლის არეში აღმოჩნდა ვერცხლის მავთულის 4 ხვია.

ამ ხანაში ამიერკავკასიაში ცნობილია სამარხთა რამდენიმე განსხვავებული ტიპი[2]: მარტივი ორმოსამარხები (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელა), ქვაყრილიანი,

---

[1] ამის მიზეზი შეიძლება იყოს დაკრძალვის დროს აჩქარება, ან, პირიქით, რაიმე წესი.

[2] სამარხთა ტიპების გავრცელების თვალსაზრისით, ერთი ზოგადი დაკვირვება შეიძლება მოვახდინოთ: სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მტკვარ-არაქსის კულტურის გარკვეულ საფეხურზე, ამიერკავკასიის ჩრდილო ნაწილში (მტკვრის ჩრდილოეთით) გავრცელებულია მხოლოდ ქვაყრილიანი სამარხები და ყორღანები, იმ დროს, როცა მტკვრის სამხრეთით ცნობილია ძირითადად აკლდამის და ქვაყუთის ტიპის სამარხები. ხოლო გვიან საფეხურზე ყორღანებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოთი და უორმოოთ (ძაღინა დას. უბანი, ქვაცხელას ტვლეპიას წყაროს სამაროვანი); ქვაყუთები (ოზნი და თეთრი წყარო); აკლდამები (არდისუბანი, კიკეთი, ამირანის გორა, სამშვილდე); ყორღანები (საჩხერე, ტყვიავი, სამგორი). სამარხთა ამ ტიპებში დაკრძალვის მრავალფეროვანი წესია დადგენილი—მოკიდებული კოლექტიური თუ ინდივიდუალური დასაფლავებიდან და დამთავრებული ისეთი სხვაობით, როგორიცაა, მაგალითად, მიცვალებულის დამხრობა, პოზა, ინვენტარის შედგენილობა და სხვ. თითოეულ მათგანს ალბათ თავისებური ახსნა მოეძებნება სოციალურ ვითარებაში, წესჩვეულებაში, სარწმუნოებრივ წარმოდგენებში და სხვ.

ხშირად თვით ერთ სამაროვანზე ვხვდებით როგორც სხვადასხვა ტიპის სამარხებს, ისე დაკრძალვის განსხვავებულ წესებს. ამას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, აქვს თავისებური მიზეზი, რომელთა ახსნა ყოველთვის ვერ ხერხდება. ქვაცხელას № 2 სამარხი უნდა იყოს გარდამავალი ტიპი ორმოსამარხებსა და ორმოიან ყორღანებს შორის.

განვიხილოთ სამარხის ინვენტარი. როგორც ითქვა, აქ აღმოჩენილია თიხის 3 ჭურჭელი — ორი ქილა და ერთი ჯამი (ბადია) (ტაბ. III). ორივე ქილა თითქმის ერთი ზომისა და მოყვანილობისაა — პირფართო; განიერი, ოდნავ გამოყვანილი ყელით, ბრტყელი ძირით, გარდატეხის ხაზი მუცლის ზედა ნაწილშია. ჭურჭლები ვარდისფერკეციანია, მონაცრისფრო-მოყავისფრო ზედაპირით და ვარდისფერი სარჩულით. ყელი შიგნიდან წითლადაა შეღებილი. ერთის სიმაღლე უდრის 29 სმ, მეორესი — 29,5 სმ; შესაბამისად პირის d — 30,9 სმ და 30,7 სმ; მუცლის d — 33,5 და 31 სმ; ძირის d — 10,8 და 14,5 სმ, როგორც ვხედავთ, ქილები არსებითად ერთნაირია, მაგრამ მათ გააჩნიათ ერთი მცირე თავისებურება, რომელიც განსაზღვრულ იერს ანიჭებს: ერთი ქილის (15 —55: 1112) მუცლის ზედა ნაწილი გარდატეხის ხაზიდან თანაზომიერად აგრძელებს ქვედა ნაწილის მომრგვალებას და თანდათანობით გადადის ყელპირის მოხრილობაში. მეორე ქილას გააჩნია მკვეთრად ტეხილი პროფილი იმის გამო, რომ გარდატეხის ხაზის ზემოთ ქილის ზედა ნაწილი მკვეთრად კონუსურად ვიწროვდება და შემდეგ თანდათან გადადის ყელპირში. ეს თავისებურება ახასიათებს აგრეთვე ამ სამარხის მესამე ჭურჭელს — ღრმა, ცალყურა, პირფართო ჯამს, შუაზე გარდატეხის მკვეთრი ხაზით, ისიც ვარდისფერკეციანია და გააჩნია მოყავისფრო ზედაპირი და წითლად შეღებილი სარჩული. მისი სიმაღლე — 18 სმ, პირის d — 33,9 სმ, მუცლის d — 29 სმ, ხოლო ძირის d—9 სმ.

ხსენებული სამი ჭურჭელი ძირითადად არ განირჩევა ამ სამაროვნის სხვა სამარხებში მოპოვებული კერამიკისაგან, იგი ტიპიური მტკვარ-არაქსულია, ნაძერწია ხელით, დახვეწილად, ქსოვილის გამოყენებით, ან უბრალოდ, განსხვავებული სისქისა და სტრუქტურის თიხისაგან; ჭურჭლის ზედაპირი ხშირად გაპრიალებულია, ზოგჯერ გვხვდება გაუპრიალებელი ცალებიც. ჭურჭლის დანიშნულებისა და შესაბამისი ფორმების, ძერწვისა და გამოწვის ტექნიკის, მეფერილობისა და შემკულობის მრავალფეროვნების მიუხედავად, კერამიკა გამოირჩევა ყველა მათგანისათვის საზოგადო მოხაზულობით და იერით, რომელსაც ქმნის ძირითადად მათი ერთგვაროვანი აგებულება — შებერილი წიბომუცლიანი კორპუსი, გამოყვანილი ყელი, გადაშლილი პირი, კონუსური ძირი და ბრტყელი პატარა ფუძე; ამ კერამიკული კომპლექსის მთელი მრავალნაირობა მიღწეულია ჭურჭლის ხსენებული ნაწილების დანიშნულების შესაბამისი სხვადასხვაგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაფარდობით. სამარხში აღმოჩენილი კერამიკა ნასახლარის კერამიკასთან შედარებით ნაკლებად დიფერენცირებულია, გარდატეხის ხაზი მუცლის ზემო ნაწილში აქვს. ყელი ცილინდრულია, რის გამო უფრო არქაული იერი აქვს.

თუმცა როგორც ქვაცხელას ნამოსახლარზე, ისე მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ძეგლებზე — თრიალეთი, ქულბაქები, საჩხერე, ამირანის გორა, შენგავითი, ქიულთეფე და სხვ. — მრავლად არის № 2 სამარხის ქილების ტიპის ჭურჭელი. მათ მაინც თავისებური იერი აქვთ. რაც შეეხება ჯამს (ბადია), ო. ჯაფარიძის სამართლიანი დაკვირვებით ამ ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელია მხოლოდ მტკვრის აუზისათვის.

№ 2 სამარხში მოპოვებული სამკაულში გამოირჩევა სარდიონის, ქალცედონის და პასტის მძივები (ტაბ. IV სურ. 1). მათ შორის განსაკუთრებით იშვიათია სარდიონის მძივსაკიდი. ის დამზადებულია დაბალხარისხოვანი ბაცი ვარდისფერი სარდიონისაგან — გახეხვა-გაპრიალებით და წარმოადგენს ბრტყელ, მოგრძო სამკუთხედს, ზომით 2×1,5 მმ; წვერისაკენ ოდნავ გამსხვილებულია და აქვე აქვს განივი ნახვრეტი. ქვედა კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ამავე ჯიშის სარდიონისაგან არის დამზადებული სფერული, ოდნავ დაბრტყელებული მომსხო მძივი, დიამეტრით 1,7 სმ, მსხვილი, ორმხრივი ძაბრისებური ნახვრეტით.

ამავე სამარხში არის 57 ცალი ბაცი ფერის სარდიონისავე მრგვალბრტყელი, ორმხრივ გახვრეტილი სხვადასხვა ზომის მძივი, დამუშავებული გახეხვა-გაპრიალებით. მათი ზომები მერყეობს 13-დან 6 მმ-მდე. აქვეა მთის ბროლის 2 ცალი პატარა მრგვალბრტყელი მძივი, ცილინდრული მოყვანილობის რბილი ჯიშის ქვის თუ მინისებური პასტის მძივმილაკი 10 ც., და ამავე მასალის ბიკონუსური ერთი მძივი.

მართალია ქვის მძივები ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე, სადაც ისინი ჩვეულებრივ ერთეულებით მოიპოვება, მაგრამ სარდიონის მძივების ასეთი რაოდენობით ერთად აღმოჩენის სხვა შემთხვევა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. განსაკუთრებით უცხოდ გამოიყურება სარდიონის სამკუთხა საკიდი. მსგავსი საკიდი მოიპოვება საჩხერის მასალებში[3], სადაც მისი ადრეული ხანისათვის მიკუთვნება საეჭვოდ იყო მიჩნეული. ქვაცხელას აღმოჩენის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ნამდვილად ადრებრინჯაოს ხანისაა.

როგორც ვიცით, სარდიონისა და პასტის მძივების გარდა № 2 სამარხში აღმოჩნდა ლითონის მძივებიც (ტაბ. IV სურ. 2). ისინი გამოირჩევიან ზომით, ფორმითა და ლითონის შედგენილობით. 13 ცალი მსხვილი ბიკონუსური მძივი, გრძივი ნახვრეტით; ხასიათდება მოთეთრო, ვერცხლისფერი ელვარეებით. ზოგიერთ მათგანს ემჩნევა გრძივი ნაწიბური, რაც შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ ის დამზადებულია ჭედვით; ზოგიერთს ასეთი ნაწიბური არ გააჩნია, მეტად საინტერესოა ამ მძივების ქიმიური შემადგენლობა, რითაც ისინი განსხვავდებიან ამ პერიოდის ლითონის სხვა ნივთებისაგან; კერძოდ, დარიშხანის რაოდენობა აქ მეტად დიდია და მერყეობს 22,70%-დან 14, 63%-მდე. ამის გამო სრულიად შეცვლილია შენადნობის თვისებები — სპილენძს დაეკარგა მისთვის დამახასიათებელი მოწითალო ფერი და მოთეთრო ვერცხლისებური შეფერილობა მიიღო, რამაც სრულიად განსხვავებული გარეგნობა მისცა მძივს. სპეციალისტები

---

[3] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 181, ტაბ. XIII, სურ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავენ, რომ ასეთი შედგენილობის შენადნობს გააჩნია კარგი საჩამოსხმო თვისებები — დნობის შედარებით დაბალი ტემპერატურა და კარგი თხევადდენადობა. სამაგიეროდ უარესდება შენადნობის მექანიკური თვისებები — ის იმდენად მყიფეა, რომ მისი დამუშავება წნევით და ჭედვით თითქმის შეუძლებელია. აღნიშნავენ იმასაც, რომ საქართველოში დღემდე უცნობია სპილენძის ისეთი მადნები, რომლებიც შეიცავენ დარიშხანის დიდ რაოდენობას და 22% დარიშხანის არსებობა ზემოაღნიშნულ მძივში მოწმობს, რომ დარიშხანი მასში ხელოვნურად არის შეტანილი. მართლაც შეიმჩნევა, რომ წიბურიან მძივებს, რომლებიც მოკეცვით უნდა იყოს დამზადებული, ოდნავ გადაკრავს სპილენძის ფერი, ე. ი. მასში დარიშხანი ნაკლები რაოდენობით არის შეტანილი. ამრიგად ირკვევა, რომ ლითონის წვრილი ნივთების დამზადების ტექნოლოგია ამ დროს საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ამასვე მოწმობს № 2 სამარხში აღმოჩენილი 4 პატარა მძივ-მილაკი მცირე შესქელებებით შუაში და ბოლოებში.

მსგავსი მძივები ამ პერიოდის სხვა ძეგლებზე ჩვენ არ გვეგულება, მხოლოდ ისევ ქვაცხელაზე, ტვლეპიას — წყაროს სამაროვანზე ნაპოვნია ამავე შენადნობის, კასრისებური მოყვანილობის ჩახვეული მძივები.

როგორც აღვნიშნეთ, № 2 სამარხში მარჯვენა ჩონჩხის ზურგთან, ხერხემლის არეში, აღმოჩენილი იყო ვერცხლის ხვიები (ტაბ. IV სურ. 3), რომლებიც დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებში დაწვრილებული მავთულისაგან; მათი დიამეტრი 10-15 მმ შორის მერყეობს. ორნახევრიანი სპირალები საკმაოდ მჭიდროდ არის ჩახვეული და საფიქრებელია, რომ ნაწნავზე წამოსაცმელად იყო განკუთვნილი. ხვია მარტივი სამკაულია, ადრეა გაჩენილი და დიდხანს იყო ხმარებაში; მისი უძველესი ნიმუშები ცნობილია ურის სამაროვანზე; კავკასიაში მან განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა ადრეული ბრინჯაოს ხანაში—მტკვარ-არაქსის კულტურაში; აქ ცნობილია სპილენძის, ბრინჯაოს, ტყვიის, ვერცხლის და ოქროს ხვიები.

არსებითად ხვიასავე წარმოადგენს ბრინჯაოს მსხვილი (დმ—7,5 სმ), ზურგწიბოიანი ორსპირალური სამაჯური (ტაბ. IV, სურ. 4) დამზადებული ჭედვით. ასეთი სამაჯურები ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სამკაულია. სამაჯურის ანალოგიები მრავლად მოიძებნება საქართველოში და მის გარეთ. მაგალითად, საჩხერის რამდენიმე პუნქტში არის როგორც ერთი, ისე მრავალსპირალურად ჩახვეული ცალები, ოზნის ერთ-ერთ სამარხში, ძალინას სამაროვანზე და სხვ.

ჯერჯერობით სრულიად უნიკალურია სამარხში აღმოჩენილი დიადემა (ტაბ. V). ის დამზადებულია სპილენძის შენადნობისაგან, რომელშიც შეტანილია 1,5% დარიშხანი; გარდა ამისა, მასში არის მცირე რაოდენობით ტყვია, რკინა, ანთიმონი, ვერცხლი და ოქრო, რაც მადნისეულ მინარევებს წარმოადგენს. ასეთი შემადგენლობის ლითონი კარგი მექანიკური თვისებებით ხასიათდება და, როგორც ჩანს, საგანგებოდ არის მიღებული, რადგან მისგან უნდა დაემზადებინათ თხელფირფიტოვანი ლენტი. მართლაც, კვერვით დამუშავების კვალი ფირფიტაზე აშკარად შეიმჩნევა. გამოკვერვის შემდეგ ფირფიტა შემოჭრილი ყოფილა და ამ გზით მიუღიათ ბოლოებისაკენ თანდათანობით დავიწროებული და ბოლოებმომრგვალებული 45 სმ სიგრძის სარტყელი, რომელიც წრიულად არის მოხრილი. მისი სიგანე შუაში 4 სმ უდრის, ბოლოებში კი 2 სანტიმეტრამდე მცირდება. მომრგვალებულ ბოლოებში გაკეთებულია სამ-სამი წრიული ნახვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტის მწკრივი, რომლებშიც შესაკვრელი თასმა უნდა ყოფილიყო გაყრილი; ფირფიტის სისქე მერყეობს 0,5 — 0,7 მმ შორის.

დიადემა საგრძნობლადაა დაზიანებული — ძლიერ კოროზილებულია, გატეხილია სამად, ალაგ-ალაგ ამოტეხილი, ნაპირებშემომტვრეული და ნაკლულია. ამის მიუხედავად, შესაძლებელია დიადემის საერთო სახის და შემკულობის სრულად აღდგენა.

შეკრული სახით დიადემის დიამეტრი 14 სმ უნდა ყოფილიყო. ამრიგად, მისი თავზე წამოცმა შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, ის ან კოპივით უნდა ყოფილიყო დადგმული თმის ვარცხნილობაზე, თუ საგანგებო თავსაბურავზე, ან შუბლზე იქნებოდა შემოკრული და უკან მხოლოდ თასმის საშუალებით მაგრდებოდა. ამ შემთხვევაში კეფაზე ის 15-იოდე სანტიმეტრით უნდა ყოფილიყო გახსნილი. რადგან in situ მდგომარეობაში დიადემა შუბლზე იყო შემოჭდობილი, საფიქრებელია, რომ ის მეორენაირად იყო გამოყენებული — გაკეთებული.

დიადემის ზედაპირი სავსებით გლუვია და საგანგებო შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ გამოკვერვის შემდეგ ის გახეხილ-გაპრიალებული ყოფილა.

დიადემა შემკულია სიმეტრიული გრაფიკული ნახატით, რომელიც შესრულებულია ზურგიდან თეგის დარტყმით ზედაპირზე ამოყვანილი წერტილებით. ცნობილია, რომ ზედაპირზე წერტილოვანი ბურცობები შეიძლება მიღებული იქნეს ტვიფრვით ან თეგით. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს თეგი მრგვალი თავით, რომლის დიამეტრი 1,2 მმ უდრის[4].

დიადემაზე გამოსახული სიმბოლური კომპოზიცია შემოჩარჩოებულია, სწორად შემოჭრილი ნაპირების გაყოლებაზე გავლებულია წერტილოვანი თითო ხაზი — ჩარჩო, რომელიც შესაკრავ ნახვრეტებამდე აღწევს და აქ მოავრდება წერტილებითვე შესრულებული სამმაგი ვერტიკალური ხაზებით. შემოჩარჩოებული ზედაპირი დაყოფილია ხუთ არედ; ცენტრალურ არეს გვერდებიდან ფარგლავს ჰორიზონტალურად დაწვენილი ტეხილხაზოვანი — მაგვარი სახე, შედგენილი სამმაგი წერტილოვანი ხაზებით. მის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე ორ-ორი სწორკუთხა არე გამოყოფილია თითო ვერტიკალური სამმაგი ხაზით.

ცენტრალურ არეზე შუაგულში გამოხატულია ამობურცული წერტილებისგან შედგენილი წრე, გვერდითა არეებზე — მისკენ მიმართული თითო ხარირემი გრძელი ტალღოვანი რქებითა და მკვეთრად გამოხატული სასქესო ნიშნით; უკიდურეს არეებზე კი — აგრეთვე ცენტრისაკენ მიმართული თითო წერო და, მის უკან, დისკო. სიმეტრიულობის მიუხედავად, ერთიდაიგივე ფიგურები ზუსტად არ მეორდებიან. ყოველ მათგანს აქვს თავისებური სახე. მაგალითად, ერთ წეროს ზურგი მორკალული აქვს, მეორეს კუთხოვანი; ერთ ირემს — ჩაზნექილი ზურგი და ძლიერ ტალღოვანი რქები, მეორეს კი სწორი ზურგი, ნაკლებ ტალღოვანი რქები. მცირედ განსხვავებულია ფიგურების ზომებიც. მომაჩარჩოებელი ხაზები არ არის სავსებით სწორი და თანაბრად ურთიერთდაშორე-

---

[4] ი. ანდრიაშვილი. ადრებრინჯაოს ხანის ქართული თეგური ხელოვნების ნაკეთობათა ტექნოლოგიური კვლევისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 171. ტექნოლოგიის აღწერისას ვსარგებლობთ ამ ნაშრომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული. ერთი სიტყვით, ნახატი შესრულებულია გაბედულად და თავისუფლად, რაც სქემატურობის მიუხედავად მათ ცოცხალ სახეს აძლევს.

ამრიგად, დიადემაზე წარმოდგენილია სიუჟეტური კომპოზიცია, რომლის ცენტრში გამოსახულია ღვთაება — მზე თავისი ატრიბუტებით —ირმებითა და წეროებით — და ორი ასტრალური ღვთაება — მთვარე და ცისკრის ვარსკვლავი. ხარირემი რომ აქ გამანაყოფიერებელ ძალას გამოხატავს, ეს ეჭვგარეშეა; ფრინველი, კერძოდ წერო, როგორც ბუნების გამოღვიძების, გაზაფხულის მომასწავებელი ფრინველი ასტრალურ გარემოს, მზეს უკავშირდება და, ცხადია, ისიც ნაყოფიერებას აღნიშნავს. სხვათაშორის ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ეს ასტრალური ღვთაებების ატრიბუტები ერთად არის გამოხატული, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ მოტივის სამხრეთ კავკასიაში შემდგომში ფართოდ გავრცელების ასახსნელად (ბრინჯაოს ხანა); ამავე დროს ქვაცხელას დიადემა წარმოადგენს ლითონის ნივთის რთული შინაარსის მქონე კომპოზიციით შემკობის პირველ მაგალითს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს კომპოზიცია მთლიანად, ისევე როგორც მისი ცალკეული ნაწილები, არსებითად არ განსხვავდება სინქრონული კერამიკის სიუჟეტურ-დეკორატიული კომპოზიციებისაგან. გამოსახულება აქაც გრაფიკული და სქემატურია, თუმცა მას შენარჩუნებული აქვს შინაარსის თვალსაზრისით აუცილებელი ნატურალისტული დეტალები. კომპოზიცია ხასიათდება ნაწილების სარკისებური სიმეტრიულობით და, ისევე როგორც ადრებრინჯაოს ხანის ცალმხრივი დეკორი, ჰერალდიკურია.

დიადემის სიუჟეტური გამოსახულებისათვის მრავალი ანალოგიის მოტანა შეიძლებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკიდან. თვით ქვაცხელაზე C_1 ფენაში აღმოჩნდა ცალყურა ქილა[5], რომელზეც გრაფიკულად ამოკაწრულია დეკორატიული სარტყელი, შედგენილი ირმების მწკრივისაგან; მეორე ასეთსავე ქილაზე ამოკაწრულია წეროების მწკრივი. ჰერალდიკური კომპოზიციის საუკეთესო მაგალითია ყაითმაზის[6] ჭურჭელი, რომელიც შემკულია ძლიერ სტილიზებული წეროების, კონცენტრული დისკოებისა და სხვა ასტრალური ნიშნებით. წყვილი ირმისა და სპირალურ-ტეხილხაზოვანი ორნამენტისაგან შედგენილი ცალმხრივი რელიეფური გამოსახულებით არის შემკული ჟინვალში აღმოჩენილი დიდი სამყურა დერგი. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად გავრცელებული იყო მტკვარ-არაქსის კულტურაში ზემოაღნიშნული მოტივები.

დიადემაზე მოთავსებული გამოსახულების სარწმუნოებრივი შინაარსი იმდენად ნათელია, რომ, ცხადია, თვით დიადემა ჩვეულებრივი სამკაული არ უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ № 2 სამარხში აღმოჩენილი ორი ჩონჩხიდან ერთი — მარცხენა გვერდზე მდებარე—სრულიად უინვენტარო იყო. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მეორე მიცვალებულის განსაკუთრებულ მდგომარეობას.

№ 2 სამარხში მოთავსებული ორივე მიცვალებულის ერთდროულად დასაფლავება ეჭვს არ იწვევს; მაგრამ რითი უნდა აიხსნას ეს, ამჟამად ამის თქმა ძნელია. აღსანიშნავია, რომ დიადემა მიცვალებულს თავდაყირა ეხურა; თავის

---

[5] სსმ ინვენტარის № 15—55 : 1172, 1205.

[6] ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.) თბ., 1975, სურ. 56, 2, 6. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ შესაძლებელია ეს დასაფლავების რიტუალით აიხსნას და ნიშნავდეს დიადემის მფლობელის სიკვდილს. ი. კიკვიძე აქედან გამომდინარე სვამს კითხვას — ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ საკულტო მსხვერპლშეწირვა? ამაში ჩვენ მას ვერ დავეთანხმებით. არც ის მიგვაჩნია სწორად, რასაც ა. ჯავახიშვილი ფიქრობს, — თითქოს ეს უნდა აიხსნას დაუდევრობით ან აჩქარებით.

ბუნებრივად იბადება კითხვა — ვინ უნდა ყოფილიყო ამ დიადემის მფლობელი, რომელიც ამავე დროს განსაკუთრებულად არის დამარხული? ერთი ცხადია — დიადემა ამ ქალს აკავშირებს კულტთან, რომელშიც მნათობებისა და მათი ატრიბუტების სახით წარმოდგენილია ბუნების ნაყოფიერება. დიადემაზე ცენტრალური ადგილი უკავია წრეს—მზის დისკოს, ე. ი. ნაყოფიერების მთავარ ღვთაებას. ამ ღვთაების სიმბოლური გამოხატულებები ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, კერძოდ ქვაცხელაზე მრავლად მოიპოვება და სათანადო მაგალითები კერამიკიდან ზემოთ უკვე დავასახელეთ. ამას უნდა დავუმატოთ აღნიშნული ღვთაების ერთი უმთავრესი გამოსახულება — უქრობი ცეცხლის შესანახი წრიული კერა. ასეთი კერების უადრესი სახე ხსენებულ კულტურაში მარტივია — წრიული ორმო, წითლად შეღებილი ასეთივე ფართო ბორდიურით; ი. კიკვიძე მართებულად შენიშნავს, რომ წრიულ ორმოში დანთებული ცეცხლი არის მზის დისკო, ხოლო საპირე — მისი შარავანდედი. განვითარების შემდგომ საფეხურზე ასეთ კერებთან ჩნდება ე. წ. ნალისებური სადგრები, რომლებიც გამოხატავენ კერასთან მიმჯდარ, რქოსან მამაკაცს, რომელიც კერას ანაყოფიერებს[7]; აქედან უნდა მომდინარეობდეს კერის უფრო განვითარებული, ე. წ. შვერილებიანი ტიპი. ამ უკანასკნელში კიკვიძე ხედავს უძველესი წარმართული ქართული პანთეონის სამი მთავარი ღვთაების — მზის, მთვარის და ცისკრის ვარსკვლავის შერწყმას, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია ხსენებული პანთეონის ღვთაებების სამეული.

განვითარების ამ საფეხურზე ამავე ავტორის აზრით, ქალის და მამაკაცის უპირატესობა და როლი საკულტო მოქმედებაში გათანაბრებულია; ქალმა, რომელსაც განვითარების წინა საფეხურზე მთავარი ადგილი ეჭირა კულტმსახურებაში, ნელ-ნელა, ძალდატანებით დაუთმო ადგილი მამაკაცს; საბოლოოდ სრულიად განიდევნა ქალი კულტმსახურებიდან, მაგრამ ამ ხანაში მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მთლიანად არ დაეკარგა ოდინდელი უპირატესობა (ბოსლობის კულტი)[8].

ამრიგად, № 2 სამარხში დაკრძალული ქალი უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების საგვარეულო კულტის მსახური; ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ხელთ ექნებოდა საგვარეულოში ყველაზე უფროსს, წარჩინებულ პიროვნებას; გვარში უფროს ქალს — დიდ დედას.

---

[7] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 168.

[8] ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170,

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. И. ГЛОНТИ

ПОГРЕБЕНИЕ ЗНАТНОЙ ЖЕНЩИНЫ МОГИЛЬНИКА КВАЦХЕЛЕБИ

(Табл. III — V)

Резюме

В статье дана полная публикация погребения № 2 могильника Квацхелеби (селища эпохи ранней бронзы около сел. Урбниси, района Карели ГССР), отличающегося от других синхронных погребений как строением, так и инвентарем, в котором особенно примечательна диадема из тонкого медного листа, украшенная символической сценой, выполненной пуансонной техникой, с изображением оленей, аистов и астральных знаков; пока что, это первый случай находки диадемы, в материалах данного времени, на Южном Кавказе.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ფანცხავა, ბ. მაისურაძე

სამი სამარხი სოფ. ვერონიდან

1974 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი სამუშაოებს აწარმოებდა სოფ. თეთრწყლებსა და სოფ. ვერონაში[1], რომელიც მდებარეობს გომბორის ქედის ძირში, თბილისი-თელავის სამანქანო გზის მარცხენა მხარეს.

აღნიშნულ ადგილზე მიგვიყვანა სოფ. გომბორის ისტორიის მასწავლებელმა ს. ცუცხვავამ. მისი გადმოცემით, ხ. ჭინჭარაულმა საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს იპოვა ბრინჯაოს სატევარი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სოფ. ვერონის დასაწყისში გომბორი-ვერონის გზის მარცხენა მხარეს, ხ. ჭინჭარაულის საკარმიდამო ნაკვეთის ბოლოში გავლებულ იქნა ერთი სადაზვერვო თხრილი (2,4×1,84 მ. ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, შემდეგში თხრილის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილები გაფართოვდა 3,28 მ-მდე).

თხრილში აღმოჩნდა სამი სამარხი. თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე გამოვლინდა ორმოსამარხი (№ 1), რომლის ზომებისა და დამხრობის დადგენა არ მოხერხდა. სამარხს ქვის ყრილი უნდა ჰქონოდა.

სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ექვსი თავის ქალა. ერთ-ერთ თავის ქალასთან იდო ქვედა კიდურებისა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, რომლებიც ერთმანეთში იყო არეული. მსხვილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა აგრეთვე სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში, თავის ქალების წინ, გამოვლინდა თიხის ორი ჭურჭელი და შავად გამომწვარი ერთი ჭურჭლის ნაშთი. ცალყურა ხელადა დამზადებულია მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ქვიშანარევი თიხისაგან, კეცი ნაცრისფერია; მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს (სურ. 1-6)[2]. მეორე ხელადის მხოლოდ ძირგვერდის ფრაგმენტია შემორჩენილი. იგი მოწითალო ფერისაა, დამზადებულია სუფთად განლექილი თიხისაგან, კეცი ნაცრისფერია, ძირი ბრტყელი. ბრტყელგანიკვეთიანი ერთი ყურ[illegible]ნდა ჰქონოდა (სურ. 1-7)[3]. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა გატეხილი მასრაგახსნილი რკინის შუბისპირი (სურ. 1-5)[4]. იქვე იყო ბრინჯაოს სამი რგოლი:

---

[1] სოფ. ვერონაში (საგარეჯოს რ-ნი); ცხოვრობენ მთიდან ჩამოსახლებული ხევსურები, რომლებიც დასახლდნენ გავერანებულ ადგილებზე და სოფელს ვერანა უწოდეს. დღეს იგი ვერონის სახელით არის ცნობილი.

[2] მუცლის დიამეტრი—12,0, სმ ძირის დიამეტრის — 5,25 სმ, სიმაღლე — 11,4, სმ.

[3] ძირის დიამტერი —3,4 სმ, ყურის სიგანე — 1,5 სმ, ყურის სისქე — 0,9 სმ.

[4] სიგრძე — 11,85 სმ, მასრის უდიდესი დიამეტრი — 1,85 სმ, პირის სიგანე—1,55 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მათგანი დამზადებულია შესქელებული ფირფიტისაგან, გატეხილია (სურ. 1-2)[5]; მეორე — რგოლის ფრაგმენტია, ესეც ფირფიტისაგანაა დამზადებული (სურ. 1-3)[6]; მესამე კი — ბრტყელი მავთულისაა, თავები ერთმანეთზე გადადებული აქვთ (სურ. 1-4)[7]. სამარხის ცენტრში თავის ქალებსა და ჭურჭლებს შორის ჩარჭობილი იყო ბრინჯაოს საკინძი, რომელსაც კონუსისებური თავი და მრგვალგანივკვეთიანი, თავისკენ დამსხვილებული ღეროა აქვს. ყუნწიანია, ღეროზე, ყუნწსა და თავს შორის შემოუყვება ოთხი ღარი; ყუნწში გაყრილია რგოლი (სურ. 1-1)[8].

თხრილის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ორმოსამარხი № 2, უფრო სწორად — სამარხის ნაშთი. სამარხს ქვის ყრილი უნდა ჰქონოდა. აქ აღმოჩნდა ერთი დიდი თიხის ჭურჭლის (დერგის?) ფრაგმენტები და ბრინჯაოს საკინძი, რომლის თავი ფიგურული გამოსახულებითაა შემკული. თიხის ჭურჭელი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ბაკოიანი განიერი პირი უნდა ჰქონოდა; მუცელზე ორ ადგილას დაძერწილია უნაგირისებური შვერილი. მხარზე გაუყვება ექვსი სწორი და ერთი ტალღისებური ხაზი (სურ. 1-9).

ბრინჯაოს საკინძი საკმაოდ მოზრდილია, მრგვალგანივკვეთიანი ბოლოებგაწვრილებული ღეროთანდათანობით მსხვილდება და მთავრდება ადამიანის ფიგურით, ფიგურის ძირში ღეროში გარდიგარდმო გაკეთებულია მრგვალი გამჭოლი ნახვრეტი, ორივე პირზე შემოვლებული რგოლისებური შესქელებით. ადამიანი წარმოდგენილია წელზევით, მეტად სქემატურად და ტლანქად: გამოხატულია ამორფული ტორსი, ზედმეტად დაგრძელებული წვრილი კისერი, ზედ გამობმული სფეროიდული პატარა თავით და ზეპყრობილი წვრილი მკლავები, რომლებიც თავთან მთავრდება ხუთად დანაწევრებული და მარაოსავით გაშლილი არაპროპორციულად დიდი ხელებით; თავზე უხეშად, კუთხოვანი ფორმებით, გამოყოფილია ცხვირი და ნიკაპი, ხოლო მრგვალი ღრმულებით მინიშნებულია თვალები, რომლებიც, როგორც ჩანს, ინკრუსტირებული იყო. ტორსზე წინიდან დასმულია მრგვალი, დაბრტყელებული კოპი.

თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ორმოსამარხი № 3. შემორჩენილი იყო ბარძაყის ძვლის ფრაგმენტები. სამარხის ჩრდილო ნაწილში აღმოჩნდა რკინის შუბისპირის ფრაგმენტები, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში — მთელი შუბისპირი (სურ. 1-10)[9]. შუბისპირები მრგვალმასრიანია, ერთ მათგანს მასრაზე ნახვრეტი და პირზე ქედი აქვს (სურ. 1-11))[10].

№ 1 ორმოსამარხის ლითონის ინვენტარი კარგად თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს. გამონაკლისს წარმოადგენს ბრინჯაოს საკინძი, რომელიც ამ ნივთებთან ერთად ჩვეულებრივ არ გვხვდება. საყურადღებოა, კომპლექსში გამოვლენილი ცალყურა ხელადა (სურ. 1-6), რომელიც დამზადებულია მოყავისფრო-მოწითა-

---

[5] რგოლის დიამეტრი — 2,1 სმ, ფეროს სიგანე — 1,2 სმ.

[6] ღეროს სიგანე — 0,6 სმ.

[7] რგოლის დიამეტრი — 1,7 — 1,9 სმ, ღეროს სიგანე — 0,15, სმ.

[8] სიგრძე — 12,5 სმ, თავის დიამეტრი — 1,1 სმ, თავის სიმაღლე — 1,3 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,5 სმ.

[9] სიგრძე — 11,05, სმ, მასრის დიამეტრი—1,7 სმ.

[10] პირის სიგანე — 1,85 სმ, მასრის დიამეტრი — 2,0 სმ.

[11] სიგრძე — 14,5 სმ, მაქს. დიამეტრი — 0,5 სმ.



სურ. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ გამომწვარი ქვიშანარევი თიხისაგან. ბოლო დრომდე ასეთი ფაქტურის თიხის ჭურჭელი უცხო იყო კახეთის ამ პერიოდის კომპლექსებისათვის.

ვერონის № 1 ორმოსამარხის თიხის ჭურჭლები (სურ. 1-6,7), როგორც ფორმით, ისე ფაქტურით მსგავსია 1979 წელს საგარეჯოში, ტექნიკუმის ეზოში გათხრილ სამაროვანზე (რომელიც კარგად თარიღდება ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით) მოპოვებული თიხის ჭურჭლებისა. ამიტომ, ვფიქრობთ, № 1 ორმოსამარხის ინვენტარი ძვ. წ. VIII—VII სს. უნდა დათარიღდეს.

№ 1 ორმოსამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი გავრცელებულია მთელ გვიანბრინჯაოს ხანაში. საგარეჯოს სამაროვნის მასალების მიხედვით კი, იგი ძვ. წ. VIII—VII სს. თარიღდება.

ამავე სამარხში აღმოჩენილი საკინძის ანალოგი ჩვენ არ ვიცი:. სამაგიეროდ, ცნობილია ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები ზეაპყრობილი ხელებით ისე, როგორც ეს საკინძის თავს — ფიგურულ გამოსახულებას აქვს. მხედველობაში გვაქვს ყანჩაეთის ბრინჯაოს შტანდარტის ფიგურები[12] და დაღესტანში, სოფ. ქემიატლთან ადგილ კიდილაშანზე ნაპოვნი ბრინჯაოს ანთრომორფული ფიგურები, რომელთა დიდი ნაწილი ზეაპყრობილი ხელებითაა გამოსახული[13]. საყურადღებოა, რომ თითებგაშლილი ხელები სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით არაპროპორციულად დიდია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აქცენტი ხელებზეა გადატანილი. ასევეა ყანჩაეთის შტანდარტის ფიგურებზეც. პოზა — ზეაპყრობილი ხელები — ვედრებას გამოსახავს[14].

ჩვენ საკინძზე გამოსახული ფიგურის პოზაც ვედრებას უნდა აღნიშნავდეს, რაც შესანიშნავადაა გადაწყვეტილი. თუ კიდილაშანის ფიგურებზე თითებგაშლილი ხელები ცერით ეხება თავს, რაც ექსპრესიული პოზაა, საკინძზე მოთავსებული ფიგურის ხელები ხელისგულებით არის თავთან მიდებული — ეს გამოწვეულია თავისაკენ დამსხვილებული საკინძის ფორმით და კარგად ეხმარება მას

კიდილაშანის ფიგურებს ჩვენ მხოლოდ ი. მეგრელიძის პუბლიკაციით ვიცნობთ; რამდენადაც ანთროპომორფული ფიგურების ფოტოებიდან ჩანს, საკინძზე გამოსახული ფიგურა მხატვრული სტილით მათთან უფრო ახლო დგას, ვიდრე ყანჩაეთის შტანდარტის ბრტყელ ფიგურებთან. მაგრამ კიდილაშანის ბრინჯაოს ანთროპომორფულ ფიგურებს არა აქვს თანმხლები ინვენტარი, რომელიც მათი მეტ-ნაკლებად ზუსტად დათარიღების საშუალებას მოგვცემდა. ამიტომ ბრინჯაოს ფიგურულთავიანი საკინძი მასთან ერთად აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თარიღდება. ვედრების პოზაში გამოსახულ ფიგურებს შორის საკინძზე გამოსახული ფიგურა დღეისათვის ყველაზე ძველი უნდა იყოს.

---

[12] ი. გაგოშიძე. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. 1964, თბ., გვ. 45 — 47; ტაბ. IV—VI.

[13] И. В. Мегрелидзе. Археологические находки в Дидо. СА, № 15, с. 281—291, рис. 5—9.

[14] კიდილაშანზე ნაპოვნია 51 ცალი ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა. უახლოესი აულების მცხოვრებნი ამ ადგილს „თოჯინების მქონეს“ უწოდებენ. უდავოა, რომ ამ ადგილს ეს სახელი იქ ნაპოვნი ბრინჯაოს ფიგურების გამო შეერქვა. იქიდან მათი წამოღება სასტიკად აკრძალული იყო. დასახ. ნაშრომი, გვ. 284, ეს ვოტივური ფიგურები უეჭველად შეწირულია. ეს იყო თავისებური შეთანხმება რომელიმე ღვთაებასთან. უფრო მოგვიანო ხანაში, რომაულ საკრალურ სამართალში იგი აისახა შემდეგი ფორმულით: „გაძლევ, რომ შენც მომცე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 ორმოსამარხში აღმოჩენილი რკინის შუბისპირები დამახასიათებელია ძვ. წ. VIII-VII სს. კომპლექსებისათვის.

Л. ПАНЦХАВА, В. МАЙСУРАДЗЕ

ТРИ ПОГРЕБЕНИЯ ИЗ С. ВЕРОНА

Резюме

В статье рассматривается инвентарь трех погребений, раскопанных в 1974 г. с. Верона Сагареджойского р-на одним из отрядов Кахетской археологической экспедиции Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР.

Из предметов, найденных в погребениях привлекает внимание бронзовая булавка с фигурной головкой (табл. I_8). Булавка, длиной 14,5 см., максим. длина — 0,5 см., имеет круглого сечения стержень завершенный человеческой фигуркой; у основания фигурки, в толще стержня сделано поперечное круглое сквозное отверстие, с кольцеобразными утолщениями с обеих сторон. Человеческая фигура представлена по пояс, схематично и грубо-аморфный торс, сильно удлиненная тонкая шея, увенчанная с сфериодной маленькой головкой, поднятые вверх тонкие руки, заканчивающиеся на уровне головы непропорционально большими, растопыренными пальцами рук. На головке фигуры грубо, угловато выделяются нос и подбородок, круглыми впадинами помечены глаза, которые, видимо, были инкрустированы. Спереди, на торсе — круглая уплощенная шишка.

Поза фигуры изображает — моление. Подобная булавка нам неизвестна; ближайшие параллели фигурки можно найти на бронзовом ажурном навершии штандарта из Канчаети и среди вотивных фигурок Дагестана.

Инвентарь означенных трех погребений датируется VIII—VII вв. до н. э.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. სინაურიძე

საფლავები ცხვრისა და ცხენის სკულპტურული გამოსახულებით

(ტაბ. VI)

1925 წ. ზაფხულში პროფ. გ. ჩიტაია მუზეუმის დავალებით მივლინებული იყო სამუშაოდ აწინდელი თეთრიწყაროსა და წალკის რაიონებში. მუშაობის დროს ის გასცნობია ამ კუთხის ძველ სასაფლაოებს. მას განსაკუთრებით მიუქცევია ყურადღება ისეთი ქვებისათვის, რომლებიც ცხვრების, ყოჩების და ცხენების ქანდაკებებს წარმოადგენენ.

გ. ჩიტაიას აზრით, ეს ძეგლები მეტად საგულისხმოა არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. „სამწუხაროდ, — წერს იგი — დღეს დღეობით ჩვენ არ მოგვეპოვება ამ ძეგლების არც სათანადო რეგისტრაცია და არც მათი აღწერილობა".

საქართველოში ასეთი საფლავის ქვები ძლიერ ბევრია, ისინი გვხვდება ძირითადად ქვემო ქართლში, თრიალეთში, მესხეთში და სხვ. ქვემო ქართლში ამ ქანდაკებებს ზოგჯერ მთელი სასაფლაოები უჭირავთ. გ. ჩიტაიას ასეთი ძეგლები აღურიცხავს სამშვილდეში, ქსოვრეთში, ვაკეში, დიდ-დალეთში, ტაშბაშში და სხვაგან. მისივე ცნობით, ამ სახის ძეგლები უნახავს 1924 წ. ქვაბლიანის ეთნოლოგიურ ექსპედიციას, ბევრი ყოფილა ისინი აგერთვე სომხეთშიც.

ცხვრის გამოსახულება ყველა დროის ქართული ხელოვნების ძეგლებზე საკმაოდ გავრცელებული მოტივია. მე-9-10 სს. ის გვხვდება ტაძრებში შიგნით, მაგ., ვალეს, ატენის, ყინცვისის ტაძრებში, საკურთხევლის ქედზე[2]. თუ რა აძლევს სტიმულს ამ ახალი ელემენტის გაჩენას ქართულ არქიტექტურაში სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია გარკვეული არ არის. თავისთავად ამ ელემენტის გამოყენება სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს ქართველი ხალხისათვის, რომლისთვისაც მესაქონლეობა და კერძოდ მეცხვარეობა, მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი და უმნიშვნელოვანესი დარგი იყო[3]. მაგრამ სასაფლაოზე აღმართული ცხვრის ქანდაკებები, რომლებიც საქართველოს გარდა გვხვდება აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც, ჩვენი აზრით, სხვა ასპექტში უნდა განვიხილოთ.

გ. ჩიტაიას აზრით, ამ ძეგლთა წარმოშობის მისაკვლევად უსათუოდ საჭი-

---

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, 1926, თბ., 1927, გვ. 109.

[2] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, Ars Georgica, I, თბ., 1950.

[3] გ. ჯალაბაძის ცნობით, საფლავის ქვებზე გამოსახული ცხვარი გვხვდება მთიულეთში, მაგ ფასანაურის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო იქნება მათი გავრცელების შესწავლა[4], როგორც საქართველოში, აგრეთვე მის მეზობლებში. ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ამგვარი ძეგლები საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყარაყოინლთეს თურქთა ტომების სამარხებად არის მიჩნეული:

ყარა და აღყოინლუ, შავი და თეთრბატკანიან თურქმანთა ორი ტომი, XIII ს. მომთაბარეობდა დიარბექირში, აზერბაიჯანში და ნაწილობრივ ერაყში. ეს ტომები შუა აზიის თურქმანთა ჩამომავლები იყვნენ. მე-15 ს. დასაწყისში დაწინაურდა ყარა-ყოინლუს ტომები. მათ ისარგებლეს თემურის ჩამომავალთა დასუსტებით და შექმნეს სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა აზერბაიჯანი — მდ. მტკვრის სამხ. ნაწილი, სომხეთი, ქურდისტანი, ირაკული ერაყი. მისი დედაქალაქი იყო თავრიზი.

საქართველოსათვის თურქმანთა ახალი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას სავალალო შედეგები მოჰყვა. ჯერ კიდევ 1386—1403 წწ. განმავლობაში თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ საქართველოს ინტენსიური მეურნეობა მოსპო და ქვეყანა განადგურების გზაზე დააყენა, ახლა კი მოზღვავებულ თურქმანთა წინაშე უკვე დასუსტებული საქართველო ულონო აღმოჩნდა, რომ აშკარა იყოს, თუ რა დიდი ზარალი მიაყენეს თურქმანებმა საქართველოს, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თურქმანებთან ბრძოლას შეეწირა ორი ქართველი მეფე, გიორგი VI (მოკლეს 1407 წ.)[1] და კონსტანტინე (მოკლეს 1411 წ.). XIV — XV სს. საქართველოს საბოლოოდ ჩამოგლიჯეს მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები—სომხეთი და ალბანეთი და მრავალ ქართულ რაიონში მიწისმფლობელები თურქმანები გახდნენ, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ამ მიწების ქართული მოსახლეობისაგან დაცლა.

ამრიგად, ცხვრის ქანდაკებიანი საფლავების პირველი გამოჩენა XV ს. დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს. საყურადღებოა, რომ გ. ჩიტაიაც ამგვარი ძეგლების terminus ante quem non სულ სხვა მოსაზრებების საფუძველზე XV ს. მიიჩნევს.

რაც შეეხება ამ ძეგლების გავრცელების ზედა თარიღს, ჩვენ ვთვლით, რომ ამის დადგენის საშუალებას მოგვცემს მათზე მოთავსებული გამოსახულებანი და წარწერები, რომელთაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. წინასწარ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პროფ. გ. ჩიტაიას მიერ სამუშაო ჰიპოთეზის სახით წარმოდგენილ თარიღს XV—XVIII სს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ და ვეცდებით ის ჩვენი მასალების საშუალებით დავადასტუროთ. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე ამგვარი ძეგლი.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია რვა ასეთი ქანდაკება. ყველა ისინი ჩამოტანილია მტკვრის სამხრეთით მდებარე საქართველოს რაიონებიდან, ძირითადად თრიალეთიდან და ქვემო ქართლიდან, გარდა 2 ცალისა, რომლებიც ზემო სიმონეთიდან ჩამოუტანია ზდანევიჩს.

1. № 1002 ცხვრის ქანდაკება თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ. ნავთიანი (პიტარეთისაკენ მიმავალ გზაზე). ცხვარი საშუალო ზომისაა, აქვს მოკლე ტანი, კუდის ნაწილი მოტეხილია.

ცხვარი ორივე მხარეს რელიეფებით შეუმკიათ. ერთ მხარეს გამოსახულია

---

[4] გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებული — გულხელდაკრეფილი მამაკაცი, რომელსაც გვერდზე ჯვარი უდევს. ფეხები აქეთ-იქითაა აქვს გაშლილი.

მეორე გვერდზე დაბალი რელიეფით გამოქანდაკებულია კუდშეკრული უნაგირიანი უმხედრო ცხენი, მის წინ რაღაც ცხოველია (გარეული ან ძაღლი), რომელსაც ბრჭყალებიანი თათები აქვს. ეს სურათი შთამბეჭდავია. თითქოს უმხედრო ცხენს აკრთობს ცხოველი.

2. ხელოვნების მუზეუმის ქვის ფონდი № 472 წარმოადგენს ცხვრის ქანდაკებას, რომლის უკანა ნაწილი მოტეხილია. ცხვარი წინა ფეხებით ჩაჩოქილია. მისი ფეხები ქვის მასივში რელიეფურადაა გამოყვანილი. ცხვრის თავი გულდასმით არის დამუშავებული. დახვეულ რქებს შორის მაღალი რელიეფით გამოყვანილია ყური. თვალიც რელიეფურია და ჩასმულია ორმაგ წრეში. რქები ირიბი ხაზებით არის დაჭრილი. მარცხენა მხარეს ამოჭრილია ასომთავრული ასოები:

† ⁊	ქ ე
ъ ч	ლ ბ

ქანდაკება სწორედ ამ ასოებთან არის გადატეხილი.

3. (ხელოვნების მუზეუმი), ქვის ფონდი № 474) №-2-თან ერთად ჩამოტანილია სოფ. ზედა სიმონეთიდან ზდანევიჩის მიერ. ქანდაკება სამად არის გატეხილი და ნაკლულია. ერთი მოზრდილი ნატეხი წარმოადგენს ცხვრის თავს. რქები და ყურები მაღალი რელიეფითაა გამოყვანილი. თვალები ორმაგ წრეშია ჩასმული.

4. (ხელოვნების მუზეუმი, ქვის ფონდი № 471), წარმოადგენს ცხენის ქანდაკებას. ქანდაკების ქვემო ნაწილი მოტეხილია.

5. (ხელოვნების მუზეუმი, № 516 ქვის ფონდი) წარმოადგენს დიდი ზომის (ზომა 195 100 53 სმ) ცხვრის ქანდაკებას. ყელზე ცხვარს გრეხილი საყელური (გადმოცემული დაჭრილი ხაზებით) აქვს გაკეთებული. ქედზე გვერდზე რელიეფურად გამოყვანილია ნაჯახი, ხმალი, მაკრატელი. მეორე გვერდზე გამოსახულება განგებ ამოტეხილია. შერჩენილია მხოლოდ კავი. საინტერესოა ცხვრის თავი. იგი გრძელი და წვეტიანია. დუმაჩამოთლილია. როგორც ჩანს, გამოსახულია უდუმო ცხვრის ჯიში.

ქანდაკება ჩამოტანილია თრიალეთიდან, სოფ. ტაშ-ბაშიდან.

6. (ხელოვნების მუზეუმი, ქვის ფონდი № 517) წარმოადგენს დიდი ზომის (148 87 28 სმ) ცხვრის ქანდაკებას. მას ქედზე კონუსური შვერილი აქვს.

ქანდაკება ჩამოტანილია თრიალეთიდან, სოფ. ტაშ-ბაშიდან.

7. (ხელოვნების მუზეუმი, ქვის ფონდი № 470) წარმოადგენს უნაგირიანი ცხენის ქანდაკებას.

ქანდაკება ჩამოტანილია თრიალეთიდან, სოფ. ბეშთაშენიდან.

8. (ხელოვნების მუზეუმი, ქვის ფონდი № 736) წარმოადგენს ცხვრის ქანდაკებას, რომელსაც ყელზე საყელური აქვს, ორივე გვერდზე კი საყურადღებო რელიეფები. ცალ გვერდზე გამოსახულია ირემზე ნადირობის სცენა: ცხენოსანი მონადირე ირემს თოფს უმიზნებს. მეორე გვერდზე გამოსახულია კაცი ცელით ხელში და ქალი რაღაც ნივთით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ხუთი ამგვარი ქანდაკება.

1. (ინახება ქვის ფონდში № 44) წარმოადგენს შეკაზმული ცხენის გამოსახულებას, ზომა 1×45×130 მ. მარჯვენა გვერდზე ადამიანის რელიეფური გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახულებით. ქანდაკება ჩამოტანილია ელისავეტოპოლიდან (თანამედროვე კიროვაბადი), ძველი განჯის გუბერნიიდან.

2. (ინახება ქვის ფონდში № 45) წარმოადგენს შეკაზმული ცხენის გამოსახულებას უნაგირით და უზანგებით. მარჯვენა გვერდზე უნაგირთან გამოსახულია ხმალი თუ ხანჯალი. მარცხნივ მრგვალი ტარიანი ნივთი და ცული. ქანდაკება ჩამოტანილია ელისავეტოპოლის გუბერნიიდან (ტაბ. VI, 2).

3. (ინახება ქვის ფონდში № 180) წარმოადგენს ნაცრისფერი ქვისაგან გამოქანდაკებულ ცხენს. მას მარცხენა გვერდზე გამოსახული აქვს ხმალი, მშვილდი და კაპარჭი. ქანდაკება ჩამოტანილია თეთრიწყაროს რაიონიდან არქიტექტორ ირ. ქავთარაძის მიერ (ტაბ. VI, I).

4. (ინახება ქვის ფონდში № 181) წარმოადგენს ცხვრის ქანდაკებას, რომელსაც ქედზე კონიური შვერილი ადგას. მარჯვენა გვერდზე გამოსახული აქვს მოკაუჭებული ჯოხი — მეცხვარის კავი, თეთრიწყაროს რაიონი.

5. (ინახება ქვის ფონდში № 420) წარმოადგენს ცხვრის ქანდაკებას. ჩამოტანილია ქარელის რაიონიდან სოფ. ბრეძიდან, მუზეუმის თანამშრომლების პ. ზაქარაიასა და ს. ბოლქვაძის მიერ.

შეკაზმული ცხენის ერთი ქანდაკება ვნახეთ აგრეთვე სოფ. აკაურთაში 1968 წ. გაზაფხულზე, როდესაც ხელოვნების მუზეუმის ფეოდალური განყოფილების თანამშრომლებთან ერთად ვიყავით მივლინებული ქვემო ქართლში. აქვე შევიტყვეთ, რომ ასეთივე ქანდაკება არის სოფ. ძველ ქვეშში.

ძველი ქვეშის ქანდაკება ნაკლული და ძლიერ დაზიანებულია: ცხენს გავა ჩამოთლილი აქვს. ჩამოჭრილია აგრეთვე ქანდაკების ქვედა ნაწილი. ქანდაკების დანარჩენ ნაწილზე ქვა გამოფიტულია და ირჩევა შედარებით მაღალი რელიეფით შესრულებული უნაგირი და აღვირი.

რაც შეეხება აკურთაში აღმოჩენილ ქანდაკებას, ის კარგად არის შენახული და ყურადღებას იპყრობს როგორც საინტერესო გამოსახულებებით, ისე მასზე არსებული წარწერით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლს ახლო-მახლო სოფლების სომხური და ქართული მოსახლეობა თავის სალოცავად მიიჩნევს. მლოცველები მას დღესაც სანთლებს უნთებენ.

განვიხილოთ აკაურთას ქანდაკების გამოსახულებანი. მარჯვენა მხარეს უნაგირიდან ეშვება ქვემოთ უზანგი. კისრისა და მკერდის არეში აღვირსა, ლაგამსა და სამკერდე თასმებს შორის ამოკვეთილია 6 სტრიქონიანი სომხური წარწერა. საინტერესოა, რომ წარწერისათვის შერჩენილია იგივე ადგილი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ფონდში დაცული არაბულწარწერიანი ცხენის ქანდაკების წარწერისათვის არის არჩეული.

მარცხენა მხარეს უნაგირს ქვემოთ შუაში გამოსახულია ადამიანი კვადრატული ტანით და მკერდზე დაწყობილი ხელებით. მის აქეთ-იქით მშვილდი, საგარცხელი, ფარი და მრგვალმუცლიანი საკრავი ინსტრუმენტია გამოსახული. მკერდზე ამოკვეთილია ორი დოქი, ადგილის სიმცირის გამო ერთ ლაგამის გასწვრივ, მეორე კი მის გარდიგარდმო.

ნაქალაქარ სამშვილდეში გარეუბნის პატარა ეკლესიის ეზოში ჯერ კიდევ ბ. ბროსეს უნახავს შეკაზმული ცხენის ქანდაკება, რომლის ორივე გვერდი რელიეფური ქანდაკებებით იყო შემკული. ამ ქანდაკების ფოტო ვამოქვეყნებული აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაიას თავის ერთ-ერთ ნაშრომში. ეს ცხენი დღესაც დგას ნაქალაქარისაკენ მიმავალ გზაზე. მას ადგას უნაგირი უზანგებით და აქვს ლაგამ-აღვირი. ქანდაკების მარცხენა გვერდზე უზანგის მარცხნივ გამოსახულია დიდი დოქი, ძრგვალტანიანი, ვიწრო და მაღალყელიანი, პირთან გაფართოებული ჭურჭელი ხანჯალი და ყანწი. მარცხნივ — გულხელდაკრეფილი ადამიანის ფიგურა ანფასში, თოფი, საპირისწამლე, სავაზნე, ჯვარი, ორი გაურკვეველი საგანი, მეცხვარის კავი და ხმალი.

ქანდაკების მარჯვენა გვერდზე უნაგირთან ნაჯახია გამოსახული. უზანგის მარჯვნივ კლანჭებიანი ცხოველი გრძელი აწეული კუდით. მარცხნივ ასეთივე მხოლოდ უფრო დიდი ცხოველია, გრძელი აწეული კუდით და ფეხებზე ბრჭყალებით. ზურგზე ამ ცხოველს ადგას ჩიტი, პირით ცხოველის კუდისაკენ მიბრუნებული.

მსგავსი გამოსახულება ჩვენთვის ცნობილია ხელოვნების მუზეუმში დაცულ ცხვრის ქანდაკებაზე. იქ უნაგირიან უმხედრო ცხენს აკრთობს გარეული ცხოველი. ჩვენი აზრით, სამშვილდის ქვაზე იგივე კომპოზიციაა თავისებურად გააზრებული.

შეკაზმული ცხენებისა და ცხვრის ქანდაკებები აღურიცხავს ექვ. თაყაიშვილს 1907 წ. კოლა-ოლთისში და ჩანგლში წარმოებული ექსპედიციის დროს. მაგ., ასეთი ქანდაკებები სხვა საფლავებთან ერთად მას უნახავს კოლაში — დადაშენში[5], რომელშიც სამცხე-საათაბაგოს მწყემსთა სიის მიხედვით იჯდა დედეშნელი ეპისკოპოსი „სრულიად კოლის და ხორცევანის (ვარიანტით ხორტევანი) ყარჩალზედ მიდგმამდის"[6] და რომლის შესახებაც ვახუშტი წერს: „...მტკვრის კიდეზედ, დედაშენს არს ეკლესია, დიდ-შვენიერ-გუნბათიანშენი... იჯდა ეპისკოპოსი, სრულიად კოლისა, და აწ უქმი არს"[7].

კოლაშივე, სოფ. ოკამში, ძველი ერთნავიანი ეკლესიის მახლობლად მდებარე „დიდრონი ქვებით მოცულ ძველ სასაფლაოზე" ყოფილა აგრეთვე ერთი შეკაზმული ცხენის ქანდაკება[8].

ტაოში, მაშინდელ ოლთისის ოკრუგში, აკრიაკის საზოგადოების სოფ. კალკოსში (სადაც თათრულად მოლაპარაკე სომხები ცხოვრობენ) ძველ ხუცურწარწერიანი, სომხების მიერ გადაკეთებული ეკლესიის (სადაც ქართული სახარება ინახება) ირგვლივ მდებარე სასაფლაოზე ერთი შეკაზმული ცხენის ქანდაკებაა, რომელსაც „ზედ ხმალი ჰკიდია ქართული და აქეთ-იქით ამოჭრილია ცული და წერაქვი"[9].

აქვე, გამაჰმადიანებულ მესხების ერთ დიდ სოფელში, ორთულში, ეკლესიის ირგვლივ მდებარე ვრცელ სასაფლაოზე ცხენებისა და ცხვრების ქანდაკებებია[10]. ასევე, მაჰმადიანური სოფელი ბაღჩალიყიშლაშში, პატარა მდინარის

---

[5] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1938, გვ. 11.

[6] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში, გვ. 81—86; ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა, გვ. 77.

[7] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსაა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 133.

[8] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 14.

[9] იქვე, გვ. 35.

[10] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია..., გვ. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერუდ-სუს პირას მდებარე ეკლესიის ირგვლივ მდებარე ძველი სასაფლაოზე ფენილია ცხოველთა, შეკაზმული ცხენების და ცხვრების ქანდაკებებით[11].

ცხენებისა და ცხვრების ქანდაკებების შემცველი დიდი სასაფლაოები ყოფილა აგრეთვე ოლთისის მახლობლად: აზნავის ხეობაში, სოფ. სიხსურში, სოფ. ტამრუტთან მდ. ტამრუტ-სუს მაღალ ნაპირზე ადგილ „ჯუუს —დერზე" (ნიგვზის ხეობა) და ჯეჯურის წყალზე სოფ. ჯეჯურისის ეკლესიის ირგვლივ მდებარე დიდ სასაფლაოზე[12].

საინტერესოა დმანისის ნაქალაქარზე გალავნის შიგნით კონცხის აღმოსავლეთ ნაპირის მახლობლად მდგარი ცხვრის ქანდაკება. მას ქედზე კონუსი ადგას და ყელზე საყელური აქვს. კურტანსა და საყელურს შორის ამოკოდვილია წარწერა: „ქ. შაპუცს შეუნდვენ ღმერთო"[13].

ლ. მუსხელიშვილს ეს საფლავი გაუთხრია. საფლავის ზომა იყო 1,7×0,5 მ, სიმაღლე 1 მ. მისი ზემო ნახევარი ნაგლეჯი ქვით იყო ამოშენებული, ქვემოთ კი მიწური იყო. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფილი. სამარხი უინვენტარო იყო. ლ. მუსხელიშვილის აზრით, საფლავი მოზრდილი ბავშვის უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება საფლავის თარიღს, მას ის წარწერის სტილისა და საფლავის ქვის სიძვირე-სიმდიდრის მიხედვით, მე-17-18 სს. ადრეულად მიაჩნია. „სტილი წარწერისა, მე-17 და მე-18 ს-ზე ადრეული ჩანს, იმ ხანისაა, როდესაც მრავალმეტყველებას ერიდებოდნენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ქვები დაედგათ თავისი მკვდრებისათვის იმ გაღატაკებულ სოფლებს, რომლებიც ჩვენ აქ გვხვდებიან XVIII ს. დამდეგს".[14]...

ჩვენი აზრით, არც გათხრილ საფლავს და არც წარწერას ქანდაკებაზე, არაფერი აქვს საერთო ვერძის ქვის თავდაპირველ დანიშნულებასთან. საფლავი რომ გვიანდელია, ამას ადასტურებს აქვე მახლობლად ლ. მუსხელიშვილის მიერ გათხრილი მსგავსივე საფლავი. რაც შეეხება წარწერას, ის უადგილო ადგილას არის ამოკოდვილი ისევე, როგორც წარწერა სიმონეთის ვერძზე. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ვერძის ქანდაკება ამოუტანიათ ზემოუბნის ეკლესიის სასაფლაოზე თავისი მკვდრისათვის ჭირისუფლებს. ასეთი ქვის მოტანა შორიდან ალბათ ძნელი იქნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სადღაც მახლობლად იდგა.

დმანისის მახლობლად ჩვენ ასეთი ქანდაკებები გვეგულება აბულბუგში. იყო თუ არა აქ მათი თავდაპირველი ადგილი, ძნელი სათქმელია, მაგრამ აბულბუგში სამი ქანდაკების აღმოჩენა თითქოს ამას გვიდასტურებს (რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ისიც, რომ ისინი აქ მოხვდნენ წალკიდან).

განვიხილოთ ეს ქანდაკებები და მათზე არსებული რელიეფები.

ქანდაკებებიდან ორი ცხვრისაა, ერთი კი ცხენის.

ერთ ქანდაკებას პირი ჩამოტეხილი აქვს. რქა „რელიეფური ხვეულით არის გადმოცემული. რქის რკალს უკან რელიეფურადვე გამოყვანილია ყური. ცხვარს ყელზე საყელური აქვს. მისი ორივე გვერდი რელიეფებით არის შემკული. მარჯვენა გვერდზე შუაში გამოსახულია მამაკაცი თავზე წოწოლა ქუდით. მის ერთ მხარეს მეცხვარის ნივთებია: დუქარდი, ცელი და კომბალი. დუქარდის

---

11 ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

12 იქვე, გვ. 77, 78.

13 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია, ნაქალაქარის აღწერა), შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, სურ. 48.

14 იქვე. გვ. 397.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსნილ ყურებს შორის პატარა თავისებური ფორმის, მრგვალტანიანი ჭურჭელია. მამაკაცის გამოსახულების მეორე მხარეს თოფი (?), ვერძი, საკარცხელი და გაურკვეველი პატარა კვადრატული ნივთია გამოკვეთილი. მარცხენა მხარეს ცხვრის საყელურის შემდეგ სამტუჩა" დოქია ყანწით, შემდეგ სწორი ხაზით გამოყოფილ არეზე ამოკვეთილია დოინჯშემოყრილი კაცი, რომლის მარჯვნივ გამოსახულია საკარცხელი და კვადრატული ნივთი, ხოლო მარცხნივ—ლაგამამოდებული უნაგირიანი ცხენი. ამ უკანასკნელის თავ ქვეშ მოთავსებულია მრგვალძირიანი და მრგვალპირიანი ჭურჭელი.

საქართველოში ცხვრისა და ცხენის ქანდაკებათა რეგისტრაცია, როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, სამწუხაროდ, თავის დროზე არ მომხდარა[15]. ისინი საოცარი სისწრაფით ქრებიან; იქ, სადაც ისინი უნახავთ გასულ საუკუნეში საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის მკვლევრებს, დღეს ჩვენ მათ ვეღარ ვხვდებით. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში სულ რაღაც ოცი-ათიოდე წლის წინათ არსებული ძეგლებიც ადგილზე აღარ ჩანს. მით უფრო საჩქაროა დღეს ამ ძეგლების აღრიცხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხვრისა და ცხენის ქანდაკებები საქართველოში ბევრია ქვემო ქართლში, თრიალეთში, მესხეთში. გამონაკლისის სახით თითოოროლა გვხვდება ზემო იმერეთში და მის მოსაზღვრე შუა ქართლის დასავლეთ ნაწილში (ორი ქანდაკება სოფ. ზემო სიმონეთიდან და ერთი ქარელის რაიონიდან, სოფ. ბრეძიდან).

ამგვარი ძეგლების აღრიცხვის მიზნით წარმოებულმა შემდგომმა მუშაობამ თუ ამ ქანდაკებათა გავრცელების ძირითადი არე ქვემო ქართლით, წალკა-თრიალეთით და მესხეთით შემოგვიხაზა, მაშინ საშუალება მოგვეცემა გამოვნახოთ კიდევ ერთი საბუთი ამ ძეგლების ყარა და აღყოინლუს თურქმანებთან დასაკავშირებლად. ეს ქანდაკებები საქართველოს გარდა გვხვდება სომხეთსა და აზერბაიჯანში. განსაკუთრებით ბევრია ისინი განჯაში და სომხეთის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში. სწორედ ამ მხარეში მომთაბარეობენ თურქები მე-15 ს. პირველ ნახევარსა და შუა წლებში.

М. И. СИНАУРИДЗЕ

НАДГРОБЬЯ В ВИДЕ СКУЛЬПТУР ЛОШАДЕЙ И БАРАНОВ

(Табл. VI)

Резюме

Надгробья в виде скульптур лошадей и баранов, распространенные в южной части Грузии, а также в соседних ей странах, давно привлекают внимание исследователей.

Для выяснения вопроса их происхождения изучены ареал распространения этих памятников, их надписи и изображения.

Установлено, что в Грузии они встречаются в Нижней Картли,

[15] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 311.

Триалети и Месхети т. е. на территории, являющейся местом кочевания тюркских племен; изображенные же на них предметы не характерны для оседлого населения, а являются предметами обихода кочевников.

Учитывая также и дату этих памятников, XV—XVII вв., совпадающие со временем систематических набегов турок и завоевания ими грузинских земель, можно заключить, что изучаемые надгробья являются памятники тюркских племен и лишь в последствии были вторично использованы грузинским населением.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ციხკარიშვილი

ორი ეპიტაფია ახმეტიდან

ახმეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანში — უტოში დგას ჯვარ-პატიოსნის ეკლესია, რომელიც, მასზედ მოთავსებული წარწერის მიხედვით, 1756 წელს აუშენებია სახლთუხუცესს გრიგოლ ჩოლოყაშვილს[1]. ეკლესიაში არსებული საფლავების დათვალიერებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ეპიტაფიამ, რომელთა გამოცემაც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

1. კეთილშობილობით მანათობელი ლამპარი ესე მაიორი და კავალერი თავადი ივანე ჩოლოყაევი, ძე მეფის ირაკლის ასულის ეკატერინესი, დაშრტა 24 აგვისტოს 1860 ს წელსა, შობითგან 64-ის წლისა და დაეფლო აქა რომელსა ზედა აწ ღრმასა მგლოვარებასა შინა დაშთომილმან სატრფომან მეუღლემან მისმან, თავადის მელიქოვის ასულმან თამარ და სასურველმან ძმამან მისმან, თავადმან ლუარსაბ ჩოლოყაევმან ცრემლით დასდვეს ლოდი ესე, რათა ყოველნი თანა წარმავალნი იტყოდეთ: წმინდათა თანა განუსუნე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა ამის შენისასა.

2. აქა განისვენებს გვამი საქართველოს მეფის ირაკლის შვილის შვილის, თავადის ლუარსაბ ჩოლაყაევისა, სახლთხუცესის გიორგის ძისა, შობილისა 1799 წელსა, გარდაცვალებულისა 28-სა მაისს 1877 წელსა, შობითგან 77 წელში.

როგორც მოტანილი ეპიტაფიებიდან ჩანს, ერეკლე მეორის შვილი ეკატერინე გათხოვილი ყოფილა ახმეტაში მცხოვრებ სახლთუხუცეს გიორგი ჩოლოყაშვილზე. გიორგისა და ეკატერინეს ჰყოლია ორი ვაჟი: უფროსი — „მაიორი და კავალერი“ იოანე, და უმცროსი — ლუარსაბი. იოანეს ცოლად ჰყოლია „თავადის მელიქოვის“ ასული თამარი.

წარწერაში მოხსენიებული სახლთუხუცესის სახელოს წარმოშობის დროისა და მისი უფლება-მოვალეობის შესახებ არაფერს ვამბობთ, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში უკვე ცნობილს ვერაფერს დავუმატებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სახლთუხუცესი ყველაზე დიდი მოხელე იყო — პირველი კაცი მეფის შემდეგ.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, კახეთის სამეფოს სახლთუხუცესებად, ძირითადად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩოლოყაშვილები ყოფილან. ზემოხსენებული გრიგოლისა და გიორგის გარდა, არა ერთი სახლთუხუცესია ჩოლოყაშვილთაგან ცნობილი. ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი კახეთის სამე-

[1] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თ. ბარნაველის გამოცემა, 1962, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოს პირველი სახლთუხუცესი იყო ბეენა ჩოლოყაშვილი, რომელიც გიორგი VIII (1447-1476) იერუსალიმში გაუგზავნია ჯვარის მონასტრის წინამძღვრად[2]. ამის შემდეგ, XVI საუკუნის ათიან წლებში გარსევან ჩოლოყაშვილი ჩანს სახლთუხუცესად; ავგიორგის შვილი ლევანი, ქართლის მეფეს დავითს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, დამალეს" — სახლსა ჩოლოყაშვილისასა გარსევანისასა, რომელი იყო სახლთუხუცესი"[3].. 1634 წლის საბუთში მოხსენიებულია „სახლთ: უხუცესი ჩოლოყაშვილი პატრონი ედიშერ"[4]. იმავე XVII საუკუნის I ნახევარში, თეიმურაზის დროის სახლთუხუცესად იხსენიება რევაზ ჩოლოყაშვილი[5]. 1737 წლის ერთი საბუთის მიხედვით სახლთუხუცესად დურმიშხან ჩოლოყაშვილი. 1798 წლის ახლო ხანებში სახლთუხუცესად ჩანს გოგია ჩოლოყაშვილი[7]. 1802 წლის საბუთში სახლთუხუცესად მოხსენიებულია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი[8].

ამრიგად, ჩოლოყაშვილთაგან რვა სახლთუხუცესია ჩვენთვის ცნობილი, ხოლო სხვა საგვარეულოთაგან — ერთი, ეს არის ნოდარ ჯორჯაძე[9].

ჩოლოყაშვილებს ეკავათ აგრეთვე დიდი სასულიერო თანამდებობებიც; ხშირად მსხდარან ისინი ალავერდელებად და ხარჭაშნელებად[10]. ზემოხსენებულ ამიდან ჩანს, რომ ეს საგვარეულო კახეთის სამეფოში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ყოფილა. ამის დასტურია მათი სამეფო კართან დამოყვრებაც.

В. Г. ЦИСКАРИШВИЛИ

ДВЕ ЭПИТАФИИ ИЗ АХМЕТА

Резюме

В статье публикуются две эпитафии XIX века из церкви Святого креста в Ахмета, принадлежащие двум братьям Иоанну и Луарсабу Чолокашвили; в эпитафиях упомянуты также их родители — «сахлтухуцеси» (первое лицо после царя) Георгий и Екатерина, дочь царя Ираклия II.

---

[2] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 40.

[3] ახალი ქართლის ცხოვრება, ი. ჯავახიშვილის გამოცემა, 1940, გვ. 53.

[4] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, — 28.

[5] ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 185.

[6] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, 1897, გვ. 154.

[7] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, II, ნ. ბერძენიშვილის რედ. 1953, გვ. 133.

[8] კ ე კ ე ლ ი ა, მდივან-ბეგთა ვინაობის საკითხისათვის საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში, „მაცნე", 6, 1968, გვ. 202.

[9] ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 141, 146.

[10] ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, 1903, გვ. 232, 244, 246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. გედუკიძე

სვანური ავეჯი

(ფიჩქ-ი და ჰასკამი)

სვანეთში გავრცელებული სატრაპეზო დგამი კონსტრუქციის მიუედვით ორი სახეობისაა: მრგვალთავიანი სამფეხა მაგიდა „ფიჩქ“ და ოთხკუთხი მოყვანილობის სამი ან ოთხფეხიანი მაგიდა ტაბაგ. სვანეთში სატრაპეზო დგამის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება: „ტაბაგ“, გრჯაბ „ფიჩქ-ი“. თითოეული მათგანი განსხვავებული ფორმის იყო. ფორმათა სხვაობას დგამის ამ სახეობის კონკრეტული დანიშნულებით ხმარება აპირობებდა. კერძოდ, ოთხკუთხა მოყვანილობის გრძელი დგამი, რომელიც მხოლოდ მაგიდის ფუნქციით ისმარებოდა, ტაბაგის სახელით იყო ცნობილი. იგი, როგორც წესი, ოთხფეხს ემყარებოდა.

ზედაპირჩაღრმავებულ ოთხკუთხა ან ოვალურ ტაბაგს, რომელსაც თავსა და ბოლოში სახელური უკეთდებოდა, „ლაზრულა ტაბაგ“ ერქვა. იგი ძირითადად სახორცე დგამი იყო. არსებობდა ხორცის დასაჭრელი მაგიდაც, რომელიც „გრჯაბ-ის სახელით იყო ცნობილი. ეს უკანასკნელი მრგვალია და ჩაღრმავებულზედაპირიანი. ამ მაგიდას ცომის საზელადაც იყენებდნენ. დღეობის დროს მასზე კეთდებოდა ხაჭაპურები („ლესკარ“, ხორციანი პურები). გრჯაბს ზედაპირზე მრგვალი ნასვრეტები ჰქონდა. ხორცის წვენი და ყველის სისველე ამ ნასვრეტებში გადიოდა, რის გამოც მაგიდის ზედაპირი მშრალად იყო დაცული.

სატრაპეზო დგამი სვანეთში სქესისა და ასაკის მიხედვით იყო დიფერენცირებული. ამგვარი დიფერენციაციის აღდგენა დღეს, რა თქმა უნდა, ხალხის მეხსიერებითღა ხერხდება. ამაზევე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება როგორც საკაცო, ისე საქალებო სუფრა-ტაბაგებისა და საუფროსო ფიჩქ-ის გამოყოფაც. დგინდება აგრეთვე საჯარო ტაბაგების არსებობაც, რომელიც ზოგან „Ცადა ტაბაგის“ სახელით ჩანს დამკვიდრებული (მარიამ გუას ასული პირველი ყიფიანი 70 წლის, წვირმი, 1976 წ.).

აქ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე „ნაწუარ ტაბაგიც“, რომელიც საქორწილო შესაწევარს ერქვა. სვანური წესით ნაჭულაშის (ურვადი) გადახდის შემდეგ ლიყიალ-ი ანუ ქმრის ოჯახში ქალის მოყვანა ხდებოდა. ჩვენ ამჯერად არ შევჩერდებით ქალის გასტუმრების წესთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო მომენტებზე და მხოლოდ ნაწუარ ტაბაგზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ახლო მეხუბარარის (საძმო) და ლანბაშნას (დისწულები) მიერ გაღებული შესაწირავი იყო. ეს შესაწირავი როგორც ქალის, ისე ვაჟის სახლში მიჰქონდათ. მგყიალა-ს (მაყარი) მისვლისას ქალის ნათესავებს მიჰქონდათ ქალის ოჯახში გაწყობილი ტაბაგები ზედ დალაგებული პურებით, შემწვარი გოჭით, თაფლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველით და ქუთუარით (ხაჭაპურით). შორიდან მოსულ ნათესავებს ნაწუარ ტაბაგის მაგივრად მოჰქონდათ ერთი დორა არაყი ან დაკლული ღორი. ვაჟის ოჯახში ქალის მოყვანისას ვაჟის მეხუბარარ-ს და ლანბაში-საც მიქონდა ნაწუარ ტაბაგი[1], რომელიც ქალის ნაწუარ ტაბაგის ანალოგიურად იყო გაწყობილი. ღამის სუფრის დამთავრების „შემდეგ საუზმეს-ლენცელს აწყობდნენ, რომლის შემდეგაც „ჭაჭილარი" იმართებოდა. იგი მრავალი საინტერესო მომენტით გამოირჩევა. ჭაჭილარის დასასრული ხოშა ტაბაგის — დიდი სუფრის დაწყებას მოასწავებდა, რომელიც კაცის ხარჯზე ეწყობოდა. საქალო და საკაცო ადგილები სუფრასთან გამიჯნული იყო და ხალხის განლაგება უფროს-უმცროსობის წესის დაცვით სრულდებოდა.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ავეჯი ოჯახის წევრთა უფლების და მათ შორის შრომის დანაწილების გამომხატველი ნივთიერი საბუთია, რომელიც კარგად ავლენს როგორც ოჯახის წევრთა უფლებას, ისე სქესობრივი ნიშნის გათვალისწინებით მათ საქმიანობას ოჯახში, რაც ერთგვარ გამოხატულებას პოვებს როგორც ავეჯის ფუნქციონალურ დიფერენციაციაში, ისე ცალკეული ფუნქციის მქონე ავეჯის შესაბამის ტერმინოლოგიაშიც.

სვანური ავეჯის ეთნოგრაფიული შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი არის არა მხოლოდ ხალხური ხელოვნების ნიმუში, არამედ სვანური სოციალური და რელიგიური ყოფის ამსახველი ნივთიერი მასალაც. ავეჯის ამ ჭრილში განხილვამ შეიძლება რაღაც წვლილი შეიტანოს მიცვალებულის დაკრძალვა-მოხსენებასთან დაკავშირებული ტრადიციების კვლევაშიც, შესაძლებელი გახადოს მასში უფრო ძველი წესების გამოვლენა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, ლასგვჯინა — სულის ჰასკამ//სასკამ (სურ. 1), მეორე მხრივ, ლასგვიჯინა (სულის) ფიჩქ-ი (სურ. 2).

ჰასკამ//სასკამი ხის სკამი იყო, რომელსაც მხოლოდ ოდნავ შეზნექილი ზურგსაბჯენი ჰქონდა. იფარში იგი ბეროლა სკამის სახელით ყოფილა ცნობილი (ელისო ომანეს ასული ხვისტანი, 60 წლის ადგილობრივი, 1974 წ.). აღნიშნული სკამი ჩვეულებრივი საუფროსო სავარძლის საკურცხილის სიმაღლის კეთდებოდა. მის დასამზადებელ მასალად ფიჭვი იხმარებოდა. საზურგის დასაჯდომ ფიცარში ჩასმა ულურსმნოდ — კბილანების გამოყენებით ხდებოდა. ზოგჯერ მის დასამზადებლად შვერილის ბუდეში ჩასმის წესს იყენებდნენ. ფეხებს ჭვინთით — ხის ლურსმნით ამაგრებდნენ. მას სულისათვის განკუთვნილ ფიჩქთან ერთად ლასგვიჯინა ან ლაფანა სასკამ//ჰასკამ ერქვა. ამგვარი სკამი და ფიჩქ-ი ოჯახში ახლადგარდაცვლილთათვის კეთდებოდა და მას წლამდე სულის მოსახსენიებელ ყველა სოჯახო რიტუალში იყენებდნენ.

ხალხის რწმენით, რადგან მიცვალებული ერთი წლის განმავლობაში სახლში რჩებოდა, მას მზრუნველობა ესაჭიროებოდა. ამგვარი, სულის მოსახსენიებელი დღე სვანეთში „კათხტაბაგ", „კათდაბაგ", „ლაგვან", „კოჩხობ"-ის სახელითაა ცნობილი. სწორედ აქ იხმარებოდა. მიცვალებულისათვის განკუთვნილი ჰასკამ//სასკამ//ბეროლი სკამი, რომელზედაც აღაპის დროს მიცვალებულის კუთვნილი ნივთები ეწყობოდა. მიცვალებულისათვის განკუთვნილი აღაპი ამ საპატიო სკამის გარეშე სვანისათვის წარმოუდგენელი ყოფილა. როგორც ჩანს, ამ „საპა-

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფილისი, 1939, გვ. 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1.

ტიო სკამზე"[2] მიცვალებულის კუთვნილ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი საგნის დადებაც სცოდნიათ, რომელიც „ლილშან"-ის სახელით ყოფილა ცნობილი[3]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ აღწერილის მსგავსი ცერემონიალი გ. ჩიტაიას ნაშრომის მიხედვით საკურთხილთან დაკავშირებით ვლინდება[4]. თუ ლიფანალი გარდაცვლილის ოჯახს წლამდე მოუსწრებდა, ოჯახი ახალგარდაცვლილი მიცვალებულისათვის გაკეთებულ ჰასკამ||სასკამს და ფიჩქ-ს იყენებდა. სხვა შემთხვევაში ამ დღეს მიცვალებულთა მოსაგონრად ოჯახში საუფროსო საკურთხილი და ფიჩქიც იხმარებოდა. როგორც გამოკვლეულია, ლიფანელი 5 იანვარს იწყება და პირველი კვირის ორშაბათამდე გრძელდება[5]. სვანებს სწამდათ, რომ მიცვალებულთა სულები წელიწადში ერთხელ იმ ქვეყნიდან ამ ქვეყნად მოდიოდნენ. აქ სტუმრობდნენ თავიანთ სახლებში და შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. ამიტომ 5 იანვარს, რომელსაც სვანები აღდგომს ეძახიან, სულების საამებლად ოჯახში ყველაფერი ირეცხებოდა. აღდგომს, 9 ან 12 ლემზირს აცხობდნენ და მამაკაცებს სულების მოსაპატიჟებლად გზავნიდნენ. ამ პერიოდში იხატებოდა ლეჭუნდრებიც. მეორე დღეს „განცხადება" ჰქვია. ამ დღეს კერის გარშემო სუ-

---

[2] ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1911—1913, გვ. 29.

[3] გ. ჩიტაია, სვანური საკურცხილ, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, VIII, ტ., 1925, გვ. 101.

[4] გ. ჩიტაია, იქვე, გვ. 101.

[5] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი ახალწლისეული, ტფ., 1939.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისათვის სუფრებს გაშლიდნენ, „დიდ მაგიდებს“ გარდა კერის თავში აატარა სამფეხა მრგვალი მაგიდაც უნდა მდგარიყო, რომელსაც ედგა საპატიო სკამ-სავარძელი „საკურცხილ“-ი. ეს მაგიდა და სავარძელი, როგორც გ. ჩიტაიაც აღნიშნავს, „გარდაცვლილი უმთავრეს წინაპრისათვის, გვარის უფროსისათვის იყო განკუთვნილი[6]. აქვე იდგა ახალგარდაცვლილის კუთვნილი ლასგვჯინა ჰასკამი და ფიჩქ-ი.

სურ. 2.

როგორც წესი, ოჯახის უფროსი მთავარი წინაპრის სახელის ხსენებით მიმართავდა სულებს. ცოცხლების კარგად ყოფნას შესთხოვდა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ოჯახის წევრები საჭმელს ეზიარებოდნენ. მესამე დღეს „ლილ-ჰომალს“ უწოდებდნენ. ეს სულებთან ლალჰორში (უშგულში ოჯახის ბედის გადასაწყვეტად) წასვლის დღეა. სწორედ ამ დღეს კარს ღიად სტოვებდნენ და ლასგვინჯა — სულის ჰასკამ ფიჩქსაც გარეთ დგამდნენ სულების დროებით გაცილების აღსანიშნავად. სულის ფიჩქ-ის გარეთ გატანა თავისებური ცერემონიალით სრულდებოდა. „ლასგვჯინა-ფიჩქზე“, რომელსაც ზოგან „ლასგვჯინა ტაბაგ“ ერქვა, დგამდნენ კათხით რძეს, ალაგებდნენ მოხარშულ კვერცხებს და ხორაგს. ფიჩქ-ი ნელა უნდა გაეტანათ. იგი უფროს კაცს გაჰქონდა, ქალი კი გზადაგზა რძის პკურებით მიჰყვებოდა (გრიგოლ სიმონის ძე ფიცხელანი, დაბადებული 1920 წ., წვირმი, ზედა ობანი), შემდეგ ამ საჭმელს ფიჩქის გარეთ გამტანი შეჭამდა ან დროებით გადააწყობდა და ლასგვჯინა ფიჩქს ჰასკამთან ერთად სულების მობრუნებამდე გარეთ დატოვებდა. კვირას სულების მობრუნებას ხსე-

[6] გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული სკამ-ტაბაგის მაჩუბში შემოტანა მოყვებოდა. ფიჩქზე ისევ ეწყობოდა სულისათვის განკუთვნილი საჭმელი, რომელიც ფიჩქის გარეთ გამტანს უნდა შეეჭამა. ჭამის პროცესი სხვებისათვის უხილავი უნდა ყოფილიყო (დამსწრენი თვალზე ხელს იფარებდნენ).

იფარში ფიქსირებული მასალით სულების კუთვნილი საჭმლის დალაგება ბეროლა სკამზეც სცოდნიათ. სკამის სულის გაცილება ფიჩქთან დაკავშირებული ცერემონიალის იდენტურად სრულდებოდა (ელისო ომანეს ასული ხვისტან-გულბანი, 80 წლის, ზეგანი, იფარი, ადგილობრივი) ლიჭლომალის შემდეგ ლიფანილი ეწყობოდა, რომლის მთავარ მიზანს სულების გართობა წარმოადგენდა. ორშაბათი კი სულების საბოლოოდ გაცილების დღედ ითვლებოდა. ამ გაცილების მთავარ ატრიბუტს აგრეთვე ლასგვჯინა ჰასკამ//სასკამ//ბეროლა სკამი და ფიჩქი წარმოადგენდა. ორშაბათ დილას სულების საბოლოო გაცილების წესი სრულდებოდა, რომელიც დროებით გაცილების ლიჭლომალის ანალოგიური იყო. ლიფანალის დამთავრების შემდეგ, ლასგვჯინა სკამ-ტაბაგს რამდენიმე დღე გარეთ ტოვებდნენ. სასულე სკამ-ტაბაგის გარეთ დატოვება, მათი რწმენით, სულების წასვლას უზრუნველყოფდა და მათ სახლში დაბრუნებას აცილებდა ოჯახს. შემდეგ იგი გარკვეულ დრომდე მაჩუბში ინახებოდა[7]. მიცვალებულისათვის განკუთვნილი სუფრა აუცილებლად მრგვალი უნდა ყოფილიყო. ამიტომ დგამდნენ ლასგვჯინა//სულის) მრგვალ ფიჩქს. ფიჩქს, როგორც წესი, სანთელს აკრავდნენ. აღსანიშნავია, რომ სულების გაცილების ცერემონიალის დროს ქალები ფიჩქთან იჩოქებოდნენ, ხოლო ოჯახის უფროსი მამაკაცი ყველა მიცვალებულის სახელს ჩამოთვლიდა. ეს ჩამოთვლა ზოგჯერ ერთ საათს გრძელდებოდა. ამის შემდეგ იწყებოდა ჯერ ფ-იჩქ-ის და შემდეგ ზედ დადგმული საჭმლის კურთხევაც. ეს შემდეგნაირად სრულდებოდა. ოჯახის უფროსი მოკიდებდა ლასგვჯინა ფიჩქს ხელს და იწყებდა მასზე ადუღებული რძისა და ნათავედის ჰკურებას. მიცვალებულის „ტაბლის" ეზოში გატანა, როგორც ჰასკამთან დაკავშირებით აღინიშნა, იმას ნიშნავდა, რომ „სტუმრები" მიცვალებულის სახით ოჯახიდან გადიოდნენ ოჯახის უფროსის მეთაურობით და იქაურობას ემშვიდობებოდნენ. „აღსანიშნავია, საბავშო ტაბაკი—ლიფანელის დროს ბავშვებს უბრალო ფიცრისაგან გაკეთებულს ან კიდევ უფეხო მაგიდებს უდგამდნენ და სკამის ნაცვლად „კვილს"[8].

სვანური მასალა ცხადყოფს, რომ მიცვალებულის სამარხი თუ სულის საწირავი და მოსახსენიებელი ხარჯებისათვის განკუთვნილი სურსათი ოჯახში ცალკე ინახებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, მიცვალებულთან დაკავშირებული ყველა წესის კარგად შესრულება ოჯახის ყველა წევრის ვალი იყო. მათ გარდაცვლილის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ და ამისათვის ოჯახის ქონებას არ ზოგავდნენ. არსებული წყაროები და ადგილობრივი ცნობები ცხადყოფენ, რომ ფიჩქ-ი მიცვალებულთა გაცილებასთან დაკავშირებული სვანური ჩვეულების თანმხლები დგამია. იგი არ ფიგურირებს ქელეხ-აღაპების ვრცელ

---

[7] თუ ოჯახს ვაჟიშვილი არ ყავდა, სულის სასკამ-ფიჩქის შენახვა ოჯახს ერთ წლამდე შეეძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ოჯახში 40 დღე იყო დაცული. შემდეგ მას სწვავდნენ ან სწირავდნენ ეკლესიას. ამგვარი შეწირული სკამი ფიქსირებულია სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის მიერ ლენჯერის მაცხოვრისა და წვირმის ჩობანის ეკლესიებში. მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ანგარიში აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის 1973 წლის სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციისა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXXII—3, 1976, გვ. 268.

[8] გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

სურ. 3.

სიებში, რომელიც XI—XVIII საუკუნეების საქართველოსათვის სავალდებულო და აუცილებელი ყოფილა[9]. ერთი მხრივ, ეს გარემოება და, მეორე მხრივ, სულის მოსახსენებელი ცერემონიალი გვაფიქრებინებს, რომ იგი ამ საინტერესო რიტუალის ატრიბუტია, რიტუალისა, რომელიც თავისი გენეზისით შორს მიდის და როგორც გამოკვლეულია, წინაპრის კულტს უკავშირდება. ხსენებული რიტუალის დღემდე მოღწეული ფორმა, მასში გამოვლენილი ძველი წესების მიუხედავად, წარმართობის დროინდელის პირდაპირ რეპროდუქციას არ წარმოადგენს. იგი სხვადასხვა დროის და ურთიერთობის შედეგად სახეშეცვლილი ფორმაა.

ფიჩქ-თან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მრგვალი მოყვანილობის თიხის სამფეხა ჭურჭელი (ძვ. წ. VIII—VII სს), რომელიც ლ. მაჭავარიანის სავარაუდო მოსაზრებით, ყოფაში გავრცელებული ტაბლების მინიატურულ სახეობას წარმოადგენს და საგანგებოდ მიცვალებულთათვის სამარხში ჩასატანად იყო განკუთვნილი. მისივე მოსაზრებით, არ არის გამორიცხული მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალის ამგვარ ტაბლებზე შესრულებაც. ლ. მაჭავარიანი განათხარ თიხის ტაბლებს სვანური ფიჩქ-ის პროტოტიპად მიიჩნევს, რასაც განათხარი მასალის სვანურ ფიჩქ-თან შედარებითა და ამ უკანასკნელის ფუნქციის გათვალისწინებით ასკვნის[10].

---

[9] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 300.

[10] ლ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ქართული ტაბლის ერთ-ერთი სახეობა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა, რომ ფიჩქ-ი იხმარებოდა ღვთაება ლამარიასა და ბარბოლის სახელზე დაწესებულ წეს-ჩვეულებებშიც და თითქმის ყველგან ამ დღეობებთან დაკავშირებული ცერემონიალის ერთგვარ აქსესუარად გვევლინება.

ბალს ქვემოთ ლახამულაში სანთლებ მიკრული ფიჩქ-ის კერიის პირთან მიტანა და ლოცვა ლამარია ლიფანეს დროსაც სცოდნიათ (იგივე შობ, ჭანტილობ 24 დეკემბერი)[11]. ხალხის რწმენით, ამ დღისათვის განკუთვნილი ტაბაგი, რომლებზედაც მუჯარმოსხმულს (თესლია) და ლობიან პურებს აწყობდნენ, მრგვალი უნდა ყოფილიყო. მასზე პატარა კიზ-ის (კოვზის) და ღუარჩილის (ჩოგანი) დაწყობაც სცოდნიათ. ამ უკანასკნელს ოჯახის წევრი მამაკაცი შობ დილას ლამარიას სახელზე აკეთებდა (ლამარიას მშობიარობის დროს დასჭირდებაო). იმ შემთხვევაში თუ ოჯახში ერთი ფიჩქ-ი იყო და იმას მიცვალებულთა სულების ლიფანესათვის იყენებდნენ, მაშინ ლამარია ლიფანესათვის განკუთვნილ სუფრას ქალების ბანდარის მომრგვალებულ თავზე შლიდნენ. ლამარიას სუფრასთან დიასახლისი ლოცულობდა და ლამარიას ოჯახის კეთილდღეობას ევედრებოდა. მიცვალებულის სულებისათვის განკუთვნილი სუფრაც პირველისაგან განსხვავებით კიზ-ისა და ღუარჩილის გარეშე იყო წარმოდგენილი. ამ სუფრასთან მამაკაცი ლოცულობდა და სულებს ოჯახის ბედნიერებას ევედრებოდა. ლოცვის შემდეგ ლამარიასათვის განკუთვნილ სანოვაგეს ქალები შეექცეოდნენ, ხოლო სულებისათვის განკუთვნილს მამაკაცები. კიზი და ღუარჩილი მომავალ შობამდე კიდობანში ინახებოდა[12].

ბალს ზემოთ იენაშში იარუნესგის დღეს, რომელიც წელიწადში ორჯერ მოდიოდა, ერთი შობა-ახალწლის შუა კვირას და მეორე აღდგომა — ახალკვირის შუა, თარინგზელში წასვლა სცოდნიათ. თანლი თარინგზელში ლოცვა ორშაბათობით ხდებოდა. მათი რწმენით, თარინგზელი ვაჟიშვილების მომცემი იყო. იქ მიჰქონდათ შესახელებული არაყი, რომელიც „წმინდა“ იყო. მას ქალი არ უნდა გაკარებოდა და არც ღორის ქონი მიცხებოდა. ძველად სალოცვიდან სახლში მოტანილი ზედაშეს არყის ფიჩქ-ზე დაპკურება სცოდნიათ. ფიჩქ-ზე დაქცეულ არაყს ცეცხლს მოუკიდებდნენ და იტყოდნენ: „ვინც ჩვენთვის ცუდი იყოს, ასე ალად მოეკიდოსო“[13], იარუნესგა ეწოდებოდა მთელ კვირას ქრისტეშიდან ზომხამდე. უშგულელები ამ დღეს მართავდნენ აგრეთვე ე. წ. კართხ-ტაბაგობას და ბაცხებს. კათხე-ტაბაგობაზე დაკლული ხარის ან ხარების გულ-ღვიძლს და ზედაშენს სალოცავში წაიღებდნენ, ხოლო გულ-ღვიძლს სახლში მიაბრუნებდნენ და მით შინმყოფთ აზიარებდნენ. ამის შემდეგ ფიჩქ-ი მაჩუბის მარანში შექონდათ და მას ქვევრის (ეეცის) თავთან დგამდნენ. ფიჩქ-ზე მოთავსებული იყო ხარის თავი, ლემზირები, ზედაშ-ის ანთებული სანთლები. მის გარშემო ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები გაჩერდებოდნენ. ქორა მახუში ხმამაღლა ილოცებოდა და საჭმელს ეზიარებოდა.

ახალ წელიწადს ბალს ქვემოთ კანდა ეწოდებოდა (ბალს ზემოთ მას ზემხა ჰქვია). ამ დღეს მეჭშხ-ები (მეკვლეები) ოჯახის უფროსი მამაკაცი და გოგონა იყვნენ. უფროსი წამოიკიდებდა საახალწლო ხორაგით სავსე გოდორს

---

[11] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I. ახალწლის ციკლი, ტფ., 1939, გვ. 30.

[12] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939, გვ. 30.

[13] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხინკ-ს), გამოიყვანდა ხარს, მეორე მეჭშხ-ი კი წყლის ჭურჭლით (გაბუ) წყალზე გადიოდა. ხარს წყალს დაალევინებდნენ, ჭურჭელს წყლით აავსებდნენ, რომელსაც ამ დღეს რძე ერქვა და ხარის თანხლებით უკან ბრუნდებოდნენ. ამის შემდეგ სახლში შედიოდნენ და ლიშიაშელ-ი (ხელის ახსნა) იწყებოდა. უფროსი ქორა მეჭშხი ცხინკს ჩამოიღებდა და მისალოცს მრგვალ ფიჩქ-ზე დაალაგებდა, ლაჭაშხიარ ფიჩქ-ს ხელში დაიჭერდა, ოჯახის თითოეულ წევრთან მივიდოდა, თითოეულს ფიჩქს მარჯვნიდან მარცხნივ დაუტრიალებდა და დალოცავდა. ეცერში წყალზე წასვლის ანალოგიური ცერემონიალის შესრულების შემდეგ (იქ გასული იყო ლიც მეჭშხიმ, რომელსაც წყალი უნდა მოეტანა და ქორთ მეჭშხი, რომელსაც ხარისათვის წყალი უნდა დაელევინებინა) მრგვალ მაგიდაზე „გრდ"-ზე ლაჭშხიახ-ს ამოალაგებდნენ და ლიშაშელს (ხელის ახსენე) შეასრულებდნენ. ლიცე მჭშხი (წყლის მეკვლე) პირველად დაასახელებდა ოჯახის წევრს, რომელთა ხელის ახსნაც უნდოდა. დასახელებული პირი მასთან გრდს მიიტანდა. ოჯახის უფროსი გამოართმევდა, მარჯვნიდან დაუტრიალებდა, დალოცავდა და სუფრას ხელში მიაწოდებდა. მეკვლე ლაჭშხიარ-ის ყველა ნაწილს კბილს დაადგამდა, შემდეგ გრდეს მიწაზე დაალაგებდა და არყიან სასმისს გამოცლიდა. ოჯახის დანარჩენი წევრები ასევე უნდა მოქცეულიყვნენ. ამას ხელის ახსნა — „ლიშიაშელი" ეწოდებოდა (ლიშიაშელი იგივე კუიმტარ კუმეტარებ — 2 იანვარი).

ლიშიაშელ-ის გათავებისთანავე ოჯახის უმცროს წევრს დარბაზში გააგზავნიდნენ და იმ ღამეს მყოფ ქორა მჭშხ-ს დაუძახებდნენ. ამ უკანასკნელს სგირ-ის ახლოს კართან ლაჭშხიარ გუიზს და ცხვარს შეაგებებდნენ. შემდეგ ქორა მჭშხი სგირ-ში შევიდოდა, კერას ლოცვა-ვედრებით გარს შემოუვლიდა. ხელში მასაც ფიჩქ-ი უნდა სჭეროდა.

იფარში ზომხას ახალი წლის დილას წესად ყოფილა „კეკაზე" ჩამოკიდებული ქვაბიდან ამოღებული წყლით პირის დაბანა, რაც პირველად ქორამ მჭშხებს უნდა შეესრულებინათ. აქ, სხვა თემებისაგან განსხვავებით, კალოზე თოვლის „კოშკის" დადგმა და მის გარშემო ხარის სამჯერ შემოტარება სცოდნიათ. შემდეგ კი ლიშიაშალი იმართებოდა. ლიშიაშალის ლოკალური თავისებურება იმაში ვლინდება, რომ კერიის მახლობლად დადგმულ ფიჩქზ-ე წერე ქუში შეხვეული ფუსნა მუჟღუ-ს და „წყლიან" (წმინდა) ჩაფრასტს ან სხვა ვერცხლის ნივთს აწყობდნენ. ქორა მჭშხი ფიჩქ-ს მიუახლოვდებოდა და ხელში ფუსნა მუჟღუს და ვერცხლს აიღებდა. იგი ოჯახის რომელიმე წევრს დაასახელებდა, რომელსაც ეს ნივთები ხელში უნდა დაეჭირა და ისევ ფიჩქ-ზე დაეწყო. სხვა წევრებიც ასევე უნდა მოქცეულიყვნენ. ხელის ახსნის წესის შესრულება ამით თავდებოდა. ქამე მჭშხის (გარეშე მეკვლეს) როგორც წესი, ლალაშს (მოწნულ გოდორს) აგებებდნენ: რომელსაც იგი ზურგზე წამოიკიდებდა, შინ შევიდოდა, ფიჩქს დაიჭერდა და ლოცვა-ვედრებით კერას შემოუვლიდა.

როგორც გამოკვლეულია, ზამთრის თითქმის ყველა დღეობაში და ზომხადღესაც მანდილოსნები თავ-თავის ოჯახებში ქორაშლი — მზერ-ს ამართავდნენ. სახლის უფროსი ქალი (ბოშა ზურალ-ი) გამოაცხობდა ყველიან კვერებს — ქორა ლემზ რ-ებს, რიცხვით იმდენს, რამდენიც ოჯახში ქალი იყო. მასს მეზირის სახელზე პატარა კვერი უნდა გამოეცხო, რომელსაც ქორა ლეგემი ეწოდებოდა. ამ ლემზირს იგი კერასთან ფიჩქ-ზე ან მიწაზე დადებდა და კაკერის ფეხთან იჩოქებოდა, კერის ფეხს შემოტარებდა და ბარბალეს ან ლამარიას საქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გამრავლებასა და ოჯახის წევრების კარგად ყოფნას შესთხოვდა. შემდეგ ფეხზე წამოდგებოდა, ანთებულ სანთელს, აგრეთვე ქორა ლეგემს წაიღებდა მარანში ან მაჩუბის სანაიში (თარაში) შეინახავდა, რომ არავის დაენახა[14].

საინტერესოა, რომ ფიჩქ-ი იხმარებოდა ღვთაება ლამარიასა და ბარბალოს სახელზე დაწესებულ წეს-ჩვეულებებშიც და თითქმის ყველგან ამ დღეობებთან დაკავშირებული ცერემონიალის ერთგვარ აქსესურად გვევლინება. საკულტო დანიშნულებით იხმარებოდა აგრეთვე „ღვესე ფიჩქ", რომელზედაც აჯანაჯობას დაკლული ხარის ქონი გროვდებოდა (სურ. 3). აჯანაჯობა ხარების საloცავი დღეობაა. იგი წვირმში 26 ივლისს თარინგზელის ახლოს სალოცავში იმართებოდა, რომელიც „კალოს" სახელითაა ცნობილი. ამ სალოცავში ქვედაუბნის ჩობნის კუკვაშის სამხუმის ქალები მიდიოდნენ და სხვა მრავალთა შორის ახლად დაკლულ ხარის ქონსაც ილოცებოდნენ, რომელიც სპეციალური მაგიდით „ღვესე ფიჩქ-ით" აჰქონდათ და ავედრებდნენ. ლოცვა ორ-ორი სანთლით ხელში დაჩოქილებს უნდა წარმოეთქვათ.

შესაწირ კოკრებსა და ლემზირებს იქვე აცხობდნენ. დარჩენილ სანთელსა და ფქვილს ცეცხლში აგდებდნენ. მისი სახლში წაღება არ შეიძლებოდა. წაღებულ ხარის ქონს ლემზირებს მთლიანად ურთავდნენ. დარჩენილი ლემზირები სახლში მიჰქონდათ, მაგრამ სხვა ამ გვარის წარმომადგენელს მისი შეჭმა არ შეეძლოთ (სუჩა ივანეს ძე თამლიანი, 95 წლის, სოფ. წვირმი, აღათი ქახუს ასული მარგველანი-ამლიანი, 80 წლის, სოფ. წვირმი).

ამრიგად, ფიჩქ-ი სვანური ავეჯის საინტერესო სახეობაა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამგვარი მოყვანილობის სატრაპეზო დგამი ტაბლის სახელითაა ცნობილი. იმავე სახელით იხსენიება „სულის სახსენიებელი" საკურთხიც. მაშასადამე, ტაბლა ძველი რწმენა-შეხედულების საფუძველზე შემუშავებული მრგვალი მოყვანილობის დგამი იყო, რომელზედაც ალაგებდნენ სულის მისაგებელ სანოვაგეს „საკურთხ ტაბლას". ე. ი. დგამისა და საკურთხის ერთი და იმავე სახელით მოხსენიებას გარკვეული საფუძველი გააჩნდა. შესაძლებელია ტაბლის მრგვალი მოყვანილობა დაკავშირებული იყოს ციურ მნათობთა შესახებ არსებულ რელიგიურ წარმოდგენებთან. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ტაბლათა სიმრგვალე უძველეს რწმენა-შეხედულებებს უკავშირდება, რომ სუფრად ხმარებული ტაბლის ფორმაც სწორედ რელიგიურ მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ნიშანდობლივია, რომ სვანური მასალის მიხედვით დღეობებსა და განსაკუთრებით ბარბალობას მზის გამოსახულებიანი ფიჩქის ხმარება დასტურდება (ერისტო ეფთის ძე ზურაბიანი, 95 წლის, მცხ. სოფ. ტვიბში, ჩოლურის სასოფლო საბჭო, 1965). ამ ღვთაების სახელზე განკუთვნილი დღეობების დეტალური ანალიზი და მეცნიერული ინტერპრეტაცია, ვ. ბარდაველიძის მონოგრაფიაში მოცემული ბარბალეს არა მხოლოდ ქალური ნაყოფიერების ღვთაებად, არამედ ასტრალური ბუნების ქალღმერთადაც წარმოაჩენს[15]. ამას ადასტურებს მის სახელზე შეწირული ნივთებიც, კერძოდ, კვირისტავის მსგავსი საგნები და სხვა ვითარცა დედრობითი ნაყოფიერების სიმბოლური გამოსახულება[16]. რადგან სვანური

---

[14] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[15] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ, თბ., 1941, გვ. 8.

[16] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1941, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალის მიხედვით, მზის კულტის ამსახველი ბარბალ//ბარბალის კულტია მიჩნეული[17], შესაძლებელია მის სახელზე შესრულებული ცერემონიალის აუცილებელი ატრიბუტის მზის გამოსახულებიანი ფიჩქ-ის მრგვალი ფორმაც სწორედ მას დაუკავშირდეს, რომლის ემბლემასაც მისი ასტარული ბუნების გამო დისკოს მოყვანილობა უნდა ჰქონოდა.

სვანური ავეჯის დღემდე მოღწეული ნიმუშების უმრავლესობა წინანდელთან შედარებით სრულიად განსხვავებული სოციალურსა და იდეოლოგიურ სფეროშია აღმოცენებული, ამიტომ თავის დროზე ორნამენტის მხატვრულ ღირსებაზე მოქმედ წინაქრისტიანული ხანის კულტურული ტრადიციების გაქრობამ, ავეჯის კვეთილობის დეკორატიულ შემკობად გადაქცევა განაპირობა. მაგრამ წინაქრისტიანული ხანის კულტურული ტრადიციები ამა თუ იმ სახით მაინც შემორჩნენ[18]. წინა ქრისტიანული რწმენის კვალს ატარებს აგრეთვე ავეჯის ორნამენტის ზოგიერთი დეტალი თუ მასზე გამოსახული ნიშან-სიმბოლო, რომელიც სვანების ყოფაში შემონახული წეს-ჩვეულებებით იხსნება[19].

Л. А. БЕДУКИДЗЕ

СВАНСКАЯ МЕБЕЛЬ

(Пичк, аскам)

Резюме

Производство и употребление деревянной мебели в Сванетии имеет многовековую историю. Об этом свидетельствуют богатые традиции связанные с некоторым видом народной мебели.

Предполагаемая вниманию статья ставит себе целью уточнить некоторые особенности сванской народной мебели.

В работе также рассматриваются по мере возможности религиозные обряды, связанные с изученным типом мебели (стола — пичк, кресла — аскам) и в основном являющимися пережитками языческих верований.

---

[17] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 43, 40. ამის შესახებ იხ. აგრეთვე, ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, სვანური ავეჯი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970.

[18] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ფ. ქ ი ქ ო ძ ე, ექსპედიციის ანგარიში. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, VII, 1932, მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ჩხუდანი, სვანური სახლის კერპი, სვანეთი, I, თბ., 1977; მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი, სვანეთი, I, თბ., 1977.

[19] ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, სვანურ ავეჯზე მოცემული ზოგიერთი სიმბოლური გამოსახულების შინაარსის ახსნისათვის, სვანეთი I, თბ., 1977, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჯიქია

ქართველ მთიელთა კვების რეჟიმი

ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებიდან, ეკონომიური შესაძლებლობიდან და საოჯახო მეურნეობის ორგანიზაციიდან გამომდინარე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში შემუშავდა კვების რეჟიმი — სამჯერადი, დამახასიათებელი მთლიანად საქართველოსთვისაც[1]; გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, როცა სამუშაოს სპეციფიკა საჭიროებს დღიური რაციონის გაზრდას და კვებაც ოთხჯერადი ხდება (თიბვის, მკის მუშა).

საჭმლის მიღება მთაში შემდეგი განრიგით ხდებოდა: დილას — „მზე აროს მოვა" — სადილი II ნაყრი; რასაც ხევსურული ხალხური ლექსი ადასტურებს: „კას ყმას აჭმიე დედილო, დილა ადრიან სადილი"[2]. თუ კაცს არაფერი უჭამია დილას, მთიულები უნაყროს II უნაწილოს ეძახიან. გამოთქმაცაა: „უნაყროზე გუგულმა დამძლიაო". უნაყრო კაცზე იტყვიან, ნაწილი არ უნახავსო. ასეთი კაცი საჭმელს რომ შეჭამს — ნაწილში გაირივაო[3]. ქიზიყში განაწილება დილის საუზმეს ქვია, უჭმელს — უნაწილო. შუა დღისას — სამხარი//სადილი ქიზიყში), „მზე რომ მხარს შეიქცევს[4]". საღამოს//წუხრ-ვახშამი// ვოხშამი. საჭიროების შემთხვევაში დამატებულ მეოთხე ჯერს სამხროს შემდეგ შეექცეოდნენ და სამხრის კუდს უწოდებდნენ.

ძველ ქართულ წყაროებში ქართველთა კვების დღის რეჟიმი ამავე რიგითაა მოხსენიებული: დილას — სადილობა//სადილობა//დილეული//სადილი) „სადილისა ჯამი არს", „ისადილენით")[5], „საშუალო დღისა" — სამხრება//სამხრის ყოფა//სამხრობა), „მოიწია ჟამი სამხრისა", „თქუენ მიართვ" სამხარი მომკალთა მათ"[6]), საღამოს — ვახშმობა), დაიყენა იგი, რა თა ივახშმოს მის თანა"). საბას მიხედვითაც, სადილია, „დილის საჭმელი"[7], შუადღე ჭამადი არს სამხა-

---

[1] სამჯერადი კვებაა დამახასიათებელი კავკასიის სხვა ხალხებისათვის, რომის, საბერძნეთის, თურქეთის, ბალტიისპირეთის ხალხებისათვის და სხვ.

Н. Ф. Грабовский, Ингуши, Сборник сведений о кавказских горцев, вып. IX, Т. 176; Реальный словарь классических древностей по Любкеру, С—ПБ, 1885, с. 283; В. К. Милюс, Пища и домашняя утварь литовских крестьян в XIX—XX вв., Автореферат, М., 1954.

[2] ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, 1964, გვ. 154.

[3] ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, 1967, გვ. 93.

[4] ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1967, გვ. 293.

[5] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 142.

[6] იქვე, გვ. 366.

[7] იქვე, გვ. 155

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი“[9], ვახშამია „მწუხრის საჭმელი“ და იქვე მიუთითებს, რომ „გლეხური“[10], მეორეგან „მიმწუხრი ჭამადს“, „სვრობას“ უწოდებს. დილის საჭმელს, საბას მიხედვით, საუზმეც ეწოდება; „სამხრისა შემდგომად ჭამადსა — ზარმელი“, რომელიც მხოლოდ გურიის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა იმავე მნიშვნელობით. თუ ვინმემ ვახშმის შემდეგ „ჭამადი მიიღო, მას სერის კუდი“ ეწოდება. როგორც საბას განმარტებიდან ჩანს, ამ ჯერის[11] ჭამა ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო, „რამეთუ არიან კაცნი მუცელთ-მაძოვნებელნი, რომელნი ჭამენ ოთხ-ხუთთა ჯერთა“[12]. სხვა შორის, ბერძნული წყაროს მიხედვით (ფილაქე), „იბერები ყველანი წყალს სვამენ, თუმცაღა ადამიანებში უმდიდრესნი არიან. მოეძებათ დიდძალი ვერცხლი და ოქრო... მომჭირნეობის გამო დღეში მუდამ ერთხელ ჭამენ, ტანისამოსს კი ატარებენ უძვირფასესს“[13] ცნობას იბერების შესახებ, შენიშვნის სახით, დართული აქვს აკ. ურუშაძის განმარტება, რომ „ძნელი გასარკვევია რომელ იბერებზეა აქ ლაპარაკი — დასავლეთის (ესპანეთი) იბერებზე, თუ ქართველ ტომზე“[14]. თუ ვიმსჯელებთ ქართველთა კვების რეჟიმის და საყოველთაოდ ცნობილ ქართული ხელგაშლილობის მიხედვით, იბერთა ზემოხსენებულ ტომში ქართველებს, რა თქმა უნდა, ვერ შევიცნობდით.

ფშაველ-ხევსურნი და გუდამაყრელნი ყველაზე ნოყიერად დილას მიირთმევდნენ, ამზადებდნენ ცხელ კერძს, ხინკალს, ხორტს, ყველს; სამხარზე—მონარჩენით და მშრალ საჭმელზე (ყველი, პური) გადადიოდნენ, ვახშამიც შედარებით მსუბუქი იყო — კეცეული, რძე ან შეჭამანდი ფქვილის მთიულები სამხარს უფრო ნოყიერად ამზადებდნენ: წვნიანი, ხორცი. დილას პურ-ყველით სადილობდნენ, ვახშმად ხინკალი, ფაფა ან სხვა რამ. მთიულები გაზაფხულამდე მხოლოდ სადილ-ვახშმით კმაყოფილდებოდნენ. გაზაფხულიდან სამხარსაც ჩართავდნენ თავიანთ კვებაში. „წინავ ისე თქვიანკე, წერიობი როცა გადაივლიან საზამთრო სამყოფში, მეორე სამხარი აღარ უნდა ხალხსო“. ძირითადად ყოველდღიური სუფრის კერძები დამოკიდებული იყო შეძლებასა და დროზე. ჭამდნენ, რაც გააჩნდათ. XIX ს. სადილ-სამხრის „გლეხური“ სუფრა, რომ ხშირად პურით, ყველითა და ხახვით ამოიწურებოდა, უცხოელთაც აღუნიშნავთ[15].

საუკუნის დასაწყისში სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში ორგანიზმისათვის ყველაზე სასარგებლოდ მიჩნეული იყო საჭმლის განაწილება დღის განმავლობაში სამ ჯერზე და დილის მსუყე საუზმე [16]. დღეისათვის სამჯერადი კვება წარმოადგენს დადგენილ აუცილებლობას. აქედან ორგანიზმს დღიური რაციონის უდიდესი ნაწილი ჭირდება დღის პირველ ნახევარში, როცა შრომა ყველაზე ინტენსიურია; დღის მეორე ნახევარი—ნაკლებინტენსიური, ხოლო სა-

---

[8] სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 288.

[9] იქვე, გვ. 295.

[10] იქვე, გვ. 118.

[11] იჯრა, ჯერი-ერთი საჯერო ჭამადი, იქვე, გვ. 157.

[12] იქვე.

[13] აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებანი, 1964, გვ. 341, 342.

[14] იქვე. გვ. 500.

[15] Гакстгаузен, Закавказский край, II, ч. 1857, с. 58.

[16] Проф. Лейден, Пища здоровых; Хозяйка (приложение к журналу «Спутник здоровья» за 1904 г.), № 1—2, с. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამოს — დასვენების პერიოდში, ადამიანი ყველაზე ნაკლებ ენერგიას ხარჯავს და ულუფაც ამის მიხედვით ჭირდება[17]

ქართველ მთიელთა დღის რაციონი, რომელიც დროთა განმავლობაში შემუშავდა სეზონურად და დღის სხვადასხვა მონაკვეთში შრომის სიმძიმისა და ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, დღევანდელ ნორმებს შეესიტყვება, რაც უდაოდ, ხალხის კეთილდღეობაზე, მიგნებისა და ათვისების დიდ უნარზე და შრომით ცხოვრებაში რაციონალურად გამოყენებაზე მიუთითებს.

ჩვენში შემონახულია დღიური კვების შესანიშნავი ტრადიცია. დღესაც „მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი შრომა კი არაა ადამიანის ადრეულად გადაღლისა და მწყობრიდან გამოყვანის მიზეზი, არამედ მისი უწესოდ, ურეჟიმოდ წარმართვა. შრომითი პროდუქტიულობის თვალსაზრისითაც უკიდურესი, მთლიანად იერიშობანაზე აგებული საქმიანობა ვერასოდეს შეედრება სტაბილურად, რიტმულად და რაციონალურად ორგანიზებულ შრომით საქმიანობას. ეს კი აუცილებლად მოითხოვს ასევე სტაბილურ და რიტმულ კვებით რეჟიმს“[18].

Н. П. ДЖИКИЯ

РЕЖИМ ПИТАНИЯ ГРУЗИНСКИХ ГОРЦЕВ

Резюме

Исходя из биологических потребностей человека, экономических возможностей и организации семейного хозяйства, в горной Грузии как и во всей Грузии утвердился трехразовый режим питания. Некоторые исключения были обусловлены спецификой сезонных работ, требующей увеличения дневного рациона, когда питание становилось четырехразовым (косовица, жатва).

В начале XX века в специальной медицинской литературе самым полезным для организма считали трехразовое питание и плотный утренний завтрак. На сегодняшний день трехразовое питание является обязательным. Большая часть дневного рациона организму необходима в первой половине дня, когда человек трудится более интенсивно, чем во второй половине дня. Вечером, в период отдыха, человек меньше тратит энергию и соответственно ему требуется меньше пищи.

Дневной рацион горцев Восточной Грузии отрабатывался в течение веков, учитывая тяжесть сезонного труда и время дня. Вышеперечисленные факторы соответствуют и сегодняшним нормам питания.

В Грузии сохранена замечательная традиция режима питания.

---

[17] Н. Ситоров, Современная кухня, 3000 рецептов, София, 1965, с. 16.

[18] ვ. ლეკიშვილი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და მისი პროფილაქტიკა, 1971, გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. МИХАЙЛОВ

ЖИЛЫЕ И ХОЗЯЙСТВЕННЫЕ ПОСТРОЙКИ ГРЕКОВ-ПОНТИЙЦЕВ ГРУЗИИ

В этнографической науке, наряду с другими вопросами одним из важнейших является вопрос о формах поселения. Поселение по своему содержанию непосредственно, органически связано с хозяйством и ландшафтом[1]. Поселение является одним из важнейших источников в деле изучения общественного быта того или иного народа[2].

Общеизвестно, что любая форма поселения состоит из ряда домов. И поэтому тот, кто изучает жилище для полной картины должен коснуться и поселения, где непосредственно развивается жилище. Уровень высоты Малого Кавказа колеблется в основном между 100—1500 м над уровнем моря[3]. Но кроме этого некоторые микрорайоны этой области доходят до 2500 м, где и сосредоточены высокогорные пастбища — альпийские луга. Природные ландшафты Малого Кавказа разнообразны. Кроме равнины здесь можно выделить следующие природные единицы: зона предгорий с климатом переходящим от субтропического — сухого к умеренно-влажному. Верхняя граница этой зоны доходит до 900 м от уровня моря. Зона горно-лесная с широколиственными лесами (дубово-грабовыми и буковыми). Граница этой зоны представлена 900—1200[4] м. Нагорная равнина, верхняя граница колеблется между 1700—1800 м. В эту зону входя горные долины Гомарети, Зуртанети, Бедени, Кция-Цалка. С нагорной зоны непосредственно начинается субальпиъская зона, которая распространяется до 2400—2500 м. Потом идет альпийская зона. Эти две послед-

---

1 М. В. Витов. О квалификации населения, СЭ, № 3, М., 1953; М. В. Витов. Гнездовой тип поселения на русском севере, СЭ, М., № 2, 1955; А. И. Робакидзе. К вопросу о форме поселения в Сванети, КСИЭ, вып. XXIX, 1958; А. И. Робакидзе. Поселения, как источник изучения общественного быта, М., 1964.

2 А. Робакидзе. Поселение, как источник изучения общественного быта, М., 1964.

3 Д. Уклеба. Природные условия и ресурсы Нижнего Картли, Труды института географии им. Вахушти, т. IX, Тб., 1956, с. 88 (на груз. яз.).

4 Д. Уклеба. Указ. соч., с. 119; Т. Чиковани. Формы поселения на центральном Малом Кавказе, Мацне, № 2, Тб., 1973, с. 137.

ние зоны издревле славились своими тучными лугами, которые являются первоклассной базой для развития скотоводства. Все районы Центрального Малого Кавказа в географическом отношении можно разделить на три зоны: низкогорье, среднегорье и субальпийский луговой ландшафт[5]. В низкогорье и среднегорье преобладает симбиозное хозяйство с преимущественной отраслью, которая является специфической особенностью для данного района. Район Тетри-Цкаро в географическом отношении является типичным среднегорьем. Район в целом в хозяйственном отношении является симбиозным. Здесь одинаково хорошо развиты и скотоводство и полеводство.

В связи с особенностями рельефа сельские поселения этого края характеризуются разнообразием форм. Деревни и села районов Болниси, Марнеули, Дманиси расположены преимущественно на ровных местах. Того нельзя сказать в отношении других районов. Другие села разных районов расположены, главным образом, в ущельях и на склонах гор, вблизи естественных источников воды. Поселения, содержащие памятники материальной культуры пережили время своего возникновения и, существуя на протяжении длительного периода, сохраняют следы породившей их общественно-экономической среды[6]. Поэтому совсем неудивительно, что в некоторых районах Малого Кавказа сохранились элементы старых форм поселения. В прошлом в этих краях армянские, азербайджанские, грузинские и греко-урумские села обычно состояли из нескольких десятков дворов и имели преимущественно скученную планировку[7]. Для внутрисельского общения служили узкие и кривые улочки. Крестьяне имели небольшие усадьбы, которые, главным образом, состояли из одного маленького дворика с фасадной стороны домов. Сады и огороды в большинстве случаев находились за селом и они были разбиты преимущественно вдоль рек. Что касается пахотных угодий, то они были сосредоточены вокруг села. Сенокосы и пастбища, как правило, всегда находились далеко от деревни. В дореволюционное время часть сельских сенокосов и пастбищ принадлежали общинникам, которые перераспределяли землю между собой.

Относительно общего облика деревни можно подчеркнуть, что каждое село, главным образом, располагалось вокруг церкви, поблизости которой находились и кладбища. В больших селах таких как Ирага было несколько майданов, кузнец, духанов и родников.

Родниковая колонка имела преимущественно форму маленькой базилики внутри с нишеобразным проемом. В проеме был один или два глазка для труб, откуда вытекала прозрачная родниковая вода.

---

5 Т. Чиковани. Указ. соч., с. 139.

6 А. Робакидзе. Поселения как источник изучения общественного быта; Т. Чиковани, указ. соч., с. 139, 140.

7 Т. Чиковани. Указ. соч., с. 140.



Рис. 1. (худ. Д. Жорданиа)

Так что родниковая каменная колонка была своего рода памятником материальной культуры. Церковь в дореволюционной деревне являлась главным ориентиром поселения. Одним из основных компонентов поселения является кладбище, которое характерно для всех сел Малого Кавказа. В больших селах, каким является Ирага, с населением свыше шестиста домов всегда функционировали три кладбища (Большая Ирага, Джиграшени, Малая Ирага), где каждая фамилия имела свои родовые участки. Христианское население Грузии в могилу покойника клало плитообразные технически отработанные каменные блоки. На надгробных плитах с помощью рельефной резьбы, изображали профессиональную принадлежность усопшего. На камне усопшего землепашца, кроме человеческой фигуры изображали плуг, ярмо, быков. Греки ставили в виде надгробья памятники — скульптуры. На женских надгробных плитах выбиты те предметы, с которыми имела дело женщина: ножницы, швейная машина, детская люлька и т. д.

До революции, (в XX в.), в этих краях района Тетри-Цкаро, исключая Ирагу, Ивановку, Визировку, Меникалису преобладало крестьянское жилище с земляной крышей, т. е. дома с верхним светом, которые в основном имели полуподземную форму[8]. Такие жилые

[8] Т. Чиковани. Из истории жилища Закавказья, стр. 14; Т. Чиковани. Цалкский дом, Тб., 1962 (на груз. яз.).

и хозяйственные постройки имели комплексный характер и все они развиты были в горизонтальном плане. В отличие от других, греки-эллинофоны строили двухэтажные каменные дома. Представители каждой большой фамилии старались по мере возможности селиться вместе (так, например, Лазариди, Саввиди сселились преимущественно в Малой Ираге). Таким образом, образовались обособленные кварталы. В силу такого обстоятельства форма поселения носила скученно-квартальный характер.



Рис. 2.

В связи с быстрым приростом населения крестьяне до революции остро нуждались не только в пахотных угодьях, но им не хватало новых участков для строительства своих домов. С начала же, после победы революции, каждая нуждавшаяся семья вместе с приусадебным участком на окраине села безвозмездно получала и участок для нового местожительства, вследствие чего в первую очередь расширились границы сел и возникли новые формы поселения. После 30-х

ეროვნული ბიბლიოთეკა

годов те семьи, которые обосновались на гребневых местах селений образовали одностороннее гребневое поселение. В создании гребневого поселения, как и в других формах непосредственную роль играла солнечная сторона ориентации домов. В таких поселениях, как и в других формах, где каждая семья имела свои хозяйственные комплексы в планировании и расположении домов, уже не действовала моногенноквартальная, т. е. патрономическая традиция расселения. Теперь в селах выходцы из разных моногенных кварталов живут вдоль или с обоих сторон одной улицы. Такого рода внутрисельское расселение никому в глаза не бросается, межсоседская жизнь стала обычным явлением.

Аналогично произошло и с родовым кладбищем. Покойников хоронят на общесельских кладбищах. В настоящее время дом с усадьбой, т. е. конкретно взятый комплекс жилых и хозяйственных построек, который огорожен каменной стеной или деревянным забором, внутри которого фруктовый сад, огород и двор. Двор в большинстве делится на две части: одна из них является двором хозяйственного значения, а другая расположена с фасадной стороны дома и всегда содержится в чистоте. На хозяйственном дворе сосредоточены вспомогательные помещения — свинарник, курятник и т. д.

В Ираге в относительно ровных местах, где проведены прямые и широкие улицы, крестьяне расселялись с обоих сторон, т. е. поселение получило улочный характер. В этой форме поселения дома колхозников располагались так, как в гребневом. Планомерная застройка села нарушала старую традицию поселения квартального размещения отдельных фамилий.

В настоящее время почти нигде не встречаются кварталы моногенного характера. Здесь раз и навсегда изчезла традиция моноквартальной жизни. Современное сельское население размещено по-городскому, вдоль или с обоих сторон новых улиц, в домах новейшего типа, рядом друг с другом живут семьи разных фамилий. В деле строительства домов новейшего типа и повышения благосостояния и домашне-бытовых условий решающую роль сыграли новые социально-экономические сдвиги. После внедрения передовой агротехники и освоения более эффективных и плодовых сельскохозяйственных культур, расширение сети шоссейных дорог, установления регулярного автобусного сообщения между селами и городом, а также интенсивного строительства культурно-просветительных учреждений постепенно дали свои плоды. Неудивительно, что дома новейшего типа колхозников не отличаются от городских. Сельские дома в некотором плане по своему облику, размеру жилплощади часто превосходят своего городского собрата. В хозяйственном отношении нет существенного различия. Водопровод, канализация, стиральная машина, газ (баллонный), телевизор, холодильник, электричество, радио, — вот те

качественные элементы культурной сельской жизни, без которых невозможно представить себе колхозное крестьянство сел греков-эллинофонов.

Для возведения различного рода строений Грузия всегда располагала в достаточном количестве строительным материалом. Основным материалом является камень — базальт, туф, который добывают в карьерах и каменноломнях, расположенных вблизи сел. Добычей камня занимались индивидуально и коллективно, где работали сезонно. Вырубленный строительный камень должен был пролежать на месте всю зиму и полтора весенних месяца. Выдерживание камня на воздухе продолжительное время требовалось в целях увеличения его прочности и придания ему соответствующей пористости. Строительство домов по всей Грузии начинали ранней весной. Предварительные работы — доставка камня, лесоматериалов и их обработка к этому времени были завершены. После окончания тески каменных блоков приступали к обработке деревянных частей будущего дома. В Триалети применялся лесостроительный материал из дуба и бука. В целях предохранения от преждевременного сгниения этот материал обмазывали дегтем. С этой же целью применялось задымление (обработка дымом) дерева.

В строительстве домов принимали участие ближайшие соседи и этот коллективный труд носил в основном характер помощи. Участие женщин в строительстве домов не было принятым.

При постройке дома не составляли, конечно, планов и смет в современном понимании. Потомственные мастера-строители возводили строение со знанием локальных условий, имея в этом деле богатый опыт. Они выполняли обычно всю работу, связанную с камнем, за исключением штукатурки стен, настилки полов, покрытия кровли. Греки с древнейших времен возводили из камня свои жилые помещения, которые соответствовали их жизненному укладу данного места, данной эпохи.

Самым распространенным типом жилищ греков-эллиофонов в XIX в. Триалети (район Тетри-Цкаро) в селах Большая Ирага, Джиграшени, Малая Ирага, Ивановка, Визировка, Меникалиса был двухэтажный каменный дом с двух- или четырехскатной крышей. Производство каменных блоков, завозка леса обычно осуществлялись силами семьи без какой-либо помощи со стороны. Для дальнейших работ: устройства фундамента, возведения стен, межэтажных перекрытий и крыши приглашали мастера-профессионала. За свой труд они получали питание и плату (натурой и деньгами) по соглашению. При строительстве жилища применялся обычай соседской и родственной взаимопомощи. К помощи прибегали при подвозке камня с карьеров, устройстве межэтажных перекрытий и других трудоемких ра-



Рис. 3.

ботах. При постройке жилищ все основные работы выполняли обычно мужчины. Женским делом было приготовление пищи для строителей.

Дома строили на каменном фундаменте (Фундамент — Θεμέλιο) возводившемся на глубине от 0,5 до 2 м в зависимости от крепости грунта и места. В фундамент закладывали грубообработанные каменные блоки. Ширину фундамента составлял блок 0,70 — 0,80 см. У греков существовал обычай, на счастье по которому хозяин будущего дома бросал в фундамент мелкие деньги. Кладку производили горизонтально в шахматном порядке. По углам обычно ставили хорошо оттесанные каменные блоки.

Нижний этаж жилищ в подавляющем большинстве случаев служил хозяйственным помещением. В нем устраивали хлев, кладовые и т. д. Планировка нижнего этажа зависела от числа и назначения размещенных в нем отделений. В стенах нижнего этажа делали ниши, использовавшиеся для хранения разной домашней рухляди, продовольствия или в качестве кормушек для скота. Пол в нижнем этаже был земляной и он устраивался вровень с двором.

При строительстве крестьянских домов в целях экономии площади нижнего этажа в последнем часто не возводили внутренних капитальных стен, а для того, чтобы тяжесть перегородочных стен верхне-

го этажа не продавила перекрытия, под последние подводили сдвоенные несущие балки, которые снизу подпирали еще столбами.

В верхнем этаже дома устраивали жилые комнаты, чаще всего две, реже — больше. Одна из комнат служила спальней (ὑπτνοδυματου) другая была местом повседневного пребывания семьи. Каждому помещению давался самостоятельный выход на балкон или галерею. Внутреннее устройство всех помещений в доме было приблизительно одинаковым с той лишь разницей, что гостиной придавался более опрятный и нарядный вид. Главное место в интерьерах жилых помещений занимал камин, устаивавшийся в центре одной из боковых стен или в одном из углов комнаты. Камин представлял собой врезанный в стену полуцилиндр из обожженной глины шириной в 40—50 см, высотой в 1—1,2 м, завершавшийся вверху прямоточным дымоходом. Камин плохо нагревает помещение, поэтому зимой в комнаты вносили печки, сделанные из железа. В стенах комнат устраивали ниши двух типов: большие и маленькие. Большие начинались прямо от пола или на высоте 10—20 см от него. Ширину ниши имели 120 см, глубину — 40—50 см. В одни ниши ставили сундуки с запасной выходной и женской свадебной одеждой, в другие — складывали на день свернутые постели. В комнатах для повседневного пребывания в нишах стояли ларцы с продуктами, зерном, мукой, рисом. Маленькие ниши устраивали обычно в коротких поперечных стенах комнаты, реже в длинных стенах между большими нишами. Начинались эти ниши от пола или в 50—120 см от него и имели высоту 50—70 см. Использовались они для хранения посуды и продуктов. Интерьер жилища завершали многочисленные ковры, которыми завешивали простенки между окнами и нишами и застилали полы. Мебели было мало.

Неотъемлемой составной частью дома была открытая веранда-балкон, возводившаяся вдоль всей стены этого дома. Длина балкона при прямоугольном плане жилища равнялась фасадной стороне дома. К началу XX века жилище греков несколько видоизменилось и благоустроилось. К старым типам жилища относятся дома Лазариди Е. К. (построенный в 1895 году) рис. 1 и Дельянова М. П. (рис. 2), построенный в 1910 году.

Дом Лазариди Е. К. представляет собой двухэтажную каменную постройку. В нем деревянный пол, окна, балкон, крыша покрыта черепицей. Двухскатная стропильная крыша покоится на тринадцати каменных столбах. Высота каждого столба 2,5 м. Стропила состоят из наклоненных друг к другу деревянных балок. Крыша покрыта самодельной (кустарной) черепицей, которую изготовляли греки. Материалом служила красная глина, которую находили в глубине оврагов. Опорные стропила представляют собой слегка затесанные с боков бревна толщиной в 18—20 см длиной в 5—6 м. Нижние концы

брусков упирались в отверстия толстых бревен, положенных на стены дома, а верхние соединялись попарно между собой с помощью косого шипа. В развилки этих стропильных звеньев укладывали коньковый брус. Если крышу делали четырехскатной, то стропильные балки ставили и с торцовых сторон жилища. Опорные стропила обычно вырубали из клена, бука. Каркас из этих стропил не нес на себе непосредственого покрытия крыши, но служил лишь опорой для другой системы балок — несущих строения. Несущие стропила делались несколько тоньше опорных и имели диаметр 14—17 см, длина — 6—8 м. Верхние концы несущих стропил опирались на коньковый прогон, а нижние — на горизонтальные балки, положенные поверх пристенных столбов чердака. Стропильные звенья ставились между собой горизонтальными распорками. Нижние концы несущих стропил на 1—2 м выходили за наружные стены жилища, образуя над ним свес. На несущие стропила перпендикулярно им через каждые 20 см нашивались горизонтальные рейки опалубки, на которые накладывали уже черепицу. Черепица была плоской с шипом в середине верхней части. Деревянный пол жилища настилали деревянные балки, опиравшиеся на фундамент.. Доски пола делали из дуба и сверху тщательно обмазывали гажевым раствором. Окна устраивали на небольшой высоте, размером 70×120 см. Коробки их делали из дуба, ясеня. В окна вставляли железные решетки и двухстворчатые ставни. Потолок жилых комнат служил одновременно полом для чердака, на котором хранили и сушили фрукты и прочие припасы. Сверху его самым тщательным образом обмазывали глиной.



Рис. 4.

Основу чердака составляли круглые, деревянные столбы высотой в 130—140 см, устанавливавшиеся в углах по периметру всех стен жилища на расстоянии примерно в 2,5 м один от другого. Деревянные столбы были толщиной в 25—30 см, сечение которых имели 40×40 см. Вход на чердак устраивался с торца. Строительным материалом были каменные (базальтовые) блоки размером 30×40×30 см. Раствор делали из извести и глины. Сейчас при строительстве используют готовую гажу, идущую на отделочные работы при штукатурке. При приготовлении раствора используется песок и цемент. На пять ведер песка приходится одно ведро цемента и вода. Дома Е. К. Лазариди и М. П. Дельенова по-существу однотипные. В плане оба прямоугольные; они объединяют под одной крышей жилые и хозяйственные помещения, причем как обычно жилье располагается на втором этаже. На первом этаже расположены хозяйственные помещения. На второй этаж ведет внешняя лестница. Вход с продольной стороны. Перед входом лестница заканчивается небольшой площадкой или же ведет на вытянутый вдоль всей стены балкон. Обычно балконом пользуются для работы и времяпрепровождения в теплое время года, для просушки шерсти, одежды, постели, на нем дозревают кукурузные початки. Размеры комнат Е. К. Лазариди: первая — гостинная (τραπεζαρία) 6,5×3,5. Длина балкона достигает 12 м, имеет ширину 1,5 м. Дом М. П. Дельянова в плане прямоугольный, имеет размеры 12,5×8,5 м, столовая — 6,5×3, спальня — 5×3.

Чтобы построить дом на горном склоне надо срыть часть склона. На образовавшемся уступе возводили дом, одна стена которого непосредственно примыкала к вертикальному срезу, две боковые частично уходили в него и лишь передняя стена воздвигалась полностью вне склона. Но там, где грунт слишком тверд, горизонтальную площадку приходилось выносить сильно вперед, навешивать ее над склоном, подпирая снизу высоким фундаментом. Главный жилой архитектурный объем с плоским полом оказывался приподнятым над уровнем земли. Использовать нижний этаж для хозяйственных нужд, особенно для содержания скота, подсказывает простая логика. Характерным является то, что нижний этаж дома не всегда имеет ровный пол, часто он повторяет склон горы, не имеет настланного пола и скорее похож на высокий подвал, чем на этаж. Нижний этаж этого дома, углубленный в склон горы, служит хлевом. Его земляной пол служит хлевом, который повторяет неровность почвы. На второй этаж ведет внешняя лестница. Вход в хлев со стороны (такое расположение очень характерно для домов южноевропейского типа (средиземноморского)[9].

---

9 Типы сельского жилища в странах зарубежной Европы, Ю. Иванова. Народное жилище Греции, М., 1968, с. 128.

Там, где верхний этаж разделен на две или несколько комнат (как правило, развитый дом этого типа имеет жилые комнаты и отдельно от нее кухню, пекарню). Это членение не имеет устойчивого строгого традиционного порядка. Это обстоятельство подтверждает предположение об однокамерной постройке как исходной форме двухэтажного дома. Второй этаж этого дома с балконом порой напоминает планировку одноэтажного дома с вытянутыми по одной оси комнатами, имеющими отдельные выходы на балкон (галерею), что подтверждает нашу мысль о приемственности древних традиций.

Греческое жилище греков-эллинофонов до тонкостей напоминает жилище Греции, где издавна бытует тип дома, весьма характерный для многих стран Средиземноморья. Разумеется, что по своим главным признакам этот тип домов в разных странах имеет свои отличия в зависимости от природных условий, хозяйственной деятельности населения и местных традиций[10].

Найденный при археологических раскопках вблиз Афин жилой дом, датируемый классическим периодом, был построен из камня с черепицей, двухэтажный с галереей очень напоминает современное жилище и указывает на глубину исторических корней и народной традиции[11].

Надо полагать, что двухэтажный в равной мере как и одноэтажный развился из простейшего жилища Древней Греции — мегарона. Мегарон — наиболее ранний вид регулярного дома — известен еще с III—II тысячелетий до н. э. как тип массовой постройки. Об этом свидетельствуют раскопки в Трое, Крите, Микенах, Тиринфе[12].

Мегарон представлял собой квадратную или слегка вытянутую комнату без окон с входной дверью посередине передней стены. По всей длине располагался портик. Дальнейшее развитие дома типа мегарон привело к удлиненному плану: расположенные в ряд вплот-

---

[10] Г. Вейс. Внешний быт. История одежды, вооружения, построек, Москва, 1874, с. 177—180; *ΛΕΟΝΙΔΑ Β Λέλλον. ΕΛΛΑΣ, ΑΘΗΝΑΙ* 1975, 6, 7.

Н. Я. Марр. Средиземноморский дом и его яфетическое значение у греков и римлян, 1924, с. 226, 227.

[11] Типы сельского жилища в странах зарубежной Европы, М., 1968; Ю. В. Иванова. Народное жилище Греции, с. 120—139; О. Р. Будина. Народное жилище албанцев, с. 101—119; М. С. Кашуба. Типы народного жилища Югославии в XIX в., с. 69—101; Н. А. Красновская. Сельское жилище Италии, с. 264—283; Н. Н. Садомская. Традиционное жилище народов Испании (XIX—XX вв.), с. 283—304; Л. В. Покровская. Французское крестьянское жилище, с. 241—264; Ю. В. Иванова. Указ. соч., с. 126;

[12] В. Д. Блаватский. Архитектура античного мира, М., 1939, с. 13, 69; И. Евдокимова, Архитектура народного жилища в античной Греции, М., 1950, стр. 11.

A. K. Orlandos, Les matériaux de construction, Paris, XVI, 1968. p. 188.

Н. И. Брунов. Очерки по истории архитектуры, т. I, р. 8, 9.

ную друг к другу несколько домов сохранили самостоятельные выходы под общий навес (простаду), образованный стрехой навес и поддерживаемый столбами. Сходство жилищ античной эпохи с современным домом, как видно, полное.

Дом крестьян, как правило, имеет двор. Обычно двор располагается перед жилым домом, огорожен каменной стеной скалиткой или двухстворчатыми воротами. Часто двор — это просто огороженный загон для овец и коз (зимнее время). Во дворе по периметру двора вплотную к дому располагается пекарня. Двери всех жилых и хозяйственных помещений выходят во двор. Во дворе устраивают цистерну для воды и кран, расставляют в кадках декоративные растения. Со двора по наружным лестницам поднимаются на верхние этажи дома. Каждый дом стоит отдельно от соседних и имеет четыре фасада. Входные двери ориентированы в самые разные стороны, возможно, в зависимости от положения строительной площадки.

После русско-турецкой войны (1820—1829) южные районы Закавказья были заселены нетурецким населением, выходцами из некоторых районов (северо-восточных вилайстов) Турции. Греки-тюркоязычные вместе с грузинской, армянской этнической группой переселенцев нашли здесь памятники материальной культуры, которые отвечали их верованиям и обычаям и поэтому превратились в объект поклонения. Пришедшие из Турции урумы поселились на местах грузинских селищ и дали им свои новые названия. Например, Тези переименовали в Авранло, Нарушети — в Джинис, Уцхло — в Санта и т. д.[13] Деревни старой Цалки по характеру поселения и категории беспорядочного расположения, что было вызвано характером хозяйства и малоземельем[14].

Жилые сооружения были представлены вместе с хозяйственными постройками. Здесь в горизонтальном плане объединялись под различного вида кровли жилище для людей, хлев, сеновал, галерея, столовая с кладовой, имевшая ряд ниш. Термином дарбази обозначается жилище, имеющее венцеобразное перекрытие. Дарбази (σάλα) перекрыто многоступенчатым угольным венцом, суживающимся кверху. Оно имеет сверху световое отверстие — «эрдо». Определяющей частью постройки типа дарбази является венец. Каменное сооружение комплексного типа оно в горизонтальном плане под одной крышей представляло: собственное жилище — дарбази, столовую, марани, галерею, сеновал и хлев.

Из двух дверей в галерее одна ведет в дарбази, другая сначала на саманник, а затем — в хлев. Триалетское дарбази является комнатой больших размеров. Венец опирается на основные столбы (де-

---

13 А. Робакидзе. К вопросу о некоторых пережитках культа рыбы, СЭ, 1948, № 3, с. 120.

14 Т. Чиковани. Цалкский дом, Тб., 1960, с. 126, резюме (на груз. яз.).

дабодзи) и вспомогательные стенные столбы. На главной балке проложены прогоны, на которые правильными рядами опорных балок («никури») возведен венец — «гвиргвини». На деревянных конструкциях насыпана и утрамбована вначале, а затем земля. В результате такого перекрытия крыша всегда выпукла. Венец всегда заканчивается световым окном и дымоходом[15]. История жилищ типа дарбази уводит нас в далекое прошлое. Этому свидетельствуют найденные материалы в результате раскопок. Вопрос о том, где впервые возникли жилища типа дарбази не решен окончательно. Этот вопрос осложняется еще и тем обстоятельством, что принцип перекрытия так прост и логичен, что в примитивном виде он мог возникнуть разновременно, независимо друг от друга. Как известно, в раскопках мегаранов в Эгеике не найдены следы крыш и вопрос о системе перекрытия мегарона до сих пор еще не решен. В порядке научной гипотезы существует предположение, что догреческий мегафон мог быть перекрыт по-



Рис. 5.

15 Т. Чиковани. Цалкский дом, Тб., 1960, с. 28—48 (на груз. яз.); Г. Читая. Крестьянский дом в Кваблиани, «Обозрение», т. I, Тб., 1926 (на груз. яз.); Р. Агабабян. Архитектура грузинского народного жилища, Тб., 1945; И. Зайдлиц. Грек на Цалк, газ. «Кавказ», 1864, № 9; Д. Мшвениерадзе. Строительное дело в древней Грузии, Тб., 1953; Л. Сумбадзе. Дарбазные перекрытия в связи с колхидским домом Витрувия, Тб., 1950; М. Ильина. Древнейшие типы жилищ Закавказья Г. Я. Агабабян. Архитектура народного грузинского жилища ТБ, 1955, Витрувий. Десять книг об архитектуре. пер А. Петровского, кн. 2, М., 1936, с. 6, 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

добно дарбази — деревянным ступенчатым плоским сводом, развивавшееся из первобытно-примитивной землянки — ямы и пещеры.

Господство жилища зально-сводчатого типа должно быть отнесено к периоду разложения первобытно-общинного строя, к бытовому укладу большой патриархально-родовой семьи на высшей ступени варварства (примерно II тысячелетие до н. э. Господство мегарона древней Греции относится к тому же времени).

Одной из главных причин трансформации примитивной землянки в землянку со ступенчатым сводом надо считать потребность с ростом патриархальной родовой семьи, в увеличении жилой площади и объема жилища.

Новый способ перекрытия из коротких бревен давал возможность строить жилище более обширное по площади и внутреннему объему.

Плановая композиция одноэлементных жилищ Закавказья (ряд тунов Армении) очень напоминает аналогичную схему мегаронов. Сходна сама техника строительства из сырца или рваного камня с прокладкой иногда деревянных связей; сходны и уменьшенные книзу опорные столбы крито-микенского типа, родственны по форме и капители[16].

Система ступенчатого перекрытия в камне путем пересечения углов применялась в Эгейском море — в толосах Крита (II тысячелетие до н. э.) в гробнице Фракии IV в. до н. э. в гробнице Миласа эллинистической эпохи. Очевидно, что каменные своды в Эгеике как и в Закавказье произошли от деревянных сводов. Классическая планировочная схема прямоугольного помещения с портиком и антовыми стенами типа мегарона, которая широко представлена в закавказских жилищах, порождена не только крито-микенской Грецией, как незыблемо устанавливалась учеными, лежит в основе народного зодчества почти всего классического Востока, Малой Азии, Кавказа, как и западного Средиземноморья и северных областей Европы[17].

Каменные перекрытия типа закавказских деревянных ступенчатых сводов с перерезыванием углов прослеживаются в Егеике, Фракии и в примитивах Этрурии. Особенно примечательна каменная гробница кургана Фракии (Болгария) в Курт-Кале (IV в. до н. э.)[18]. Близкие параллели встречаются в критских полосах (XIV в. до н. э.)[19].

---

16 A. K. Orlandos, Указ. соч., XVI, с. 192, 195, 200, 222, 223. Л. Д. Морган. Дома и домашняя жизнь американских туземцев, 1934, с. 34, М. Ильина. Указ. раб., с. 21. Л. Меликсет-Бек. О необходимости сравнительного изучения крестьянских жилищ Армении и Грузии. Известия историко-археологического института, т. 3, с. 109, 110, Тифлис, 1925. С. Макалатия. Пшавия (на груз. яз.), Тб., 1934, с. 107, 110.

17 A. K. Orlandos, Указ. соч., XVI, с. 188—223.

18 A. K. Orlandos, Указ. соч., XVI, с. 191—192.

19 A. K. Orlandos, Указ соч., XVI, с. 195; Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, Ф. Энгельс. Происхождение семьи, частной собст-

Отмирание типа зально-сводчатого жилища и смена его новым видом жилища, связанные с распадом патриархальной большой семьи на малые индивидуальные и с разложением родового строя приближенно может быть отнесено к началу или середине I тысячелетия до н. э. По композиционной схеме односемейный дом близок к планировке одноэлементной категории (типа мегарона) жилища, состоящего из одной-двух комнат крытым навесом с фасада на деревянных столбах с той лишь разницей, что комнаты, рассчитанные на малую семью, значительно меньше зальных жилищ. Существенным отличием односемейного дома от древнего мегарона является архитравно-плоское перекрытие, вытекающее из уменьшения жилой площади. Развитие культуры и техники привлекло за собой устройство в односемейном доме окон и замену разных видов примитивного отопления более гигиеничным камином. Отсюда стали излишними ступенчатый свод и свето-дымовое отверстие.

В архитектуре народов как и любой другой страны, к древним местным формам в течение веков добавлялись новые, привнесенные переселенцами, принадлежащими к иной этнической среде или завоевателями-иноземцами, или заимствованное извне. Разнообразные типы построек стали обычными, имеют определенный ареал бытования и в этом смысле тоже могут быть названы традиционными. Турецко-ориентальный тип дома[20] со времен турецкого господства строили на севере Греции (Эпир, Македония—Салоники, Фракия). Турецко-ориентальный дом двухэтажный, под некрутой четырехскатной черепичной крышей, сильно выступающий над стенами. Основная особенность этого типа — второй этаж, выступающий над первым и нависающий над улицей. Такой тип дома мы встречаем в Сухуми — городской тип. Дом принадлежал греческому купцу Алеко Зографопуло (улица Ленина, 7), переехавшему в этот город из Константинополя (Стамбул) в 1920 году.

Кладка стен произведена из тщательно отесанных блоков размером 0,25×0,35×0,25 м, скрепленных известковым раствором. Крыша со слуховыми окнами, выводными печными трубами, украшенными просечными узорами. Под крышей устроено обширное чердачное помещение. Со двора к дому пристроена трехсторонняя каменная лестница. Парадная входная дверь — очень массивная, состоит из двух створок и украшена просечным железом и фигурными филенками. Дверь обрамлена полуокружной аркой, от пят которой начинается база

венности и государства. Партиздат, 1982, с. 59; М. Ковалевский. Очерк происхождения и развития семьи и собственности, 1939. Его же. Закон и обычай, 1980 г.

[20] А. Милюков. Путевые впечатления на севере и на юге. СПБ, 1865, с. 274; Б. Полевой. Искусство Греции, М., 1975, с. 78—91; K. Cibbord, Crecce, Cambridge, 1914, p. 66—67.

витых полуколонн с капителью (база с обратной, а капитель с прямой выкружкой). Окна первого этажа застеклены и имеют изнутри ставни. Первый этаж со вторым сообщается при помощи полувинтовой железной лестницы с перилами. На втором этаже, над подъездом, на выступающих из стены консольных балках надстроен застекленный эркер. Полы в помещении — деревянные, крашенные. В углу гостинной комнаты — камин. Интерьер такого дома частью сохраняет старые традиционные черты, находящиеся в своеобразном сочетании с современными городскими убранством и мебелью. Деление жилых помещений на гостевую (20×20), столовую (20×20), хозяйскую (20×18) часто сохраняется до настоящего времени. Кладовые, сарай, кухня и другие хозяйственные помещения размещены в нижнем этаже. Таким образом, жилище старого типа сочетает в себе экстерьер нового и интерьер в основном старого типа.

Рассмотрев основные типы крестьянских и городских построек греков переселенцев мы могли заметить преемственную связь их с домами современной Греции, которые хранят следы древней местной традиции. Но дома этих типов присущи не только одной Греции, а почти всем странам Средиземноморского бассейна. Ныне по всей материковой и частично в островной Греции сооружают дома под двух- или четырехскатной крышей стропильной конструкции[21]. Греки-понтийцы, поселившиеся в Грузии (район Тетри-Цкаро, Цинцкаро) после русско-турецкой войны, на основании Лозанского договора 1923 года переехали в Грецию, где вместе с репатриантами из Турции в Македонии создали ряд своих поселений. Они проживают в селах Георгиани (Грузия), Кавказа, Армения. В селе Армения живут в основном переселенцы из Алаверд, где греки в свое время работали на медеплавленном заводе, расположенном на Манесе[22].

Дома переселенцев из Грузии полностью повторяют типы домов Греции, описанные нами в районе Тетри-Цкаро. В большинстве случаев они повторяют типы домов Македонии (в особенности в местности близ Салоник) в селах: Спилострату, Неатригле, Сарти, Вурву, Орно Панайя, Ставровериас, Бафра, Санта, Амфиполис, Вариа, Скидра, Айос Василиос, Аспровальта, Лондари[23].

В Салониках и в Козани как и по всей Македонии проживают много переселенцев-понтийцев.

В условиях современной жизни нашего социалистического общества благодаря темпам перестройки хозяйства на смену старым домам пришли новые, отвечающие все растущим потребностям колхозного крестьянства. Колхозное строительство изменило лицо не только

---

21 *Π. Α. Μυκελής, Το ελληνικο λαϊκό σπίτι, Αθηναι*, 1960, 6. 230—231.

22 М. Михайлов. Греция. Полевая тетрадь, Салоники, 1978.

23 М. Михайлов. Греция. Полевая тетрадь, 1978.

жилых домов, но оно внедрило и другие новые элементы в жизнь крестьянства. В данном случае имеется в виду приусадебный участок, который в то же время выполняет функцию двора. Теперь широко распространено огородничество и часть двора занята этой, весьма доходной, отраслью сельского хозяйства. Картофель, соленая капуста, огурцы, морковь и другие овощи, составляющие часть народного добра, излишки крестьяне поставляют на рынки Тбилиси.

Кровным делом крестьян стало выращивание пшеничной культуры. Использование агротехнических достижений, оснащение сельского хозяйства передовой техникой, победа социализма в деревне в корне изменила жизнь и быт старой деревни. Новые типы домов в этнографической действительности представлены в виде жилища с двухскатной и четырехскатной крышей. Дома указанного типа двухэтажные. Такие дома — результат новой бытовой обстановки, которые обычно возводятся на ровном месте. Главным материалом служит при их постройке тесаный базальтовый камень. Этого типа дома, главным образом, состоят из балкона (галереи) и нескольких комнат, одна из которых считается гостиной, другая — спальней и т. д. (рис. 3, 4, 5). Стены домов воздвигаются обычно из блоков 40×50×40. С наружной стороны чисто обработаны бучардкой. Первый этаж такого здания используется в хозяйственных целях, в большинстве случаев он отведен для хлева и кладовок. Гостиная (рис. 3) крестьянина составляет размер 6×4, тем же размерам соответствуют спальня и детская. Это типичный двухэтажный дом с помещением для скота на первом этаже с сообщающимися помещениями второго этажа. На второй этаж ведет внешняя каменная лестница, заканчивающаяся небольшой площадкой, ведущей в галерею. Что же касается комнат, помещенных на втором этаже, то они обставлены по-городскому.

Недавняя история греков была богата примерами противоречий между человеком и вещами. Сельский богач строил большой репрезентальный дом, но по отсутствию удобств мало чем отличался от бедняков. Обычным явлением были пустые, необитаемые комнаты. Высокое самочувствие собственнику придавал внешний фасад его материального положения, но отнюдь неиспользование возможностей, которыми он располагал. Уважение к плодам человеческого труда нередко превращалось в своеобразный культ вещей. Не в одной семье лучшие платья укладывались в сундук и доставалось наследникам испорченное молью. Домотканные ковры, одежда нередко портились от неупотребления. Посуда служила лишь украшением.

Откладывать деньги на покупку, жить скромно, не загромождать дом различными вещами внушалось все это патриархальным воспитанием. В капиталистическом обществе развития производства это самоцель, в бесклассовом обществе материальное производство — это средство развития человека, стоящего в центре внимания всего об-

щества. Достаточно лишь беглого взгляда на пройденный нами путь как мы убеждаемся в преимуществе нашего социалистического образа жизни. Рынок предлагает разнообразные товары, мебель, телевизоры и т. д.

Ныне комплектование гардероба уже не является проблемой ни для мужчин, ни для женщин. Блага, которые производит сам человек стали источником радости. На фоне общего материального и духовного подъема мы встречаемся с отрицательными навыками, связанными с бытьем и потреблением — служит культ вещей.

Дома загружаются мебелью, коврами, вещами, ко всему этому проявляется забота, но в то же время семья ежедневно пользуется одной — единственной комнатой, которая служит и кухней и общим помещением, а нередко и спальней.

Примерно 85% семей в селах имеют по 2—3 обставленные комнаты, которые так и не используются. Их содержат в чистоте, но только для приема гостей. Некоторые все еще пользуются очагом для приготовления пищи, хотя в наш технический век электроэнергия давно пробила себе дорогу.

Развитие социалистического общества требует более высокой культуры быта. Возрастают материальные возможности трудящихся, а вместе с этим и стандарт их жизни. Самочувствие и самоутверждение личности современного человека будет более связываться с его творческим развитием.

В широкий диапазон глубокой мысли о необходимости совершенствования человеческой личности (так говорит Ф. Энгельс) наводит нас на мысль на уничтожение зависимости человека от вещей не путем их аскетического отрицания, а по пути их разумного использования.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. გვრიტიშვილი

რ ა ტ ე ვ ა ნ ი

(ქვემო ქართლის ნასოფლართა შესწავლისათვის)

რატევანი პირველად 1428 წლის საბუთშია მოხსენიებული, როგორც ყორანთის მოსაზღვრე სოფელი[1]. რეტროსპექტულად კი მის ისტორიას თამარ მეფის ეპოქამდე შეიძლება გავადევნოთ თვალი; 1468 წ. ბაგრატ და კონსტანტინა მეფეების მიერ ჯავახიშვილებისადმი მიცემული სიგელიდან ჩანს, რომ ეს სოფელი მათთვის თამარ მეფეს უბოძებია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ჯავახიშვილების წინაპრებს რატევნისა და ქვეშის შესახებ „სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან მიცემული „ბევრნი სიგელნი" ჰქონიათ[2], რაც მოწმობს მათი წინაპრების მიერ ამ მამულების ხანგრძლივი დროით ფლობას. რატევანი ქვეშთან ერთად ჯავახიშვილების მკვიდრი მამული უნდა ყოფილიყო XII ს. დასასრულიდან თუ XIII ს. დასაწყისიდან მაინც.

ჯავახიშვილების წინაპრები თორელები, მაშავრის აუზში მართლაც რომ ფლობდნენ ამ პერიოდში მკვიდრ მამულებს, ამას ჰამამლუს წარწერაც მოწმობს. ჰამამლუს ეკლესიის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული სამძივრები, ლ. მუსხელიშვილის დასაბუთებით, თორელები იყვნენ. ტაძარს ისინი აშენებდნენ 1190-91 წწ. ახლო ხანებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თორელებს XII ს. ჯავახეთზე უშუალოდ მიკრული მაშავრის სათავეებიც სჭერიათ, სადაც ჰამამლუ მდებარეობს[3].

ზემოგამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს, აგრეთვე, თორელების ფეოდალურ სახლში ქვეშელთა განშტოების წარმოქმნაც. ეს გვარი, პირველად XIV ს. დასაწყისშია დამოწმებული, კერძოდ, 1308 წ. ღრტილას ეკლესიის სამშენებლო წარწერაში, სადაც ლიპარიტ ქვეშელია მოხსენიებული. როგორც ვ. ცისკარიშვილმა დაასაბუთა, ლიპარიტ ქვეშელი თორელთა სახლს ეკუთვნოდა[4]. ლიპარიტის სამკვიდრო მამული კი, ცხადია, ქვეში და მისი მიმდებარე ტერიტორიები უნდა ყოფილიყო, რადგან საგვარეულო სახელი იწარმოებოდა სამამულე და არა სახელო ქვეყნიდან[5].

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ., 36—37; ჩვენ ვიზიარებთ საბუთის ყორდანიასეულ თარიღს — 1428 წ. (იხ. თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ., 232).

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 137.

[3] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 56—74.

[4] ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1959, გვ. 95—96.

[5] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებული შოთა რუსთაველი, თბ., 1966, გვ. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორელების სახლს რატევანი ქვეშთან ერთად დროებით დაუკარგავს. მათ შთამომავალ ჯავახიშვილებს თავიდან მოუხდათ მამა-პაპეული მამულის შესყიდვა: „ახლადვე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული, მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეში, ციხითა, ბაჟითა და მისითა მიდგომითა, და სოფელი რატევანი, მისითა სამართლიანითა და შესავალ-გასავალითა ყოვლითურთ უნაკლულოდ[6]“ — ვკითხულობთ ზემოხსენებულ საბუთში. ძნელია იმის თქმა, როდის დაკარგეს თორელებმა ეს მხარე. სავარაუდებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყო სადღაც XIV ს. ბოლოს, რადგან როგორც ზემოთ დავინახეთ, 1308 წ. ამ მხარეს ჯერ კიდევ თორელები ფლობდნენ, 1468 წ. კი ჯავახიშვილებს რატევნისა და ქვეშის ხელახლა შესყიდვა უხდებათ. მაგრამ ამის შემდეგაც დიდხანს ვერ შეინარჩუნეს მათ ეს მამულები. XV ს-ში მაშავრის აუზში იწყება მეორე ძლიერი ფეოდალური გვარის—ქაჩიბიძე-ბარათაშვილების შემოჭრა. გ. ჯამბურია ვარაუდობს, რომ ქვეშის ციხის ბარათაშვილთა მფლობელობაში გადასვლა 1486 წლისათვის უკვე მომხდარი ფაქტია. ცხადია, ამ დროსვე უნდა დაპატრონებოდნენ ისინი რატევანსაც. აქედან მოკიდებული რატევნის მფლობელებად მხოლოდ ბარათაშვილები არიან.

1537 წელს იოთამ და ორბელ ბარათაშვილები გაყრილან, რასაც ლუარსაბ პირველის განჩინება მოჰყოლია. განჩინების ძალით, „იოთამს ერგო „რატევანი მისის მთითა და ველითა და ყოვლითა შესავლითა“ და 11 კომლი ყმა-გლეხით[8]. განჩინების მიხედვით, არ ჩანს რატევანი მთლიანად გახდა იოთამის სამფლობელო თუ იგი სოფლის მხოლოდ ნახევარს დაეპატრონა. როგორც იას. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რატევნის მეორე ნახევარი იგივე რაოდენობის ყმა-მამულით ორბელს უნდა მიეღო წილში[9]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს 1656 წლის სიგელი, რომელსაც მეფე აძლევს ბარათაშვილ იოთამსა და მის შვილებს და უახლებს მხოლოდ რატევნის ნახევრის მფლობელობას[10]. ასევე, 1689 წელს ნაზარალიხანი წყალობის სიგელს აძლევს იოთამაშვილებს სოფ. რატევნის ნახევრის შესახებ: „მოკითხული ვქენით და ძველი სიგელები გაგისინჯეთ და თქვენი სამკვიდრო და სასაფლაო ყოფილიყო, თქვენის განაყოფის ორბელისაგან წილში გამოგყოლოდათ... აწე გავსინჯეთ და.. ისევ გიბოძეთ მაშავრის პირს რატევანის ნახევარი“[11]. ამრიგად, 1537 წლის ლუარსაბ პირველის განჩინების ძალით რატევანი ორად უნდა გაყოფილიყო იოთამსა და ორბელ ბარათაშვილებს შორის. ამ დროიდან მოკიდებული რატევანს მათი შთამომავლები ფლობენ.

გარკვეულ ხანს იოთამაშვილებს თავიანთი წილი რატევანი დაუკარგავთ. ეს ამბავი 1656 — 1689 წლებს შორის უნდა მომხდარიყო, „მეფეს გაუსინჯავათ გამოერთმია „— ვკითხულობთ ნაზარალი-ხანის 1689 წლის სიგელში. ძნელია იმის გარკვევა, რა საფუძველზე ან რომელ მეფეს უნდა დაესაჯა იოთამაშვილე-

---

6 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 36—37.

7 გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955, გვ. 11.

8 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა. თბ., 1967, გვ. 14.

9 ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, ტფ., 1938, გვ. 418.

10 სცსა, ფ. 1450, № 38—41.

11 სცსა, ფ. 1450, № 38—53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. 1689 წ. ისინი კვლავ იბრუნებენ რატევნის ნახევარს, „ყოვლის კაცის მოუდევრად და მოუსარჩელად მთითა, ბარითა, ტყითა, მინდვრითა, ჭალითა, წყლითა, წისქვილითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვლის მისის სამართლიანის მზღურითა“[12].

1706 წ. იგივე ოთარ და ორბელ იოთამაშვილები ვახტანგ VI-ის წყალობის სიგელით იერთებენ მათი ბიძაშვილის, ლუარსაბის წილ ზვარს რატევანში[13].

1721 წლის აღწერით რატევანში ითვლებოდა ექვსი მებატონე (ქავთარაშვილი მანუჩარ, ქავთარაშვილი სულხან, ქავთარაშვილი გიორგი, ქავთარაშვილი იონათამ, იოთამაშვილი ორბელ და გივი, შერმანდინაშვილი ბეჟან)[14].

XVIII საუკუნის 40-იან წლებში, ისევე როგორც დმანისის ხეობის სხვა სოფლები, რატევანიც იცლება მოსახლეობისაგან. მოსახლეთა ნაწილი ფიზიკურად განადგურდა, ნაწილი კი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა თავი. ამ მხრივ ნიშანდობლივია ნათლისმცემლის მონასტრის ერთ-ერთი საბუთი. ქავთარისშვილი ედიშერი და მისი ძმა იესე ნასყიდობის წიგნს აძლევენ ნათლისმცემლის მონასტერს; „ხარიტონ წინამძღვრის დროს ჩვენი ყმა რატევნელი შავდე (?) მატურაშვილი პაპა, სვიმონა და გოგია ხაშმზედ მოსულიყო და თქვენად ყმად ყოფილიყო, ახლა მოვინდომე ასაყრელად და თქვენ გვთხოეთ, რადგან თქვენ მოინდომეთ ვეღარც ჩუენ უარი მოგახსენეთ და წმინდას ნათლისმცემელს შემოგწირეთ“[15].

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, რომ ლეკთა და ყიზილბაშთაგან თავის დასაცავად და დარჩენილი მოსახელობის გადასარჩენად 1750 წელს „უბოძა მეფემან ცხებულმან თეიმურაზ დიმიტრი ეშიკაღასბაშს ორბელიანსა და წარავლინა აღშენებად ციხეთა და სიმაგრეთა ქვეყანასა სომხითისა და საბარათაშვილოსათა: ისმინა ბრძანება და აღაშენა მთლად ციხე შულავრისა, ციხე მარნეულისა და **ციხე რატევნისა**, დააყენა მეთოფენი მცველად ციხისა და დაასახლნა გლეხნი, რაოდენი დაიტევდნენ ციხენი ესენი“[16].

1774 წელს იესე ბარათაშვილი ნიკოლოზ ქავთარისშვილისაგან გირაოდ იღებს მამულს რატევანში. იმ დროს ეს მამული უკვე ოცი წლის „ხარაბა“ ყოფილა[17].

ამის შემდგომ რატევნის შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება. მღვდელი სტ. ბაიდოშვილი გულისტკივილით წერდა გაზეთ „ივერიაში“, რომ XIX ს. ბოლოს რატევანში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობას რატევნის ქართული ეკლესია გრიგორიანულად გადაუკეთებია[18]. ამ ეკლესიის აგების დროის შესახებ რაიმე წერილობითი ცნობა არ არის. ნაზარალიხანის 1689 წ. სიგელის მიხედვით ვიცით მხოლოდ, რომ რატევანი იყო იოთამაშვილების „სამკჯდრო და სასაფ-

---

[12] სცსა, ფ. 1450, № 38—53.

[13] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, წ. I, თბ., 1940, გვ. 130.

[14] ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 50.

[15] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტ. სბ. V, გვ. 64.

[16] საქართველოს ცხოვრება პაპუნა ორბელიანისა, ქართლის ცხოვრება, წ. II, და ჩუბინოვის გამოც. 1854, გვ. 429.

[17] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ავთ. იოსელიანის გამოცემა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1950, ნაკვ. 28, გვ. 63.

[18] მღვდ. სტ. ბ ა ი დ ო შ ვ ი ლ ი, ბორჩალო. ივერია, 1902, № 156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაო"[19], რაც გულისხმობს აქ ეკლესიის არსებობას. მაგრამ 1537 წლის გაყრის წიგნის მიხედვით კი ჩანს, რომ იოთამ აარათაშვილს სასაფლაოდ ჰქონდა დმანისის ღვთისმშობლის ეკლესია: „მხუდა იოთამს დამნისის ციხეში სასაფლაოდ დმანისთა მღვთისმშობლის ნახევარი და კარისბრჭე", „მხუდა იოთამს გუდარეჯს გუდარეჯის (მონასტრის) ნახევარი და საუხუცესო"[20]. როგორც ვხედავთ, XVI საუკუნეში იოთამაშვილების საგვარეულო სასაფლაო რატევანში არ ყოფილა; შესაძლებელია, მათი სათავადო სახლის დაქუცმაცების შემდეგ იოთამაშვილთა რომელიმე ოჯახმა რატევნის ეკლესია თავის სასაფლაოდ აქცია და სწორედ ესაა ასახული ნაზარალი-ხანის 1689 წლის სიგელში.

რატევანი XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე საკმაოდ დიდი სოფელი ჩანს. 1536 წლის გაყრის წიგნით იოთამმა მიიღო 11 კომლი გლეხი მასში. იას. ლორთქიფანიძის აზრით, ორბელსაც იგივე თანაფარდობის ყმამამული უნდა რგებოდა წილში[21], ე ი. რატევანში 22 კომლი ყმა-გლეხი ყოფილა. დაახლოებით ამდენივე კომლი ჩანს ამ სოფელში 1721 წლის აღწერის მონაცემებითაც: 18 გამომღები და 7 ბოგანო ყმა, სულ—25 კომლი[22].

სახნავ-სათესი ნაკვეთები და ბაღ-ვენახები რატევნელებს მდ. მაშავრის პირას—„რატევნის ჭალაში" ჰქონდათ. მდინარის სიახლოვე მორწყვის საშუალებას იძლეოდა და ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა. მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს მევენახეობა წარმოადგენდა: 1706 წლის საბუთიდან ჩანს, რომ აქ იყიდებოდა ზვარი[22]. იესე ბარათაშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, ოცი წლის „ხარაბა". მამული შეიძინა რატევანში იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში იგი გადახდილ საფასურსაც აინაზღაურებდა და სარგებელსაც მიიღებდა: „სუფრის იარაღი განვიძარცვე, ვალად თეთრი ავიღე, სარგებელი უნდა ვაძლიო და ოცი წლის ხარაბა მამული დავიგირავე. ეგების ქვეყანა აშენდეს, ჩემს შვილისშვილებს მრავალი ღვინო ექნებათ და შენდობას მითხრობენ"[24].

თანამედროვე სოფ. რატევანი განლაგებულია დაბა ბოლნისის დასავლეთით, სამანქანო ტრასის გასწვრივ, მის ორივე მხარეს. გვიანდელი შუა საუკუნეების სოფელს დღევანდელი რატევნის ჩრდილო ნაწილი ეკავა ე. წ. „საკმის წყაროს ხევის" ორივე მხარე. ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის ამ ნაწილს „ძველ რატევანს" უწოდებს, განსხვავებით ახალი რატევნისაგან, რომელიც სამანქანო გზის გასწვრივაა გაშენებული.

ძველი რატევნის ტერიტორიაზე შემორჩენილია ორი ეკლესია. ერთი მათგანი ღვთისმშობლის სახელობისა — ფერადი კლდის ქვით ნაგები დარბაზული ტიპის, მცირე ზომის საკმაოდ უსახო ეკლესია — მდებარეობს სოფლის თანამედროვე სასაფლაოზე, ხევის მარცხენა (აღმოსავლეთ) ნაპირას. წმ. გიორგის სახელობის მეორე ეკლესია, რომელიც მდებარეობს ხევის მარჯვენა პირზე, ე. წ. „კვირაცხოვლის ფერდის" ბოლოში შემაღლებულ ბორცვზე, უკეთაა დაცული. დარბაზული ტიპის ეკლესია თლილი რუხი ფერის ქვითაა ნაგები. ერთადერთი

---

19 სცსა, ფ. 1450, № 38—53.

20 ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 14.

21 ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III, და IV, გვ. 418.

22 იქვე, გვ. 50.

23 დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, ნ. I, გვ. 130.

24 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესასვლელი კარი სამხრეთიდანაა. ეკლესია საკმაოდ კაპიტალური ნაგებობაა, ნახევარწრიული აფსიდით. მისი გადახურვის ცილინდრული კამარის ორი საყრდენი თაღი კონსოლებზეა დაფუძნებული. აღმოსავლეთ ფასადზე ვიწრო სარკმლის თავზე შერჩენილია ორნამენტული დეკორის ერთადერთი ელემენტი გეომეტრიული მრავალქიმიანი ვარსკვლავით შევსებული ვარდული.

ეკლესიას თავდაპირველად უნდა ჰქონოდა სამხრეთის პორტალი და ჩრდილოეთის მინაშენი, რომელსაც, შესაძლებელია, ეკვდერის დანიშნულებაც ჰქონოდა. აღნიშნული მინაშენები ეკლესიასთან ერთად როგორც ჩანს, დაზიანებულა და მინაშენები ამჟამად აგურის ნაგებობებითაა შეცვლილი. აგურითვეა ამოყვანილი ალაგ-ალაგ ეკლესიის კუთხეები და ფრონტონის ნაწილიც.

ჩრდილოეთი მინაშენის ჩრდილო კედელში სარკმლის ქვემოთ წყობაში ჩატანებულია ადრე შუა საუკუნეების სტელის კუბური ფორმის ტუფის ბაზა (ზომები 0,88×88×0,67 მ), რომლის ერთი წახნაგი ბოლნურჯვრიანი მედალიონითაა შემკული.

ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ ის ეკლესიაა, რომელიც XVII ს-ში იოთამაშვილების ერთ-ერთი შტოს სასაფლაო ყოფილა.

ეკლესიის გარშემო, ისევე როგორც ხევგაღმა, სასაფლაოს ჩრდილოეთით, აშკარად შეიმჩნევა ნასახლართა კვალი.

ციხე, რომელიც მოხსენიებული აქვს ისტორიკოს პაპუნა ორბელიანს, სადღაც აქვე წმ. გიორგის ეკლესიასთან უნდა ყოფილიყო. აქ ციხისათვის ადგილიც შესაფერისია, თუმცა რაიმე გარკვეული მატერიალური ნაშთი ციხისა (გარდა გალავნის უმნიშვნელო კვალისა, ეკლესიის ჩრდილოეთით) არც აქ და არც არსად სოფლის ტერიტორიაზე არ შეინიშნება. ციხე უთუოდ ე. წ. გალავნის ტიპისა იქნებოდა, ისეთი, როგორსაც მასობრივად აგებდნენ XVI—XVIII სს. საქართველოში, შიშიანობის დროს მოსახლეობის შესაფარებლად.

საკმის წყაროს ხევში, ნასოფლარის ჩრდილოეთით თანამედროვე წყალსადენის აუზის ზემოთ თლილი ქვით ნაგები ქვისავე როფიანი წყაროა, რომლითაც სოფელი ბოლო დრომდე სარგებლობდა. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით ძველი წყაროს ნაშთიც შეიმჩნევა. წყალი მოყვანილია ქვითკირში ჩასმული თიხის მილებით და წყალსადენის ტრასაზე ქვის რამდენიმე თანგირიც შეიმჩნევა.

ბოლნის-დმანისის სამანქანო გზის ქვედა მხარეს, მაშავრის პირას, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც გვიანი შუა საუკუნეების საბუთების მიხედვით „რატევნის ჭალა“ ეწოდებოდა, შემორჩენილია საკმაოდ დიდი ზომის ეკლესიის ნაშთი—აღმოსავლეთის კედლის ნაწილი მთავარი ნავის ნახევარწრიული აფსიდითა და სამხრეთ სტოას ასეთივე აფსიდით. თლილი ქვის პერანგი თითქმის მთლიანად შემოფცქვნილია, მოპირკეთება მხოლოდ შიგნით, აფსიდაშია შემორჩენილი. მოსაპირკეთებელი ქვის საგულდაგულოდ თლა და წყობის ჰორიზონტული რიგების თანაბარზომიერება შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო პერიოდზე უნდა მიუთითებდეს.

ამ ეკლესიის ნანგრევების ჩრდილო-დასავლეთით, რატევნის მეურნეობის კანტორის მშენებლობისას 1980 წ. გაზაფხულზე დაუზიანებიათ ძველი მარანი. ქვევრები უპოვნიათ ეკლესიის აღმოსავლეთითაც, სოფლის სკოლის ეზოში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე სოფელი სწორედ აქ მდებარეობდა. გვიან შუა საუკუნეებში და მოსახლეობა ზევით გადასახლებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. Д. ГВРИТИШВИЛИ

РАТЕВАНИ

(К изучению селищ Нижней Картли)

Резюме

С. Ратевани впервые упоминается в документе 1428 года, однако историю селения ретроспективно удается проследить до конца XII века. В то время с. Ратевани находилось в составе вотчины феодального рода Торели. Они же и их потомки, князья Джавахишвили, владели селением до конца XV века, когда Ратевани переходит в собственность княжеского дома (сатавадо) Бараташвили.

Ратевани было сравнительно крупным селением: согласно документу 1537 года — о разделе имущества, здесь проживало 22 дыма крепостных крестьян, а по переписи 1721 года — 25 дымов; в Ратевани находилась усыпальница одного из семейств княжеского рода Иотамашвили.

В 40-ых годах XVIII века Ратевани, подобно другим селениям Дманисского ущелья, в результате постоянных вражеских нашествий пустеет: часть населения уничтожается, часть укрывается во внутренних районах Грузии. В 1750 году по царскому повелению в Ратевани строят крепость для укрытия населения.

Расположение селения Ратевани на берегу р. Машавера благоприятствовало развитию интенсивного сельского хозяйства. В документах неоднократно указывается на наличие здесь развитого виноградарства.

Позднесредневековое селище Ратевани расположено северо-восточнее небольшой зальной церкви, стоящей на холме, к северу от современного селения Ратевани. На указанной территории систематически находили кувшины (квеври) для хранения вина и обломки других керамических сосудов. Здесь же находятся остатки древнего родника и водопровода, с керамическими трубами и смотровыми колодцами.

Что же касается Ратевани X—XII вв. оно, повидимому, было расположено ниже селища позднесредневекового периода, ближе к р. Машавера, там где сохранились остатки древней церкви.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. ჯავახიშვილი

ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სასანური ბულა

(ტაბ. VII)

ურბნისის ნაქალაქარზე გათხრილ სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებს შორის საყურადღებოა საკუთრივ ურბნისის ქალაქობის დროინდელი ძეგლები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ქ. ურბნისის შესახებ საკმაოდ მწირი წერილობითი წყაროების დადასტურება და ხორცშესხმა, არამედ ამასთანავე ქალაქის ისტორიისა და ყოფის მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული, გაბმული სურათის აღდგენა[1].

ადრეფეოდალურ ხანაში ქ. ურბნისისა და საერთოდ ქართლის სასანურ ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე VI—VII სს. ფენაში (XVI უბანზე) აღმოჩენილი თიხის ბულა[2]. ბულა წარმოადგენს გამოუმწვარი მონაცრისფრო-ვარდისფერი თიხის გუნდას, რომელზედაც სამი საბეჭდავის ანაბეჭდია აღბეჭდილი (ტაბ. VII). ორ ანაბეჭდზე გამოსახულია ე. წ. „სასანური მონოგრამა". ერთზე — მონოგრამის გარშემო ფალაური წარწერაა, რომელიც ასე იკითხება: იაზდან-ანოშ ძე მიჰრ-ვიროისა[3]. მესამეზე— აღბეჭდილია სპილოს თავი, რომელიც მეორე მხრიდან დახვეულ გველად იკითხება. სამივე საბეჭდავი სასანური უნდა ყოფილიყო, ისეთი, როგორიც ძალიან გავრცელებული იყო სასანურ გლიპტიკაში[4]. ბულას აქვს სიგრძივი ნახვრეტი — ზონრის კვალი, ზურგის მხრიდან კი განიერი ღარი — ფართე თასმის ანაბეჭდი. ბულის ზედაპირზე რამდენიმე ადგილას აშკარად შეიმჩნევა უხეში ქსოვილის ანაბეჭდები.

თიხის ამგვარი ბულები, სასანური საბეჭდავების ანაბეჭდებით, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს ირანის სხვადასხვა ადგილებში[5]. ხუთასზე მეტი აღმოჩენილია კასრ-ი აბუ ნასრში, შირაზის

---

[1] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

[2] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ურბნისის ნაქალაქარში, „მეცნიერება და ტექნიკა", 1951, I, გვ. 31; ნ. შოშიაშვილი, ურბნისი—საქართველოს დედაქალაქი, „ცისკარი", 1958, 4, გვ. 135; გ. ლომთათიძე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი, მაცნე, 1964, № 4, გვ. 220; ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 155; ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 19, 20; ტაბ. IX.

[3] წარწერა ამოიკითხა ფრანგმა მკვლევარმა ფ. ჟინიუმ. იხ. Ph. Gignoux, Une bulle Sasanide du Musée d'Etat de Tbilissi Géorgie), Studia Iranica, T. 8, 1979, fasc. 2, Leiden, გვ. 185—188, ტაბ. I, 1.

[4] ქ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19, 20.

[5] В. Луконин, Сасанидские буллы, Сообщения Государственного эрмитажа

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობლად, ციტადელის პატარა ოთახში, VI-VII სს. ფენაში[6]; ორასზე მეტი ტახტ-ე სულეიმანის (შირაზი) ტაძრის მახლობლად, პატარა შენობაში; ოცდაათამდე თურქმენეთში აკ-თეფეში, სასანური ხანის ციხის მცირე სათავსოში; მცირე რაოდენობით აღმოჩენილია აზერბაიჯანში (მინგეჩაურში, და ცენტრალურ აზიაში, სასანური ხანის ფენებში[7]. უცნობი წარმოშობის, ადრე ნ. ლიხაჩევის კუთვნილი ბულების კოლექცია (10 ერთეული) ამჟამად ინახება ლენინგრადში, სახელმწიფო ერმიტაჟში[8]. საქართველოში, გარდა ურბნისისა, სასანური ბულა აღმოჩენილია უფლისციხეში, ყათნალიხევში, ნახნავ მიწაში. ბულა დაზიანებულია, მასზე აღბეჭდილია ერთი საბეჭდავის ანაბეჭდი, რომელზეც გამოსახულია მოხელის ბიუსტი და სტერეოტიპური წარწერა საკუთარი სახელის აღმნიშვნელი[9]. ბულას აქვს სიგრძივი ნახვრეტი—ზონრის კვალი, რევერსზე კი ფართე თასმის ანაბეჭდი. რამდენიმე ადგილას თითქოს შეიმჩნევა ქსოვილის ანაბეჭდები.

სასანური ბულების დანიშნულების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. არის გამოთქმული ვარაუდი, რომ ბულებით იბეჭდებოდა სხვადასხვა სახის საბუთები[10], ან რომ ისინი წარმოადგენდნენ „ერთგვარ ნივთიერ მანდატებს“[11]; უკანასკნელ ხანებში კი მკლევართა ნაწილს (ვ. ლუკონინი, პ. ჰარპერი) მიაჩნია და საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს კიდეც, რომ ამ ბულებით იბეჭდებოდა სხვადასხვა ქალაქებში გადასატანი, სავაჭროდ გამზადებული საქონლის ფუთები[12].

ვ. ლუკონინმა სასანური ბულების შედარებითი შესწავლის საფუძველზე საყურადღებო დეტალი შენიშნა: ყველა ბულაზე აღბეჭდილია რამდენიმე საბეჭდავის ანაბეჭდი, ზოგჯერ ათზე მეტიც კი. ამ ანაბეჭდებს შორის თითქმის ყოველთვის ერთ-ერთის გამოსახულებას „სასანური მონოგრამა“ წარმოადგენს[13].

XIX, Ленинград, 1960, გვ. 32—35; R. Ghirshman, Iran Parthes et Sassanides, Paris, 1962, გვ. 244, გამ. 303; V. G. Lukonin, Archaeologia Mundi, Iran II, Paris, Gé-néve, Munich, 1967, გვ. 108—109, გამ. 95—97; Р. Фрай, Население Ирана, Москва 1972, გამ. 59, 60.

[6] P. O. Harper, Physical Characteristics of the Sealings and forms of the Seals, Sasanian Remains from Qasr-i Abu Nasr, Seals. Sealings, and Coins Edited by R. N. Frye, Cammbrige ,Massachusetts, 1973, p. 42.

[7] В. Луконин, Сасанидские буллы, გვ. 32; V. G. Lukonin, Iran, II, c. 108—109.

[8] В. Луконин, Сасанидские буллы, გვ. 32—35.

[9] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, გვ. 84, ტაბ. L, 8; Ph. Gingnoux,. დასახ. ნაშრ. გვ. 187, 188, ტაბ. II, 4.

[10] J. Upton, The Persian expedition, Bulletin of the Metropolitan Museum (B M. M.), 1934, № 11, გვ. 20. ციტირებულია ვ. ლუკონინის მიხედვით. იხ. В. Луконин, დასახ. ნაშრ., გვ. 34; სქოლიო 4.

[11] А. А. Семенов, Нечто о среднеазиатских геммах, их любителях и собирателях, Известия отд. общественных наук АН Тадж. ССР, 1957, № 14, გვ. 145, ციტირებლია ვ. ლუკონინის მიხედვით, იხ. В. Луконин, დასახ. ნაშრ., გვ, 34. სქოლიო 5.

[12] ეს ვარაუდი ვ. ლუკონინმა თავდაპირველად ჩასთვალა მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებელ ვარაუდად ორ დანარჩენთან ერთად (იხ. В. Луконин, Сасанидские буллы), უფრო გვიან კი სარწმუნოდ მიიჩნია მხოლოდ მესამე ვარაუდი (იხ. V. G. Lukonin, Iran, II, გვ. 108—109).

[13] სასანურ ოფიციალურ საბეჭდავებზე გამოსახული იყო მხოლოდ მონოგრამები და წარწერები. იხ. R. Ghirshman, დასახ. ნაშრ., გვ. 224; Р. Фрай, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაბეჭდების წარწერებში ძალიან ხშირად მოხსენიებული არის რომელიმე ქალაქის ან ოლქის ქურუმი (მოგვი). ის წარწერები სტერეოტიპურია: A —(საკუთარი სახელი) ქურუმი ქალაქი ან (ოლქის) B-სი". არის შემთხვევები, როდესაც ირანის სხვადასხვა რაიონებში — სამხრეთში შირაზში), ჩრდილო-დასავლეთში (ტახტ-ე სულეიმანში) და ჩრდილო-აღმოსავლეთში (აკ-თეფეში) აღმოჩენილ ბულებზე აღბეჭდილია ერთი და იგივე საბეჭდავების ანაბეჭდები, ერთი და იგივე პიროვნებების სახელით; ამასთანავე ბულების წარწერებში ერთი და იგივე ქურუმის სახელი ირანის რამდენიმე სხვადასხვა ქალაქთან არის დაკავშირებული; ყველა ბულა აღმოჩენილია პატარა ვიწრო სათავსოებში, რომლებიც, ვ. ლუკონინის აზრით, საბუთების ან არქივის შესანახად არ გამოდგებოდა. ამავე დროს, ძალიან ხშირად ბულების რევერსებზე შეიმჩნევა ფართე თასმის კვალი (ზოგჯერ ბულებს პოულობენ თასმით გადაბმულებს) და ქსოვილის ანაბეჭდები, რაც აგრეთვე ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ისინი საბუთების დასაბეჭდად იხმარებოდა[14].

მეტად საყურადღებო ცნობებს ამ ბულების დანიშნულების გასარკვევად იძლევა წერილობითი წყაროები. წერილობით წყაროებში არის ცნობები იმის შესახებ, რომ სასანურ ირანში არსებობდა სავაჭრო „ამხანაგობები", რომლებიც აწარმოებდნენ ვაჭრობას ირანის სხვადასხვა რაიონებში და მის გარეთაც[15]. ამავე წყაროებიდან ირკვევა, რომ არსებობდნენ შუამავლები, რომლებიც წინასწარ დაადებდნენ ფასს საქონლის ფუთებს და დაბეჭდავდნენ მათ საბეჭდავებით, ისე რომ უცხო ქალაქის ვაჭრები შუამავლის მიერ გამზადებულ-ფასუადებულ ფუთებს ყიდულობდნენ გაუხსნელად, ენდობოდნენ რა შუამავლის ცნობას შეფუთული საქონლის ხარისხისა და ოდენობის შესახებ[16]. შუამავლობას ასრულებდა ძირითადად ქურუმი — მოსამართლე, რომელსაც ევალებოდა სავაჭრო ოპერაციების დროს წარმოქმნილი ყოველგვარი გაუგებრობის გარჩევა-მოწესრიგებაც. სასანური იურიდიული კრებულებიდან ირკვევა, რომ სავაჭრო „ამხანაგობებს" შორის სხვადასხვა ხელშეკრულებების დადების დროს პირველ რიგში მხედველობაში იღებდნენ იმას „სანდო" იყო თუ არა საქონელი. „სანდოდ" ითვლებოდა ის საქონელი, რომელშიაც გადახდილი იყო სახელმწიფო გადასახადი — ბაჟი და რომელსაც არ ემუქრებოდა კონფისკაცია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. შესაძლოა, სწორედ ამ „სანდოობას" ადასტურებს ბულებზე აღბეჭდილი ოფიციალური საბეჭდავის ანაბეჭდი, რომელიც ქურუმს ეკუთვნოდა[17].

წერილობითი წყაროების მონაცემებისა და სასანურ ბულებზე თავისი დაკვირვებების ანალიზის საფუძველზე ვ. ლუკონინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მრავალრიცხოვანი სასანური ბულები, აღმოჩენილი ირანის სხვადასხვა ადგილებში და მის გარეთაც, ის ბულები უნდა იყოს, რომლებითაც დაბეჭდილი იყო სავაჭრო ამხანაგობების კუთვნილი, გასაყიდად დამზადებული საქონლის ფუ-

---

[14] В. Луконин, დასახ. ნაშრ., გვ. 35; V. G. Lukonin, დასახ. ნაშრ., გვ. 108, 109.

[15] სასანური ირანის სავაჭრო და სახელოსნო კორპორაციების შესახებ დაწვრილებით იხ. Н. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, Москва, Ленинград, 1951, გვ 222, 256—261.

[16] В. Луконин, დასახ. ნაშრ. გვ. 35; V. G. Lukonin, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[17] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები. ფუთას ბეჭდავდნენ ჯერ სავაჭრო „ამხანაგობის“ წევრები, თითოეული თავისი საკუთარი საბეჭდავით (ამით აიხსნება ანაბეჭდების სიმრავლე თითოეულ ბულაზე), შემდეგ კი ოფიციალური პირი, იმ ქალაქის ქურუმი, საიდანაც საქონელი იგზავნებოდა (წარწერიანი საბეჭდავების ანაბეჭდები ქურუმისა და ქალაქის სახელით ან „მონოგრამიანი“ საბეჭდავების ანაბეჭდები). „ამხანაგობის“ წევრების საბეჭდავების ანაბეჭდები აღნიშნავდნენ თითოეულის წილს საერთო შემოსავლიდან (ერთი და იგივე საბეჭდავის რამდენიმე ანაბეჭდი ერთ ბულაზე ამას უნდა ნიშნავდეს), ხოლო ქურუმი თავისი ბეჭდით დაამოწმებდა საქონლის ხარისხს და ოდენობას და დაადასტურებდა ვაჭრის მიერ ბაჟის გადახდას. გარდა ამისა, ბულა ინახავდა ფუთას ხელყოფისაგან და აადვილებდა მსხვილ საბითუმო-სავაჭრო ოპერაციების წარმოებას — შუამავლების მიერ დაბეჭდილი ფუთა სანდო იყო და ვაჭრები მას გაუხსნელად, საქონლის შეუმოწმებლად ყიდულობდნენ[18].

შემდეგში სასანური ბულების დანიშნულების შესახებ იგივე მოსაზრება გამოსთქვა ამერიკელმა მკვლევარმა პ. ჰარპერმაც[19]. კასრ-ი აბუ ნასრში აღმოჩენილი სასანური ბულების შესწავლისას პ. ჰარპერმაც აღნიშნა ზოგიერთი ის თავისებურება, რომელიც საფუძვლად უდევს ლუკონინის ვარაუდს ბულების დანიშნულების შესახებ[20], მაგრამ მან თავისი მოსაზრება გამოსთქვა ძირითადად ამ ბულების რევერსებზე დაკვირვების შედეგად. რევერსების მიხედვით პ. ჰარპერმა ბულები ორ კატეგორიად დაჰყო: I—რომელზედაც არ არის შერჩენილი კანაფის ანაბეჭდის არავითარი კვალი (ისინი შეადგენენ ბულების უდიდეს უმრავლესობას) და II — ისინი, რომლებზეც ნათლად არის აღბეჭდილი ზონრის კვალი[21]. პირველი კატეგორიის ბულების შესახებ, რომელთა რევერსები ზედმიწევნით ჰგავს ურბნისის ბულის რევერსს, მკვლევარი აღნიშნავს, რომ მათზე ზოგჯერ აღბეჭდილია დასაბეჭდი ნივთის ზედაპირი, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ შეიმჩნევა, რომ ის ყოფილიყო მიტკეპნილი დახვეულ გრაგილზე. ამრიგად, მკვლევარი ასკვნის, რომ ამ ბულებით, როგორც ჩანს, ბეჭდავდნენ საქონლის ფუთებს (ბულებზე ხომ ნათლად შეიმჩნევა ქსოვილის ანაბეჭდები) ან რაიმე ჩანთებს და აქვე აღნიშნავს, რომ რ. მაკ-დოუელი სელევკიიდან მომდინარე ასეთ ბულებს „კონტეინერის ტიპის“ ბულებს უწოდებს[22].

ამრიგად, სასანური ბულები მნიშვნელოვან ნივთიერ წყაროს წარმოადგენს ირანის სავაჭრო საქმიანობის შესასწავლად. ურბნისში ასეთი ბულის აღმოჩენა

---

[18] В. Луконин, დასახ. ნაშრ., გვ. 34, 35; V. G. Lukonin, დას. ნაშრ., გვ. 108—109.

[19] P. O. Harper, დასახ. ნაშრ., გვ. 43, როგორც ჩანს, პ. ჰარპერი არ იცნობს ვ. ლუკონინის შრომებს სასანური ბულების შესახებ.

[20] კერძოდ, პ. ჰარპერმა შენიშნა, რომ ბულების უმეტესობას აქვს სამი ან მეტი საბეჭდავის ანაბეჭდი, ხოლო ერთ-ერთ ბულას — 20 ანაბეჭდიც კი; ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე საბეჭდავი აღბეჭდილია სხვადასხვა ბულაზე; ზოგჯერ ბულების რევერსებზე შერჩენილია სქელი ზონრის კვალი, რომლითაც ბულა შეკიდული იყო დასაბეჭდ საკანზე; თითქმის ყველა ბულაზე შეიმჩნევა გარკვეული კვალი იმ ქსოვილისა, რომელზედაც დაბეჭდვის დროს ბულა იყო მიტკეპნილი. იხ. P. O. Harper, დასახ. ნაშრ., გვ. 42—44.

[21] P. O. Harper, დასახ. ნაშრ., გვ. 42, სურ. 32.

[22] P. O. Harper, დასახ. ნაშრ., გვ. 43. მეორე ტიპის ბულების რიცხვში შემავალი მცირე ზომის ბულების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთების რევერსებზე კონვექსური ფორმის ნივთის ანაბეჭდი შეიმჩნევა, პ. ჰარპერი აღნიშნავს, რომ ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა, ფუთებს ბეჭდავდნენ ისინი თუ რაიმე დოკუმენტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარკვეულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან საშუალებას იძლევა გამოვთქვათ ერთგვარი ვარაუდი ირანიდან შემოტანილი საქონლის ხასიათის შესახებ. ურბნისის ბულის ზედაპირზე რამდენიმე ადგილას აშკარად შეიმჩნევა უხეში ქსოვილის ანაბეჭდები, ალბათ იმ ქსოვილისა, რომელშიც შეფუთული იყო საქონელი. ეს საქონელი, როგორც ჩანს, არამსხვრევადი იყო, შესაძლოა რაიმე ქსოვილები ან ტანისამოსი. ცნობილია, რომ სასანურ ხანაში ირანის სახელოსნო ნაწარმი დიდი რაოდენობით გადიოდა საერთაშორისო ბაზარზე. ირანის მეფეები პირადად იყვნენ დაინტერესებულნი ვაჭრობით და ხელოსნობის სხვადასხვა დარგების განვითარებით, ვინაიდან სასაქონლო პროდუქციის დიდი ნაწილი მზადდებოდა სამეფო სახელოსნოებში, რომელთა შემოსავალი შაბის ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა[23]. დასავლეთის სავაჭრო ბაზრებზე განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ირანული ვერცხლის ნაკეთობანი და აბრეშუმის ქსოვილები[24]. აბრეშუმისა და საერთოდ საფეიქრო წარმოება სასანურ ირანში ძალიან მაღალ დონეზე იდგა[25]: აბრეშუმის ნედლეული ჩინეთიდან შემოჰქონდათ და იმის წყალობით, რომ „აბრეშუმის გზა“ ირანის ტერიტორიაზე გადიოდა, ეს ქვეყანა ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო აბრეშუმის ნედლეულით, რასაც ზოგჯერ მოკლებულნი იყვნენ მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები[26], საჯელდობრ, ირანის მთავარი მეტოქე ბიზანტიაც[27].

აბრეშუმის წარმოებამ ირანში განსაკუთრებით მაღალ ხარისხსა და მასშტაბებს მიაღწია IV საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც შაბურ II (309—379 წწ.) მესოპოტამიიდან ირანში გადაასახლა ტყვე ფეიქარი ხელოსნები[28]. აბრეშუმისა და ფარჩის ძვირფასი ქსოვილები და ტანისამოსი სპარსეთის ექსპორტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგნად იქცა[29]. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში აბრეშუმისა და ფარჩის ქსოვილები ფუფუნების საგნად ითვლებოდა და განკუთვნილი იყო მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენელთათვის, ადრე შუა საუკუნეებში ის თუმცა კვლავ ძვირად ფასობდა, მაინც შედარებით მისაწვდომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვისაც[30].

ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია, რომ სასანურ ხანაში, სახელდობრ, VI—VII სს. ირანული აბრეშუმისა და ფარჩის ნაწარმი ქართლშიც შემოეტანათ. ნუმიზმატიკური[31], გლიპტიკური[32], და ზოგი სხვა მასალის[33] მიხედვით ჩანს, რომ

---

[23] Н. Пигулевская, დასახ. ნაშრ., 241; 252; М. М. Дяконов, Очерк истории древнего Ирана, Москва, 1961, გვ. 286.

[24] М. М. Дяконов, დასახ. ნაშრ. გვ. 286.

[25] დაწვრილებით იხ. Н. Пигулевская, დასახ. ნაშრ., გვ. 225—242.

[26] იქვე, გვ. 237.

[27] Н. Пигулевская, Византия на путях в Индию, Москва—Ленинград, 1951, გვ. 194. 195.

[28] Н. Пигулевская, Города Ирана..., გვ. 240—242.

[29] Н. Пигулевская, Города Ирана..., გვ. 241; М. М. Дяконов, დასახ. ნაშრ., გვ. 286.

[30] Н. Пигулевская, Города Ирана...., გვ. 226.

[31] დ. კაპანაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, მსკა, I, თბ., 1955, გვ. 81; ირ. ჯალაღანია, საქართველოსა და სასანიანთა ირანის ურთიერთობათა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით IV—VII სს. 1971 წ. (ხელნაწერი).

[32] К. А. Джавахишвили, Памятники глиптики городища Урбниси, Автореферат диссретации на соискание учен. степ. канд. ист. наук, Тб., 1975, გვ. 36.

[33] მ. სინაურიძე, ქიზიყის, 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, სსმ, XXV—B, თბ., 1968, გვ. 60—69, სურ 11—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ V ს. II ნახევრიდან და განსაკუთრებით VI ს. და VII ს. პირველ ათეულ წლებში აწარმოებდა ქართლი ინტენსიურ ვაჭრობას სასანურ ირანთან. საკუთრივ ქ. ურბნისიც, ძველი ქართლის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც დიდ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე მდებარეობდა, აქტიურად იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში[34]. ნაქალაქარზე აღმოჩენილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი (84 ერთ.) სასანური მონეტები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამ ქალაქის ფულად მიმოქცევაზე სასანურ ხანაში. აქ მოპოვებული სასანური ნუმიზმატიკური მასალა მოიცავს მონეტებს ფეროზ I-დან (457—484 წწ.) — ვიდრე ხოსრო II-მდე (590 — 628 წწ.)[35], ე. ი. პერიოდს V ს. მეორე ნახევრიდან VII ს. 30-იან წლებამდე. სწორედ ამ პერიოდში ჩანს განსაკუთრებით გაცხოველებული ქართლის სავაჭრო ურთიერთობა სასანური ირანთან და ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ბულა სასანური საბეჭდავების ანაბეჭდებით დამატებით მასალას წარმოადგენს ამ ურთიერთობის შესასწავლად[36].

К. ДЖАВАХИШВИЛИ

САСАНИДСКАЯ БУЛЛА ИЗ ГОРОДИЩА УРБНИСИ

(Табл. VII)

Резюме

С точки зрения торгово-экономических связей древнего Картли с сасанидским Ираном определнный интерес представляет глиняная булла, обнаруженная в 1955 г. на территории городища Урбниси (Восточная Грузия), в культурном слое VI—VII вв. н. э. Булла средних размеров, из серовато-розовой глины с отпечатками трех сасанидских печатей на лицевой стороне: на одной изображена голова слона, которая с другой стороны просматривается как свернувшаяся змея; на двух остальных т. н. сасанидская «монограмма». На одной из последних пехлевийская надпись: Яздан-анос, сын Михр-Вироия (надпись прочел проф. Ф. Жинью). Подобные глиняные буллы в большом количестве найдены в Иране, есть они также в Азербайджане, Центральной Азии и Грузии (Уплисцихе). Как установленно в специальной литературе, такими буллами запечатывались тюки товаров (В. Г. Луконин, П. О. Харпер), принадлежащих иранским торговым «товариществам», приготовленных для продажи в различных частях Ирана и других странах. На оборотной стороне буллы имеется отпе-

---

[34] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 142—147; К. А. Джавахишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[35] თ. აბრამიშვილი, ი. ჯალაღანია, ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1953—59 წწ. მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. სსმმ, XXV—B, თბ., 1968, გვ. 152, 153; ი. ჯალაღანია, დასახ. ნაშრ.

[36] ურბნისის ბულა ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ. გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 933; ბულის ზომებია—45 X39 X17 მმ.

чаток широкого прямоугольного ремня, а на лицевой — в нескольких местах просматриваются отпечатки грубой ткани, очевидно той, в которую был упакован товар; по-видимому он не был хрупким — возможно это была одежда или какие-нибудь ткани. Известно, что шелк и парча составляли одну из главных статей экспорта сасанидского Ирана (Н. Пигулевская, М. М. Дяконов). Вполне допустимо, что в VI—VII вв. в Иберию ввозились иранские шелк и парча: по нумизматическим (И. Джалагания) и глиптическим (Д. Джавахишвили) данным именно со второй пол. V в. — до 30-х годов VII в. прослеживаются особенно интенсивные торговые связи Картли с сасанидским Ираном.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე

ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები

(ტაბ. VIII—X)

1964—1966 წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა (ხელმძღ. გ. ნემსაძე) ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები ქარელის რაიონის ს. ზღუდერში, შემთხვევითი აღმოჩენის ადგილას[1]. აქ გამოვლენილ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1964 წელს გათხრილი გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხები, რომლებიც თავისი მასალით ანალოგიურია ბორის, ბაგინეთის, კლდეეთის, არმაზისხევის და ჟინვალის ცნობილი მასალებისა[2]. რომაული ხანის ოქრომჭედლობის ტორევტიკის და სხვა შესანიშნავ ნიმუშებს შორის ამ სამარხებში აღმოჩენილია შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან საინტერესო გლიპტიკური ძასალები, რომელთა შესწავლას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ნაშრომში მასალა განხილულია სამარხების მიხედვით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

1. ინტალიო ალმანდინისა ოქროს ბეჭედს ამკობს[3] (ტაბ. VIII, 1:2 ხის სარკოფაგი № 3, ინვ. № 1192). ინტალიო ოვალურია, ძლიერ ამობურცული, თითქმის ნახევარსფერული, შესანიშნავად გათლილი პირი აქვს. პირზე გამოსახულია უწვერული ყმაწვილი კაცის პორტრეტი პროფილში მარჯვნივ. ბიუსტი მხრებს ქვემოთ ოდნავ მოხრილი ხაზით არის შემოფარგლული.

ყმაწვილს მაღალი, ოდნავ დაქანებული შუბლი აქვს, სწორი, ლამაზი მოყვანილობის ცხვირი, მკაფიოდ გამოხატული ნესტოთი. შუბლიდან ცხვირზე გადასვლის თითქმის სწორი, ლამაზი ხაზი, გრძელი, ოდნავ მორკალული, ძირს დაშვებული წარბი, ფართოდ გახელილი თვალი, შებერილი, ნახევრადგაპსნილი ბაგეები და ლამაზად მომრგვალებული პატარა ნიკაპი. ოდნავ ხვეული შეჭრილი თმა

---

[1] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965—1967 წწ. ანგარიშები), თბ., 1969, გვ. 45—56.

[2] იქვე; Г. М. Н е м с а д з е, Погребения иберийской знати из Згудери, краткие сообщения, 151, Античные памятники Колхиды и Иберии, М., 1977, გვ. 108—114.

[3] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., 51, ტაბ. IV, 2; Г. М. Н е м с а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 110—111. ზომები; ინტალიო—17 x 14მმ, ბეჭდის—18 X 27მმ. ზღუდრის გლიპტიკური მასალები ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გლიპტიკის ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭერილი აქვს სადა ვიწრო დიადემით, რომლის ბოლოები კეფასთან უფრო ფართოვდებიან. დიადემის ზევით, საქოჩრეზე თმა შედარებით კომპაქტურად არის დალაგებული, დიადემის ქვემოთ კი — უფრო თავისუფალ ტალღებად ეფინება კეფაზე და სახის გარშემო. შუბლიდან თმის ორი ბღუჯა ზევითკენ აქვს გადავარცხნილი. მსუბუქი ქსოვილის ქლამიდა რბილ, წმინდა ნაკეცებად ეხვევა მხრებზე და კისრის გარშემო.

მაღალმხატვრული გამოსახულებაა, შესანიშნავი სახე — განსახიერება სიჭაბუკისა და სილამაზის, რომელსაც განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს ყმაწვილის რამდენადმე აღელვებული, მწუხრმორეული, ოდნავ პათეტიური გამომეტყველება.

ძალიან ოსტატური, დახვეწილი კვეთაა, მომრგვალებული კონტურები, რელიეფის ოდნავ შესამჩნევი გრადაცია, რბილი გადასვლებით. პლასტიურად, დიდი დაუნაწევრებელი სიბრტყეებით არის გადმოცემული ყმაწვილის სახე და კისერი; გრძელი, ოდნავ მორკალული ღარი წარბს გამოხატავს, თვალის ქუთუთოები სამკუთხედის მსგავსად შეერთებული ორი მოკლე ღარით არის აღნიშნული; თვით თვალიც პლასტიკურად არის გადმოცემული. თმის ტალღებს მოკლე შეწყვილებული ღარები გამოხატავს. თმის ფონზე მკაფიოდ გამოიყოფა საკმაოდ დიდი ზომის ყური, რომელიც ნახევარწრიულად მოხრილი რკალით არის აღნიშნული. მხრებზე მოხვეული წამოსასხამის ნაკეცები გადმოცემულია სწორი, წმინდა ხაზებით, თითქმის გრაფიკულად, თუმცა მარჯვენა მხრის ოდნავ ამაღლებული რელიეფით მაინც შექმნილია სხეულის მოცულობითობის შთაბეჭდილება. ძალიან ზედაპირული, თითქმის მიმქრალი ხაზებით არის გამოსახული დიადემის აფრიალებული ბოლოები. გამოსახულების სტილი გამოირჩევა ეფექტური კონტრასტით თმის ენერგიულ, შედარებით ღრმა ხაზებსა და სახისა და სამოსის რბილ, ძალიან ზედაპირულ კვეთას შორის. საერთოდ კი, მთლიანად კვეთა იმდენად ზედაპირულია და მსუბუქი, რომ თითქმის სრულიად არ აღიარებს ქვის ზედაპირის სიმრგვალეს. უდაოდ ოსტატი კარგად გრძნობდა ქვის სილამაზეს და შეეცადა კვეთით არ დაერღვია ის ფორმა, რომელიც მაქსიმალურად მომგებიანად წარმოაჩენს ამ ქვის შესანიშნავ ბუნებრივ თვისებებს — მის ფერსა და ფაქტურას. შთაბეჭდილება გაზრდილია იმითაც, რომ, როგორც ჩანს, ზურგის მხრიდან სილრმეში ამოკვეთილ ქვაში ოქროს ფურცელია ჩაფენილი, რაც მას ერთგვარ შინაგან ელვარებას ანიჭებს, ხოლო გამოსახულებას მოცულობითსა და განსაკუთრებით ეფექტურს ხდის. როგორც ფონი, ისე გამოსახულება, შესანიშნავად არის გაპრიალებული.

ზღუდრის გემაზე გამოსახულია უდავოდ გარკვეული პიროვნების პორტრეტი, მაგრამ პორტრეტი იმდენად იდეალიზებულია, რომ პიროვნების დადგენა რამდენადმე ძნელდება. თმის ვარცხნილობის, დიადემის და პორტრეტის საერთო ხასიათის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გემაზე გამოსახულია რომელიღაც ელინისტური მეფე — ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 356—323 წწ.) ან მისი რომელიმე მემკვიდრე.

ცნობილია, რა ფართოდ იყო გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებები ანტიკური ხელოვნების ძეგლებზე, მათ შორის გემებზეც, თვით რომაულ ხანაშიც კი[4]. ჩვენამდე მოაღწია დიდი რაოდენობის სხვადასხვა

[4] E. Q. Visconti, Iconographie greque, II, Paris, MDCCC XI, გვ. 34—52, ტაბ. XXXIX, 1—8; E. Babelon, La gravure en pierrres fines, Paris, 1894, გვ. 127—128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის ანტიკური გლიპტიკის ძეგლებმა — ინტალიოებმა და კამეოებმა ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტებით[5]. ერთი ასეთი გემა, შესანიშნავი გამოსახულებით, რომელიც ალექსანდრეს პორტრეტად არის მიჩნეული, აღმოჩენილია საქართველოშიც, მცხეთაში, არმაზისხევის მდიდრულ სამაროვანზე[6]. ცხადია, რომ ალექსანდრეს სხვადასხვა დროის მრავალრიცხოვან პორტრეტებიდან ბევრი შექმნილი იყო უკვე არა ნატურის, არამედ იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა და თანდათან საგრძნობლად შორდებოდა ორიგინალს[7]. ეს არის ძლიერ იდეალიზებული, განზოგადებული პორტრეტები, რომელთა მიხედვითაც ძალიან ძნელია პიროვნების ნამდვილი ნაკვთების აღდგენა. ამასთანავე, ალექსანდრეს პიროვნება და სახვით ხელოვნებაში შექმნილი მისი სახე იმდენად პოპულარული იყო ანტიკურ სამყაროში, რომ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს მისი პორტრეტები ხელოვანთათვის კვლავ მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენდა ელინისტური მეფეების პორტრეტების შესაქმნელად. ამან ისეთი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ალექსანდრეს მემკვიდრეების იკონოგრაფიაზე[8], რომ თითქმის შეუძლებელი გახადა მათი პორტრეტების იდენტიფიკაცია. ბოლო დრომდე ამ პორტრეტების უმრავლესობას ალექსანდრეს პორტრეტებად მიიჩნევდნენ და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში არის ცდები ცალკეულ პიროვნებათა იკონოგრაფიის საგანგებოდ შესწავლა-შემუშავებისა[9]. თუ ჯერ კიდევ რამდენად დაუდგენელია ეს იკონოგრაფია, ნათლად ჩანს იქიდან, რომ დღესაც უმეტეს შემთხვევაში ერთი და იგივე ელინისტურ პორტრეტში სხვადასხვა მკვლევარი სრულიად სხვადასხვა პიროვნებას ხედავს[10].

ზღუდის გემაზე გამოსახული პორტრეტის შექმნისათვის ამოსავალ წერტილს უდაოდ ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებები შეადგენდა, კერძოდ კი, ის ტიპი მისი პორტრეტებისა, რომელიც თრაკიის მეფის ლიზიმაქეს

---

[5] ალექსანდრეს გლიპტიკურ პორტრეტებს შევხვდებით თითქმის ყველა მნიშვნელოვან გამოცემებში, სადაც კი ელინისტურ პორტრეტზეა ლაპარაკი. ალექსანდრეს გამოსახულებებისადმი მიძღვნილია სპეციალური ნაშრომიც. იხ. K. Gebauer, Alexanderbildinis und Alexandertypus, Mitteilungen des Deutshen Archäologischen Instituts Athenische, Abteilung, 63, 64, 1938—1939.

ნაშრომში მოტანილია ალექსანდრეს პორტრეტების, მათ შორის გლიპტიკური პორტრეტების (გვ. 25—32), ვრცელი სია. მაგრამ ამჟამად ზოგიერთი ეს პორტრეტი მკვლევართა ნაწილს (ჯ. რიხტერი, ო. ნევერსკი) სხვა ელინისტური მეფეების პორტრეტებად მიაჩნია.

[6] მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა, სსმმ XVII—Б თბ., 1953, გვ. 243—250; ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, არქეოლგიური კვლევა-ძიების შედეგები, I, თბ., 1955, გვ. 56, 57. სურ. 24[3], ტაბ. II, 1ab.

[7] A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, Leipzig, 1900, ტაბ. 164.

[8] K. Gebauer, დასახ. ნაშრ., გვ. 1 და შემდეგ; О. Неверов, Митридат и Александр: к иконографии Митридата VI, СА, 1972, № 2. გვ. 86.

[9] О. Я. Неверов, Митридат Евпатор и Перстни-печати из Пантикапея. СА, 1968, № 1, გვ. 235—238; მისივე, Золотой перстен с портретом элинистического царя (к иконографии Митридата VI), ВДИ, 1969, № 1. გვ. 172—175; მისივე, Митридат и Александр..., გვ. 86—95; მისივე, К иконографии Митридата Евпатора, Тр ГЭ, XIII, Ленинград, 1972, გვ. 110—118.

[10] G. Richter, Engraved Gems of the Greek and the Etruscan, London, 1968, იხ. გვ. 157, 158 და შემდ. გამ. 618, 619, 620, 621, და შემდ. სადაც მოტანილია სხვადასხვა ავტორების მოსაზრებანი თითოეულ გემაზე გამოსახული პიროვნების ვინაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(306—281 წწ.) მონეტებზე შემოინახა[11]. ამჟამად დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით ზღუდრის გემაზე გამოსახული პიროვნების ვინაობის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ ეს არის თვით ალექსანდრე მაკედონელი, ან პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი (120-63 წწ.), რომელიც თავს ალექსანდრეს მემკვიდრედ თვლიდა და განსაკუთრებით ცდილობდა ყველაფერში თავისი სახელოვანი „წინაპრისათვის" მიებაძა[12], ან კიდევ — რომელიმე სხვა ელინისტური მეფე[13].

რამდენიმე სიტყვა გემის თარიღის შესახებ. სამარხი, რომელშიც გემიანი ბეჭედი აღმოჩნდა, ახ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება[14], მაგრამ ზოგიერთი თავისებურების გამო ვფიქრობთ, გემა უფრო ადრეულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს თვით პორტრეტის სტილი და ხასიათი: რბილი მომრგვალებული ხაზები, ფაქიზი, მსუბუქი, ძალიან ზედაპირული, ალაგ-ალაგ თითქოს მიმქრალი კვეთა, ყმაწვილის დინამიზმით აღსავსე, პათეტიური გამომეტყველება, ყოველივე ეს ელინისტური ხანის გლიპტიკური ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი[15]. გამოსახულების ძლიერი გაპრიალებაც ელინისტური გემების ნიშანდობლივი თვისებაა[16] (განსხვავებით რომაული ხანის გემებისაგან, რომლებზედაც მეტწილად მხოლოდ ფონია კარგად გაპრიალებული, გამოსახულება კი — ან ნაწილობრივ, ან სავსებით მქრქალია); შემდეგ ქვის ჯიში და ფორმა: წითელი გამჭვირვალე, მაგარი ჯიშის ქვები, ძლიერ ამობურცული, თითქმის ნახევარსფერული ზედაპირით, დიდი სიყვარულით სარგებლობდა ელინისტურ ხანაში[17]. ზურგის მხრიდან ქვის ზედაპირის ამოღარვაც, რაც ფერთა განსაკუთრებულ კიაფს იწვევს, ამავე ეპოქის გლიპტიკურ ძეგლებზე გვხვდება[18]. სწორედ ელინისტურ ხანაში, როდესაც გემებისათვის გამოყენებულ მასალას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა[91] სავარაუდო არის ქვის ყველა შესაძლებელი ეფექტის ასე ოსტატურად წარმოჩენა და გამოყენება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ზღუდრის პორტრეტული გემა ელინისტურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, საერთო ხასიათითა და განსაკუთრებით თმის დამუშავების

---

[11] J. Babelon, Le portrait dans L'antiquité d'après les monnais, Paris, 1950, გვ. 66, 67, ტაბ. III, 8.

[12] О. Неверов, Митридат и Александр..., გვ. 88, 89, სურ. 3—6.

[13] ზღუდრის გემაზე გამოსახული პიროვნების დასადგენად ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას.

[14] გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53. სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. იმ მიცვალებულთან, რომელსაც გემიანი ბეჭედი ეკეთა, აღმოჩნდა მონეტები დომიციანესი (81—96 წწ. და ფაუსტინა უმცროსისა (141—176 წწ.). მეორე მიცვალებულს კი — ანტონინე პიუსისა (138—161 წწ.) და კომოდისა (180—192 წწ.).

[15] A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., გვ. 151, 159.

[16] იქვე, გვ. 151.

[17] იქვე, გვ. 147, 149—150; Н. М. Никулина, О древней глиптике и ее материале, Искусство Востока и античности, Сб. статей, Москва, 1977, გვ. 54; J. Boardman and M. L. Vollenveider, Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings, I, Oxford, 1978, გვ. 73, 113, სურ. 13, №№ 338, 340, 345, 347, 362 და სხვ.

[18] A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., გვ. 150; I. Boardman and M. L. Vollenweider, დასახ. ნაშრ., გვ. 73, 113, სურ. 13. №№ 340, 345, 362.

[19] М. Н. Никулина, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხით (თმის ცალკეული ბღუჯების ოდნავ ტალღოვანი, მოკლე შეწყვილებული, საკმაოდ მსხვილი ღარებით გადმოცემა) პორტრეტი რამდენადმე განსხვავდება ყველაზე ადრეულად მიჩნეული ელინისტური პორტრეტებისაგან[20] და უფრო მოგვიანო ხანის პორტრეტებს უახლოვდება[21]. რომ ზღუდრის პორტრეტი უადრესი ელინისტური პორტრეტების რიცხვს არ უნდა ეკუთვნოდეს, ამაზე მეტყველებს ყმაწვილის დიადემაც: ცნობილია, რომ ელინისტურ სამყაროში ალექსანდრე მაკედონელიდან მოყოლებული საყოველთაოდ გავრცელდა მეფის ღვთაებრივი კულტის დაწესება[22]. დასაწყისში მეფეები გამოსახულებებზე წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა ღვთაებების სახით, მათი შესაბამისი ატრიბუტებით: მაგ. ალექსანდრე-ჰერაკლეს ტყავით, ლისიმაქე — ამონის რქებით, დემეტრიოს პოლიორკეტი — დიონისეს ხარის რქებით, სხვები კიდევ ჰელიოსის სხივებიანი გვირგვინით და სხვ. უფრო გვიან კი მეფური ღირსების აღმნიშვნელ სიმბოლოდ მხოლოდ სადა დიადემა წარმოგვიდგება[23].

სავარაუდოა, რომ ზღუდრის გემა გვიანელინისტურ ხანას ეკუთვნის.

ბეჭედი, რომელსაც გემა ამკობს, ოქროს ფურცლისაგან არის დამზადებული. იგი მასიურის შთაბეჭდილებას ტოვებს, ნამდვილად კი ფუყე უნდა იყოს და რაღაც მასით ამოვსებული. ბეჭდის გარეთა კონტური, ამობურცულ ქვასთან ერთად, თითქმის წრიული ფორმისაა. რკალი განიერი აქვს, შიგნიდან ბრტყელი, გარედან — ამობურცული. რკალი მხრებისაკენ მნიშვნელოვნად ფართოვდება და უშუალოდ დაბალ, ოვალურ თვალბუდეში გადადის. თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბეჭდის მხრები გარედან შემკულია გაშლილი მარაოს მსგავსი ამოღარული კანელურებით. თვალბუდის გარშემო ტეხილი ხაზია ამოკაწრული.

ამ ბეჭდის ზუსტი ანალოგია ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ცალკეული ელემენტების მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება მისი დათარიღება. თვით ფორმა ბეჭდისა რომაული ხანისათვის, კერძოდ კ. ი. ახ. წ. II-III სს. არის დამახასიათებელი[24]. მარაოსებრი კანელურებით შემკული ბეჭდებიც ახ. წ. II-III სს. გვხვდება[25]. ვფიქრობთ, ზღუდრის ბეჭედიც ამავე ხანას, კერძოდ კი, II ს. ან III ს. დასაწყის ხანას უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ჩანს, გვიანელინისტური გემა უფრო გვიანდელ ბეჭედშია ჩასმული და ახ. წ. III ს. დასაწყისი

---

[20] G. Richter, დასახ. ნაშრ., აღწ. №№ 597, 598, 618, 619; О. Неверов, Античные инталии в собраниях Эрмитажа, Ленинград, 1976, აღწ. №№ 55, 56; J. Boardman and M. L. Vollenveider, დასახ. ნაშრ., გვ. 67, 76, № 280.

[21] G. Richter, დასახ. ნაშრ., აღწ. № 621, 622; О. Неверов, დასახ. ნაშრ., აღწ. № 61.

[22] А. Б. Ранович, Эллинизм и его историческая роль, Москва—Ленинград, 1950, გვ. 332; 334; J. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 58, 59.

[23] J. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

[24] F. Henkel, Die romischel Fingerrringe der Rheinlande, Berlin, 1913, № 204, (მხრების შემკულობა სხვაგვარი აქვს); F. Marshall, Catalogue of the Finger Rings Greek, Etruscan and Roman, London 1907, № 505 (მხრების შემკულობა სხვაგვარია); მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ., 1958, №№ 1, 4, 13 და სხვ. (სადამხრებიანი ბეჭდები)

[25] F. Henkel, დასახ. ნაშრ., №№ 205; 2061; F. Marchal, დასახ. ნაშრ., № 810; F. Eichler änd E. Kris, Die Kameen im Kunsthistoriscen Museum, Vien, 1927, გვ. 85, 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდის სამარხში მოხვედრილი. გემების, განსაკუთრებით კი მაღალი მხატვრული ღირებულების ნიმუშების ასეთი დიდი ხნის განმავლობაში ხმარების შემთხვევები საკმაოდ ხშირია[26].

2. კამეო სამფენიანი სარდიონ-ფრცხილისა, რომელიც ყელის ოქროს სამკაულს ამკობს (ტაბ. VIII, 3, 4. ხის სარკოფაგი № 3. ინვ. № 1191)[27]. ქვა ოვალურია, მისი ქვედა გამჭვირვალე ფენა მოყვითალო-ყავისფერია, არათანაბრად შეფერილი — ზოგან შედარებით მუქი, ზოგან — ბაცი; შემდეგი ფენა ნახევრადგამჭვირვალეა, ღია ნაცრისფერი და სულ ზედა გაუმჭვირვალე, რძისფერი.

ქვის ზედაპირზე გამოსახულია მოცურავე დელფინის ზურგზე წამოწოლილი ზღვის ნიმფა ნერეიდა.

ქვის გამჭვირვალე ყავისფერი ფენა, რომელიც გამოსახულების ფონს წარმოადგენს, ზღვას გამოხატავს. ფონი ბრტყელია, კარგად გაპრიალებული, მის ქვედა ნაწილში ძალიან ზედაპირული, საკმაოდ ფართო კლაკნილი ხაზებით აღნიშნულია ზღვის ტალღები. დელფინის ფიგურა ამოჭრილია შუა, ნახევრადგამჭვირვალე, ნაცრისფერ ფენაში, დაბალი რელიეფით, ერთ სიბრტყეში, მხოლოდ კუდის მრგვალი ფარფლია გადმოცემული რელიეფის სხვაობითა და პერსპექტიულად: ფარფლის შედარებით დაშორებული ნაწილი შესრულებულია დაბალი რელიეფით, წინა ნაწილი კი — უფრო მაღალით და მოცემულია რაკურსში. ამგვარად, კუდის ფარფლი მრგვალად იკითხება. ცხოველის თავი მთლიანად ბრტყელია, მაგრამ ცალკეული ნაწილები — დრუნჩი, პირი და თვალი შესრულებულია პლასტიკურად და ამავე დროს ძალიან რეალისტურად. შესანიშნავად არის გადმოცემული დელფინებისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი „ღიმილიც“ კი. თუმცა დელფინის ფიგურა ერთ სიბრტეყეშია ამოჭრილი (რაც, როგორც ჩანს, ქვის შუა ფენის სისქის სიმცირით უნდა იყოს განპირობებული), ქვის ფერთა შესაძლებლობის ოსტატური გამოყენებით და სასურველი ფერწერული შუქ-ჩრდილების მიღებით ხელოვანმა შესანიშნავად შესძლო სხეულის სიმრგვალისა და მოცულობითობის სრული შთაბეჭდილების შექმნა.

ნერეიდა ქვის გაუმჭვირვალე რძისფერ ფენაშია ამოჭრილი. ნიმფა გამოსახულია მაყურებლისაკენ ზურგით, ნახევრად წამოწოლილი; სხეულის ზედა ნაწილი წამოწეული აქვს, მარჯვენა ხელით დელფინს ეყრდნობა. მისი ზეაწეული თავი წარმოდგენილია პროფილში, მზერა სადღაც შორს ზღვის სივრცეშია მიმართული. ნერეიდა შეუმოსავია, მხოლოდ ფეხების ზედა ნაწილზე მოხვეული აქვს მსუბუქი გამჭვირვალე ქსოვილის ჰაეროვანი მოსასხამი, რომლის ერთი აფრიალებული ბოლო ნერეიდას მარცხენა ხელში უჭირავს, ხოლო მეორე — მის მარჯვენა ხელთან დელფინის ზურგზე არის ჩამოვარდნილი.

ნერეიდა ძალიან მაღალი რელიეფით, თითქმის სკულპტურულად არის გამოსახული. ქვის თეთრ ფენაზე ამოჭრილი მისი ფიგურის ლამაზი მონახაზი მკაფიოდ გამოიყოფა დელფინისა და ზღვის შედარებით მუქ ფონზე. მსუბუქი და ჰაეროვანი, ძალიან მოხდენილი ეს ფიგურა მთლიანად შესანიშნავად არის მო-

---

[26] ამის მაგალითები საქართველოშიც გვაქვს დადასტურებული. იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ., 1961, № 20; ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, თბ., 1965, გვ. 7—16; 17—26; ჭ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 6.

[27] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 51, ტაბ. VII, 2; Г. Немсадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 111, ნახ. 1. ზომები: კამეო—38 X 29 მმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელირებული, განსაკუთრებული სიფაქიზით კი — ზურგი და მარჯვენა ხელი. წმინდად არის დამუშავებული სახის ნაკვთები და თავის გარშემო ჩახვეული თმები. გამჭვირვალე, ჰაეროვანი წამოსასხამის გამოსახატავად დიდი ოსტატობით არის გამოყენებული ქვის ფენების ფაქტურისა და ფერთა სხვაობა. წამოსასხამის ის ნაწილები, რომლებიც შედარებით სქელ ნაკეცებში არის თავმოყრილი (რის გამო შეუმჩნეველია ქსოვილის გამჭვირვალება), ამოჭრილია რძისფერ გაუმჭვირვალე ფენაში, ხოლო აფრიალებული გამჭვირვალე ნაწილები — ქვის ნახევრადგამჭვირვალე ნაცრისფერ ფენაში. როგორც მოსასასხამი, ისე მთლიანად ნერეიდას ფიგურა, ზედმიწევნით არის გაპრიალებული.

მაღალმხატვრული, დახვეწილი ნაწარმოებია. სტილი გამოსახულებისა გამოირჩევა განსაკუთრებული კონტრასტებით, რომლებიც რელიეფისა და ფერთა სხვაობაზეა აგებული. ხელოვანი სრულყოფილად ფლობს როგორც პლასტიკის, ისე ფერწერული ხელოვნების ხერხებს და მათი ოსტატური კომბინაციით შესანიშნავ მხატვრულ ეფექტებს აღწევს.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ზღვის ნიმფები—ნერეიდები კეთილად იყვნენ განწყობილები ადამიანების მიმართ და დახმარებას უწევდნენ მეზღვაურებს განსაცდელის დროს. ამ ნიმფებს ჩვეულებრივ ზღვის ცხოველების და ურჩხულების თანხლებით გამოხატვდნენ დელფინების, ტრიტონების ან ჰიპოკამფების ზურგზე. განსაკუთრებით პოპულარული იყო ნერეიდების ვამოსახულებანი ბერძნული კუნძულებისა და ზღვისპირა რაიონების მოსახლეობას შორის. ანტიკურ, და კერძოდ, რომაულ ხელოვნებაში, ხშირად ვხვდებით ნერეიდების გამოსახულებებს მოზაიკებზე[28], ტერაკოტის ფილებზე[29], ტორეკტიკისა[30] და კლიპტიკის ძეგლებზე; გემებზე—ინტალიოებსა და კამეებზე—უფრო ხშირია ნერეიდების გამოსახულებები ჰიპოკამფებზე[31], არის ტრიტონებზე[32], ურჩხულებზე[33] და მცირე რაოდენობით დელფინებზეც[34].

---

[28] Б. Н. Аракелян, Мозайка из Горни, ВДИ, 1956, № 1, გვ. 149, ნახ. 6, 9; Н. А. Онайко, Мозайка Аполонии Иллирийской, СА, 1962, № 4, გვ. 155—167, ნახ. 2, 3.

[29] R Lullies, Vergoldete Terrakotta—Appliken aus Tarent Heidelberg, 1962, გვ. აღწ. № 5.

[30] В. В. Кропоткин, Римские импортные изделия в Восточной Европе (II в., до н. э. — V, в. н. э.), Археология СССР; Свод археологических памятников, вып. Д 1—27, 1970. გვ. 86. ნახ 41. 42.

[31] A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLI, 33, 39, 40; მისივე, Beschreibung, der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1896, №№3644—3647; H. Walters Catalogue of the Engraved Gems and Cameos Greek. Etruscan and Roman, London, 1926, №№ 1298, 1299, 2738, 3725; F. Eichler und E. Kris, დასახ. ნაშრ., ტაბ. 13 № 55; J. Boardman, Engraved Gems the Ionide Collection, London, 1968, № 28; G. Richter, Engraved Gems of the Roman, London, 1971, №№ 229, 230; E. Brandt, A. Krug, W. Gercke und E. Scmidt, Antike Gemmen in deutschen Sammlungen, Band I, Staatliche Münzammlung, München, 1972, №№ 2732, 3519.

[32] G. Richter, Cataloge of Engraved Gems, Greek, Etruscan and Roman, Roma, 1956, № 267; მისივე, Engraved Gems of the Romans, №№ 227, 228; E. Brandt, A. Krug... დასახ. ნაშრ., №№—256, 271 და სხვ.

[33] М. И. Максимова, Античные резные камни Эрмитажа, Ленинград, 1926, ტაბ. III, 8; M. L. Vollenweider, Die Steinschneidekunst und ihre Künstler in Spätrespublikanischer und augusteischer zeit, Baden Baden, 1966, ტაბ. 77, 5.

[34] Reinac, Pierres gravées, Paris, 1895, ტაბ. 59, № 472; G. Richter, Engraved Gems of the Romans, № 661 (ვვერდით ჰიპოკამფია); E Brandt, A. Krug,... დასახ. ნაშრ., № 273 (იკონოგრაფია ზღუდრის კამეოსი განსხვავებულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკონოგრაფია გამოსახულებისა, კერძოდ კი ნერეიდას პოზა, ამ ძეგლებზე რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზღუდრის კამეო, ამ მხრივ, ყველაზე დიდ მსგავსებას იჩენს რომაული ხანის სამ კამეოსთან, რომელთაგანაც ერთი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება[35], მეორე პარიზის „კაბინე დე მედაი"ში[36], მესამე — მიუნხენში, სტაატლიხის ნუმიზმატიკურ საცავში[73] (სამივე შემთხვევაში ნერეიდა ჰიპოკამფზეა გამოსახული), ხოლო სტილისტურად იგი პირველ ორს, განსაკუთრებით კი ბრიტანეთის მუზეუმის კამეოს უახლოვდება. ვფიქრობთ, ზღუდრის კამეო რომაულ ხანას ეკუთვნის და ახ. წ. II ს. გვიანდელი არ უნდა იყოს[36], ვინაიდან სტილითა და კვეთის მანერით ის სავსებით განსხვავდება ახ. წ. III ს. კამეოებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ მოკლებულია პლასტიკურობას და ძალიან დაბალი, ბრტყელი რელიეფით არის შესრულებული.

ყელის სამკაული, რომელსაც კამეო ამკობს, შედგება მედალიონისა და ძეწკვისაგან. მედალიონი წარმოადგენს ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებულ ჩარჩო-კოლოფს, რომელშიც კამეო არის ჩასმული. იგი ოვალურია, ზურგის მხრიდან სადა, კამეოს გარშემო ნაპირები შემკული აქვს ორი წყება წვრილი, დაჭდევებული მავთულით (ცრუგავარსით), რომელთა შორის მსხვილი გავარსის ერთი წყებაა ჩაყოლებული. ბუდის გვერდებზე, ურთიერთმოპირდაპირე მხარეებზე, ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული ორ-ორი მარყუჟია მირჩილული. ამ მარყუჟების საშუალებით მედალიონი ძეწკვზე მაგრდება.

ძეწკვი ორი ნაწილისაგან შედგება, შესაკრავიანია, მსხვილი, თანაბარი სისქისა, განივკვეთში მრგვალი, წნული ოქროს წვრილი მავთულისაგან დამზადებული „რგოლებისაგან". ძეწკვის ორივე ნაწილის თითოეულ ბოლოს შემორტყმული აქვს ოქროს თხელი გოფრირებული ფურცლის ცილინდრული ფორმის ვიწრო სალტე, რომელიც მარყუჟით მთავრდება. თითოეული ნაწილის ერთი ბოლო მანჭვლის საშუალებით მედალიონზეა დამაგრებული, ორი თავისუფალი ბოლო კი იკვრება კავით, რომელიც ოქროს საკმაოდ მსხვილი მავთულისაგნ არის დამზადებული. კავის ბოლო ძეწკვის სარყუჟშია გაყრილი და შემდეგ ოვით კავის ღეროზე სპირალურად დახვეული.

მედალიონით შემკული ძეწკვები რომაული ხანის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ყელის სამკაულს წარმოადგენდა. მასალის, ზომის, ფორმისა და შემკულობის მიხედვით მედალიონები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ქვებით შემკული მედალიონები რომაული ეპოქის დასაწყისშივე გაჩნდა და შემდეგში ძალიან ფართოდ გავრცელდა[39]. პანტიკაპეონში აღმოჩენილ ახ. წ. I საუკუნით დათარიღებულ ყელის სამკაულზე უკვე ვხვდებით გრანატით შემკულ მცირე ზომის ოვალურ მედალიონს[40], რომელიც სიდიდით ჯერ კიდევ ძეწკვის რგოლებს შორის საგანგებოდ არ გამოირჩევა. მხოლოდ ახ. წ. II საუკუნიდან

---

[35] H. Wälters, დასახ. ნაშრ., № 3725; G. Richter, დასახ. ნაშრ., № 229.

[36] E. Babelon, Catalogue des cameés antiques et modernes de la Bibliotheque Nationale, Paris, 1897, № 117; G. Richter, Gems of the Romans, № 230

[37] E. Brandt, A. Krug,... დასახ. ნაშრ., № 3519.

[38] № 3 ხის სარკოფაგი ხომ ახ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება. იხ. სქოლიო 14.

[39] M. S. Ruzer i. J. Kubczak, Naszyjnik grecki w okresie hellenistycsnum irzmskim, Warszawa—Poznan, 1972, 140—141, 160—164.

[40] დასახ. ნაშრ., 164, № XXXV, 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელდა მოდა დიდი ზომის, სამკაულში განსაკუთრებით აქცენტირებული, სხვადასხვა ჯიშის ქვებითა და გემებით შემკული მედალიონების ტარებისა[41]. ჩვეულებრივ, ეს არის ქვები ჩასმული ოქროს ჩარჩო-კოლოფში ე. წ. box — setting-ში, რომელსაც ნაპირები გავარსით, წნულით და ზოგჯერ სხვადასხვა დატვიფრული ან ამოჭრილი ორნამენტით აქვს შემკული. ხშირ შემთხვევაში ამ მედალიონზე კიდევ დამატებით, მცირე ზომის სხვადასხვა საკიდებია ჩამოკიდული[42]. დიდი ზომის ქვებით შემკული მედალიონების დათარიღებისათვის, გარდა არქეოლოგიური კომპლექსებისა, თვალსაჩინო და საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს პალმირის ახ. წ. II და III სს. სკულპტურული პორტრეტები[43] და ფაიუმის III ს. პორტრეტები[44], რომლებზეც ამ ტიპის სამკაულებია გამოსახული.

ქვებით შემკული მედალიონები საკმაოდ ბევრია ცნობილი[45]. განსაკუთრებით მრავლად ჩნდება ისინი შავიზღვისპირა რაიონებში[46] პანტიკაპეონსა და ხერსონესში[47], ქერჩში-ჰაჯი-მუშაკაში[48], ბულგარეთში[49] და სხვა. შესანიშნავი ნიმუშები ამ სამკაულისა საქართველოს ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი. მაგ., უსახელოში — შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს მედალიონი, შემკული წნულით, გავარსით, მცირე ზომის მინის თვლებითა და ცენტრში დიდი ზომის ოქროსფერი ტოპაზის ინტალიოთი, რომელზედაც ჰელიოსის პიუსტია გამოსახული[50], ოქროს ძეწკვიანი მედალიონი არმაზისხევის № 2 სამარხიდან, შემკული გრანატის ფირფიტებით, მარგალიტის საკიდებით და ცენტრში სარდიონ-ფრცხილის მოზრდილი კამეოთი, რომელზედაც ძაღლია გამოსახული[51]. არმაზისხევში № 7 სამარხში აღმოჩენილი ზღუდრის მსგავსი წნულ ძეწკვიანი ყელის რთული სამკაული, რომლის ერთი შემადგენელი ნაწილი ოქროს მედალიონი-კოლოფი შემკულია გავარსით, გრანატისა და მალაქიტის (?) მცირე ზომის თვლებითა და ცენტრში დიდი ზომის ამეთვისტოს კამეოთი, რომელიც ცხვრის თავს წარმოადგენს[52]; ს. წილკანში (მცხეთის რ-ნი) შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს

---

41 დასახ. ნაშრ., გვ. 164—165.

42 დასახ. ნაშრ., გ. 141, 164.

43 დასახ. ნაშრ., 141, 165; № XXXIV, 1 (II ს II ნახ.); № LII, 2 (III ს. I ნახ.), ავტორები ვარაუდობენ, რომ ზემოჩამოთვლილი მედალიონები ქვებით არის შემკული.

44 დასახ. ნაშრ., გვ. 141, 165, ტაბ. F (III ს.)

45 F. Marchal, Catalogue of the Jewellery, London, 1911, №№ 2725, 2726 (ორივე III ს.); დასახ. ნაშრ., № XVI, 4, (II, ს. აღსანიშნავია, რომ ამ სამკაულს ამკობს კამეა, რომელზედაც გამოსახულია ნერეიდა ჰიპოკამფის ზურგზე), № XXVIII, 2 (II ს. II ნახ.).

46 S. Ruzer i J. Kubczak, დასახ. ნაშრ., გვ.141, 164—165.

47 დასახ. ნაშრ., 164, სქოლიო 211.

48 დასახ. ნაშრ., 165, ნახ. 18 (III ს.).

49 დასახ. ნაშრ., №№ XVII, 2, 3 (ორივე III ს.).

50 Е. М. Придик, Новые Кавказские клады, Петроград, 1914, გვ. 18 19; მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, კორპუსი, თბ., 1969, № 109; O. Neverov, Antique Intaglios, Leningrad, 1976, № 136.

51 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42; ტაბ. II, 2; XLVI, 10; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზ. გემები, II, № 6 (III ს.).

52 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84—85; სურ. 50, ტაბ. IX, LXXX, 12; LXXXI; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., № 21, სურ. 46 (II ს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედალიონი, შემკული მარგალიტის საკიდით და ცენტრში დიდი ზომის ამეთვისტოზე ამოკვეთილი არეადნას შესანიშნავი ბიუსტით[53]; ს. ურბნისში (ქარელის რ-ნი) აღმოჩენილი ოქროსძეწკვიანი მედალიონი, შემკული დიდი ზომის ამეთვისტოზე ამოკვეთილი რომის იმპერატორ კარაკალას (211-217 წწ.) შაღალმხატვრულად შესრულებული პორტრეტული გემით[54]; კასპის რაიონის ს. ოკამში შემთხვეით აღმოჩენილი ოქროს ძეწკვი მედალიონით, რომელსაც ცენტრში დიდი ზომის სადა გრანატი ამკობს[55] და სხვა.

სხვადასხვაგვარად წნული ძეწკვები, რომელთა ნაირსახეობანი ანტიკურ სამყაროში ძველთაგანვე იყო გავრცელებული, რომაულ ხანაში კვლავ დიდი მოწონებით სარგებლობდა. ზღუდრის ძეწკვის მსგავსი მსხვილი, მრგვალგანივკვეთიანი, წნული ძეწკვები საკმაოდ ხშირად გვხვდება ახ. წ. II—III სს. სამკაულებში[56], მათ შორის საქართველოში აღმოჩენილ ამავე ხანის ძეგლებს შორისაც. გარდა ზღუდერში ყელის სამკაულთან ერთად იმავე სამარხიდან მომდინარე კიდევ მსგავსი ორნაწილედი ძეწკვისა[57], მრგვალგანივკვეთიანი წნული ძეწკვები აღმოჩენილია ბაგინეთის სარკოფაგში, რომელიც ახ. წ. II — III სს. თარიღდება[58], არმაზისხევში ახ. წ. II ს. II ნახ. ან ბოლო ხანებით დათარიღებულ № 7 სამარხში[59] და დუშეთის რაიონის ს. არაგვისპირში ახ. წ. III ს. ბოლოთი და IV ს. I ნახევრით დათარიღებულ № 13 სამარხში[60].

საყურადღებოა, რომ ზღუდრის ძეწკვის დაბოლოებების ტიპის ყულფით ან კავით დამთავრებული ცილინდრული დაბოლოებები ე. წ. ცილინდრული კოლოფები[61] ძეწკვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამათარიღებელ ელემენტს შეადგენს. ამ ტიპის დაბოლოებები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის ცნობილი[62]

---

[53] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზ. გემები. III, № 20, სურ. 12 (ვემა ადრიანეს 417—138 წწ. ეპოქით არის დათარიღებული, მედალიონი უფრო გვიანდელი უნდა იყოს). ძეწკვი არ არის შერჩენილი.

[54] ქ. ჯ ა ფ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, № 102.

[55] ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში, ინვ. № 34—974.: 2.

[56] B. S e g a l l, Katalog der Goldmchmide—Arbeiten, Athen, 1938, № 106, ტაბ. 31 (ახ. წ. III ს.); M. S. R u x e r, J. K u b c z a k, დასახ. ნაშრ., №№ XXXIII, 5 (II—III სს), XXXVI, 1 (რომაული ხანა), XLII, 4 (III ს.)

[57] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[58] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 704; გ. ა ფ ა ქ ი ძ ე, ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი, „ძეგლის მეგობარი“, 33, თბ., 1973, გვ. 61.

[59] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 84, სურ. ტაბ. IX; LXXX, 12; LXXXI.

[60] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, „ძეგლის მეგობარი“, 39, თბილისი, 1975, გვ. 11—13. წნული ძეწკვები უფრო გვიანი ხანის სამკაულებშიც გვხვდება.

[61] M. S. R u z e r, J. K u b c z a k, დასახ. ნაშრ. გვ. 160, სურ. 30 e, f (ამ ნაშრომის მიხედვთ Д ტიპის დაბოლოებები).

[62] B. S e g a l l, დასახ. ნაშრ., № 106, ტაბ. 31 (III ს.); M. S. R u z e r, J. K u b c z a k, დასახ. ნაშრ., №№ XXXVIII (II ს.); XXXIX, 3, 4 (ორივე II ს. ი); XLI, 1, (III ს.); XLI, 4 (II ს.); XLII, 1, 3 (ორივე III ს. ი); XLVIII, 2, 5 (ორივე II ს. ი) L, 1 (III ს.); საქართველოს ძეგლებზე: ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 84, ტაბ. IX; LXXXI (II ს. II ნახ. ან ბოლო); რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრ., გვ. 9 (III ს. ბოლო — IV ს. 1 ნახ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისინი მხოლოდ ახ. წ. II-III სს. სამკაულებზე გვხვდება[63]. ამრიგად, ზღუდრის ყელის სამკაული, როგორც საერთო ხასიათით (ძეწკვზე ჩამოკიდული დიდი ზომის მედალიონი), ისე ცალკეული დეტალებით (მედალიონი, ძეწკვის დაბოლოებები, შესაკრავი.), ახ. წ. II-III სს. ძეგლებში პოულობს ანალოგიებს. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ კამეისა და სამარხეული კომპლექსის ხნოვანებას, უნდა ვიფიქროთ მთლიანად სამკაული II ს. თარიღდება.

3. ინტალიო მოწითალო-ნარინჯისფერი სარდიონისა, ოქროს ბეჭედს ამკობს (ტაბ. IX, 1, 2. ხის სარკოფაგი № 1, ინვ. № 1187)[64]. ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამობურცული კარგად გაპრიალებული პირი აქვს. პირზე ერთმანეთის პირდაპირ გამოსახულია ორი პორტრეტი—ახალგაზრდა ქალისა, პროფილში მარჯვნივ და ახალგაზრდა მამაკაცისა, პროფილში მარცხნივ. ორივე ბიუსტი ისე არის შემოფარგლული, რომ ჩანს მკერდისა და მხრის მხოლოდ ზედა ნაწილი.

ქალი სანდომიანი სახისაა, მაღალი შუბლი აქვს, სწორი, ლამაზი ცხვირი, მოკლე მორკალული წარბი, ფართოდ გახელილი თვალი, ოდნავ შებერილი პატარა ტუჩები, მრგვალი, ლამაზი მოყვანილობის სახის ოვალი და მაღალი კისერი. შუაზე გაყოფილი თმის ერთი წყება შუბლიდან სახის გასწვრივ ჯერ თავისუფლად აქვს ჩაშვებული (ისე, რომ მთლიანად ფარავს ყურს), ხოლო შემდეგ ქვემოთ, მკვრივად ჩახვეული; მეორე წყება თმისა შუბლიდან სწორად უკან აქვს გადავარცხნილი კეფაზე, როგორც ჩანს, შინიონის სახით დახვეული და დამაგრებული პატარა თავსაბურავით, რომელიც რაღაც ბადისებური ქსოვილისაგან უნდა იყოს დამზადებული. მანდილოსანი შემოსილია წამოსასხამით, რომელიც მარჯვენა მხარეზე ოვალური აგრაფით იკვრება.

მამაკაცი ვაჟკაცური გარეგნობისა არის. ლამაზი მოყვანილობის ცხვირი აქვს, მკაფიოდ მოხაზული ნესტოთი, გრძელი მორკალული წარბი, თითქოს ოდნავ შესიებული თვალის ქუთუთო, ძირს დაშვებული გრძელი ულვაში და მოკლედ შეჭრილი ხვეული წვერი. ოდნავ ტალღოვანი თმა კომპაქტურად არის დალაგებული. მისი ერთი წყება საქოჩრიდან საფეხურებად წინ გადადის და შუბლზე სწორად ეფინება, მეორე — ასევე საფეხურებად საქოჩრიდან კისრისაკენ არის ჩაშვებული და ბოლოში ოდნავ აგრეხილი. მამაკაცი შეუმოსავია. ღონიერი კისერი და მკერდისა და მხრის განვითარებული კუნთები მის ფიზიკურ ძალაზე მეტყველებენ.

წმინდა, ოსტატური ნამუშევარია. კვეთა საკმაოდ ღრმა არის და ძალიან მკაფიო. გამოსახულება მოცულობითია. პლასტიკურად არის გადმოცემული როგორც მთლიანად ქალისა და მამაკაცის ბიუსტები, ისე ცალკეული ნაკვთები. საკმაოდ სქელი ნახევარწრიული რკალი ქალის წარბს გამოხატავს, თვალის ქვედა ქუთუთო მცირედ მორკალული წვრილი ღარით არის გადმოცემული, ზედა ოდნავ შესამჩნევი ამაღლებით; თვით თვალიც პლასტიკურად არის გადმოცემული. შედარებით უფრო გრაფიკულად, მაგრამ ძალიან მკაფიოდ, რიტმულად განმეორებული ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად განლაგებული წმინდა ხაზების მონაცვლეობით არის გამოსახული ქალის თმა, თავსაბურავის ქსოვილი და წამოსასხამის ნაკეცები. შექმნილია ეფექტური კონტრასტი ამ ხა-

[63] S. Ruzer i J. Kubczak, დასახ. ნაშრ. გვ. 161.

[64] გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46. ზომები: ინტალიო — 19 x 15 მმ, ბეჭედი — 17 X 23. მმ. ინტალიოს ზედაპირი ერთ ადგილას ოდნავ ამოტეხილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებით დანაწევრებულ სიბრტყეებსა და ძალიან მსუბუქად, ზედაპირულად მოდელირებული სახისა და კისრის გადატკეცილ ზედაპირს შორის. ამ კონტრასტს აძლიერებს ისიც, რომ ქალის სახე და კისერი კარგად არის გაპრიალებული, მაშინ როდესაც თმა, თავსაბურავი და წამოსასხამი მქრქალად არის დატოვებული.

მამაკაცის წარბი ოდნავ მორკალული, საკმაოდ სქელი ღარით არის გადმოცემული. ორი სწორი მოკლე ღარი თვალის ქუთუთოებს გამოხატავს; თვალიც პლასტიკურად არის გამოსახული; ულვაშები სქელი, მოკლე, ირიბი შტრიხებით არის აღნიშნული. ხვეული წვერი გადმოცემულია უწესრიგოდ განლაგებული ბურცობებით, რომლებიც თავის მხრივ პატარა ღარებით არის დანაწევრებული. თმა გამოსახულია ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი, ოდნავ ტალღოვანი წმინდა ღარებით. თმა და წვერი, რომელიც ოსტატს მქრქალად დაუტოვებია, კონტრასტულად გამოიყოფა კარგად გაპრიალებულ, გადატკეცილ სახისა და გულმკერდის ფონზე.

გემაზე გამოსახულია უდავოდ გარკვეული პიროვნებების პორტრეტები. პორტრეტები რამდენადმე განზოგადებული, მაგრამ ამავე დროს ერთგვარი ინდივიდუალობის მატარებელიცაა. შესანიშნავად არის გადმოცემული პიროვნებების სულიერი განწყობა. ერთმანეთისადმი მიმართული მზერა და მკრთალი ღიმილი, რომელიც ქალისა და მამაკაცის სახეებს დასთამაშებს, რაღაც სიმშვიდისა და კეთილდღეობის განწყობას ქმნის და განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს ამ პორტრეტებს.

გემაზე მოცემულია გამოსახული პიროვნებების სახელებიც. ქვის თავისუფალ არეზე პორტრეტების ქვემოთ მოთავსებულია ერთსტრიქონიანი, ნეგატიურად შესრულებული ბერძნული წარწერა. ანაბეჭდზე წარწერა მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება: ქალის ბიუსტის ქვეშ — MATRONA[65], მამაკაცის ბიუსტის ქვეშ — KABRIAC[66]. ასოები ლამაზი მოყვანილობისაა, საკმაოდ დიდი ზომისა, ამოკვეთილია მკაფიოდ და შესამჩნევად.

Ματρώνα წარმოშობით ლათინური სახელია, მომდინარეობს საზოგადო სახელიდან (რაც ნიშნავს გათხოვილ ქალს, პატივცემულ ქალს), პაპირუსებში და საერთოდ ბერძნულ მასალებში ის უკვე ქალის საკუთარ სახელს აღნიშნავს. მამაკაცის სახელი **Καβρίας**—ასეთი ფორმით არსად არ გვხვდება. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ზღუდრის **Καβρίας**-სი ბერძნული წყაროების მიხედვით კარგად ცნობილი სახელი **Χαβρίας**-ი უნდა იყოს (γ. κ. χ-ს მონაცვლეობა ბერძნული ფონეტიკისათვის უცხო არ არის). მოხაზულობის მიხედვით ასოები ახ. წ. I—III სს. ეკუთვნის.

ერთმანეთის პირდაპირ მოთავსებული წყვილადი პორტრეტების გამოსახვა გემებზე რომაულ ხანაში, კერძოდ კი ახ. წ. I—III სს. გავრცელდა. შემონახულია საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის გემები წყვილადი ოჯახური პორტრეტებით, მათ შორის ქალისა და მამაკაცისაც; როგორც იმპერატორებისა და

---

[65] გემის ზედაპირი ამოტეხილია და ასო N ოდნავ დაზიანებული.

[66] ზღუდრის გლიპტიკური მასალის ბერძნული წარწერები ამოიკითხა და საჭირო განმარტებები მოგვაწოდა პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ოჯახის წევრებისა[67], ისე კერძო პირებისა[68]. ზოგჯერ პორტრეტების ქვეშ, ისევე როგორც ზღუდრის გემაზე, გამოსახული პიროვნებების სახელებიც არის აღნიშნული[69]. ერთ-ერთი ასეთი პორტრეტული გემა საქართველოშიც, კერძოდ არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე არის აღმოჩენილი[70]. როგორც ფიქრობენ, ოჯახური პორტრეტული გემები სპეციალური დაკვეთით მზადდებოდა[71].

ცნობილია, რომ რომის იმპერატორებისა და მათი ცოლების მიერ შემოღებული მოდა თმისა და წვერის ვარცხნილობისა, ჩაცმულობისა და სხვა, საყოველთაოდ ვრცელდებოდა როგორც საკუთრივ იმპერიაში, ისე მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, რაც ხშირ შემთხვევაში, კერძო პირთა პორტრეტების დათარიღების საშუალებას იძლევა.

ზღუდრის გემაზე გამოსახულ ქალსა და მამაკაცს რომაული ყაიდის თმის ვარცხნილობა აქვთ. კეფაზე დახვეული სხვადასხვა სახის შინიონები რომაელ მანდილოსნებში დიდი ხნის განმავლობაში იყო გავრცელებული. მაგრამ ზღუდრის გემაზე გამოსახული მანდილოსნის ვარცხნილობის ერთი დეტალი, კერძოდ კი კისერზე ჩამოშვებული თმა, ახ. წ. III ს. მიგვითითებს. უფრო ადრეულ ვარცხნილობაში თმა კისრამდე არ ჩამოდიოდა — ყურებიდან პირდაპირ უკან იყო გადავარცხნილი. სახის გასწვრივ კისერზე ჩამოშვებული და შემდეგ კეფაზე დახვეული თმა პირველად რომის იმპერატორ სეპტიმიურ სევერუსის მეუღლემ, სირიის მეფის ასულმა იულია დომნამ (გარდ. 217 წ.) შემოიღო[72]. თუმცა, ერთი შეხედვით, ზღუდრის გემაზე გამოსახული მანდილოსნის ვარცხნილობა თითქოს რამდენადმე თავისებურად გამოიყურება, შინიონზე მოხვეული ბადისებური თავსაბურავის გამო (რომლის მსგავსი ჩვენ არც გლიპტიკურ და ნუმიზმატიკურ და არც მონუმენტურ პორტრეტებში არ შეგვხვედრია), ნამდვილად ის იულია დომნას მიერ შემოღებული ვარცხნილობის ტიპისა არის. ეს ვარცხნილობა არა მხოლოდ იულია დომნას თანამედროვეებში გავრცელდა[73], არამედ რამდენადმე მოგვიანო ხანამდე (სახელდობრ, 235 წლამდე) შემორჩა[74]. თუ არ ჩავთვლით ბადისებურ თავსაბურავს, ზღუდრის გემაზე გამოსახულ მანდილოსანს ზუსტად ისეთი ვარცხნილობა აქვს, როგორიც იმპერატორ კარაკალას მეუღლეს პლაუ-

---

[67] H. Walters, დასახ. ნაშრ., № 2023; G. Richter, En graved Gems of the Roman, №№ 592, 596.

[68] A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, ტაბ. X VIII, 29, 33; H. Walters, დასახ. ნაშრ., № 3031; G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan and Roman, №№ 488; მისივე, Engraved Gems of the Roman, №№ 623, 625, 633; J. Boardman, Engraved Gems the Ionides Collection, London, 1968, № 55.

[69] A. Hamburger, Gems from Caesarea Maritima, 'Antiqot, English Series. V. VIII, № 134; G. Richter, Engraved Gems of the Romans, № 623.

[70] მ. ლორთქიფანიძე, საქ. სახელმწ. მუზ. გემები, II, № 17; ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25, სურ. 6. ტაბ. bis, XXXVII, 3; XXXVIII, 4.

[71] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[72] J. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 131; ტაბ. XXII, 1; A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., ტაბ. X VIII, 13; G. Richter, Engraved Gems of the Romans, № 580.

[73] J. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 132, ტაბ. XXV, 1,2.

[74] იმპერატორის ოჯახებიდან, ყველაზე გვიან ხანამდე ასეთი ვარცხნილობა შემორჩა ალექსანდრე სევერუსის დედას იულია მამეას (მოკლულ იქნა 235 წ.) იხ. I. Rilliet Maillard, Les portraits romains du Musée d'art et d'histoire, Genève, 1978, გვ. 76, სურ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილას (გარდ. 212 წ.) პარაზემის გემაზე[75], იულია დომნას დას იულია მეზას (გარდ. 222 წ.) მონეტებზე[76] და ერთ გემაზე კერძო კოლექციიდან[77], აგრეთვე უცნობ რომაელ მანდილოსანს სკულპტურულ პორტრეტზე, რომელიც ახ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება[78] (ტაბ. II, 3); მსგავს ვარცხნილობას ვხედავთ აგრეთვე სარდიონის ერთ გემაზე, რომელიც ახ. წ. III ს. დასაწყისით არის დათარიღებული[79], ქალცედონის გემაზე ახ. წ. III საუკუნისა[80] და სხვა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ზღუდრის გემაზე გამოსახული თმის ვარცხნილობა III ს. 20—30-იან წლებში იყო გავრცელებული და მაშასადამე, გემაც III ს. უხდა ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება ზღუდრის გემაზე გამოსახულ მამაკაცს, მისი ვარცხნილობა და წვერის მოყვანილობა III ს. ვარცხნილობათა შორის ყველაზე მეტად იმპერატორ გალიენის (253-268 წწ.) ხანის ვარცხნილობას წააგავს[81]. ასეთ ვარცხნილობას ვხედავთ თვით იმპერატორ გალიენის სკულპტურულ პორტრეტებზე. მაგ., კოპენჰაგენის ნიუ კარლსბერგის გლიპტოტეკაში, რომელთაგან ერთი 257 წ. თარიღდება[82], მეორე კი — 253 წ. ახლო ხანებით[83]; ბიუსტზე, რომელიც ათენის ნაციონალური მუზეუმიდან არის და რომელიც III ს. 50-იანი წლებით თარიღდება[84]; აგრეთვე ვარაუდით გალიენის შვილის პორტრეტად მიჩნეულ ერთ პორტრეტზე, რომელიც III ს. შუა ხანებით არის დათარიღებული[85] და სხვა. თვით თმის გადმოცემისა (ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი, ოდნავ ტალღოვანი მოგრძო შტრიხები) და წვერის დამუშავების მანერა (მოკლე ღარებით შექმნილი პატარა ბურცობები), რომელსაც ზღუდრის პორტრეტზე ვხედავთ, გალიენის ეპოქის გლიპტიკური ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი[86].

დიდ მსგავსებას იჩენს ზღუდრის პორტრეტი გალიენის ეპოქის კერძო პირთა პროვინციულ — სახელდობრ, მცირეაზიულ პორტრეტებთან[87], განსაკუთრე-

---

[75] G. Richter, Engraved,Gems of the Roman, № 584; იულიდა დომნას შინიონი დიდი ზომისა აქვს და კეფაზე კისრამდე ჩამოდის, მატრონას კი უფრო შეკრული შინიონი აქვს და უფრო ზევით, როგორც პლაუტილას.

[76] J. Babelon, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXV, 2.

[77] A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., ტაბ. X VIIII, 27.

[78] V. Poulsen, Les Portraits Romains, v. II, Copenhagene, 1974, № 162, ტაბ. CCLIX.

[79] G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan and Roman, № 496.

[80] G. Richter, Engraved Gems of the Roman, № 633.

[81] იმპერატორ გალიენის იკონოგრაფია ამჟამად საფუძვლიანად არის დამუშავებული. იხ. H. P. L'Orange, Studien zur Geschicte des Spätantiken Porträts, Oslo, 1933, გვ. 5—14; მისივე, Apotheosis in Ancient Portraiture, Oslo, 1933, გვ. 87—90; B. M. Felletti Maj, Iconografia romana imperiale de Severo Alessandro a M. Aurelio Carino (222 — 285d. c.), Quaderni e Guide d'Archeologia, II, Roma, 1958, გვ. 222—234, XLII, 137—140.

[82] V. Poulsen, დასახ. ნაშრ., № 275, ტაბ. CCLXXXI, CCCXXXII.

[83] V. Poulsen, დასახ. ნაშრ., № 176, CCCLXXXIII, CCCLXXXIV.

[84] H. P. L'Orange, დასახ. ნაშრ., № 12, სურ. 29.

[85] А. Вощинина, Римский портрет, Коллекция Государстенного Эрмитажа, Ленинград, 1974, № 70, ტაბ. XCIV, XCV.

[86] B. M. Felletti May, დასახ. ნაშრ., გვ. 234, ტაბ. XIII, 316; G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan and Roman, № 631.

[87] J. Inan and E. Rosenbaum, Roman and early byzantine Portrait Sculpture in Asia Minor, London, 1966, № 174, CIII, 2; № 18, ტაბ. CV, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით კი ერთ პორტრეტთან, რომელიც ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში ინახება და თარიღდება 260-265 წლებით[88] (ტაბ. II, 4).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ზღუდრის წყვილადი პორტრეტი III ს. 50-60 წლებში უნდა იყოს შექმნილი რომელიმე პროვინციულ სახელოსნოში, შესაძლოა, მცირე აზიაში. არც ის არის გამორიცხული, რომ ის სადმე ძველ ქართლში იყოს დამზადებული. იქნებ სწორედ ამ გემის პროვინციული წარმოშობით უნდა აიხსნას მანდილოსნის თმის ვარცხნილობის ერთგვარი თავისებურება და ამგვარი ვარცხნილობის გვიან ხანამდე შემორჩენა[89].

ბეჭედი, რომელშიც გემაა ჩასმული, დიდი ზომისაა, მასიურის შთაბეჭდილებას სტოვებს (ფუყე უნდა იყოს); რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ძლიერ ამობურცული და მთელ სიგრძეზე წახნაგით შემკული. რკალი ზევით თანდათან ფართოვდება და პატარა ჰორიზონტულ მხრებში გადადის. მხრებზე მირჩილულია საშუალო სიმაღლის ოვალური თვალბუდე. ბეჭედი ე. წ. ჰორიზონტულმხრებიანი ბეჭდების ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს და კარგად თარიღდება ახ. წ. III საუკუნით[90]. ამ ტიპის ბეჭდები ფართოდ იყო გავრცელებული მთელ რომაულ სამყაროში, საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩენილია საქართველოშიც. კერძოდ: მცხეთაში — სამთავროს სამაროვანზე[91], არმაზისხევში[92], „ახლადაღმოჩენილ სამაროვანზე“[93], და ნავთსადენში[94]; აგრეთვე ურეკში[95], ერწოში ს. მაგრანეთში[96], ურბნისში[97], ბათუმში და სხვა. ზღუდრის ბეჭდის ყველაზე ახლო ანალოგიას ბათუმში აღმოჩენილი ბეჭედი წარმოადგენს, რომელიც ახ. წ. III ს. არის დათარიღებული[98]. ამგვარად, როგორც ჩანს, ზღუდრის გემა წყვილადი პორტრეტით და ბეჭდით ერთდროულია და ახ. წ. III ს. მეორე ნახევრით, ვფიქრობთ, საუკუნის 50-60-იანი წლებით უნდა დათარიღ-

---

88 I. Rilliet Maillard, დასახ. ნაშრ., № 25.

89 რომის იმპერატორების კარზე ეს ვარცხნილობა იულია მამეიას (მოკლულ იქნა 235 წ.) შემდეგ სხვა ვარცხნილობით შეიცვალა, იხ. I. Billiet-Maillard, დასახ. ნაშრ. № 24.

90 F. Marchall, დასახ. ნაშრ., № 266; F. Henkel, დასახ. ნაშრ., №№ 219, 432, 433, 1257, 1258, 1260, და სხვა.

91 М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты Самтавро, ССМ, XVI—В, თბ., 1950, №№ 35, 43.

92 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48, 49, ტაბ. II, 1, a, b; მ. ლორთქიფანიძე, საქ. სახ. მუზ. გემები, II, № 14, სურ. 29.

93 ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 268, 269, აღწ. №№ 12, 15; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ., 1954, №№ 18, 19.

94 მ. ლორთქიფანიძე, საქ. სახ. მუზ. გემები, III, № 30, სურ. 17.

95 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., № 25, სურ. 15.

96 რ. რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979, გვ. 40, ტაბ. 28, 1; ფერ. ტაბ. IV, 1; გვ. 50, ფერ. ტაბ. IV, 1.

97 ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1975, № 126.

98 ნ. ხოშტარია, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 12, აღწ. № 5, ტაბ. VI, 1,2; მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, კორპუსი, I, თბ., 196, № 127, სურ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, ამ შეხედულებას ამაგრებს იმ სამარხის თარიღიც, რომელშიც ბეჭედი აღმოჩენილი[99].

4. ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა ოქროს ბეჭედს ამკობს (ტაბ. IX, 5, 6. ხის სარკოფაგი № 1. ინვ. № 1188)[100]. ინტალიო მრგვალია, ოდნავ ამობურცული, კარგად გაპრიალებული პირი აქვს. პირზე გამოსახულია ფრთაგაშლილი არწივი, რომელსაც კლანჭებში კურდღელი ჩაუჭერია. ფეხებგაჭიმული კურდღელი ზურგზეა გართხმული, არწივი მას შიგნეულობას უკორტნის. კვეთა საკმაოდ ღრმა არის და მკაფიო, დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. ცალკეული დეტალები (ფრინველის ფრთები, ბოლო, კურდღლის კუნთები) თითქოს დამუშავებულია, მაგრამ გამოსახულება ერთგვარად მაინც სქემატურია. სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით გემა რომაული გლიპტიკის ძეგლებს უნდა მიეკუთვნოს.

არწივი, რომელსაც კლანჭებში კუ, გველი, კურდღელი ან სხვა რომელიმე ცხოველი უჭირავს, ანტიკურ სამყაროში ოლიმპიელი ზევსის სიმბოლოს წარმოადგენდა[101] და გამარჯვების მომასწავებლად ითვლებოდა[102]. ეს სიუჟეტი გავრცელებული იყო საერთოდ ანტიკურ და კერძოდ რომაულ გლიპტიკურ ძეგლებში[103]. გემები მსგავსი სიუჟეტით საქართველოს ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი, კერძოდ დაბლა-გომში — ოქროს საბეჭდავი — ბეჭედი ძვ. წ. IV საუკუნისა, კლასიკური ბერძნული ხელოვნების ნიმუში და ურბნისის სამაროვანზე ახ. წ. I ს.-II ს. დასაწყისი ხანის რომაული ინტალიო[104].

გემა, როგორც აღვნიშნეთ, ოქროს ბეჭედშია ჩასმული, ბეჭედს წრიული დაბალი თვალბუდე აქვს, რომლის ძირზე გარედან მირჩილულია ორი პარალელური მილაკი. რკალი მრგვალგანივკვეთიანია, შუაში შედარებით მსხვილი, მხრებისკენ თანდათან დაწვრილებული. წვრილი ბოლოები თვალბუდეზე მირჩილულ მილაკებშია გაყრილი, ერთმანეთზე გადასული და მხრების გარშემო სპირალურად დახვეული. ზუსტად ასეთი ტექნიკით დამზადებული ბეჭდები (ვგულისხმობთ თვალბუდეზე მირჩილულ მილაკებს) ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ საერთოდ მხრებზე ბოლოებგადახვეული ბეჭდები რომაულ ხანაში ახ. წ. III—IV სს. გავრცელდა[105]. ამ ტიპის ბეჭდები ცნობილია სამთავროს სამარო-

---

[99] ალექსანდრე სევერუსის (222—235 წწ.) მონეტისა და ინვენტარის მიხედვით სამარხი III ს. შუა წლებზე ადრეული არ უნდა იყოს. იხ. გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[100] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 47, ტაბ. IV, 5. ზომები, ინტალიო—11 მმ, ბეჭდით—19 X 25 მმ.

[101] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კოლხეთის ძვ. წ. V—III სს. საბეჭდავი ბეჭდები, თბ., 1975, გვ. 58.

[102] ძველ ირანელთა წარმოდგენაში იგივე სიუჟეტი გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლოდ ითვლებოდა.

[103] A. F u r t w ä n g l e r, Beschreibung der Geschnittenen Stein im Antiquarium, Berlin, 1898, №№ 5749—5751; H. W a l t e r s, დასახ. ნაშრ., №№ 2436, 2437; P. F o s s i n g, Catalogue of the Antique Engraved Gems and Cameos, Thorvaldsen Museum, Copenhagen, 1929, №№ 1441, 1442; Т. К и б а л ь ч и ч, Южно-Русские геммы, Берлин, 1910, № 72: E. B r a n d t, A. K r u g... დასახ. ნაშრ., №№ 2435, 2864..

[104] ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., № 23.

[105] M. G r a m a t o p o l et V. C r à c i u n e s c u, Les Bijoux Antiques de la Collection Marie et Dr. G. Severeanu du Musée d'Histoire de la Ville de Bucarest, Revue Roumaine d'Histoire de l'Art, Tome 4, 1967, № 145; ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანზე[106], ურბნისის სამაროვანზე[107] ბაგინეთის სარკოფაგიდან[108] და სხვა. თვით ზღუდერში, გარდა ჩვენს მიერ აღწერილი ბეჭდისა, კიდევ არის მსგავსი ბეჭდები, ერთი იმავე № 1 ხის სარკოფაგში[109] და მეორე № 2 ხის სარკოფაგში[110]. ყველა ისინი ახ. წ. III ს. არქეოლოგიურ კომპლექსებშია აღმოჩენილი. ზღუდრის გემა არწივისა და კურდღლის გამოსახულებით სტილისტურად და კვეთის მანერით შეესატყვისება ამ თარიღს. როგორც ჩანს, გემა ბეჭდის თანადროულია და ახ. წ. III ს. უნდა დათარიღდეს.

5. ინტალიო შავი გაუმჭვირვალე მინისა, რომელიც ოქროს ბეჭედშია ჩასმული (ტაბ. X, 1, 2. ხის სარკოფაგი № 2. ინვ. №№ 1189)[111]. ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია შუახნის ნახევრად მელოტი მამაკაცი, მხრებზე მოხვეული წამოსასხამით. მამაკაცის თავი წარმოდგენილია პროფილში მარჯვნივ, მკერდი — სამ მეოთხედში. ბიუსტი მკერდს ქვემოთ სწორი ხაზით არის გადაჭრილი, მარცხენა მხარი ინტალიოს კიდემდე აღწევს და მისი ოვალით იფარგლება, მარჯვენა — ირიბი ხაზით არის მოკვეთილი. მკერდი რაკურსში არის გადმოცემული. სივრცეში განლაგების შთაბეჭდილებას ქმნის არა მხოლოდ ნაკვთების შემცირება, არამედ რელიეფის სხვაობაც: მარჯვენა მხარი მაღალი რელიეფით არის შესრულებული, მკერდი თანდათან დაბლდება, მარცხენა მხარი კი მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად, გრაფიკულად არის აღნიშნული.

მამაკაცს ხმელ-ხმელი სახე აქვს, მაღალი შუბლი, მცირედ მორკალული საკმაოდ მოკლე სქელი წარბი, ოდნავ ჩაზნექილი, ფართონესტოებიანი ცხვირი, წინ წამოწეული ზედა ტუჩი, დაფარული სქელი, ძირს დაშვებული, ბოლოში აგრეხილი ულვაშით და ხშირი, ოდნავ ხვეული, გრძელი წვერი, რომელიც საფეთქელთან უშუალოდ თმას უერთდება. საქოჩრიდან ტალღოვანი თმის ერთი წყება წინა აქვს გადავარცხნილი, მეორე წყება კეფაზე ჩამოდის და ოდნავ აგრეხილი ბოლოებით კისერზე ეშვება. თავის წინა ნაწილი მელოტი აქვს.

ინტალიოზე წარმოდგენილია უდავოდ გარკვეული პიროვნების რეალისტურად შესრულებული პორტრეტი, ინდივიდუალური, დამახასიათებელი სახის ნაკვთებითა და მშვიდი, შთაგონებული, ღრმად მოაზროვნე ადამიანის გამომეტყველებით.

კვეთა საკმაოდ ღრმა არის და მკაფიო. წამოსასხამის ნაკეცებისა და თმისა და წვერის ენერგიული, რამდენადმე უხეში ხაზებით შექმნილი შუქჩრდილები კონტრასტს ქმნის სახისა და მკერდის რელიეფის რბილ გადასვლებსა და მოდელირებასთან.

ინტალიო ჩამოსხმულია და შემდეგ საფუძვლიანად დამუშავებული: თმა, წვერი, ულვაში, თვალი, წარბი, ცხვირის ნესტო და წამოსასხამის ნაკეცები საჭრისით დამუშავების მკაფიო კვალს ატარებს. როგორც ფონი, ისე გამოსახულება, მთლიანად მჭრქალია.

---

106 ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

107 ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., № 103, სურ. 6.

108 გ. ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., აღწ. № 32.

109 გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 49, ტაბ. IV, 7.

110 გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

111 გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 49; ზომები; ინტალიო — 21 x 15 მმ, ბეჭდით — 17 x 30 მმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემის გამოსახულების სტილი და დამუშავების ტექნიკა რომაული გლიპტიკის ძეგლებში პოულობს ანალოგიებს: თმისა და წვერის დამუშავების მანერა, წამოსასხამის ნაკეცებისა და მხრის გადმოცემის ხერხი რომაული ხანის გლიპტიკურ პორტრეტებზე გვხვდება[112]. პორტრეტის რეალიზმიც, მოკლებული ყოველგვარ განზოგადოებას და იდეალიზაციას და, რაც მთავარია, პიროვნების ფსიქოლოგიური განწყობის გადმოცემა ნიშანდობლივია რომაული პორტრეტისათვის, თვით პორტრეტის ხასიათისა და საერთო იერის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ ის შეიძლება მიეკუთვნოს რომაულ ხანაში შექმნილ ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მოღვაწეების, პოეტებისა და ფილოსოფოსების პორტრეტების ჯგუფს, რომელიც ჯერ კიდევ ა. ფურტვენგლერმა აღნიშნა, ხოლო შემდეგ ჯ. რიხტერმა, რომაული პორტრეტების საერთო მასიდან ცალკე გამოჰყო[113].

ცნობილია რომაელების განსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული პორტრეტისადმი. რომაული ხანის მონუმენტური და მცირე ხელოვნების ძეგლებმა შემოგვინახეს მრავალი შესანიშნავი, მაღალმხატვრულად შესრულებული პორტრეტი, როგორც თანამედროვეებისა, ისე ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მოღვაწეებისა, მათ შორის ბერძენი პოეტებისა და ფილოსოფოსებისა, რომელთა ნაწარმოებები დიდი სიყვარულით სარგებლობდა ძველ რომში. კერძოდ, რომაული გლიპტიკის ძეგლებზე წარმოდგენილია სოკრატეს, არისტოტელეს, დემოსთენეს, დიოგენეს, ეპიკურეს, ჰომეროსის და სხვათა პორტრეტები[144].

ერთი შეხედვით, ზღუდრის გემაზე გამოსახული მამაკაცი თითქოს სოკრატეს მოგვაგონებს, მაგრამ დაკვირვებით შედარებისას მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნევა. სოკრატეს პორტრეტებზე თვალსაჩინოა წინ წამოწეული წარბის ძვალი, ძლიერ განვითარებული ყვრიმალები და მძიმე ქვედა ყბა, რაც ზღუდრის პორტრეტზე არ შეიმჩნევა. ამასთან ზღუდრის გემაზე გამოსახულ პიროვნებას უფრო ხმელ-ხმელი მოგრძო სახე აქვს, ვიდრე სოკრატეს, ხოლო გამომეტყველება რამდენადმე რბილი და შთაგონებული. ვფიქრობთ, ზღუდრის გემაზე გამოსახული უნდა იყოს ვინმე ბერძენი, შესაძლოა რომელიმე გამოჩენილი მოღვაწე, რომლის პიროვნება ჩვენ ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ.

ინტალიოს ზედაპირზე, თავისუფალ არეზე, მამაკაცის კეფისა და მარჯვენა მხრის უკან ბერძნული წარწერაა ორ სტრიქონად. ასოები ზედაპირულად არის ამოჭრილი, ძალიან მცირე ზომისაა და ერთი შეხედვით შეუმჩნეველი. წარწერა ნეგატივურია, ანაბეჭდიდან იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. პირველი სტრიქონი შესრულებულია გემის სულ კიდეზე. იკითხება ასოები ΓΕΛΛ თუ ΓΕΜ, შემდეგ კიდევ სამი ძნელად შესამჩნევი ვერტიკალური ხაზია. ასოების ნაწილი გადაცვეთილია.[115]

---

[112] შეად. G. Richter, Engraved Gems of the Romans, №№ 423, 438, 438 bis, 440, 441, 456, და სხვა; მისივე, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan and Röman, № 459.

[113] G. Ricter, Engraved Gems of the Romans, გვ. 81—84; №№ 410—456, 410, 416—433, 437—441.

[114] A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, გვ. 351; №№ X III, 1—9, 11—15; IX, 7;, 2; მისივე Beschreibung..., №№ 3183—3186, 5023—5051, 6969—6980. G. Richter, დასახ. ნაშრ., №№ 410, 416—433, 437—441.

[115] ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უკვე წარწერის ამოჭრის შემდეგ ინტალიოს ნაპირები გაუხეხიათ, შესაძლოა გემის ბუდეში ჩასმის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Γ-ს თავი ნაწილობრივ გადაშლილია, E-ს ზედა თავი-მთლიანად, დანამდვილებით ვერ იკითხება პირველი სტრიქონის ბოლო ერთი (ან ორი) ასო. მეორე სტრიქონზე მკაფიოდ იკითხება OU—ე. ი. წარწერა ასე გამოიყურება

ΓΕΛΛ ან ΓΕΜ
OU OU

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, წარწერა წარმოადგენს საკუთარ სახელს, მხოლოდ საეჭვოა პირველ სქტრიქონში Γελλ არის თუ Γεμ, ე. ი. სახელი არის **Γέλλιος** თუ **Γέμιος**. სახელი **Γέλλιος** გვხვდება ბერძენ ავტორებთან, ეგვიპტურ პაპირუსებში, ხოლო სახელი **Γεμιος**. თ. ყაუხჩიშვილის ცნობით, მისთვის მისაწვდომ მასალაში დადასტურებული არ არის, სამაგიეროდ, ეგვიპტის პაპირუსებში გვხვდება სახელი **Γέμινος**[116]. საფიქრებელია, რომ ზღუდრის წარწერის პირველ სტრიქონში პირველი ორი ასოს შემდეგ ჯერ ერთი ასო-μ უნდა იყოს (ვინაიდან, თუ ვიგულისხმებთ ორ ასოს, ისინი ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ მიჯრილი, თითქმის შეერთებული გამოდის, მაშინ, როდესაც სხვა ასოებს შორის თანაბარი ზომის მკაფიო ინტერვალია დაცული), ხოლო შემდეგ კიდევ ორი ასოა სავარაუდო — LN ან NL. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ზღუდრის გემაზე ამოჭრილია გენეტიუსში ან სახელი **Γέμινος** ან მაგნესიაში ცნობილი სახელი **Γεμνις**, რომელიც შესაძლოა ლათინური სახელის Gemnius გვიანდელ ფორმას წარმოადგენდეს[117]. ასოების (L, E) მოხაზულობისა და საერთო იერის მიხედვით თ. ყაუხჩიშვილი წარწერას ახ. წ. III სს. ათარიღებს.

ანტიკურ ხანაში წარწერიანი გემები არც ისე ხშირად გვხვდება. გემაზე ამოკვეთილი საკუთარი სახელი შეიძლება აღნიშნავდეს გემაზე ამოკვეთილი პიროვნების ან გემის მესაკუთრის სახელს, ან კიდევ გემის ამომკვეთი ოსტატის ხელწერას. გემაზე გამოსახული პიროვნების ან გემის მესაკუთრის სახელი ჩვეულებრივ მოთავსებულია გამოსაჩენ ადგილას და შესრულებულია შედარებით დიდი ასოებით [118]. ხოლო ანტიკური ხანის ქვის მჭრელი ოსტატის ხელწერა ყოველთვის შეუმჩნეველია და მოკრძალებული, შესრულებული მცირე ზომის ასოებით. სწორედ ეს მოკრძალება არის ის კრიტერიუმი, რომლის საშუალებითაც შესაძლოა ოსტატის ხელწერის გარჩევა გემის მესაკუთრის სახელისაგან[119]. ჩვეულებრივ, ოსტატის ხელწერა მოთავსებულია გემის ზედაპირის სხვადასხვა ადგილას, ერთ ან ორ სტრიქონად. სახელი წარმოდგენილია ნომინატივში უზმნოდ ან ზმნა ἐποίει-თან ერთად (გაკეთებულია ამა და ამის მიერ) ან — გენეტივში. მაშინაც, როდესაც ზმნა გამოტოვებულია, სახელი შეიძლება ნიშნავდეს გამკეთებელს და არა მესაკუთრეს[120].

---

[116] W. Pape, Handwörterbuch der grieschishen Sprache, Braunchweig, 1874, გვ. 244.

[117] L. Zgusta, Kleinasiatische personennamen, Prag, 1964, § 213.

[118] G. Richter, Engraved Gems of the Romans, გვ. 129. შეად. ოსტატის ხელწერები №№ 634—721 გემებისა, მესაკუთრის აღმნიშვნელ წარწერებს №№ 416, 515, 616, 620, 623, 633 და სხვა გემებზე. საქართველოში მოპოვებულ გემებს შორის შეად. არმაზისხევში მოპოვებული ოსტატ პლატონის ხელწერა (ვ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969, № 117) და ასპარუგ პიტიახშისა, ზევასის და კარპაკის სახელიან გემებს (იქვე №№ 130, 131) და ზღუდრის გემას წყვილადი პორტრეტით.

[119] G. Richter, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[120] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღუდრის გემის წარწერის შეუმჩნევლობა, მისი მოკრძალებული ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ის ქვისმჭრელი ოსტატის ხელწერას წარმოადგენდეს. მართალია, ამჟამად ცნობილ ქვის მჭრელ ოსტატთა შორის სახელი **Γέμινος** ან **Γέμνις** ცნობილი არ არის, მაგრამ ეს ჩვენ ვარაუდს არ გამორიცხავს, ვინაიდან საერთოდ ქვის მჭრელი ოსტატების სახელები დღეისათვის საკმაოდ ცოტაა ცნობილი[121].

ამჟამად ძნელია დადგენა იმისა, თუ სად მუშაობდა ზღუდრის გემის გამკეთებელი ოსტატი (თუ წარწერა მართლაც ოსტატის ხელწერას წარმოადგენს), ადგილობრივ იბერიაში თუ ვრცელი რომაული სამყაროს რომელიმე საწარმოო ცენტრში. ყველა შემთხვევაში დამუშავების ტექნიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ზღუდრის გემა რომაული გლიპტიკის ხელოვნებას უნდა ეკუთვნოდეს.

ბეჭედი, რომელშიც გემა არის ჩასმული (ამჟამად გემა თვალბუდიდან ამოვარდნილია), დიდი ზომისაა, ერთი შეხედვით, მასიურის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ ნამდვილად ღრუ არის. იგი დამზადებულია საკმაოდ სქელი ოქროს ფურცლისაგან. რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან — ძლიერ ამობურცული, მხრებისაკენ მნიშვნელოვნად ფართოვდება და უშუალოდ ამაღლებულ ოვალურ თვალბუდეში გადადის. მხრებიდან თვალბუდეში გადასვლის ადგილი მკაფიოდ არის გამოყოფილი მცირედ ჩაღრმავებული ღარით. ბეჭდის მხრებიდან რკალის ქვედა ნაწილისაკენ საკმაოდ ღრმა სიგრძივი, მარაოსებურად გაშლილი ღარები ეშვება; რკალის ქვედა ნაწილი კიდევ ორ-ორი განივი ღარით არის შემკული.

ზუსტი ანალოგია ამ ბეჭდისა ჩვენთვის ცნობილი არ არის. საერთოდ ბეჭდის მხრების ორნამენტებით შემკობა ახ. წ. II საუკუნიდან იწყება, განსაკუთრებით ფართოდ კი III ს. ვრცელდება. ზღუდრის ბეჭდის რამდენადმე მიმსგავსებული ფორმისა და ორნამენტაციის ბეჭდები არის როგორც ახ. წ. II, ისე III საუკუნეშიც[122]. მაგრამ თვით ფორმა ზღუდრის ბეჭდისა, კერძოდ კი ის, რომ თვალბუდე ერთგვარად ამაღლებულია და რკალისაგან საგანგებოდ გამოყოფილი, უფრო ახ. წ. III საუკუნეზე მიგვითითებს: წინააღმდეგ წინა პერიოდისა, როდესაც ცდილობდნენ, რომ თვალბუდეს არ დაერღვია ბეჭდის ოვალის მთლიანობა, III საუკუნეში ჩნდება ტენდენცია იმისა, რომ ქვა თავისი ბუდით ამაღლებული და ხაზგასმული ყოფილიყო, როგორც ბეჭდის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი[123]. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ზღუდრის ბეჭედი ახ. წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს. ამ თარიღს ამაგრებს ამავე სამარხში აღმოჩენილი მასალაც, რომელიც III ს. II ნახევრით ან მიწურულით თარიღდება[124].

6. ინტალიო მოწითალო ყავისფერი სარდერისა, ოქროს ბეჭედში (ტაბ. X,

---

121 G. Richter, დასახ. ნაშრ., გვ. 131—135, ამჟამად ცნობილია რომაული ხანის ქვისმჭრელი ოსტატის ორმოცამდე სახელი.

122 F. Marshall, დასახ. ნაშრ., №№ 505. 507; F. Henkel, დასახ., ნაშრ. 237 (ორნამენტი, ბეჭდის ფორმა განსხვავებულია).

123 F. Henkel. დასახ. ნაშრ., გვ. 266.

124 გ. ნემსაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 49, 50; სამარხში გარდა ახ. წ. III ს. დათარიღებული მრავალრიცხოვანი ნივთებისა, აღმოჩნდა იმპერატორ ალექსანდრე სევერიუსის (222—235 წწ.) ოქროს მონეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3,4. ხის სარკოფაგი № 2, ინვ. № 1190)[125]. ინტალიო რვაკუთხედია, სწორი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ფანტასტიკური არსება — წვეროსანი კაცის თავი დგას ფრინველის ფეხებზე, თავზე ქუდის მსგავსად ცხენის პროტომა ადგას; ცხენს პირიდან გველის ნესტარი აქვს გამოყოფილი. კაცის კეფაზე რომელიღაც ცხოველის (თხის?) თავია გამოსახული.

კვეთა ღრმა არის და მკაფიო, გამოსახულება რამდენადმე სქემატურია, ნამუშევარი დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. ფონი გაპრიალებულია, გამოსახულება მქრქალი.

მსგავსი ფანტასტიკური არსებანი, შედგენილი ადამიანის თავისა და სხვადასხვა ცხოველების ნაწილებისაგან, ძალიან გავრცელებული იყო რომაული ხანის გემებზე. ასეთ არსებებს გრილოსებს უწოდებდნენ. პლინიუსის ცნობით, აპელესის (ძვ. წ. IV ს.) თანამედროვე მხატვარმა ანტიფილოს ეგვიპტელმა დახატა ვინმე გრილოსის (grilloi-ნიშნავს გოჭს) კარიკატურა, რომელსაც ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ ამ ხნიდან კარიკატურებს გრილოსებს უწოდებდნენო[126].

ადამიანის თავებისა და სხვადასხვა ცხოველების სხეულის ნაწილებისაგან შედგენილი კომბინაციები ტორევტიკაში, ვაზების მოხატულობაში, გლიპტიკაში და სხვა, ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს. ჩნდება, ხოლო ძვ. წ. IV საუკუნიდან განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება. რომაულ ხანაში ეს თემა კვლავ განახლდა, აღორძინდა და ახალი ელემენტები და შინაარსი შეიძინა — მან ფართო ასახვა ჰპოვა კედლის მხატვრობასა და მოზაიკაში[127], გლიპტიკაში ძალიან გავრცელდა ახ. წ. II—IV საუკუნეებში[128].

გრილოსების, ამ ფანტასტიკური არსებების გამოსახულებების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრება არსებობს. ა. ფურტვენგლერი გრილოსების წინამორბედ ფანტასტიურ გამოსახულებებს კართაგენის წრის ხელოვნების ძეგლებში, კერძოდ კი, ძვ. წ. IV ს. სარდინიის სკარაბეებში ხედავს. მკვლევარს მიაჩნია, რომ რომაულ გემებზე გამოსახული გრილოსები კართაგენური, იტალიური და ძველი ბერძნული მოტივების რთული ურთიერთმოქმედებისა და შერწყმის შედეგად წარმოიშვა[129]. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ეს გამოსახულებები აღმოსავლური წარმოშობისაა[130]. მაგ., ა. დიმიტროვა გრილოსების წინამორბედებს ეგვიპტურ ხელოვნებაში ხედავს და აღნიშნავს, რომ ანტიფილოს ეგვიპტელის მიერ შექმნილი არსება შესაძლოა მშობლიური ეგვიპტის ხელოვნებით იყოს შთაგონებული[131].

---

[125] გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 48; ტაბ. IV, 4. ზომები: ინტალიო — II x 8 მმ, ბეჭედი —21 x 25მმ.

[126] E. Babelon, La Gravure en pierres fines, გვ. 176—177; A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, 353; G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan and Roman, გვ. 114.

[127] А. Димитрова, Грили от Национального археологического музея в Софии, «Археология», кн. I, 1972, გვ. 40.

[128] A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., გვ. 353, 363; E. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 176; А. Димитрова, დასახ. ნაშ., გვ. 39, 40.

[129] A. Furtwangler, დასახ. ნაშრ., გვ. 113—114, 288, 353.

[130] სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ. იხ. А. Димитрова, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

[131] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გრილოსების გამოსახულებანი გემებზე არ შეიძლება ჩაითვალოს კარიკატურად ანუ უბრალო ფანტაზიად ოსტატისა, რომელსაც სურდა შეექმნა მხოლოდ რაღაც არაჩვეულებრივი. ეს გამოსახულებები ნაყოფია იმხანად არსებული რწმენისა გარკვეული ცხოველებისა და სიმბოლოების ჯადოსნური ძალის შესახებ[132]. რომაელებს სწამდათ, რომ ამ ფანტასტიური არსებების გამოსახულებებს ჰქონდა ძალა ავი თვალის წინააღმდეგ. პლუტარქე ამტკიცებდა, რომ მათი უცნაურობა აშინებს ავ თვალს[133]. ამიტომ იყო, რომ თავისი კეთილდღეობის დასაცავად რომაელები ცდილობდნენ შეექმნათ კომბინაცია, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა სიმბოლოებისა. რომაული გემები გრილოსების გამოსახულებებით დიდი რაოდენობით არის თავმოყრილი გემების ყველა მნიშვნელოვან კოლექციაში[134].

ბეჭედს, რომელშიც გრილოსის გამოსახულებიანი გემაა ჩასმული, მრგვალგანივკვეთიანი, თანაბარი სისქის, წვრილი რკალი აქვს. რკალზე განივად მირჩილულია მოგრძო, რვაკუთხა თვალბუდე; ბეჭდის მხრებზე, ორივე მხარეს თითო-თითო ბურთულა აქვს მირჩილული.

ზღუდრის ბეჭდის მსგავსი ფორმის, მხრებზე ბურთულებიანი ბეჭდები რომაულ ხანაში კარგად არის ცნობილი. მიჩნეული იყო, რომ ისინი ძირითადად IV ს. მიეკუთვნება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფ. ჰენკელი, რომლის კლასიფიკაცია წარმოადგენს ძირითად საყრდენს რომაული ბეჭდების დათარიღებისათვის, ბურთულებიან ბეჭდებს ათავსებს „გვიანრომაულ, დაახლოებით IV ს. ჯგუფში“[135].

უნდა აღინიშნოს, რომ ზღუდრის ბეჭდისაგან რამდენადმე განსხვავებული, მაგრამ მხრებზე ორ-ორი ბურთულით შემკული ერთი ბეჭედი ახ. წ. III-IV სს. არის დათარიღებული[136].

საქართველოს ტერიტორიაზე ზღუდრის ბეჭდის მსგავსი (მხოლოდ ოვალურ-თვალბუდიანი) ბურთულებიანი ბეჭდები აღმოჩენილია 2 ცალი ურბნისში ახ. წ. IV ს. სამარხში[137]. ორი — ს. არაგვისპირში III ს. ბოლო და IV ს. დასაწყისი ხანის სამაროვანზე[138]. მაგრანეთში, ქუშანაანთგორის № 1 სამარხში,

---

[132] A. Furtwängler, დასახ. ნაშრ., გვ. 353; 363; E. Babelon, დასახ. ნაშრ. გვ. 176; G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan and Roman, გვ. 114.

[133] G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etrusscan und Roman, გვ. 114; А. Димитрова, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[134] A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, ტაბ. XVI, 17, 19, 333—37; დასახ. ნაშრ. Beschreibung..., 3339—3349; E. Babelon, დასახ. ნაშრ., 134; H. Walters, დასახ. ნაშრ., №№ 2569—2590; G. Richter, Catalogue of Engraved Gems, Greek, Etruscan und Roman, №№ 541—549; მისივე, Engraved Gems of the Roman, №№ 384—386; J. Boardman, Engraved Gemsthe Ionid Collection, London, 1968. №№ 50—52; E. Brandt, A. Krug, ...დასახ. ნაშრ., 2353, 2354, 2747—2749; Т. В. Кибальчич, დასახ. ნაშრ., № 301; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, IV, თბ., 1967, №№ 41, 42.

[135] F. Henkel, დასახ. ნაშრ., გვ. 38, №№ 272—281.

[136] A. Greifenhagen, Schmuckarbeiten in Edelmetalll, Band III, Berlin, 1975, ტაბ. 61, 1, 2.

[137] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 69, სურ. 34, 3, 7; ქ. ყაგახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, № 126.

[138] რ. რამიშვილი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, „ძეგლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მასალისა და იმპერატორ კარუსის (282-283 წწ.) მონეტის მიხედვით ახ. წ. III ს. მიწურულით თარიღდება[139]. თვით ზღუდრის სამარხიც, რომელშიც ბურთულებიანი ბეჭედია აღმოჩენილი, მასალისა და იმპ. გორდიანეს (238—244 წწ.) მონეტის მიხედვით ახ. წ. III ს. მეორე ნახევრით ან მიწურულით არის დათარიღებული[140]. როგორც ჩანს, ბურთულებიანი ბეჭდები III ს. მიწურულში უკვე ჩნდება (შესაძლოა, რამდენადმე უფრო გვიან, ვიდრე ჰორიზონტულმხრებიანი და მხრებზე ბოლოებგადახვეული ბეჭდები), განსაკუთრებით ფართოდ კი ახ. წ. IV ს. ვრცელდება. რაც შეეხება ბეჭდის მრავალწახნაგა ქვებს, ისინი რომაულ ხანაში, კერძოდ კი, ახ. წ. II—III სს. არის ცნობილი[141]. საქართველოს მასალებს შორის მრავალწახნაგა თვალი აქვს ციხისძირში (ქუთაისის რაიონი) აღმოჩენილ ერთ ბეჭედს[142], რომელიც თავისი ფორმით (თვალბუდემირჩილული, ჰორიზონტულმხრებიანი) კარგად თარიღდება ახ. წ. III საუკუნით[143] და ერწოში ს. მაგრანეთში, ქუშანაანთგორის სამაროვანზე III ს. მიწურულით დათარიღებულ № 1 სამარხში[144] (იმავე სამარხში აღმოჩენილია ზემოთ ნახსენები ბურთულებიანი ბეჭედიც).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზღუდრის ბურთულებიანი ბეჭედი ახ. წ. III ს. მეორე ნახევრით ან მიწურულით უნდა დათარიღდეს. ამავე ხანას ეკუთვნის ბეჭედში ჩასმული გემაც.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზღუდერში აღმოჩენილია შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან საყურადღებო გლიპტიკური ძეგლები. ყველა ეს ძეგლი ანტიკური ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს — ერთი ელინისტურია და ხუთი რომაული (აქედან ერთი პროვინციული სახელოსნოს ნაწარმი). მათ შორის ალმანდინის გემა ელინისტური მეფის პორტრეტული გამოსახულებით, სარდიონ-ფრცხილის კამეო და შავი მინის პორტრეტული გემა ანტიკურ ქვაზე ჭრის ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებს შეადგენს. ზღუდრის გემების შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც საკუთრივ ანტიკური გლიპტიკის საკითხების კვლევისათვის, ისე გვიანანტიკური ქართლის კულტურული დონისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის განსაზღვრისათვის.

მეგობარი", № 39, თბ., 1975, გვ. 12, 13. №№ 9 და 13 სამარხებში, ამ უკანასკნელში იმპ. ვალერიანის (254—260 წწ.) აურეუსია აღმოჩენილი.

139 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, გვ. 38, ტაბ. 24 სურ. 1; ფერ. ტაბ. 1.

140 უნდა აღინიშნოს, რომ № 2 ხის სარკოფაგში იყო ორი მიცვალებული, რომელთა დაკრძალვა მოხდა, როგორც ჩანს, 20—30 წლის განსხვავებით; მიცვალებული, რომელსაც შავი მინის გემიანი ბეჭედი აღმოაჩნდა, რამდენადმე უფრო ადრეა დაკრძალული (ამას ადასტურებს ალექსანდრე სევერიუსის მონეტა), ხოლო გრილოსის გამოსახულებიანი ბეჭდის პატრონი (რომელსაც იმპ. გორდიანეს მონეტა აღმოაჩნდა) — უფრო გვიან (იხ. გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 47—50).

141 F. H e n k e l, დასახ. ნაშრ., №№ 126, 440.

142 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 12, ტაბ. VI, 5, 6.

143 F. H e n k e l, დასახ. ნაშრ., № 432.

144 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, გვ. 36, 37, 73, ტაბ. 34, სურ. 4, ფერ. ტაბ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К. ДЖАВАХИШВИЛИ, Г. НЕМСАДЗЕ

ПАМЯТНИКИ ГЛИПТИКИ НЕКРОПОЛЯ с. ЗГУДЕРИ

(Табл. VIII—X)

Резюме

В статье исследуются памятники глиптики, обнаруженные в 1964 г. экспедицией Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, во время разведывательных археологических работ в селе Згудери, Карельского района (Восточная Грузия).

Кроме многочисленных памятников разных времен, экспедицией было обнаруженно 6 грунтовых погребений римской эпохи и среди них 3 захоронения в деревянных саркофагах, которые отличались особо богатым инвентарем и в частности памятниками глиптики, которые мы и рассматриваем.

1. Резной альмандин овальной формы в золотом перстне (разм. 17×14 мм. инв. № 1192). На сильно выпуклой нижней поверхности изображен портрет эллинистического царя (возможно Александра Македонского или Митридата VI Эвпатора). Позднеэллинистическая эпоха; перстень II в. — начала III в. н. э. (Табл. VIII, 2).

2. Камея из трехслойного сардоникса овальной формы, украшает золотой медальон с цепочкой (разм. 75×56 мм. инв. № 1191). Нерейда плывущая на дельфине. Римская работа II в. н. э. Тем же временем датируется все украшение (Табл. VIII, 3).

3. Резной сердолик овальной формы в золотом перстне (разм. 18×15 мм, инв. № 1187). На слегка выпуклой поверхности портреты молодых женщины и мужчины в профиль, друг против друга. Внизу имена портретируемых Ματρώνα Καβρίας. Римская провинциальная, возможно малоазийская или местная иберийская работа эпохи императора Галлиена — 50—60 гг. III в. н. э. перстень того же времени. (Табл. IX, 2).

4. Резной сердолик круглой формы, в золотом перстне (разм. 11 мм, инв. № 1188). На слегка выпуклой нижней поверхности изображен орел терзающий зайца. Римская работа III в. н. э. Перстень того же времени. (Табл. IX, 6).

5. Литик овальной формы из черного матового стекла в золотом перстне (разм. 21×15 мм, инв. № 1189). На плоской нижней поверхности изображен портрет бородатого мужчины средних лет. Сбоку надпись в две строчки ГЕМ$^{i''}$CU
(часть надписи стерта). Собственное имя повидимому Γέμινος или Γεμνις в генетиве. Возможно подпись мастера. Римская работа. Перстень вероятно III в. н. э. (Табл. X, 2).

6. Резной сардер шестигранной формы в золотом перстне (разм. 12×9 мм; инв. № 1190). На плоской нижней поверхности изображен

Грилл. Римская работа II пол. или конца III в. н. э. Перстень — того же времени. (Табл. X, 4).

В Згудери обнаружены немногочисленные, но весьма интересные памятники глиптики. Все эти памятники являются произведениями античной глиптики — один эллинистической эпохи, пять — римской. Среди них резной альмандин с портретом эллинистического царя, камея с изображением Нерейды на дельфине и литик с портретом бородатого мужчины являются высокохудожественными произведениями камнерезного искусства. Их изучение вызывает определенный интерес, как для исследований собственно античной глиптики, так и для определения культурного уровня позднеантичного Картли и его взаимоотношений с античным миром.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. საგინაშვილი

შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ურბნისიდან

(ტაბ. XI—XII)

1972 წელს ურბნისში გ. კაკაშვილის სახლის აივნის სამხრეთ ნაწილში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც მან ისტორიულ მეცნ. დოქტორს, არქეოლოგ ა. ჯავახიშვილს ჩააბარა (ა. ჯავახიშვილი იმხანად არქეოლოგიურ დაზვერვებს აწარმოებდა ურბნისის მიდამოებში). ეს მასალა, რომელიც ერთი სამარხეული კომპლექსი აღმოჩნდა, ა. ჯავახიშვილმა გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებას, სადაც ის დღესაც ინახება[1].

სამარხეული კომპლექსი აღმოჩნდა ტერიტორიაზე, რომელიც 1956—62 წლებში გათხრილ გვიანანტიკური ხანის სამაროვანს (XXV უბანი) უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ ეს ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული, აღნიშნული სამაროვანი დღემდე მთლიანად არ არის გათხრილი.

ზემოთ აღნიშნული მასალა, თავისთავად, მეტად საინტერესო კომპლექსს წარმოადგენს. მასში აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარაკები, საკინძები და რგოლები, ქანდაკებები და საკიდები, რკინისა და პასტის ბეჭდები, სხვადასხვა მძივები და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, თხუთმეტი მინის ჭურჭელი. მან მოგვცა ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვნისათვის დღემდე უცნობი მინის ჭურჭლის ორი ახალი ფორმა. ცნობილია, რომ ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ჭურჭელი მთლიანად გამოქვეყნებულია[2] და საჭიროდ მიგვაჩნია ამ ახალი კოლექციის პუბლიკაციაც. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამას ისახავს მიზნად.

სამარხში აღმოჩენილი თხუთმეტი მინის ჭურჭლიდან მხოლოდ ერთია ფორმაში გამობერილი, დანარჩენი თოთხმეტი კი — თავისუფლად ნაბერია.

ფორმაში გამობერილი ფიგურული ამფორისკი (ინვ. № 1-64:5044) ბაცი ოისფერი გამჭვირვალე მინისაა, შიგნით ჩაკეცილი უსწორო პირით; მაღალყელიანი, კვერცხისებური ტანითა და ქუსლიანი, ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი ძირით (ტაბ. XI, 1).

ორყურა; ცისფერი მინის ყურების ერთი ბოლო ყელის შუა ნაწილზეა მიმაგრებული, მეორე კი — მხრებზე.

---

[1] იხ. ურბნისის ფონდი. ინვ. №№ 1—64—5041—5074. მასალის დამუშავებაში დიდად შეგვიწყო ხელი ფონდის მცველმა ისტ. მეცნ. კანდ. გ. კიკნაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[2] მ. საგინაშვილი,. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭლის ტანი სამ ფრიზად არის გაყოფილი: პირველი და მესამე ფრიზი ვერტიკალური ღარებითაა დაფარული, ცენტრალური ფრიზი კი — ერთმანეთზე გადაბმული რელიეფური ხვიებით. ეს უკანასკნელი დანარჩენი ორი ფრიზისაგან გამოყოფილია ორ-ორი რელიეფური ზოლით. რელიეფი საკმაოდ მკვეთრია, რელიეფური ზოლები კი — შედარებით მსხვილი.

ამფორისკი თხელკედლიანია; გამობერილია ორნაწილიან ფორმაში, რაზედაც მიუთითებს ორივე გვერდზე შერჩენილი ვერტიკალური წიბური. ფორმის ნაწილების გადაბმის ადგილებთან ორნამენტი აცდენილია. მინა მაღალი ხარისხისაა. საღებავი კარგად არ არის გახსნილი, რის გამოც ცალი გვერდი უფრო მუქია. ის კარგად არის დაცული; აქა-იქ შეიმჩნევა ირიზაციის კვალი.

სიმაღლე — 8,1 სმ, პირის დმ — 2,5 სმ, ძირის დმ — 2,1 სმ.

ურბნისის სამაროვნიდან აქამდე მსგავსი რელიეფური ორნამენტით შემკული ორი ფიგურული ჭურჭელი იყო ცნობილი. აქედან ერთი წარმოადგენს ბაცი იისფერი გამჭვირვალე მინის თხელკედლიან ორყურა ამფორისკს, რომლის ცენტრალური ფრიზი კუთხოვანი ღეროებით დაკავშირებული რელიეფური ხვიებით არის შემკული[3], მეორე ყავისფერი მინის ორყურა ჭურჭელია ერთმანეთზე უშუალოდ გადაბმული რელიეფური ხვიებით[4]. ახლადაღმოჩენილი ფიგურული ამფორისკი ფერით პირველს ემსგავსება, ორნამენტით კი — მეორის მსგავსია[5].

ზემოთ აღწერილი ყველა ამფორისკი სანელსაცხებლეა და მინის ჭურჭლის ერთ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა, როგორც დავინახეთ, ფერითა და ორნამენტაციის ხასიათით ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ერომანეთისაგან. მათი დამზადების ტექნიკა ერთია: ყველა სანელსაცხებლე გამობერილია ორნაწილიან ფორმაში, რაზედაც მიუთითებს გვერდებსა და ძირზე შერჩენილი წიბურები.

მინის ჭურჭლის ეს ტიპი ძლიერ არის გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში; მას საკმაო რაოდენობით ვხვდებით ჩვენშიც[6]. მინის ჭურჭლის მკვლევართა მიერ ის მიჩნეულია სირიულ პროდუქციად და დათარიღებულია ახ. წ. I ს[7].

---

[3] მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის ჭურჭელი, გვ. 10—11 № 1.

[4] იქვე, გვ. 11. № 2.

[5] კავთისხევის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩვენთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი ფიგურული ამფორისკი, რომელიც აღმოჩენისთანავე გვაჩვენა და შემოგვთავაზა კიდეც შესასწავლად. ზ. შატბერაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. ის მსგავსიაურბნისში შემთხვევით აღმოჩენილი ამფორისკისა როგორც ფერით, ასევე ორნამენტითაც. იხ. გ. ჯინჯიხაშვილი. ძვ. წ. I და ახ. წ. I-ს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980, გვ. 42, ტაბ. XII 5.

[6] საქართველოს გარდა ,ისინი გვხვდება სომხეთში, ჩრდილოშავიზღვისპირეთში. იხ. Стекло древней Армении (I—IV вв.). Археологические памятники Армении 3, Ереван, 1969, № 107—III; Н. З. Кунина. Сирийские выдутые в форме стеклянные сосуды из некрополя Пантикапея, Памятники античного прикладного искусства, Л., 1973, с. 118—122.

[7] J. H. C. Kern. A. Pair of Mould-blown Glass Amphorisks, I st Century A. D. Oudheidkundige Mededelingen uit het Rijksmuseum van Oudheden te Leiden, Nieuwe Reeks XXXV, 1954, p. 39. fig 9; G. M. Richter. «The room of Ancient Glass», Supplement to the Bulletin of the Metropolitan Museum of Art, 1911, June, p. 16, fig. 13. Glaser der Antike. Sammlung Erwin Oppenländer. Hamburg, 1974, 412—415. დამასკოს ნაციონალურ მუზეუმში დაცული რელიეფურორნამეტიანი ამფორისკის აღმოჩენის ადგილად ბ. ზუდი სირიას ასახელებს, მაგრამ მის თარიღად გვთავაზობს ახ. წ. III ს, რისთვისაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია იხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფურორნამენტიანი ამფორისკებისათვის უფრო კონკრეტულ თარიღს გვთავაზობს ნ. კუნინა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა პანტიკაპეიონში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭელი; ის მათ ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით ათარიღებს[8]. ამავე თარიღს ვიღებთ ჩვენც ურბნული ამფორისკებისათვის. ერთმანეთზე უშუალოდ გადაბმული რელიეფური ხვიებით შემკული ურბნული სანელსაცხებლე აღმოჩნდა № 230 სამარხში, რომელიც ერთ-ერთი ადრეული სამარხთაგანია XXV უბანზე. აქ აღმოჩენილი მინის ჭურჭლის უმრავლესობა (სულ 21 ჭურჭელია) ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით თარიღდება; მაგ., ე. წ. მინიატურული სანელსაცხებლეები[9]; ასევე კონუსურტანიანი ჭურჭელიც[10] (იხ. ქვემოთ); № 230 სამარხის სხვა ინვენტარიც ადრეულია — კერამიკა, მძივები[11].

მეორე-მოყავისფრო-სანელსაცხებლე აღმოჩნდა № 57 სამარხში, რომლის ინვენტარი სამარხის დათარიღების საშუალებას არ იძლევა, სამაგიეროდ აქ გვეხმარება სტრატიგრაფია: № 57 სამარხი აღმოჩნდა ახ. წ. II ს. დათარიღებულ № 55 სამარხის ქვეშ[12]. აქედან გამომდინარე, № 57 სამარხი უფრო ადრეული უნდა იყოს, ალბათ, ახ. წ. I ს. მეორე ნახევრისა, მიწურულისა. სწორედ ამიტომ, № 57 სამარხის მინის ჭურჭელიც შეიძლება ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით დათარიღდეს[13]. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით თარიღდება ახლადაღმოჩენილი ფიგურული სანელსაცხებლეც.

რაც შეეხება წარმომავლობას, აქ სადაო არაფერია: ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს რელიეფურორნამენტიანი ამფორისკების სირიულ წარმოშობას, ზოგიერთი მათგანი უფრო კონკრეტულად, სიდონურ ნაწარმადაც მიიჩნევს მათ[14]. ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი: მრავალი მონაცემის საფუძველზე მინის ფორმაში გამობერვა მიეწერება სირიის ქალაქ სიდონს, რომელიც ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო როგორც მინის ჭურჭლის მწარმოებელთა ქალაქი. როგორც ვარაუდობენ, აღნიშნული მეთოდით სიდონში მინის ჭურჭელს ამზადებდა მეწარმე ენიონი. მინის ცნობილი მკვლევარი დ. ჰარდენი წერს, რომ ენიონი იყო არა მარტო ერთ-ერთი პირველთაგანი (თუ პირველი არა), რომელ-

---

B. Zouhdi, Les Verres conservés au département des antiquités syriennes des époques grecque, romaine et byzantine du Musée National de Damas, Bulletin des Journées Internationalles du Verrre, 1964, № 3, p. 53, № 63, fig. 40.

[8] Н. З. Кунина. Сирийские сосуды, с. 121. ამავე თარიღს იმეორებს ნ. კუნინა 1980 წ. გამოცემულ კატალოგში — Художественное ремесло эпохи Римской Империи (I в. до н. э. — IV в.), каталог выставки, Л., 1980, № 266.

[9] მ. საგინაშვილი, ურბნისის მინის ჭურჭელი, გვ. 53—57, № 18—42.

[10] იქვე, გვ. 60—61,, № 61—65.

[11] დ. ქორიძე, ურბნისის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციისათვის (ხელნაწერი). ინახება საქ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების არქივში.

[12] იქვე.

[13] იხ. მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის ჭურჭელი, № 69—106.

[14] G. A. Eisen. Glass, vol. I, New-York, 1927, p. 271, Class from the Ancient World. The Ray Winfield Smith Collection, Corning, New-York, 1957, p. 61, № 75; E. B. Dusenbery. Acient Glasse from the Cemeteries of Samothrace», J. G. S. IX, 1967, p. 40, № 13, fig, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც გამოიყენა ფორმაში გამობერვის მეთოდი, არამედ, მისი აზრით, ის შეიძ-ლებოდა ყოფილიყო თვით გამობერვის პროცესის გამომგონებელიც[15].

სირიულ-სიდონურ ნაწარმად მივიჩნევთ ამფორისკებს ჩვენც: ვფიქრობთ, შესაძლებელია ისინი ჩაითვალოს პროდუქციად იმ საწარმოებისა, რომლებიც მუშაობდნენ ენიონის ტრადიციების მიხედვით[16].

გადავდივართ თავისუფლადნაბერი მინის ჭურჭლის დახასიათებაზე. პირ-ველ რიგში შევჩერდებით ძირწვეტიან ჭურჭელზე, რომელიც ურბნისის გვიან-ანტიკური ხანის სამაროვნისათვის ახალი აღმოჩენაა (ტაბ. XI, 2, 3).

პირველი (ინვ. № 1-64: 5045) მოლურჯო-მომწვანო გამჭვირვალე მინისაა, შიგნით ჩაკეცილი სწორი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის კვერცხისებურ ტანში წვეტიანი ძირით, რომლის ცალი მხა-რე ამობურცულია; მეორე კი — დაბრტყელებული, ცენტრში ჩაჭდეული წერ-ტილით. ძირი სქელია, რის გამო ის უფრო მუქიცა ჩანს, ირიზებულია.

სიმაღლე — 7,2 სმ, პირის დმ — 1,1 სმ, ძირის სიგრძე — 1,5 სმ, სიგანე — 0,6 სმ, სისქე — 0,41 სმ.

მეორე (ინვ. № 1-64: 5046) მოთეთრო (უფერული) გამჭვირვალე მინისაა; სწორი, შიგნით ჩაკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის კვერცხისებურ ტანში. წვეტიანი ძირის ერთი მხარე ამო-ბურცულია, მეორე კი — დაბრტყელებული და ცენტრში შეზნექილი; დეფო-რმირებულია, ცალ მხარეს გადახრილი.

ჭურჭელი კარგად არის დაცული. მინა შეიცავს სხვადასხვა ფორმის ბუშ-ტებსა და ლაქებს. ოდნავ ირიზებული.

სიმაღლე — 7,1 სმ, პირის დმ — 1,1 სმ, ძირის სიგრძე — 1,3 სმ, სიგანე — 0,6 სმ, სისქე —0,4 სმ.

ორივე ჭურჭელი ერთი ტიპისაა და სანელსაცხებელს წარმოადგენს. მათი ძირი წვეთის ფორმისაა, ფორმა კი წააგავს თითისტარს, რის გამოც თითის-ტარის ფორმის ჭურჭელიც შეგვიძლია ვუწოდოთ.

აღნიშნული ტიპის ჭურჭლის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ იგი ჯერჯერობით უნიკალურია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამი-ერკავკასიისათვისაც; ჩრდილოშავიზღვისპირეთში კი რამდენიმეა აღმოჩენილი.

ნ. კუნინასა და ნ. სოროკინას ნაშრომში, რომელიც ბოსფორის მინის სანელ-საცხებლეებს ეხება, ჩვენთვის საინტერესო ჭურჭელი V ტიპად არის გამოყო-ფილი[17]. აქ ისინი განიხილავენ სანელსაცხებლეს, რომელიც პანტიკაპეიონის მახლობლად 1914 წელს გათხრილ სამარხში აღმოჩნდა. მას ძირი წვეთის ფორ-მისა აქვს და ძლიერ წაგრძელებული ტანი, რომელიც უშუალოდ გადადის საკ-მაოდ მაღალ ყელში[18]. როგორც ვხედავთ, ეს ჭურჭელი ტანითა და ყელით საკ-

---

15 D. B. Harden. «Roman Mould-blown Glasses», The Connoisseur, September, 1940, p. 102.

16 ფიგურულ ამფორისკებზე უფრო დაწვრილებით ვსაუბრობთ სპეციალურ ნაშრომში, რომელსაც ვუძღვნით ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ რელიეფური ორ-ნამენტით შემკულ მინის ჭურჭელს (მზადდება დასაბეჭდად).

17 Н. З. Кунина и Н. П. Сорокина. Стеклянные бальзамарии Боспора, Труды Гос. Эрмитажа, XIII, Л., 1972, с. 168, рис. I.

18 დაცულია სახ. ერმიტაჟში. ინვ. П. 1914. 51. См. Н. З. Кунина и Н. П. Сорокина. указ. соч., рис. 10—36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაოდ განსხვავდება ურბნული ჭურჭლისაგნ, ძირი კი— ისეთივე აქვს. სამარხში თითისტარის ფორმის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ექვსი კოლბისებური სანელსაცხებლე და ფიბულა, რომელსაც ა. ამბროზი I-II ს. მეორე ნახევარს აკუთვნებს[19]. ნ. კუნინა და ნ. სოროკინა სანელსაცხებლეებისა და ფიბულის მიხედვით ზემოთ ხსენებულ სამარხს ახ. წ. I საუკუნის დასასრულით ათარიღებენ[20].

სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია პანტიკაპეიონთან 1843 წელს გათხრილ სამარხში აღმოჩენილი კიდევ ერთი ჭურჭელი. ეს უკანასკნელი ზემოთ აღწერილი ჭურჭლისაგან განსხვავებით, შეიძლება ჩაითვალოს ურბნულის ზუსტ ანალოგიად თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მისი ყელი მკვეთრად არის გამოყოფილი კვერცხის ფორმის ტანისაგან[21]. მასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ჭურჭელი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია «Zarten Rippenschalen»-ის სახელწოდებით. მინის ჭურჭლის ეს ტიპი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და თარიღდება ახ. წ. I საუკუნის შუა ხანებით[22]. მათთან აღმოჩნდა მინიატურული სანელსაცხებლე, რომელიც, აგრეთვე, ზუსტად თარიღდება ახ. წ. I საუკუნის დასასრულით (ამაზე ქვემოთ)[23].

ურბნული თითისტარის ფორმის ჭურჭლის ანალოგიად მიგვაჩნია სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული სანელსაცხებლე, რომლის ძირის ცალი გვერდი ბრტყელია და მთელ სიგრძეზე ღარი მიუყვება[24]. მასთან ერთად აღმოჩნდა მინიატურული სანელსაცხებლე[25].

სამწუხაროდ, ამ ორ უკანასკნელ ჭურჭელს, რომელიც უფრო ახლოს დგას ურბნულთან, ნ. კუნინასა და ნ. სოროკინას ხსენებულ ნაშრომში ვერ შევხვდით.

ზემოთ დავინახეთ, რომ როგორც ურბნული თითისტარის ფორმის ჭურჭელთან, ასევე ბოლოს ხსენებულ პანტიკაპეიონის ორ ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია მინიატურული სანელსაცხებლეები. ეს ფაქტი, ჯერჯერობით, არავითარი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ, ვფიქრობთ, საყურადღებო დამთხვევაა.

სხვადასხვა პუბლიკაციებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა თითისტარის ფორმის კიდევ რამდენიმე სანელსაცხებლე. პირველ რიგში გვინდა შევჩერდეთ

---

[19] А. К. Амброз. Фибулы юга европейской части СССР. САИ, Д. 1—30, М., 1966. с. 31, табл. 14, 17.

[20] Н. З. Кунина и Н. П. Сорокина, указ. соч., с. 168.

[21] ინვ. № П 1843—40-ის მონაცრისფრო-მოცისფრო გაუმჭვირვალე მინისაა; სიგრძე — 4,7 სმ; პირის დმ— 0,9 სმ.

[22] W. von Preffer, T. E. Haevernick. Zarte Rippenschalen. Saalburg. Jahrbuch, XVII, 1958, s. 76—91; T. E. Haevernik. Die Verbreitung der «Zarten Rippenschalen», Jahrbuch Des Römische-Germanishen Zentralmuseum Maiz, 14, Jahrgang 1967, s. 153—166. ამ ნაშრომში მოხვდა ხსენებული ტიპის ურბნული ჭურჭელიც, რომლის შესახებ ცნობები მიწოდებულ იქნა ჩვენ მიერ. იხ. ასევე Н. П. Сорокина. К вопросу об экономических связях государств Северного Причерноморья в I в. н. э., Древности Восточной Европы, М., 1969, с. 218, рис. 1—5В; მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის ჭურჭელი. გვ. 16, № 11.

[23] Н. П. Сорокина. К вопросу об экономических связях..., рис. 1—5б, с. 218.

[24] ინვ. № П. 1902. 146. ის მომწვანო გამჭვირვალე მინისაა. შიგნით ჩაკეცილი პირით, ცილინდრული ყელითა და კვერცხის ფორმის ტანით. სიმაღლე — 5, 6 სმ, პირი დმ —1,3 სმ.

[25] იხ. Керч. ინვ. № II. 1902, 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიპროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ჭურჭელზე, რომელიც პანტიკაპეიონის ორი უკანასკნელი ჭურჭლის მსგავსად, ურბნულის ზუსტ ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს. ვესბერგი ახასიათებს რა ამ ჭურჭელს, მის პროტოტიპად ელინისტური ხანის კერამიკას მიიჩნევს და ავლებს მასთან პარალელს[26]. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი უკვე არსებობდნენ ავგუსტეს ეპოქაში. სწორედ ავგუსტეს ხანით ათარიღებს ე. დაზენბერიც. სამოთრაკიის სამაროვანზე აღმოჩენილ თითისტარის ფორმის სანელსაცხებლეს[27]. ურბნული ჭურჭლის მეტ-ნაკლებად ახლო ანალოგიებად შეიძლება ჩაითვალოს კონსტანცის მუზეუმში დაცული[28] და კორინთოში აღმოჩენილი ჭურჭელი[29]. ისინი თარიღდება ახ. წ. I საუკუნით. ურბნულ ჭურჭელთან ახლოს დგას, აგრეთვე, თრაკიაში აღმოჩენილი სანელსაცხებლე, რომელიც დათარიღებულია აქ აღმოჩენილ სხვა ნივთებთან ერთად ზოგადად — ელინისტური და რომაული ხანით[30]. ჩვენთვის საინტერესო ტიპს მიეკუთვნება, აგრეთვე, კურიონში აღმოჩენილი ჭურჭელიც, რომელიც ახ. წ. I ს. დასასრულით თარიღდება[31]. და ბოლოს, გვინდა მოვიხსენიოთ ბ. ფილიარსკაიას მიერ გამოცემული სანელსაცხებლე, რომელიც ძირითადად ტანით ურბნულის მსგავსია, ყელი კი ძალიან ვიწრო და გრძელი აქვს. ესეც თითისტარის ფორმის ჭურჭლის ტიპს განეკუთვნება. ბ. ფილიარსკაია მას ახ. წ. IV საუკუნით ათარიღებს, აიგივებს რა თითისტარის ფორმის მინის ბოთლებთან, რომლებიც სწორედ ახ. წ. IV საუკუნისათვის არის დამახასიათებელი[32]. ეს რასაკვირველია, შეცდომაა და სინამდვილეს არ შეესაბამება.

როგორც დავინახეთ, აღნიშნული ფორმის ჭურჭელი არც ისე მცირე რაოდენობით გვხვდება, როგორც ამას ნ. კუნინა და ნ. სოროკინა ვარაუდობდნენ[33]. მათთვის, ჩანს, მაშინ ცნობილი არ იყო ზოგიერთი ეგზემპლარი და მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ურბნული ჭურჭელიც.

თუ გადავხედავთ ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ თითისტარის ფორმის ჭურჭელს, დავინახავთ, რომ მათ შორის კვიპროსისა და სამოთრაკის სამაროვნის სანელსაცხებლეები ყველაზე ადრეულებია, ავგუსტეს ხანისა. მაგრამ ყველა დანარჩენი ახ. წ. I საუკუნეს მაინც არ სცილდება. ურბნული ცალები ალბათ, ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ. ჩვენ ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია იმისათვის, რომ ისინი უფრო ადრეული ხანით — ახ. წ. I ს. დასაწყისით — დავათარიღოთ.

რაც შეეხება წარმომავლობას, აქ უფრო გაურკვეველი მდგომარეობა გვაქვს. ურბნული ჭურჭელი რომ შემოტანილია, ამაზე აშკარად მიუთითებს რო-

---

[26] O. Vessberg. Roman Glass in Cyprus, «Opuscula Archaeologica». Lind, 1952, pl. IX—30, p. 140—141.

[27] E. B. Dusenbery. Samothrace, p. 44, fig. 32.

[28] M. Bucovală. Vase antice de sticlă la Tomis, Constanta, 1968, no 274, p. 133.

[29] G. R. Davidson. The minor Objects, in Corinth, vol. XII, Princeton. New-jersey. 1952, p. 106 № 673.

[30] G. Davidson, Weinberg, Grèce, Découvertes arshéologiques récentes de verres, «Bulletin des journées Internationales du Verres, № 2. Liège, 1963, p. 104, 106, fig. 65.

[31] G. H. Macfadden. A Tomb of the Necropolis of Agios Ermogenis at Kourion, A. J. A, 1946, 50, № 114, pl. XLV.

[32] B. Filarska. Szkla starozytne. Warszawa, 1952, Ta XLIX. I (N kat. 294).

[33] Н. З. Кунина и Н. П. Сорокина, указ. соч., с. 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც მინის ფერი, ასევე მისი ხარისხი. მათ ანალოგიები ეძებნებათ ხმელთაშუაზღვისპირეთის მინაში. შესაძლოა, ისინიც ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებიდან მომდინარეობენ, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე გარკვეულის თქმა ძნელია.

მომდევნო ჭურჭელი (ინვ. № 1-64:5047) ფიალის-სამარილეს ფორმისა, აგრეთვე, აქამდე უცხო იყო ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვნისათვის. ის მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, შესქელებული, ძლიერ გადაშლილი პირით, რომელსაც შიგნიდან შემოუყვება ვიწრო ღარი; ტანი თითქოს ცილინდრულია, მაგრამ ძლიერ არის დეფორმირებული; ბრტყელი ქუსლიანი ძირი ცენტრში კონუსურად არის შეზნექილი. როგორც ჭურჭელზე დაკვირვება გვიჩვენებს, ის შემდეგნაირად უნდა იყოს დამზადებული: თავდაპირველად, გამობერილია ცილინდრი, რომლის ერთი მხარე რაიმე ბრტყელ ზედაპირზე ძლიერი დაწოლით გვაძლევს ფართო პირს, მეორე მხარე კი —დაწოლითვე ჩაკეცილია და მიღებულია ღილისებური ქუსლიანი ძირი, რომელიც ცენტრშია შეზნექილი და კოპით თავდება (ტაბ. IX, 8).

ჭურჭელი ძალიან დაუდევრად არის გამობერილი. მინა უხარისხოა, შეიცავს უამრავ სხვადასხვა ფორმის ბუშტებს. აღდგენილია — ნაწილები აკლია.

სიმაღლე — 31,1 სმ, პირის დმ — 5,8 სმ, ძირის დმ — 3,1 სმ.

ეს ფორმაც ჩვენთვის, ჯერჯერობით, უნიკალურია. ის არა ჩანს არც სომხეთსა და აზერბაიჯანში. ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალაში კი მივაგენით ორ მსგავს ჭურჭელს: სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინის ფიალა, რომელსაც ცოტა განსხვავებული ფორმა აქვს — ყელი ოდნავ შევიწროვებულია, შემდეგ ფართოვდება და ძირისკენ დაქანებული გვერდებით თავდება. პირი და ძირი—კი—ზუსტად ჩვენი ჭურჭლის მსგავსია[34]. ის აღმოჩნდა პანტიკაპეიონში № 278 (155) სამარხში, რომელიც თარიღდება ახ. წ. I საუკუნის შუა ხანით — მესამე მეოთხედით[35].

ურბნულთან უფრო ახლოს დგას მეორე ჭურჭელი კეპის სამაროვნიდან. ისიც გამობერილია მოცისფრო მინისაგან და ზომებითაც უფრო უახლოვდება ჩვენ ჭურჭელს. მისი თარიღიც ახ. წ. I საუკუნის შუა ხანა — მესამე მეოთხედია[36].

ამ ფიალებს ახლო ანალოგიები ეძებნებათ, დაახლოებით ამავე ხანის ხმელთაშუაზღვისპირა, იტალიურსა და დასავლეთ რომაულ მასალებში[37]. და სწორედ, როგორც ნ. სოროკინა წერს, დასავლეთ რომაული ანალოგიები გვაძლევენ

---

[34] ინვ. № 1903 157. ამ ჭურჭლის მინაც უხარისხოა. ოდნავ ირიზებული. კარგად არის დაცული. დეფორმირებულია — ცალ მხარეს შეუმჩნეველად არის გადახრილი.

[35] Н. З. Кунина и Н. П. Сорокина, указ. соч., с. 150—153, 156. рис. 3—9.

[36] ის დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, სამარხი, № 245, 1963. იხ. Н. З. Кунина и Н. П. Сорокина, указ. соч., рис. 7—9; Н. П. Сорокина. Античные стеклянные сосуды из раскопок некрополя Боспорского города Кепы на таманском полуострове, Античный мир и археология, Саратов, 1977, вып. 3, с. 141—142, рис. 7,3.

[37] E. Zahn. Sammlung Baurat Schiller. Berlin. taf. 10. s. 85; C. Jsings. Roman Glass from dated Finds. Groningen-Jacarta, 1957, p. 57, form 41 b; P. Boume, Glas der antiken. Welt I. Römish-Germanisches Museum der Stadt Köln and Archaologische Gesellschaft Köln. 1974, taf. 49. G. Simonett. Tessiner Gräberfelder. Pasel-verlag birknäaser CIE. 1941. Cadra. Grab. 28. 6 Abl. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველს იმისათვის, რომ შესაძლებლად მივიჩნიოთ ფიალების იტალიური წარმოშობა[38].

ურბნული ჭურჭლის დახასიათებისას ჩვენ მოვიხსენიეთ ფიალა-სამარილე. მაგრამ ის, ალბათ, არც ფიალად გამოდგებოდა და არც სამარილედ სწორედ ძლიერ გადაშლილი პირის გამო. უფრო, საფიქრებელია, რომ ისიც ნელსაცხებლისათვის იყო განკუთვნილი. ფიალების დანიშნულების გარკვევაში გვეხმარება კეპის სამაროვნიდან მომდინარე ანალოგიური ჭურჭლის აღმოჩენის ვითარება: როგორც ნ. სოროკინა წერს, ის იდო ხის ლანგარზე მინის სანელსაცხებლეებთან, ვარდისფერ საღებავთან და ქალის ტუალეტის სხვა ნივთებთან ერთად[39]. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად, მას მოაქვს ფორფუცის ახ. წ. I საუკუნის ტუალეტის მინის ჭურჭლის ჯგუფი, რომელიც შეიცავს კეპის სამაროვნის ანალოგიურ ფიალებს[40].

ამგვარად, ზემოთ აღწერილი ურბნული ფიალაც ქალის ტუალეტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მომდევნო ოთხი ჭურჭელი მინიატურული სანელსაცხებლეა — ე. წ. „საცრემლეები" (ტაბ. XI, 4-7).

1 (ინვ. № 1-64-5048) მილურჯო გამჭვირვალე მინისაა, სწორი, შიგნით ჩაკეცილი პირით; მაღალი, ვიწრო, ცილინდრული ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის თანაზომიერად გამობერილ ტანში; ძირმომრგვალებული.

კარგად არის დაცული; მსუბუქად ირიზებული.

სიმაღლე — 3,9 სმ, პირის დმ — 1,1 სმ.

2. (ინვ. № 1-64:5051) მოთეთრო-მომწვანო გამჭვირვალე მინისაა, სწორი, შიგნით ჩაკეცილი პირით; მაღალი, ვიწრო ცილინდრული ყელით, თანაზომიერად გამობერილი ტანით, ძირმომრგვალებული. როგორც ვხედავთ, ის ზემოთ აღწერილი სანელსაცხებლის მსგავსია, მაგრამ მისი ძირი სქელია და უფრო გამოკვეთილი.

სიმაღლე — 4,2 სმ, პირის დმ — 1,1 სმ.

3. (ინვ. № 1-64 5049) მომწვანო გამჭვირვალე მინისაა, სწორპირიანი (პირი დაუდევრად არის გაკეთებული — მისი ნაწილი ჩაკეცილია და განზე გაწეული), მაღალი, ვიწრო ცილინდრული ყელით, მხრებდაქანებული ტანითა და ფართო, ბრტყელი ძირით.

კარგად არის დაცული, ირიზებული.

სიმაღლე — 2,9 სმ, პირის დმ — 1,1 სმ, ძირის დმ — 2 სმ.

4. (ინვ. № 1-64-5050) მოთეთრო (უფერული) გამჭვირვალე მინისაა. სწორი, ოდნავ გადაშლილი პირით (პირი დაუდევრად არის მიმაგრებული); დაბალი, ცილინდრული ყელით, მკვეთრად გამოყოფილი მსხლის ფორმის ტანითა და ბრტყელი ძირით.

კარგად არის დაცული; ოდნავ ირიზებული.

სიმაღლე — 2,5 სმ, პირის დმ — 1,1 სმ, ძირის დმ — 0,8 სმ.;

მინიატურული სანელსაცხებლეები ურბნისში ადრეც არის აღმოჩენილი. XXV უბანზე ასეთი 26 სანელსაცხებლეა გამოვლენილი; აქედან სამი მრგვალ-

---

[38] Н. П. Сорокина. Античные стеклянные сосуды из раскопок некрополя Кепы. с. 142.

[39] Там же.

[40] J. Philippe. Initiation à l'Histoire du Verre. Liège, 1964, p. 24, fig. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირიანია, დანარჩენი კი — ბრტყელძირიანი[41]. მინიატურული სანელსაცხებ-ლეები, გარდა სამაროვნისა, ურბნისში გვხვდება ნაქალაქარზეც[42]. მსგავსი სანელსაცხებლეები აღმოჩენილია, აგრეთვე, მცხეთაში — სამთავროს სამაროვანზე[43] და აკლდამაში[44]. ამ უკანასკნელ წლებში კავთისხევში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ სამი მინიატურული სანელსაცხებლე შეგვმატა[45].

კავკასიაში ჩვენთვის საინტერესო სანელსაცხებლეები საქართველოს გარდა ჯერჯერობით არსადა ჩანს. ჩრდილოშავიზღვისპირეთში კი სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი. მათგან ორი სანელსაცხებლე უკვე ზემოთ იყო ნახსენები თითისტარის ფორმის ჭურჭლის დახასიათებისას. სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული მინიატურული სანელსაცხებლე (ინვ. № П. 1905. 27), რომელიც ნაპოვნია 1905 წ. № 24 სამარხში, თარიღდება ახ. წ. I ს. პირველი ნახევრით. მასთან აღმოჩნდა მინის სამი ჭურჭელი, წითელლაკიანი დოქი და ოქროს ბეჭედი, რომელნიც საკმაოდ ზუსტად ათარიღებენ სამარხს ახ. წ. I ს. ერთ-ერთი მინის ჭურჭელი (П. 1905. 25) ძირწვეტიანია, მაგრამ სხვა ფორმა აქვს და ამიტომ არ მოხვდა ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ თითისტარის ფორმის ჭურჭელთა შორის, თუმცა შეიძლება ამავე ტიპს ეკუთვნოდეს. წითელლაკიან ფინჯანთან ერთად არის აღმოჩენილი შემდეგი მინიატურული სანელსაცხებლეც (ინვ. № П. 1902. 124). სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული დანარჩენი სამი სანელსაცხებლიდან ერთი ლურჯი გაუმჭვირვალე მინისაა (ინვ. № П. 1902. 115), ორი კი — მომწვანო გაუმჭვირვალე მინისა (ინვ. № № П 1967. 30—31).

მინიატურული სანელსაცხებლეები გამობერილია სხვადასხვა ფერის მინისაგან—ჭარბობს მოლურჯო, მოცისფრო; მას მოსდევს მომწვანო, გვხვდება ბაცი ოისფერი, მოთეთრო-მოყვითალო და უფერული (მოთეთრო) მინაც. მინა, ძირითადად, გამჭვირვალეა, გვხვდება გაუმჭვირვალეც. მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი, შიგნით ჩაკეცილი პირი (ხშირად უთანაბროდ), ძირითადად, მაღალი, ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი ყელი (გვხვდება სანელსაცხებლეები დაბალი ყელითაც), რომელიც გადადის ძირისკენ გაფართოებულ ტანში. სანელსაცხებლეები ბრტყელძირიანია, იშვიათად ძირმომრგვალებული. მათი სიმაღლეა — 2,3 სმ-დან — 4,1 სმ-მდე.

ურბნისის გვიანანტიკური **ხანის** სამაროვანზე მინიატურული სანელსაცხებლები აქამდე დადასტურებული იყო ექვს სამარხში: №№ 230 (13 ცალი), 110 (9 ც.), 172 (2 ც.) № 105, 193 და 257 სამარხებში — თითო ცალი. ახლა მათ დაემატათ კიდევ ოთხი ახლადაღმოჩენილი კომპლექსიდან. მაშ, სულ 29 ცალი. ასე მრავლად ის იშვიათად გვხვდება სხვა პუნქტებში[46].

ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსებიდან ყველა ადრეულია: № 230 სამარხი,

---

41 იხ. მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის ჭურჭელი, გვ. 20, სურ. 5 № 17—44.

42 ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 51, სურ. 27—2,3.

43 ნ. უგრელიძე. მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, ტაბ. 11.

44 გ. ლომთათიძე, ი. ციციშვილი, ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, ტ. XII, თბ., 1951, № 10, გვ. 645.

45 იხ. გ. ჯინჯიხაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII, 6—7, ტაბ. XIX, 3.

46 საკმაო რაოდენობით შევხვდით მათ, აგრეთვე, Simonett-თან. იხ. T. Simonett Cadra: Grab. 4, Abl. 116, p. 132, Grab. 5, p. 137, Abl. 119, Liverpool. Grab. 12, Abl. 62, p. 80, Grab. 33, Abl. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, საკმაოდ კარგად თარიღდება ახ. წ. I საუკ. მეორე ნახევრით (იხ. ზემოთ), რაც შეეხება დანარჩენ კომპლექსებს, გამთხრელი დ. ქორიძე მათ ახ. წ. I ს. ათარიღებს[47].

ჩვენთვის ცნობილ ყველა პუბლიკაციაში მინიატურული სანელსაცხებლეების თარიღად მოცემულია ახ. წ. I საუკუნე[48]. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პომპეის გათხრების დროსაც არის ნაპოვნი მსგავსი სანელსაცხებლე[49], რაც უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ მინიატურული სანელსაცხებლე არსებობდა ქ. პომპეის დაღუპვამდე, ე. ი. 79 წლამდე. ამგვარად, ეს აღმოჩენა მინიატურული სანელსაცხებლეებისათვის გვაძლევს საკმაოდ ზუსტ თარიღს.

რაც შეეხება წარმომავლობას, ჩვენ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ზოგიერთის ვარაუდი, რომ სანელსაცხებლეები ჩრდილო იტალიიდან უნდა მომდინარეობდნენ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

შემდეგი შვიდი ჭურჭელი კოლბისებური სანელსაცხებლეა. კოლბისებური სანელსაცხებლეები თავისუფლად ნაბერი მინის ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონიც აქვს — ისინი დამახასიათებელია ახ. წ. I—VIII სს-თვის. ცალკეული ქრონოლოგიური ჯგუფები — I—III, IV—V და VI—VIII სს. — ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება როგორც ფორმით, ასევე მინის ფერითა და ხარისხით.

I ქრონოლოგიური ჯგუფი, რომელშიც ეთიანდება ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე მოპოვებული ყველა კოლბისებური სანელსაცხებლე, ფორმათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სწორედ ამიტომაა, რომ I—III სს კოლბისებური სანელსაცხებლეები, თავის მხრივ, კიდევ იყოფა სხვადასხვა ქვეტიპებად, სახეობებად და ქვესახეობებად.[50]. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსიც გვაძლევს კოლბისებური სანელსაცხებლების რამდენიმე სახეობას. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე (ტაბ. VII 10-15).

I. სფერულტანიანი ჭურჭელი.

1 (ინვ. № 1-64:5052) მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა; გადაშლილი შიგნით უსწოროდ ჩაკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით; დაბალი, სფერული ტანით, რომელიც ბრტყელ ძირში გადადის (ტაბ. XII, 11)

მინა უხარისხოა — დაფარულია უამრავი სხვადასხვა ზომის ბუშტებით; ირიზებულია. ყელ-პირის ნაწილი ჩამომტვრეულია; ჭურჭელი თხელკედლიანია და ამიტომ მსუბუქიც.

სიმაღლე — 10,8 სმ, პირის დმ — 2,9 სმ, ძირის დმ — 3,3 სმ.

---

47 დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი. ამავე ხანისაა მათში აღმოჩენილი მინის ჭურჭელიც. იხ. მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ურბნისის მინის ჭურჭელი, №№ 45, 46, 49—51; 114, 116.

48 იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 51, სურ. 27—2,3; ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. 11; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., რომი, გვ. 645, Ch. W. Clairmont. The Glass Vessels. The excavations at Dura-Europos, final report. V. 1963, p. 29—3; F. Fremersdorf. Römisches Buntglas in Köln, B. III. Köln, 1955. taf. 55—56; D. B. Harden. Ancient Glass, Antiquity, vol. VII, 1933, p. 424.

49 F. Jashemski. The flover induastry at Pompeii, Archaeology, 1963, v. 16, № 2, p. 120, puc. 15.

50 იხ. მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის მინის ჭურჭელი, გვ. 20—33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 (ინვ. № 1-64:5053) მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, ოდნავ გადაშლილი, უსწოროდ ჩაკეცილი პირით; მაღალი ცილინდრული ყელით, რომელიც გადადის სფერულ ტანში და თავდება ოდნავ შეზნექილი ბრტყელი ძირით (ტაბ. XII, 10).

თხელკედლიანია, მინა უხარისხო — დაფარულია უამრავი სხვადასხვა ზომის ბუშტებით და შეიცავს შავი ფერის მინარევებს; მსუბუქად ირიზებული (ის ზემოთ აღწერილი ჭურჭლის მსგავსია).

სიმაღლე — 8,2 სმ, პირის დმ — 2,0 სმ, ძირის დმ — 2,9 სმ.

მათთან ახლოს დგას მომდევნო მინის ჭურჭელიც და ამიტომ მათთანვე განვიხილავთ. ის (ინვ. 1-64:5054) მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა; გადაშლილი, უსწოროდ ჩაკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც ფართოვდება და გადადის მხრებდაქანებულ თანაზომიერად გამობერილი ნახევარსფეროს ფორმის ტანში, ფართო, ბრტყელი, ცენტრში ოდნავ შეზნექილი ძირით.

თხელკედლიანია, მინა, აგრეთვე, უხარისხო — შეიცავს უამრავ ბუშტსა და შავ მინარევს. კარგად არის დაცული.

სიმაღლე — 9,9 სმ, პირის დმ — 2,4 სმ, ძირის დმ — 4,4 სმ.

სფერულტანიანი სანელსაცხებლეები, როგორც ეს მათი შესწავლის შედეგად გაირკვა, ნაკლებად არის გავრცელებული ურბნისში გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე, მათ ვხვდებით კარგად დოკუმენტირებულ ორ კომპლექსში. მათი თარიღია ახ. წ. I საუკუნე[51]. ჩრდილოშავიზღვისპირეთში კი — ისინი სამ სამარხშია დადასტურებული. აქედან ერთი —პანტიკაპეიონის სამაროვნიდან მოდინარეობს, მეორე — კეპიდან და მესამე გორგიპიიდან. სამივე დათარიღებულია ახ. წ. I საუკუნის შუა ხანიდან ვიდრე მესამე მეოთხედამდე[52]. ურბნული სფერულტანიანი ჭურჭელიც, ბუნებრივია, შეიძლება დათარიღდეს ახ. წ. I ს მეორე ნახევრით.

სფერულტანიანი სანელსაცხებლეების წარმომავლობა კი ჯერჯერობით გაურკვეველია.

II. კონუსურტანიანი კოლბისებური სანელსაცხებლები.

შემთხვევით აღმოჩენილ კომპლექსში კონუსურტანიანი სულ ორი სანელსაცხებლეა აღმოჩენილი: აქედან ერთი (ინვ. № 1-64:5057) მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისაა, უსწორო, შიგნით ჩაკეცილი ღილის ფორმის პირით; ცილინდრული მაღალი ყელით, კონუსური ტანითა და ფართო, ბრტყელი კიდევ უფრო სქელი ძირით (ტაბ. XII, 13).

ყელი ტანისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი ვიწრო ამოკაწრული ღარებით. მინა მდარე ხარისხისაა — შეიცავს ბუშტებს. ჭურჭელი კარგად არის დაცული. არ არის ირიზებული.

სიმაღლე — 11,4 სმ, პირის დმ — 2,9 სმ, ძირის დმ — 4,2 სმ. მეორე (ინვ. № 1-64:5058) მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა. შიგნით ჩაკეცილი დაქანებულგვერდებიანი ქუდისებური პირით; უფრო მაღალი ცილინდრული ყელით,

---

[51] ვ. საგინაშვილი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, № 118—119.

[52] Н. З. Кунина и Н. П. Сорокина. указ. соч., с. 166—168, рис. 3—10, 7, 8; 6, 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონუსურტანიანი. ყელისა და ტანის შეერთების ადგილთან აქაც შეიმჩნევა სამი ვიწრო ღარი. ძირი ფართოა და ბრტყელი (ტაბ. XII, 12).

ჭურჭელი თხელკედლიანი, შესაბამისად მსუბუქი; ძლიერ ირიზებული — დაფარულია ირიზაციის სქელი ფენით. ტანის დიდი ნაწილი დაზიანებულია.

სიმაღლე — 15 სმ, პირის დმ — 3,2 სმ, ძირის დმ — 4,4 სმ.

კონუსურტანიანი ჭურჭელი კოლბისებური სანელსაცხებლეების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მან დიდი ცვლილებები განიცადა არსებობის მთელ მანძილზე. სწორედ ეს ცვლილებები გახდა საფუძველი მასში სხვადასხვა ვარიანტების გამოყოფისა. მის ორ ვარიანტს შევხვდით ურბნისის ახლადაღმოჩენილ კომპლექსში.

კონუსურტანიანი ჭურჭელი მრავლად არის წარმოდგენილი ურბნისის სამაროვანზე[53].

დიდი რაოდენობით არის ისინი აგრეთვე ჩრდილოშავიზღვისპირეთში[54]. მათი გავრცელების თარიღია ახ. წ. I საუკუნე[55]. ადრე ჩვენ მიერ შემოთავაზებული თარიღი ახ. წ. I ს. —პირველ რიგში ემყარებოდა კონუსურტანიანი სანელსაცხებლეების ანალიზს, მათ განხილვასა და შესწავლას ფართო ანალოგიების ფონზე. ამ თარიღს სამარხეული კომპლექსიც ამაგრებდა. ახლა კი შემთხვევით აღმოჩენილი კომპლექსის მაგალითზე, ვფიქრობთ, შეიძლება უფრო კონკრეტული თარიღის მიღება; რადგანაც ყველა დანარჩენი მინის ჭურჭელი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ახ. წ. I ს. მეორე ნახევრისაა, არაფერი გვიშლის ხელს იმაში, რომ კონუსურტანიანი ჭურჭელიც ამავე ხანით დავათარიღოთ.

მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები მომდინარეობენ სირიიდან[56]. ასეთი მოსაზრება გამოვთქვით ჩვენც, შევისწავლეთ რა ურბნისის სამაროვანზე ადრე აღმოჩენილი კონუსურტანიანი ჭურჭელი[57]. ასეთი აზრისა იყო ნ. სოროკინაც, როდესაც გამოაქვეყნა ოდესის მინის ჭურჭელი[58]. შემდეგ კი ნაშრომში, რომელიც ბოსფორის სანელსაცხებლეებს ეხება, ნ. კუნინამ და ნ. სოროკინამ კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები ეგვიპტურ ნაწარმს მიაკუთვნეს. ისინი წერენ, რომ "I A-B (ე. ი. კონუსურტანიანი ჭურჭელი) სრულ ანალოგიას პოულობენ ეგვიპტურ სანელსაცხებლეებში, რაც გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ისინი ეგვიპტელ ხელოსანთა ნაწარმს მივაკუთვნოთ"[59]. აქ მიუთითებენ ნაშრომზე, სადაც მოხვედრილია კაიროს მუზეუმში დაცული ჩალაში გახვეული კოლბისებური სანელსაცხებლე, რაც სრულიად ბუნებრივია, მიუთითებს იმაზე, რომ ჭურჭელი გამზადებული იყო გასა-

---

[53] მ. საგინაშვილი, ურბნისის მინის ჭურჭელი, № 59—86.

[54] Н. З. Кунина и Н. П. Сорокина, указ. соч., рис. I, Тип. I, A—B. с. 148—157,

[55] Там же, с. 156, იხ. მ. საგინაშვილი, ურბნისის მინის ჭურჭელი, გვ. 24, სურ. 7—8, № 61—78.

[56] C. Jsings, op. sit., p. 42, fig. 28 B. Journées Internationales du verre, verres Romains (I-er—III me siècle) des Musées Curtius et du verre à Liège, 1961, pl. 5. 25, p. 28; G. A. Eisen. Glass, pl. 89, p. 292.

[57] მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის ჭურჭელი, № 61—78.

[58] Н. П. Сорокина. Сирийский стеклянный сосуд из собрания Одесского Гос. Арх. Музея. Краткие сообщения, Одесса, 1965, с. 186, рис. 2; 7, 10.

[59] Н. З. Кунина и Н. П. Сорокина, указ. соч., с. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანად ის ექსპორტის საგანს წარმოადგენდა[60]. ნ. კუნინა და ნ. სოროკინა ზემოთ მოტანილი დასკვნის გამოტანისას ეყარებიან, აგრეთვე, ჰარდენს, რომელმაც შეისწავლა ეგვიპტური მინა, კერძოდ, სანელსაცხებლეები. მან გამოჰყო ექვსი ტიპი, რომელთაგან A და B ზუსტად შეესატყვისება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ კონუსურტანიან ჭურჭელს[61]. მისი აზრით, ეს სანელსაცხებლეები ნელსაცხებელთან ერთად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში ეგვიპტიდან შედიოდა[62]. უფრო მოგვიანებით კი ნ. სოროკინა ნაშრომში, რომელშიც განიხილავს ოდესის არქეოლოგიური მუზეუმის ანტიკურ მინას, კიდევ უფრო აზუსტებს კონუსურტანიანი სანელსაცხებლეების წარმომავლობის საკითხს — ის აქ ალექსანდრიულ ნაწარმად მიიჩნევს მათ[63].

როგორც დავინახეთ, ზემოთ მოტანილი ანალოგიები ხაზს უსვამენ კონუსურტანიანი ჭურჭლის აღმოსავლურ წარმოშობას; სრულიად აშკარაა, რომ ისინი ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებიდან მომდინარეობენ და ჩვენშიც, ეფიქრობთ, ამ ქვეყნებიდან, კერძოდ, სირიიდან შემოჰქონდათ.

სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა არქეოლოგმა რ. რამიშვილმა ერწოს ველზე აღმოჩენილი მინის ჭურჭლის შესწავლის საფუძველზე. მისი აზრით, „მაღალყელიანი კონუსურტანიანი ჭურჭელი სხვა ტიპის ნაწარმთან ერთად გვიანანტიკურ ხანაში სწორედ ურბნისში მზადდებოდა. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ერწოს სამარხში აღმოჩენილი მაღალყელიანი კონუსურტანიანი ჭურჭელიც ურბნისიდან მომდინარეობდეს“[64].

ურბნისში რომ მინის ჭურჭლის გამობერვა იცოდნენ გვიანანტიკურ ხანაში, ამაზე ჩვენ ადრე გვქონდა საუბარი, როცა ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი შევისწავლეთ[65]; კოლბისებური სანელსაცხებლეების გარკვეული ფორმები ურბნულ ფორმებადაც გვაქვს მიჩნეული[66]. მაგრამ კონუსურტანიან ჭურჭელს, რომელსაც ასე მრავლად მოეძებნა ზუსტი ანალოგიები როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ჩვენ ვერ მივიჩნევთ ურბნულ ნაწარმად. სხვას რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ კაიროს მუზეუმში დაცულ სანელსაცხებლეს, რომელზედაც ზემოთ უკვე ითქვა?

რაც შეეხება კონუსურტანიანი ჭურჭლის დათარიღებას, ესეც „სათუოდ“ მიაჩნია რ. რამიშვილს და შემდეგ მოსაზრებას გვთავაზობს: „ერწოს მასალების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ ყელმაღალი, კონუსურტანიანი ჭურჭლები (ერწოს ველზე ერთია ნაპოვნი, მ. ს.) პირველი საუკუნის შემდგომაც აგრძელებს არსებობას“[67]. ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარს იმაში, რომ კონუსურტანიანი ჭურჭელი რამდენიმე საუკუნის (ახ. წ. III ს.) მანძილზე

---

[60] M. C. C. Edgar. Graeco-Egyptian Glass, Le Caire. 1905, pl. VIII. № 32640, 32643, 32647.

[61] D. B. Harden. Roman Glass from Karanis, Ann Arbor, Michigan, 1936, p. 265.

[62] იქვე.

[63] Н. П. Сорокина. Античное стекло в собрании одесского археологического музея, Археологические исследования северо-западного причерноморья, Киев, 1978, с. 274.

[64] რ. რამიშვილი. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979, გვ. 69.

[65] იხ. მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის ჭურჭელი. გვ. 45—47.

[66] იქვე. გვ. 45. №№ 114—116; 144—146; 148—149; 157.

[67] რ. რამიშვილი. ერწოს ველი, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს, თუმცა არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ თითო ეგზემპლარის სახით სამარხეულ ინვენტარში ისინი შეიძლება შემორჩეს შემდგომაც.

III. და ბოლოს გადავდივართ ორი უკანასკნელი ჭურჭლის დახასიათებაზე; ისინიც კოლბისებური სანელსაცხებლეებია, მაგრამ საკმაოდ განსხვავებული.

1. ის (ინვ. № 1 — 64:5055) მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა; ჩაკეცილი, ღილის ფორმის ბრტყელი პირით; მაღალი ცილინდრული ყელით, რომელიც ტანთან შეერთებისას ვიწროვდება; მხრებიანი მსხლის ფორმის ტანითა და ბრტყელი ძირით, რომელიც კიდევ უფრო სქელია და მძიმე; ძირი გაუშლიფავია — მასზე შერჩენილია ჩასაბერი მილის კვალი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მილის დიამეტრის განსაზღვრა (ტაბ. XII, 15).

ჭურჭელი სქელკედლიანია; მინა უხარისხო — დაფარულია უამრავი ბუშტებით; ირიზებულია. დეფორმირებული — ცალ მხარეს არის გადახრილი.

სიმაღლე — 1 2,2 სმ; პირის დმ — 3,6 სმ, ძირის დმ — 2,3 სმ (ყელისა და ტანის სიმაღლე, თითქმის ტოლია — 5,7×5,8).

2. ის (ინვ. № 1-64:5056) მომწვანო გამჭვირვალე მინისაა; ჩაკეცილი, ღილის ფორმის ბრტყელი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც ტანთან შეერთებისას ვიწროვდება, მსხლის ფორმის მხრებიანი ტანითა და ბრტყელი ძირით, ძირი გაუშლიფავია. ყელისა და ტანის შეერთების ადგილთან ამოკაწრულია ოდნავ შესამჩნევი კონცენტრული ზოლები.

ჭურჭელი სქელკედლიანია; მინა მდარე ხარისხისაა — შეიცავს უამრავ ბუშტებს, ირიზებულია (პირის ნაწილი ჩამომტვრეულია).

სიმაღლე — 13,3 სმ, პირის დმ — 3,5 სმ (ტაბ. XII, 14).

მსგავსი ჭურჭელი ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე ადრეც შეგვხვდა[68]. ამ ფორმამ ყურადღება მიიქცია იმით, რომ ჩვენ მ̄ერ გამოყოფილი მსხლის ფორმის ჭურჭლისაგან, რომელსაც ის მივაკუთვნეთ, განსხვავდება ერთი საინტერესო დეტალით: ტანზე ყელთან შეერთების ადგილთან გამოკვეთილი მხრები აქვს[69]. მას ანალოგია მოეძებნა მხოლოდ და მხოლოდ კავკასიაში — სომხეთსა[70] და აზერბაიჯანში[71].

ჩვენ იმთავითვე ცალკე გამოვყავით მინის ჭურჭლის ეს ჯგუფი და გამოვთქვით მოსაზრება, რომ კოლბისებური სანელსაცხებლეების ეს სახეობა კავკასიურია — ადგილობრივი ნაწარმია[72]. რაც შეეხება თარიღს, მათ შემცველ კომლექსებზე დაყრდნობით, დავადგინეთ, რომ ისინი არსებობდნენ როგორც ახ. წ. I საუკუნეში, ასევე II ს-ში[73]. ამიტომ, ზოგადად, I—II სს. დავათარიღეთ. ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ და I—II ს. ათარიღებენ მათ, ავრეთვე, სომხეთსა[74] და აზერბაიჯანშიც[75].

---

[68] იხ. მ. საგინაშვილი, ურბნისის მინის ჭურჭელი. № 100—101; № 143—146.

[69] იქვე, გვ. 26; სურ. 11.

[70] Б. Н. Аракелян. Гарни I, рис. 45, табл. 24, Гарни II, рис. 31, табл. XIII.

[71] С. М. Казиев. Альбом кувшинных погребений. Баку, 1960, с. 25, табл. XXXIV.

[72] მ. საგინაშვილი, ურბნისის მინის ჭურჭელი, გვ. 26, სურ. 11.

[73] იქვე. №№ 100—101, 105, 107—108, ყველა ეს სამარხი თარიღდება ახ. წ. I ს. I—II სს. თარიღდებიან №№ 136—139 და 143—146 სანელსაცხებლეები.

[74] Б. Н. Аракелян. Гарни I рис. 45, табл. 24; Гарни III, рис. 31, табл. XIII.

[75] С. М. Казиев. Альбом кувшинных погребений, с. 25, табл. XXXIV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭლის შესწავლა კი გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული ჭურჭელი კიდევ უფრო კონკრეტულად დავთარიღოთ: რადგანაც ისინი აღმოჩნდნენ ზემოთ აღწერილ I ს. მეორე ნახევრით დათარიღებულ ჭურჭელთან ერთად, სრულიად გამართლებულია მათი ამავე ხანით დათარიღება.

ამ უკანასკნელ ორ სანელსაცხებლესთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საინტერესო დეტალზე: სანელსაცხებლეების აღწერილობისას აღვნიშნეთ, რომ მათ ძირზე შერჩენილი აქვთ ჩასაბერი მილის კვალი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მილის დიამეტრზე.

ჩასაბერი მილის კვალი შეინიშნება ურბნისის სამაროვანზე ადრე აღმოჩენილ I-II სს. რამდენიმე ჭურჭელზეც, რასაც თავიდანვე მივაქციეთ ყურადღება და ყველგან აღნიშნული გვაქვს. მისი დიამეტრია 1,6 სმ-დან — 2 სმ-მდე[76].

მინის მკვლევართაგან მხოლოდ რამდენიმე ეხება ამ საკითხს. მათ შორის დავიდსონ-ვაინბერგი[77], ე. შპარტცი[78] და ნ. სოროკინა. ნ. სოროკინას აზრით, ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას, რათა მისმა ანალიზმა მოგვცეს საინტერესო შედეგები მინის საწარმოების ლოკალური თავისებურებების დასადგენად და მთლიანად, ანტიკური ხანის მინის წარმოების ტექნიკის ევოლუციისათვის[79].

როგორც დავინახეთ, ურბნისში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის თხუთმეტივე მინის ჭურჭელი ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით თარიღდება. რაც შეეხება სხვა ინვენტარს, ჩვენ აქ მათი განხილვის საშუალება არა გვაქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამარხის დასათარიღებლად მათ ვერც გამოვიყენებთ: ბრინჯაოს ნივთები და სხვადასხვა სახის მძივები, რომლებიც აქ აღმოჩნდა, ზოგადად, I—II სს. არის დამახასიათებელი. სამარხის დათარიღება უფრო ზუსტად ხერხდება მხოლოდ მინის ჭურჭლის საშუალებით ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით.

ამგვარად, შევისწავლეთ რა ურბნისში შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი, კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება უფრო დაბეჯითებით გაგვემეორებინა ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ურბნისში მინის ადგილობრივი წარმოება გვიანანტიკური ხანის პირველ საუკუნეებშივე უნდა ყოფილიყო. ზემოთ განხილულ იმპორტულ ჭურჭელთან ერთად ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული მინის ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მინის ჭურჭლის წარმოება შეგვიძლია ვივარაუდოთ ახ. წ. I ს. მეორე ნახევრიდან.

---

[76] მ. საგინაშვილი, ურბნისის მინის ჭურჭელი №№ 137, 143—146.

[77] G. M. Davidson. Evidence for Glass manufacture in Ancient Thessaly. A. J. A, vol. 66, № 2, 1962, p. 130.

[78] E. Spartz. Artike Gläser, Sttaatliche Kunstsammlung. Kassel, 1967, s. 5.

[79]. Н. П. Сорокина. Античные стеклянные сосуды..., с. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. И. САГИНАШВИЛИ

СЛУЧАЙНО НАЙДЕННЫЕ СТЕКЛЯННЫЕ СОСУДЫ ИЗ УРБНИСИ

(Табл. XI—XII)

Резюме

В 1972 году на территории Урбнисского городища случайно был обнаружен погребальный комплекс, который относится к могильнику позднеантичного периода. Как известно, этот могильник (XXV участок) раскапывался в 1956—1962 гг. в северо-восточной части городища.

Погребение привлекает внимание количеством сосудов и многообразием их форм. Настоящая публикация ставит своей целью ввести в научный обиход эту интересную коллекцию.

Погребальный комплекс содержит многочисленный инвентарь — разнообразные бронзовые украшения, бусы, железные кольца и что особенно интересно, пятнадцать стеклянных сосудов. Среди этих сосудов только один выдут в форме (амфориск светло-фиолетового стекла), остальные свободнодутые.

В настоящей работе дается подробное описание сосудов, датировка и по возможности определено их происхождение. При этом учитывались как местные, так и, в основном, иноземные сравнительные материалы; при датировке, кроме аналогий принимались во внимание качество стекла и формы сосудов.

Случайно найденные стеклянные сосуды датируются второй половиной I в н. э. на основании чего само погребение тоже можно датировать этим же периодом. Значительная часть этих сосудов (тринадцать) импортирована. Нам удалось выделить два сосуда местного изготовления (грушевидные бальзамарии с плечиками), что указывает на то, что в Грузии выдували стеклянные сосуды со второй половины I в н. э.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ციხკარიშვილი

ორი უცნობი წარწერა

წინამდებარე სტატიაში პირველად ქვეყნდება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული ორი უცნობი ქართული წარწერა.

1. ესტატეს ხატის წარწერა

წარწერა მოთავსებულია ვერცხლის თხელ ფირფიტაზე (19×9 სმ), რომელიც წარმოადგენს ჯვრის ქვედა მკლავს[1]. როგორც ჩანს, ფირფიტა დაკრული ყოფილა ხეზე, რასაც მისი შემოკეცილი ნაპირები და მასზე გაკეთებული სალურსმე ხვრელები მოწმობენ.

ფირფიტაზე მოთავსებულია მამაკაცის რელიეფური გამოსახულება მთელი ტანით. ზემოთ აწეულ მარჯვენა ხელში უჭირავს ჯვარი: ხოლო მკერდზე მიდებულ მარცხენა ხელში — შუბი. მარცხენა მხარზე დადგმული აქვს ისეთივე ჯვარი, როგორიც მარჯვენა ხელში უჭირავს. ფიგურის ორივე მხარეს მოთავსებულია პუნქტირით გამოყვანილი თითო ფარი. ფიგურის ბოლოში დატოვებულ არეზე მოთავსებულია ექვსსტრიქონიანი ნუსხური წარწერა. წარწერაში ერთხელ გვხვდება მეტობა („შავილთა") შეუმოკლებლად დაწერილ ორ სიტყვას (II და IV სტრ. პირველი სიტყვები) ქარაგმის ნიშნები აქვს გაკეთებული, რაც არც თუ იშვიათად გვხვდება წარწერებში. განკვეთილობის ნიშნები არ ეტყობა.

წარწერა ასე იკითხება:

ჩ ᲬᲜᲘ ᲔᲨᲔᲢᲔᲠᲐ ᲨᲔ ᲨᲘᲜ
ᲧᲨ-ᲓᲘᲜᲔᲨᲨ ᲧᲨᲜᲘᲨᲘᲜ ᲡᲨᲜᲘ
ᲨᲐᲨ ᲘᲐᲩᲘᲐ ᲥᲘᲥᲘᲔᲨᲐᲨ ᲨᲔ
ᲜᲨᲔ-ᲜᲘᲥᲘᲨᲘᲨ Ჩ-ᲩᲘᲨ ᲨᲜᲘ
ᲨᲔ ᲧᲨᲘᲜᲔᲨᲨ Შ-ᲜᲘᲜ ᲥᲘᲥᲘᲨᲥ
ᲜᲐᲨ

წ ესე ხატი ესტატემ და მის
შავილთა შაჭედეს პაპი
ტამა იო (ა) ნემ ბეჟიტამა და
სახლეულთა ჩ(ვე) ნთა მლე
და შვილთა თეს ბურდუ
ლმა

[1] ხატის მუზეუმში მოხვედრის ვითარება არაა ცნობილი (იხ. მიმდინარე ფონდის საინვენტარო დავთარი. 263, № $\frac{5-68}{2}$).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1.

სურ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვნახეთ წარწერის ასოთა ორი ჯგუფიᲨᲬᲢ და ᲩᲢᲚ ვერ გავშიფრეთ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ასო კარგად ჩანს და სათუო არაფერია.

ჭირს წარწერის დათარიღება, რადგან არ ვიცით ვინ არის მასში მოხსენიებული პირები, ვიცით მხოლოდ, რომ ბურდულები მთიულები არიან. პალეოგრაფიულადაც არაფერია საყურადღებო წარწერის დასათარიღებლად. წარწერაში არსებული ა მეტობა და ფირფიტაზე მოთავსებული ფიგურის მდარე ხელობა გვაფიქრებინებს, რომ გვიანი ფეოდალური ხანის ძეგლთან უნდა გვქონდეს საქმე.

2. თეიმურაზ II-ის ხატის წარწერა

პატარა ზომის (9, 5, X 7, 5 სმ) მოოქროვული ვერცხლის ხატი ჩასმულია ოქროს საღებავით შეფერილ თაბაშირის ჩარჩოში[2]. ხატზე გამოსახულია ღვთისმშობელი და მის წინ მასზე პატარა ზომის ჯვარცმული ქრისტე. ღვთისმშობლის თავის მარცხნივ აწერია ᲓᲔᲓᲨ (დედა), ხოლო მარჯვნივ ᲘᲗᲜᲨ (ღმრთისა), ხატის ჩარჩოს ბოლოში დატოვებული არე შევსებულია ექვსსტრიქონიანი მხედრული წარწერით. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ჩარჩო ხატის თანადროული არაა, გაკეთებულია გვიან, — წარწერის მოსათავსებლად, რადგან ხატზე არ იყო საამისო ადგილი.

წარწერა ასე იკითხება:

ხატი ესე ეკუთვნოდა თეიმ
ურაზს და ოდეს იგი 1760 წელსა
განვიდა რუსეთად მან ხატითა
ამით მცხეთის ეკლესიასა შა მიუკუ
რთხა შვილის-შვილსა თჳსსა გიორგი
ს ქართ(ლი)

ეს ხატი ცნობილია ლიტერატურაში. აი რას სწერს ამის შესახებ პ. იოსელიანი: თეიმურაზი რომ რუსეთში მიდიოდა „მა შინ მეფის ძესა გიორგიგს, ვითარცა შვილის შვილსა უბოძა სკიპტრა ქართლის მეფობისა, გარდმოსვა მას თავისი სამეფო ხრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯვარი ძელ-ჭეშმარიტითა შემკული მცხეთის ეკლესიასა შინ, თანდასწრებითა კათალიკოზისა, ეპიკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და კარისკაცთა. აკურთხა იგი ღვთისმშობლის მცირედითა შემკულითა ხატითა (დღეს მე მაქვს ესე) და კურთხევითა სიტყვითა და ცრემლითა“[3].

როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, პ. იოსელიანს ხელთა ჰქონია ჯვარი. საყურადღებოა, რატომ არ იხსენიებს ის ხატის ჩარჩოზე მოთავსებულ წარწერას? იმიტომ ხომ არა, რომ ხატს ჩარჩო და წარწერა არ ჰქონდა მაშინ — ჩარჩო და მასზე მოთავსებული წარწერა პ. იოსელიანის დაკვეთითაა გაკეთებული, რომელმაც გადმოცემით იცოდა ის ამბავი, რომ 1760 წელს რუსეთში მიმავალმა თეიმურაზმა მის ხელთ არსებული ხატით აკურთხა თავისი შვილიშვილი მცხეთის ეკლესიაში ქართლის მეფედ?

---

[2] ხატი 1968 წელს შეუძენია მუზეუმს, ვინმე არჩილ ლუკაშვილისაგან (იხ. მიმდინარე ფონდის საინვენტარო დავთარი, 263, $\frac{4-68}{1}$).

[3] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა 1936, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В. Г. ЦИСКАРИШВИЛИ

ДВЕ НЕИЗВЕСТНЫЕ ГРУЗИНСКИЕ НАДПИСИ

Резюме

В статье публикуются неизвестные доселе грузинские надписи двух экспонатов, хранящихся в фондах Отдела средневековой археологии Государственного Музея Грузии. Одна из них сделана письмом «нусхури» на тонкой серебряной пластине, некогда покрывавшей нижний рукав креста и сообщает, что «образ этот» сделан по заказу Евстафия и его сыновей; вторая надпись сделана письмом «Мхедрули» на гипсовой раме небольшой иконы Богоматери в серебряном окладе и сообщает, что в 1760 году Теймураз II перед отъездом в Россию этим образом благословил своего внука Георгия царем Картли.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ჯალაბაძე

ვერა ბარდაველიძე — მუზეუმის ამაგდარი ეთნოგრაფი

1979 წელს ვერა ბარდაველიძეს 80 წელი უნდა შესრულებოდა. ამ თარიღს მიუძღვნა მუზეუმმა საგანგებო სამეცნიერო სესია (12-V-79), სადაც ქართული საბჭოური ეთნოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელმა აკად. გ. ჩიტაიამ და მისმა მოწაფეებმა (მ. ჩართოლანი, გ. ჯალაბაძე, მ. მაკალათია, კ. ჩოლოყაშვილი, ლ. მოლოდინი, მ. გუგუტიშვილი, მ. ხუციშვილი, გ. გასიტაშვილი) წაიკითხეს მოხსენებები მუზეუმში ვ. ბარდაველიძის მოღვაწეობაზე[1].

ვერა ბარდაველიძე ეკუთვნის ქართული საბჭოური ეთნოგრაფიული მეცნიერების იმ პირველ თაობას, რომელსაც წილად ხვდა ჩვენში ეთნოგრაფიული მეცნიერების ყამირის გატეხვა, ამ მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მეთოდის შექმნა-ჩამოყალიბება.

თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტმა ვ. ბარდაველიძემ 1922 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მუზეუმში მოსვლისთანავე იგი აქტიურად ჩაება განყოფილების საერთო საქმიანობაში. ეს ის დრო იყო, როცა მუზეუმი მწვავედ განიცდიდა კადრების ნაკლებობას, განსაკუთრებით ეთნოგრაფიის დარგში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ წლებში მუზეუმში მიმდინარეობდა ერთგვარი რეორგანიზაცია. ეთნოგრაფიის განყოფილებამ მემკვიდრეობად მიიღო მდიდარი ნივთიერი მასალა. განყოფილება ამ დროისათვის 12 ათას ერთეულ ნივთს მოითვლიდა. არასწორი აღრიცხვის გამო დღის წესრიგში დგებოდა ფონდების წესრიგში მოყვანა და აღრიცხვა, რაც სამუზეუმო საქმის სპეციალისტების მოზიდვას გულისხმობდა. სწორედ ამ დროს, 1922 წლიდან, ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუშაობას იწყებენ გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, ს. იორდანიშვილი, მ. ბარათაშვილი. ვ. ბარდაველიძე ამავე წლიდან ფონდების მოწესრიგებასთან ერთად ახერხებს, მონაწილეობა მიიღოს ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. ექსპედიციები, ან როგორც ადრე უწოდებდნენ, ექსკურსიები, ხშირად კომპლექსური ხასიათისა იყო; ერთად გადიოდნენ ველზე სამუშაოდ ეთნოგრაფები, არქეოლოგები და ხელოვნებისმცოდნეები. 1922—1927 წლებში მრავალი ასეთი კომპლექსური ექსპედიცია განხორციელდა ვ. ბარდაველიძის მონაწილეობით. მისი, როგორც ეთნო-

---

[1] წინამდებარე წერილი წაკითხულ იქნა ვ. ბარდაველიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე. (იხეჭდება შემოკლებით.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფი-მკვლევარის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კარსნისხევის, ზემო ავჭალის და მტკვრის მარჯვენა მხარის ქართლის ექსპედიციებს.

ექსპედიციებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მუზეუმის მოამბის II და III ტომებში გამოქვეყნდა პირველი საბჭოური ეთნოგრაფიული გამოკვლევები: გ. ჩიტაიას „სვანური საკურცხილი" (II ტ.), მისივე „პიტარეთის და გუდარეხის საფლავის ქვები", ს. მაკალათიას „ღვთაება მითრას კულტი საქართველოში" და ვ. ბარდაველიძის „ხის კულტისათვის საქართველოში".

ამ ნაშრომებს ქართული საბჭოური ეთნოგრაფიული მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა.

ვ. ბარდაველიძემ პირველ ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში დაადგინა, რომ საქართველოში ხის კულტს სამი სხვადასხვა საფეხური აქვს გავლილი. პირველი საფეხურია, როცა ხე, ტყე სულიერ არსებად არის წარმოდგენილი, რომელსაც შეუძლია ადამიანს მოუტანოს სიკეთეც და ვნებაც, მეორე საფეხურია, როცა ხე ან ტყე წინაპართა სულის სადგომია, ხოლო მესამე, როცა ხე ან ტყე უზენაესი ღვთაების თავშესაფარია.

ამავე ნაშრომში ვ. ბარდაველიძე ყურადღებას ამახვილებს მუხის ხეზე და რკონის მონასტრის მაგალითის მიხედვით ვარაუდობს, რომ მუხა ადრეული სათაყვანებელი ხე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ცაცხვი. მკვლევარი ანალიზს უკეთებს მუხის, როგორც წმინდა ხის შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალას და აღნიშნავს: „საზოგადოდ მედიდური სილამაზით და ძლიერებით სავსე მუხა ევროპის თითქმის ყველა ხალხებში მიჩნეული იყო წმინდა ხედ და ცის უზენაესი ღმერთის კუთვნილებად" (გვ. 171). საქართველოში არანაკლებ იყო გავრცელებული თაყვანისცემა ცაცხვისა, რომელიც თავისი სილამაზითა და მედიდურობით მუხას არ ჩამოუვარდება. იმერეთში ცაცხვის ხის მოჭრა და ცეცხლში დაწვა დიდ ცოდვად ითვლებოდა. ისეთ სოფლებში, სადაც ეკლესია არ იყო, ზოგჯერ ეკლესიის მაგივრობას ცაცხვის ხე ეწეოდა (გვ. 171).

აღსანიშნავია, რომ 1971-72 წლებში მუზეუმის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციებმა იმერეთის არაერთ სოფელში დაადასტურეს ეს ფაქტი.

ვ. ბარდაველიძის აზრით, ხის თაყვანისცემა საქართველოში წარმოდგენილია თავისი განვითარების მესამე საფეხურზე, როდესაც ხე ან ტყე სადგური იყო ამა თუ იმ ღვთაებისა. ტყის კორომებში და ხეებზე ღვთაებათა დასადგურების რწმენა შედარებით ადვილი მისაკვლევი იყო. ეთნოგრაფიულ ყოფაში ამის შესახებ მასალა მრავლად მოიპოვება. ასეთ კორომებს, ან მუხისა და ცაცხვის ხეებს უკავშირებენ წმინდა გიორგის ან ღვთისმშობლის სახელს. ხის კულტი ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებში საკმაოდ ფეხმოკიდებული ყოფილა, რის გადმონაშთები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში. 1978 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმაში მეხმა მოკლა 13 წლის ბავშვი. დაკრძალვის დღეს დაზარალებული ოჯახის ეზოში მოჭრეს ხე. თუ ამ მოქმედება-რიტუალს ვერა ბარდაველიძის მიერ დადგენილი სტადიებით განვსაზღვრავთ, მაშინ იგი საკმაოდ ძველი იერის მატარებელი ჩანს, თუმცა მას დღეს მხოლოდ ზოგიერთი იცავს. თუ რამ განაპირობა მისი ასე შემონახვა, ეს საკმაოდ რთულ ეთნოგრაფიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის კულტის საკითხს ვ. ბარდაველიძე უფრო მოგვიანებითაც უბრუნდება და ადგენს, რომ საერთოდ საქართველოში ხის კულტის ატრიბუტები თავს იჩენს აგრეთვე როგორც სასოფლო, ისე სათემო ხატ-სალოცავების აღმოცენებასთან დაკავშირებულ ლეგენდებში.

1962 წლიდან ვ. ბარდაველიძე შეუდგა საქართველოს მთის რაიონების რელიგიური საკულტო ძეგლების სისტემატურ შესწავლას. ფშავის ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად კვლავ იმ პოზიციაზე დარჩა, რაც ხის კულტის წარმოშობა-განვითარებასთან დაკავშირებით 1925 წელს გამოთქვა. გარდა ხის კულტისა, ვ. ბარდაველიძის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული შესწავლის ობიექტად იქცა „ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში" (მუზეუმის მოამბე, IV, 1928).

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ბარდაველიძე ამ დროისათვის საკმაოდ მოწიფული მეცნიერი იყო, მუზეუმის დირექციამ გადაწყვიტა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით მისი გაგზავნა ასპირანტურაში ლენინგრადში.

მუზეუმის დირექტორი პროფ. ალ. ჯანელიძე 1928 წ. 2 ივლისს განსახკომის სამეცნიერო და ხელოვნების დაწესებულებათა მთავარ გამგეს წერდა: „რადგან მუზეუმის მუშაკთა მომზადება ჩვენთვის უმწვავეს მოთხოვნილებათა რიცხვს ეკუთვნის, საქართველოს მუზეუმი მოგმართავთ თხოვნით, რათა აღძრათ შუამდგომლობა მუზეუმის თანამშრომლის ვ. ბარდაველიძის მატერიალური კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემიაში მიღების შესახებ, სტიპენდიატად ჩარიცხვით, მუზეუმში საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის დროს ბარდაველიძემ სრული ნდობა დაიმსახურა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მუშაობა შესაფერად ნაყოფიერი იქნება. მას აქვს დაბეჭდილი შრომებიც".

1928 წლის დეკემბერში ვ. ბარდაველიძე ჩაირიცხა ლენინგრადში მატერიალური კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემიის ასპირანტად, სადაც სპეციალდებოდა პროფესორების ნ. მარის, ნ. პლოტნიკოვის და ვ. მილერის ხელმძღვანელობით.

ვ. ბარდაველიძე მუზეუმის პირველი ასპირანტი იყო. ასპირანტურაში სწავლის დროს და არდადეგების პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, კრებდა როგორც ზეპირსიტყვიერ, ისე ნივთიერ მასალებს.

1930 წელს განსახკომის თხოვნით ვ. ბარდაველიძე არდადაგების პერიოდში ორი თვით მიწვეული იყო მეცნიერების სექტორში სამუზეუმო ნაწილის გამგის თანამდებობაზე. ვ. ბარდაველიძის მუშაობა იმდენად საჭირო და აუცილებელი გამოდგა, რომ განსახკომმა მას მუშაობის ვადა კვლავ ორი თვით გაუხანგრძლივა. ამ პერიოდში სამუზეუმო მუშაობის ხაზით ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი და გასაკეთებელი. ამავე წელს იგი აირჩიეს მოსკოვში პირველი სრულიად საკავშირო სამუზეუმო ყრილობის დელეგატად.

ლენინგრადში ასპირატურაში სწავლის პერიოდში ვ. ბარდაველიძე უამრავ საზოგადოებრივ დავალებას ასრულებდა. 1931 წელს ლენინგრადის აკადემიის, „ენიმკისა" და მოსკოვის გაიმკის დავალებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად ახორციელებს ექსპედიციას სვანეთსა და რაჭაში, სადაც კრებს ეთნოგრაფიულ მასალებს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე.

1932 წელს ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით თბილისის „გლეხის სახლში" მოეწყო ანტირელიგიური ხასიათის გამოფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე წელს ვ. ბარდაველიძემ, როგორც მუზეუმის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ლენინგრადში გეოგრაფოსთა I საკავშირო ყრილობის მუშაობაში, სადაც ეთნოგრაფიული სექტორის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება. ამავე წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რელიგიის ისტორიის მუზეუმში გამოვიდა მოხსენებით თემაზე „სვანეთის ანტირელიგიური რუქა", ეს ის ცნობილი რუკაა, შედგენილი ვ. ბარდაველიძის მიერ, რომელიც წარმოდგენილი იყო სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე იმ მასალათა შორის, რაც ასახავდა სვანთა ძველ რწმენა-წარმოდგენებს. რუკაზე სვანეთის სოფლების მიხედვით, მოცემულია წარმართული და ქრისტიანული ხატ-სალოცავები და ეკლესიები, სკოლები, სამკითხველოები, საავადმყოფო-ამბულატორიები და სხვ.

ვ. ბარდაველიძე იყო როგორც თავისი თავისადმი, ისე სხვა მეცნიერთა მიმართ მომთხოვნი, ვერ ითმენდა ზერელობას მეცნიერებაში, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერასა და გამოქვეყნებას. 1939 წელს გამოაქვეყნა „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი (ახალი წლის ციკლი)". ამ წიგნის შესავალში იგი წერს, რომ კალენდრის შესწავლა დაუწყია 1931 წელს. მან ზოგადად დაადგინა სვანეთის წლიური ციკლის მყარ და მოძრავ დღეობათა ნუსხა, მათი სახელწოდებანი, თარიღი და თანმიმდევრობა. 1933 წელს ვ. ბარდაველიძე კვლავ სვანეთშია, ამჯერად იგი დალის სვანეთს სწავლობს. 1934 წელს კი ვ. ბარდაველიძე ქვემო სვანეთში, წინა წელს არსენ ონიანის მიერ მოპოვებულ მასალებს აზუსტებს.

1935 წელს იგი ხელახლა მიდის ზემო სვანეთში და კრებს მასალებს ხალხურ დღეობათა ციკლის შესახებ, 1936 წელს კვლავ ზემო სვანეთშია და აწარმოებს, როგორც ახალი მასალების შეკრებას, ისე წინა წლებში მოპოვებული მასალების შევსებასა და შემოწმებას. სვანურ ხალხურ დღეობათა ახალწლის ციკლი ვ. ბარდაველიძემ ჩაიწერა 30 სოფელში.

სოფ. ცხუმარში ვ. ბარდაველიძემ 1936 წელს ჩაიწერა მასალა „კანდაზე", ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა ბეჩოშიც — 1931 წელს. შეკრებილი მასალა 1936 წელს კვლავ შეუმოწმებია და ცხუმარის ანალოგიურ მასალასთან ერთად ნაშრომში მხოლოდ ფრაგმენტულად შეუტანია.

ვ. ბარლაველიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ველზე მოპოვებულ ენთოგრაფიულ მასალას. მთხრობელთან მუშაობის დროსვე აწარმოებდა მასალის შინაარსის დაზუსტებას, ამიტომ მის მერერ მოპოვებული და გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული მასალების როგორც ისტორიული წყაროს დონეზე თვით ივანე ჯავახიშვილმა მიუთითა. მუზეუმში მუშაობის და ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ვ. ბარდაველიძის მონაწილეობით მოეწყო ორი შესანიშნავი გამოფენა: „ხევსურეთი" 1931 წელს და „სვანეთი", რომელიც გაიხსნა 1933 წელს. გამოფენებზე წარმოდგენილი მასალის მოძიებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის, მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით იკრიბებოდა საგამოფენო თემების შესაბამისი ნივთიერი მასალები ხევსურეთში, სვანეთსა და თუშეთში.

ვ. ბარდაველიძეს, მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლიდან მუზეუმში აღარ მუშაობდა, სიცოცხლის ბოლომდე მასთან კავშირი არ გაუწყვეტია. არ განხორციელებულა არცერთი გამოფენა, რომ მონაწილეობა არ მიეღოს მის მოწყობაში.

იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. ურჩევდა მათ სამუშაო თემებს, უწევდა კონსულტაციებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდი სამუშაო შეასრულა ვ. ბარდაველიძემ სიცოცხლის ბოლო 10 წლის მანძილზე, მოყოლებული 1962 წლიდან მისი ხელმძღვანელობით განახლდა, მის მიერვე 1932 წელს მუზეუმში მუშაობის პერიოდში დაწყებული, საკულტო ძეგლების შესწავლა. თუ 1932-39 წლებში ვ. ბარდაველიძე საკულტო ძეგლებს სპორადულად სწავლობდა (სვანეთი, თუშეთი, ივრის ფშაველები, ხევსურეთი), 1962 წლიდან საკულტო ძეგლების შესწავლამ მიიღო სისტემატური და ფართო მასშტაბები, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი, ოსეთი, ინგუშეთი 6 წლის მანძილზე შემოიარა და აითვისა. აღნიშნულ რეგიონებში მეცნიერულად აღიწერა, აიგეგმა, გადმოიხაზა და ფოტო-ფიქსაცია გაუკეთდა 700-ზე მეტ საკულტო ძეგლს. ცალკეულ კუთხეებში ვ. ბარდაველიძემ გამოყო საერთო საკულტო ხატ-სალოცავები, სადაც თავს იყრიდა მთელი რეგიონი და სათემო და სასოფლო ხატ-სალოცავები.

ვ. ბარდაველიძის მიერ წამოწყებული დიდი სამუშაოს განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მისი მოწაფეები მუზეუმიდან. სამწუხაროა, რომ ამ საქმეს იმ ეტაპზე საქმის გამგრძელებელი აღარ გამოუჩნდა. შეუსწავლელად არის დარჩენილი ბარის რაიონები, სადაც ისევე, როგორც მთაში, ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალა გაქრობის გზაზეა დამდგარი.

ვ. ბარდაველიძემ დიდი მუშაობა გასწია მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მუზეუმი მისთვის იმ კერას წარმოადგენდა, სადაც პირველად ეზიარა ქართულ მეცნიერებას. ამიტომ იყო განუზომელი მისი სიყვარული მუზეუმისადმი. ეთნოგრაფთათვის ვ. ბარდაველიძის მეცნიერული მოღვაწეობა ცხოვრების ყველა ეტაპზე მისაბაძ მაგალითად დარჩება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბულების ალწერილობა

ტაბ. I 1-3. ნუკლეუსები კაჟის, ერთფუძიანი; 4, 5, 7, 9 კაჟის ანატკეცები, არალევალუაზური; 8. კაჟის ანატკეცი ლევალუაზური; 6. კაჟის ლამელა, ორფერდა, არალევალუაზური; 10. კაჟის დანა ბუნებრივი ზურგით.

ტაბ. II 1-4 კაჟის ანატკეცები, ლევალუაზური, რეტუშიანი; 5. კაჟის ანატკეცი, ლევალუაზური, ატიპური 6-8, 12. კაჟის სახოკები, მარტივი, ამოზნექილი; 9, 11. კაჟის სახოკები, ჩაზნექილი; 10. კაჟის ლამელა, ლევალუაზური, რეტუშიანი; 13. კაჟის სახოკი, კონვენგენტური.

ტაბ. III ს. თიხის ბადია, ყურიანი; 2. თიხის ქილა, ორყურა; 3. თიხის ქილა, ორყურა.

ტაბ. IV 1. სარდიონის, ქალცედონის და პასტის მძივები; 2 სპილენძის ბიკონუსური, სეგმენტისებური და კასრისებური მძივები; 3. ვერცხლის ხვიები; 4. სპილენძის სამაჯური.

ტაბ. V სპილენძის თხელი ფურცლისაგან ნაჭედი დიადემა ირმების და წეროების გამოსახულებით.

ტაბ. VI 1,2 ცხვრის ქანდაკებები თეთრიწყაროდან და განჯიდან (საქ. სახ. მუზეუმი).

ტაბ. VII 1,2 ურბნისის ბუდა სასანური საბეჭდავების ანაბეჭდებით; 3. იგივე, რევერსი.

ტაბ. VIII. ს. 1. ოქროს ბეჭედი ალმანდინის გემით (ზღუდერი, სარკ. № 3). 2. ალმანდინის ინტალიო — ელინისტური მეფის პორტრეტი (ზღუდერი, სარკ № 3); 3. ყელის სამკაული ოქროსი, სარდიონ-ფრცხილის კამეოთი — ნერეიდა დელფინზე (ზღუდერი, სარკ. № 3); 4. იგივე, დეტალი.

ტაბ. IX 1. ოქროს ბეჭედი სარდიონის გემით (ზღუდერი, სარკ. № 1); 2. სარდიონის ინტალიო წყვილადი პორტრეტით (ზღუდერი, სარკ. № 1); 3. რომაელი მანდილოსნის სკულპტურული გამოსახულება ახ. წ. III ს. დასაწყისი; 4. რომაელის სკულპტურული პორტრეტი. მცირეაზიული ნამუშევარი, ახ. წ. 260-265 წწ; 5 ოქროს ბეჭედი სარდიონის გემით (ზღუდერი, სარკ. № 1); 6 სარდიონის ინტალიო-არწივი კორტნის კურდღელს (ზღუდერი, სარკ. № 1).

ტაბ. X 1. ოქროს ბეჭედი შავი მინის გემით (ზღუდერი სარკ. № 2); 2. შავი მინის ინტალიო მამაკაცის პორტრეტით (ზღუდერი, სარკ. № 2); 3. ოქროს ბეჭედი სარდერის გემით (ზღუდერი, სარკ. № 2); 4. სარდერის ინტალიო-გრილოსი (ზღუდერი, სარკ. № 2).

ტაბ. XI 1-9 შემთხვევით აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლები ურბნისიდან.

ტაბ. XII 10-15 შემთხვევით აღმოჩენილი მინის კოლბისებრი სანელსაცხებლები ურბნისიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

Табл. I 1—3. Кремневые одноплощадные нуклеусы; 4, 5, 7, 9. Кремневые отщепы нелеваллуазские; 8. Отщеп леваллуазский, кремень; 6. Пластина нелеваллуазская, кремень; 10. Нож с естественнным обушком, кремень.

Табл. II 1—4 Кремневые отщепы леваллуазские, ретушированные; 5. Отщеп леваллуазский, треугольный атипичный, кремень; 6—8, 12. Скребла, выпуклые, кремень; 9, II. Скребла вогнутые, кремень; 10. Пластина леваллуазская, ретушированная, 13. Скребло конвегентное, кремень.

Табл. III I. Миска глиняная; 2—3 Горшки глиняные с двумя ручками

Табл. IV. 1. Сердоликовые, халцедоновые и пастовые бусы; 2. Медные биконические; сегментовидные и бочкообразные бусы; 3. Серебрянные спирали; 4. Медный браслет.

Табл. V. I. Диадема кованная из тонкого медного листа с изображениями оленей и аистов.

Табл. VI Каменные изображения баранов из Тетрицкаро и Гянджы (Гос. Музей Грузии)

Табл. VII 12. Булла из Урбниси с отпечатками сасанидских печатей; 3. Реверс буллы из Урбниси

Табл. VIII I. Золотой перстень с резным альмандином (Згудери, сарк. № 3); 2. Резной альмандин с портретом эллинистического царя (Згудери, сарк. № 3); 3) Золотое шейное украшение с камеей из сардоникса — Нереида на дельфине (Згудери, сарк. № 3), 4) шейное украшение (деталь, Згудери, сарк. № 3)

Табл. IX I. Золотой перстень с резным сердоликом (Згудери. сарк. № 1); 2. Резной сердолик с парным портретом (Згудери, сарк. № 1); 3. Скульптурный портрет римлянки, нач. III в н. э. 4. Скульптурный портрет римлянина малоазийская работа 260—265 гг; 5. Золотой перстень с резным сердоликом (Згудери, сарк. № 1); 6. резной сердолик-Орел, терзающий зайца (Згудери, сарк. № 1)

Табл. X I. Золотой перстень с геммой из черного стекла (Згудери, сарк. № 2); 2. Литок из черного стекла спортретом мужчины (Згудери, сарк. № 2); 3. Золотой перстень с резным сардером (Згудери, сарк. № 2), 4. Резной сардер с изображением Грилла (Згудери, сарк. № 2)

Табл. XI 1—9 Стеклянные бальзамарии из Урбниси

Табл. XII 10—15 Стеклянные колбовидные бальзамарии из Урбниси

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილები

ТАБЛИЦЫ

ეროვნული ბიბლიოთეკა




















1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13

1



2

3

ОСОБНЯК ПОЛЕВОЙ



2

1

4

3

2

V ეროვნული ბიბლიოთეკა









1



2

3



1

2

3

4

ეროვნული ბიბლიოთეკა



1

2

3

4



5



6



1

2



3

4

1

2

3

7


6

4

5

8

9

10


11


12


13


14


15

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

სტატიები — Статьи

გ. ჭყონია — ევროპის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს. დასაწყისიდან 80-იან წლებამდე) 5

Г. Т. Чкония — Из истории торговых сношений Грузии с европейскими странами (с начала XIX в. 90—80-ых годов) Резюме . . . 18

ქ. მუშკუდიანი — ქ. თბილისის ავეჯის მრეწველობა (XIX ს. ბოლო — XX ს. დასაწყისი) 20

К. Д. Мушкудиани — Мебельная промышленность г. Тбилиси (конец XIX—начало XX вв.). Резюме 28

О. М. Джапаридзе — Из истории археологического изучения Грузии 29

ძ. ბერიაშვილი — დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან 39

М. Т. Бериашвили — Хеттский погребальный ритуал . . . 50

ინფორმაციები — Информации

დ. თუშაბრამაშვილი — მუსტიერული ხანის სადგომი-სახელოსნო „სილნარი“ . 51

Д. М. Тушабрамишвили — Мустьерская стоянка-мастерская «Силнари» (Резюме). 59

ლ. ღლონტი — წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელების სამაროვანზე . 61

Л. И. Глонти — Погребение знатной женщины могильника Кватхелеби (Резюме) 69

ლ. ფანცხავა, ბ. მაისურაძე — სამი სამარხი სოფ. ვერონიდან . . . 70

Л. Панцхава, Б. Майсурадзе — Три погребения из с. Верона (Резюме) 74

ძ. სინაურიძე — საფლავები ცხვრისა და ცხენის სკულპტურული გამოსახულებით . 75

М. И. Синауридзе — Надгробья в виде скульптур лошадей и баранов (Резюме) 81

ვ. ცისკარიშვილი — ორი ეპიტაფია ახმეტიდან 83

В. Г. Цискаришвили — Две эпитафии из Ахмета (Резюме) . 84

ლ. ბედუკიძე — სვანური ავეჯი (ფიჩქი და ჰასკამი) 85

Л. А. Бедукидзе — Сванская мебель (Пички и аскам, Резюме) . 94

ნ. ჯიქია — ქართველ მთიელთა კვების რეჟიმი 95

Н. П. Джикия — Режим питания грузинских горцев (Резюме) . 97

М. М. Михайлов — Жилые и хозяйственные постройки греков-понтийцев Грузии 98

ლ. გვრიტიშვილი — რატევანი (ქვემო ქართლის ნასოფლართა შესწავლისათვის) . 116

Л. Д. Гвритишвили — Ратевани (К изучению селищ Нижней Картли, Резюме) 121

სამუზეუმო კოლექციები — Музейные коллекции

ქ. ჯავახიშვილი — ურბნისის ნაქალაქაზე აღმოჩენილი სასანური ბულა . . 122

К. А. Джавахишвили — (сасанидская булла из урбниси (Резюме) 152

ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე — ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები . 129

К. А. Джавахишвили, Г. М. Немсадзе — Памятники глиптика Некрополя с. Згудери (Резюме) 154

მ. საგინაშვილი — შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ურბნისიდან . . 154
М. И. Сагинашвили — Случайно найденные стеклянные сосуды из Урбниси (Резюме) 169
ვ. ცისკარიშვილი — ორი უცნობი წარწერა 170
В. Г. Цискаришвили — Две неизвестные Грузинские Надписи (Резюме) 174
გ. ჯალაბაძე, ვერა ბარდაველიძე — მუზეუმის ამაგდარი ეთნოგრაფი . . 175
ტაბულების აღწერილობა 180
Описание таблиц 181
ტაბულები 182
Таблицы 182

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1856

*

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კახდ. ალ. ჯავახიშვილი,
მ. ზანდუკელი, მ. ჩართოლანი, ნ. ქანთარია,
მ. მაკალათია, ი. გაგოშიძე, ვ. ლექვინაძე,
დ. თუშაბრამიშვილი, რ. დოლაბერიძე, შ. ლომსაძე

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ნ. მამულაშვილი

გადაეცა წარმოებას 14.7.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.10.1982;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 17.2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.2;
უე 13235; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2493;
ფასი 1 მან. 65 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВЕСТНИК
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ
XXXVI—B

(на грузинском языке)

ეროვნული
ბიბლიოთეკა